

ზ. ზენდელია

საქართველოს საგარეო  
მხარეობები

საქართველოს 664  
სამედიცინო გამომცემლობა  
თ ბ ი ლ ი ს ი  
1 9 5 2

## წინასიტყვაობა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის მიერ სამკურნალო მცენარეთა შესასწავლად 11 წლის მანძილზე ყოველ გაზაფხულსა და ზაფხულში იგზავნებოდა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხოლო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშავდებოდა და ზუსტდებოდა შეგროვილი მასალა. ამავე დროს შეისწავლებოდა თბილისის, ლენინკრადის და მოსკოვის წიგნთსაცავებში არსებული ლიტერატურული წყაროები. როგორც ექსპედიციებში, ისე შემდგომ მუშაობაში უშუალო მონაწილეობას იღებდა ამ წიგნის ავტორი.

წინამდებარე გამოკვლევა საქართველოს სამკურნალო მცენარეთა შესახებ წარმოადგენს ზემოაღნიშნული მუშაობის შედეგს.

სულ გამოყენებული გვაქვს 261 სხვადასხვა ლიტერატურული წყარო, აქედან 125 ქართული, 99 რუსული და 37 უცხოურ ენაზე.

ჩვენი გამოკვლევა უმთავრესად ეხება საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ველურ სამკურნალო მცენარეებს, აგრეთვე გაველურებულ და ნაკლებად კულტურულ მცენარეებსაც.

ჩვეულებრივ, მცენარეთა მკვლევარნი მხოლოდ მათი მორფოლოგიური ნიშნების აღწერით და ქიმიური ბუნების გამოკვლევით კმაყოფილდებოდნენ და ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მცენარის ველურად გავრცელება, მისი სავარაუდო ბუნებრივი მარაგი და სხვ., ნაკლებ ყურადღებას იპყრობდა.

გარდა ამისა, თითოეული სამკურნალო მცენარე შეისწავლებოდა როგორც ცალკეული, იზოლირებული ინდივიდი, არა ბუნებასთან ერთიანობაში, აგრეთვე მორფოლოგიური, ფიტოგენეზური და ბიოეკოლოგიური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინების გარეშე.

ცხადია, რომ სამკურნალო მცენარეთა შესწავლის ასეთი მეთოდი ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი, პრაქტიკულად გამოსადეგი მასალის დაგროვება-დამუშავებას.

ამ შრომაში შევეცადეთ გამოგვეყენებია კვლევის ისეთი მ-



თოდი, რომელიც გულისხმობს არა ასეთ ცალმხრივ მიდგომას სამკურნალო მცენარეთა შესწავლისადმი, არამედ ითვისისწინებს კომპლექსურ შესწავლას: მცენარის მორფოლოგიურ აღწერილობასა და ქიმიური შემადგენლობის ცოდნასთან ერთად მისი მკიდრო ურთიერთობის გაგებას გარემო ბუნებასთან მორფოლოგიურ, ფიტოგენეზურ და ბიოეკოლოგიურ ფაქტორთა ურთიერთდამოკიდებულების პირობებში, აგრეთვე ველურ სამკურნალო მცენარეთა მასივების გავრცელებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მათი დამზადების საერთაშორისო მოცულობას და სხვა პრაქტიკულად მნიშვნელოვან საკითხებს ჩვენი ფარმაცოქიმიური ქარხნების ნედლეულით წინმარაგების თვალსაზრისით.

სამკურნალო მცენარეთა მეცნიერული შესწავლა ჩვენში გვიან დაიწყო, მაგრამ ამ დარგში უკვე დიდი მასალაა დაგროვილი.

საქართველოს ველურ სამკურნალო მცენარეთა აქამდე ცნობილ სიას ჩვენ დაუშატეთ ბევრი ახალი მცენარე, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობის ჩატარებაა საჭირო, რომ ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი მცენარეული საფარი მთლიანად იქნეს შესწავლილი.

მრომის შედგენისას ძირითადად ვსარგებლობდი საბჭოთა ფარმაცოქების მეშვიდე გამოცემით, ვინაიდან წიგნზე მუშაობის პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო გამოსული აღნიშნული ფარმაცოქების უკანასკნელი მერვე გამოცემა.

ტექნიკური შიზეზების გამო ვერ მოხერხდა წიგნისთვის დაგვერთო საქართველოს სამკურნალო მცენარეთა გავრცელების რუკა.

ავტორი

## ზოგიერთი ცნობა საქართველოში სამკურნალო მცენარეთა გამოყენებისა და წამლების მომზადების შესახებ

ცნობები საქართველოში სამკურნალო მცენარეთა არსებობისა და მათი გამოყენების შესახებ უძველეს დროს მიეკუთვნება. ბეკეტოვსკის მონაცემებით, დიოსკორიდე შაამიან მცენარეებს „Kisichikon“-ს უწოდებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ძველ ბერძნებს ამ მცენარეთა სამშობლოდ კოლხეთი მიაჩნდათ. ძველი ბერძნული პითოლოგიაც მედებს და მის გრძნეულ წამალს კოლხეთს უკავშირებს, რაც ცხადყოფს, რომ საქართველოში კარგად იცნობდნენ მცენარეული შხამებს და საერთოდ სამკურნალო მცენარეთა გამოყენებას.

ძველი ქართული სამედიცინო ლიტერატურა („წიგნი სააქიმოი“, „უსწორო კარაბადინი“, „იადიგარ დაუდი“, ფანასკერტელის: „კარაბადინი“ და სხვ.) შეიკავს მეტად მდიდარ მასალას სამკურნალო მცენარეებთან შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ ძველ საქართველოში ხმარებულ სამკურნალო მცენარეებთან უდიდესი ნაწილი მცენარეული წარმოშობისა იყო.

განუწყვეტელ თავდაცვი ბრძოლებში ჩაბმული ქართველი ხალხი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქრილობის შემხორცებელ და სისხლის დენის შემაჩერებელ მცენარეებთან გამოყენებას, რის გამოც ქართულ ხალხურ მედიცინაში წარსულში ფარობდნენ იხმარებოდა ამ დანიშნულების სხვადასხვა მალამოები, როცა მათ უკანასკნელ დრომდე მოაღწია.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ძველი ხალხის (მაგალითად, ინდოელების) ცალკეული ტომების ან ცალკეული გვარების სახელწოდებას უკავშირებდნენ რომელიმე მცენარის სახელწოდებას (მაგალითად, „სენეგა“, „გუარანა“ და სხვ.).

ანალოგიურ მოვლენები აღინიშნება ჩვენშიც. სადაც ზოგიერთ სამკურნალო მცენარეს დღემდე უწოდებენ იმ ექიმის სახელი ან გვარი, რომელმაც ის პირველად იხმარა.

იტალიელი მკვლევარი ლამბერტი (1654 წ.), რომელმაც საქართველოში (სამეგრელოში) დიდი ხანი დაჰყო და თავის მეტად საინტერესო შრომაში დაწვრილებით აღწერა სამეგრელო, მოგვითხრობს საყოველთაოდ გავრცელებულ სამკურნალო მცენარის „კოთხონჯის“ შესახებ, რასაც მოსახლეობა მუდამ თან ატარებდა ქისაში. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში ძველად ცნობილი იყვნენ განთქმული სახალხო ექიმები კოთხოჯიას ვეარისა; ასეთივეა ხალხში ფართოდ ცნობილი სამკურნალო მცენარე „მინადორას ბალახი“ და სხვ.

ქართული სამედიცინო ძეგლების მეტად მდიდარი შინაარსი, მათში ხმარებული სამედიცინო და სამკურნალწამლო საშუალებათა ტერმინები ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში წამალთმცოდნეობა და წამლების მომზადების ტექნიკა მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო.

ამასვე ამტკიცებს კლდეში ნაკვეთი ვარძიის ცნობილი ციხე-ქალაქი (XII საუკ.), სადაც აღმოჩენილია კლდეებში გამოკვეთილი აფთიაქისათვის განკუთვნილი სადგომი, მრავალი უჯრით წანლების შესანახად.

ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ საქართველოს მეფეებს თავიანთ სასახლეებთან გაშენებული ჰქონიათ „სავარდებში“, რომლებშიც, დეკორაციულ და სხვა ტექნიკურ მცენარეებთან ერთად, სამკურნალო მცენარეებიც ყოფილა. XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი მოგვითხრობს, რომ „ან არის ყვავილი ზუმბული, ფერით სპეტაკი, მსგავსი ნარისა, მიწასა ზედა განრთხული, სურნელი, ვითარცა ამბარი და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი. მეფემან ვახტანგ მოიღო სავარდესა შინა, არამედ არა ჰყინაყოფი“.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ტიპის პირველი აფთიაქი საქართველოში დაარსდა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ან საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენში უკვე რამდენიმე აფთიაქი არსებობდა, მაგრამ ისინი არ აწარმოებდნენ ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებას. 1800-იან წლებში საქართველოს მომარაგება წამლებით შემცირდა და აფთიაქები იძულებული გახდნენ გამოეყენებიათ ადგილობრივი რესურსები. ამ მიზნით 1806 წელს თბილისის პირველმა სახელმწიფო აფთიაქმა ხელი მოჰკიდა თბილისის მიდამოებში გავრცელებული ველური სამკურნალო მცენარეების შეგროვებას, რასაც ხელმძღვანელობდა გლეხი აპრიამ ტერტერაშვილი. მას მასობრივად გამოჰყავდა გლეხები სამკურნალო მცენარეთა შესაგროვებლად და ნედლეულს აბარებდა აფთიაქს, რამაც უზრუნველყო ადგილობრივ მცხოვრებთა დაკმაყოფილება წამლე

ბით. რა თქმა უნდა, მარტო ერთი აფთიაქის თაოსნობა ამ საქმეში საკმარისი არ იყო, მონაწილეობა სხვებსაც უნდა მიეღოთ, მაგრამ ამას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ აფთიაქები კერძო მესაკუთრების ხელში იყო და ზოგიერთი მათგანი ამჯობინებდა უცხოეთიდან ნედლეულის შემოტანას და ძვირად გაყიდვას. უფრო გვიან სხვა აფთიაქებმაც და, მათ შორის, სახელმწიფო აფთიაქებმაც მოკიდეს ხელი ადგილობრივ ველურ სამკურნალწამლო რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას. დაისვა საკითხი, რათა თბილისის ბოტანიკურ ბაღს ხელი მოეყიდა ამ საქმისათვის და შესაფერი კადრებიც ჯომეზადებინა. გამოუშვეს სპეციალური პლაკატები მცენარეთა სურათით და შეგროვების წესების აღწერით, რამაც ხელი შეუწყო ველურ სამკურნალო მცენარეთა პოპულარიზაციას და მათი შეგროვების გაადვილებას. ზოგი სამკურნალო მცენარე შემოჰქონდათ კულტურაში, მაგალითად *Lavandula vera* DC.

პირველი მსოფლიო ოპის დროს ველურ სამკურნალო მცენარეთა შეგროვება საქართველოში კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობს. 1915—16 წლებში ბაკურიანის ბოტანიკური ბაღიდან ამერიკის შ. შ.ში გამოიწერეს წითელი და ხორცისფერი გვირილას (*Pyrethrum roseum* M. B. და *Pyrethrum carneum* M. B.) თესლი. ენაიდან ამ მცენარეებიდან მიღებული პირეთრინი, ანუ იგივე კავკასიური სარწყილე ფხენილი, ცნობილი გახდა მსოფლიოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ველურ სამკურნალო მცენარეთა შეგროვებას იმ დროს სათავეში უდგნენ არც თუ ისე მცოდნე და განსწავლული სპეციალისტები, რამაც გამოიწვია საქართველოს ველურ სამკურნალო მცენარეთა მასივების თანდათან გადაშენება. ეს აიხსნება იმით, რომ წესიერი და მეცნიერულად მართებული შეგროვების ნაცვლად ამ ბუნებრივ მასივებს მეტად ველურად ექცეოდნენ და მთლიანად კრეფდნენ მცენარეს ისე, რომ არც ერთ მის ვეგეტაციურ ნაწილს არ ტოვებდნენ მიწაში. ამრიგად, ხდებოდა ამ მცენარეთა გადაშენება, მათ ადგილზე უსარგებლო მცენარე იზრდებოდა, ხოლო ბუნებრივი მასივები მცირდებოდა და ზოგი მცენარე დღეს მხოლოდ ძნელად მისადგომ ადგილებშიღა შეგროვდება.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი ამ ძვირფასი ბუნებრივი საწარმოო მასივების წესიერი მეცნიერული შესწავლა, რასაც სათავეში ჩაუდგა ბოტანიკური ბაღი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1925 წლიდან ფარმაკოქიმიური ინსტიტუტი და მთავარი სააფთიაქო სამმართველოს სამკურნალო მცენარეთა დამზადების საქართველოს კანტორა.

დასახელებული ორგანიზაციების თაოსნობით დაისვა საკითხი; რათა საქართველოში სამკურნალო მცენარეთათვის გამოყოფილიყო სპეციალური ნაკვეთები მათი კულტურაში გადატანის მიზნით, რისთვისაც 1924 წლიდან 1928 წლამდე გორის რაიონში აწარმოებდნენ სამკურნალო მცენარეთა კულტურას; შემდეგში ამ ღონისძიებამ საცდელი ხასიათი მიიღო და ამ სახით დღემდე გრძელდება სუხუმში; ქობულეთში და სხვ.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს ველური სამკურნალო მცენარეების გამოყენებით მთელა ოთხი წლის განმავლობაში დაიფარა საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან შემოსაზიდი ნედლეულის დანაკლისი.

სამკურნალო წამლო ნედლეულის ბაზის გაფართოების და ამ ნედლეულის დამზადების ზრდის მიზნით საჭიროა შემოვიდოთ ველურ სამკურნალო მცენარეთა თარგობრივი ან ნაკვეთობრივი შეგროვების წესი, რაც მდგომარეობს შემდეგში: მცენარის შეგროვებისას მისი ფესვები ან ფესვურები მთლიანად კი არ უნდა ამოვიღოთ, არამედ ცოტ-ცოტა ნიადაგში უნდა ჩავტოვოთ; მეორე წელს მცენარის შეგროვება უნდა ვაწარმოოთ სხვა ნაკვეთიდან, ისე რომ, პირველმა დაისვენოს, სანამ პირველი მასივი კვლავ არ მოლონიერდება და შეგროვებისათვის შესაფერი არ გახდება. ვფიქრობთ, რომ ასეთი მეთოდით ხელს შევუწყობთ ველური მარაგის გადიდებას, რაც შესაძლებელს გახდის, რომ საქართველოში დამზადდეს გაცილებით მეტი რაოდენობის ნედლეული, ვიდრე ამჟამად, ხოლო თუ ამასთან სამკურნალო მცენარეთა კულტურულ ნათესებსაც შევქმნით, ეს დიდ შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველყოთ ჩვენი რესპუბლიკა სამკურნალო მცენარეებით. მით უმეტეს, რომ საქართველოში შეიძლება მრავალი სამკურნალო მცენარის აკლიმატიზაცია, რაც ქობულეთის, სუხუმის, ბიჭვინთის სამკურნალო მცენარეთა ზონალურმა საცდელმა სადგურებმა უკვე თვალნათლად დავიდასტურეს.

---

## სამკურნალო მცენარეთა ზრდის ძირითადი ფაქტორები

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ველური სამკურნალო მცენარე კულტურაში გადმოტანისას აშკარა განსხვავებას იძლევა, როგორც ალკალოიდთა ან სხვა მოკმედ საწყისთა შემცველობის მხრივ. ისე მასის მხრივაც. მაგალითად, ველურ პირობებში მზარდი წითელი ფუტკარა და ტილქირი უფრო ძლიერ მოკმედ საწყისებს იძლევა. ვიდრე კულტურაში გადმოტანილი, ისე, რომ ხშირად მათი კულტურული ფორმებიდან დამზადებული წამლეული ნივთიერება გამონაცემია, ნაყენისა და წყლიან ნაყენთა სახით ორგანიზმისათვის უვნებელი აღმოჩნდა, იმ დროს როდესაც იმავე მცენარის ველური ფორმიდან დამზადებული ნაყენის იგივე რაოდენობა მომწამვლელია. მეცნიერულ კვლევათა საფუძველზე დამტკიცდა, რომ ამ მოვლენის მთავარი მიზეზი ის გარეგანი ფაქტორები ყოფილა, რომლებიც გავლენას ახდენენ მცენარეზე, ვინაიდან როგორც კი პლანტაციას დაუბრუნეს ის ბუნებრივი გარეგანი პირობები, რომლებიც მას ველურად ზრდის დროს გააჩნდა, მცენარეს კვლავ დაუბრუნდა პირვანდელი თვისებები და შოწენების მასამაც საგრძნობლად იმატა. შემჩნეულია ისიც, რომ ალკალოიდის შემცველ მცენარეებში მორწყვის შემდეგ ალკალოიდების რაოდენობა კლებულობს ან მათი მოკმედება სუსტდება.

ამნიარად, ცხადია, რომ სამკურნალო მცენარეთა ზრდის ძირითად ფაქტორებს გახსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, როგორც ველურად ზრდის პირობებში, ისე მათი კულტურაში გავრცელების დროს. ამ ფაქტორებიდან აღსანიშნავია კლიმატური პირობები, ნიადაგის სინესტე, მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებები, სინათლე, სიმაღლე ზღვის დონედან, დაქანება, ცენოზი და სხვა ბიოლოგიური ფაქტორები. ყველა ეს ფაქტორი უეჭველად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამა თუ იმ სამკურნალო მცენარის აკლიმატიზაციის დროს. განვიხილოთ მოკლედ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

კლიმატური პირობების საერთო გავლენა. ჩვენ შეგვხვებით ზოგადად იმ კლიმატურ პირობებს, რომლებიც ძირი-

თად როლს ასრულებენ სამკურნალო მცენარეებში ამა თუ იმ მოქმედ საწყისთა დაგროვების მხრივ. ამ მიმართულებით პირველი დაჯივრე ბა ჩატარდა თორმეტ სხვადასხვა სახის სამკურნალო მცენარეზე ბუნებრივ პირ ბებში. ამ ცდებისათვის ამორჩეულ იქნა 4 სხვადასხვა სახის ფუჭკარა, კატაბალახა, ტილქირი, პიტნა, ლემა და სხვა. ცდები ჩატარდა ორ ადკილზე: ზღვის დონედან 167 და ალპებში 1860 მ სიმაღლეზე. კლიმატური პირობებით ეს ადგილები არსებითად განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან, როგორც ატმოსფერული წავეეს მხრივ, ისე ჰაერის ტემპერატურის, ჰაერის შეფარლებითი სიბესტის, მოღრუბლულობის, ატმოსფერული ნალექების. ვანათების ხანგრძლიობისა და ინტენსივობის მხრივ. ასევე განსხვავდებოდნენ ისინი ნიადაგითაც და მისი ფოტოქიმიური სიმკვრივით: ერთი შედარებით უფრო მშრალი და ქარებისაგან დაუცველი იყო. ხოლო მეორე ქარებიდან დაცული, ხასიათდებოდა მეტი რაოდენობის ატმოსფერული ნალექებით, ჰაერის მეტი სინესტით, უფრო დაბალი საშუალო წლიური ტემპერატურით და მზის უფრო ხანგრძლივი, ინტენსიური ნათებით. აღმოჩნდა, რომ მოსავლის მასა ერთი კვადრატული ნეტრიდან მალლობში უფრო მეტი იყო, ვიდრე დაბლობში, ხოლო მოქმედ ნიეთიერებათა პროცენტული შემადგენლობა კი მეტ შემთხვევაში დაბლობში აღებულ მასალაში ქარბობდა. ამრიგად, აქედან გამოიტანეს ასეთი დასკვნა: 1. კლიმატი ახდენს გავლენას პირველ რიგში მოსავლის ხარისხზე, 2. ნიადაგის პირობები გავლენას ახდენენ უმთავრესად მოსავლის რაოდენობრივ მხარეზე და მეტად მცირე გავლენას—მოქმედ ნიეთიერებათა შემცველობაზე, 3. არსებობს ერთგვარი შეფარდება მოსავლის რაოდენობასა და ხარისხს შორის სხვადასხვა მცენარეებში. ამ აზრს მრავალი მკვლევარი უარყოფს და უპირისპირებს შეხედულებას, რომელიც გულისხმობს, რომ მოსავლის რაოდენობრივი მხარე განუწყვეტლად დაკავშირებულია მის ხარისხთან, მიუხედავად გარეგანი ფაქტორების მოქმედებისაო. მიუხედავად აზრთა ასეთი სხვადასხვაობისა, ფაქტია, რომ ის პიტნა, რომლის პლანტაციებიც მთაშია, ხარისხობრივად უმჯობესია, ვიდრე ზღვის პირას. შემჩნეულია, რომ წვიმიან წლებში, განსაკუთრებით ცივ ამინდში, ალკალოიდიანობა სხვადასხვა სამკურნალო მცენარეში ძლიერ ეცემა, და არა მარტო ალკალოიდიანობა, არამედ ეთერზეთოვნობაც. მაგალითად, ჯორის ძუაში ალკალოიდები მეტად მცირეა წვიმიან პერიოდში მაისსა და აგვისტოში, მაგრამ ნოემბერში

მატულობს და ზამთარში ისევ კლებულობს. ხოლო მცენარე გვიმ-  
რას ფესვურაში კი ასეთი მერყეობა შემადგენელ ნივთიერებათა  
მხრივ ბევრი ცდის შემდეგაც არ დადასტურდა.

ნიადაგის სინესტის გავლენა. ამ ფაქტორის მნი-  
შენელობაც ასევე უდავოდ დადასტურდა მრავალი ცდის შედე-  
გად. მაგალითად, გამოიკვია, რომ მდინარე მტკვრის სანა-  
პიროზე წყალში გაზრდილი ძირტკბილას ფესვურა შეიცავს გლი-  
ცირიზინს  $9,7\%$ -ის რაოდენობით, იმ დროს, როდესაც ბექობებზე  
მოყვანილი —  $12\%$ -დე. ასევე, კატაბალახას ფესვურებიც ნეს-  
ტიან ნიადაგზე უფრო დაბალ და მდარე მასალას იძლევა ქიმი-  
ური შემცველობის მხრივ: ვიდრე მშრალზე.

ნიადაგის ფიზიკური თვისებების გავლენაც  
მრავალი დაკვირვებით მტკიცდება, რომ მაგალითად, პიტნა უფრო  
ეტანება ტორფიან ან კირიან ნიადაგებს, ირჩევს მუყდრო, ქა-  
რისაგან დაცულ ადგილებს, კარგად ხარობს აგრეთვე მძიმე თი-  
ხნარ ნიადაგებზეც, სადაც ზეთის გამოსავალი მასში უდრის  $0,13\%$ ,  
თავისუფალი მჟავის  $0,03\%$ , ეთერების  $11,67\%$ , თავისუფალი  
მენტოლის  $30,94\%$  და მთელი მენტოლის  $40,13\%$ ; საძაგეიროდ,  
დაკორდებულ შავმიწა ნიადაგებზე ან ნაწილობრივ ქვიშიან ნია-  
დაგებზე პიტნა ასე კარგად ვერ ხარობს, თუმცა ასეთ ნიადაგებ-  
ზე ზეთის გამოსავალი მასში უდრის  $0,10\%$ , თავისუფალი მჟა-  
ვის— $0,05\%$ , ეთერების— $9,9\%$ , თავისუფალი მენტოლის— $46,48$ ,  
ხოლო მთლიანად მენტოლის— $54,28\%$ . პირველ შემთხვევაში მას  
მკრთალი ყვითელი ფერი და მენტოლის სასიამოვნო სუნი აქვს.  
ხოლო მეორე შემთხვევაში მკრთალი ჩალის ფერი, სუნი სასიამოვნო  
სურნელოვანი, ხოლო გემო მომწარო და ოღნავ მენტოლიანი.

ნიადაგის ქიმიური თვისებები. სამკურნალო მცე-  
ნარეები ამ მხრივაც ერთგვარ რეაქციას იჩენენ და ეტანებიან  
ისეთ ნიადაგს, რომელიც ქიმიურად მათთვის უყრო უმჯობესია.  
ლენცოფაზე, სააფთიაქო გვირილაზე და დალმაციურ გვირილაზე  
ჩატარებული ცდებით გამოიკვია, რომ ლენცოფა უკეთესად ხარობს  
სუსტრეფავე და ნეიტრალურ ნიადაგებზე (ობტიმუმი  $pH$  6,4 — 7,2).  
სააფთიაქო გვირილა—ნეიტრალურ და სუსტი ტუტე რეაქციის  
მქონე ნიადაგებზე (ობტიმუმი  $pH$  — 7,3 — 8,1), ხოლო დალმა-  
ციური გვირილა განვითარების პირველ წელს საჭიროებს სუსტ-  
მეავე ან ნეიტრალური რეაქციის მქონე ნიადაგებს, მომდევნო



წლებში კი — ტუტე ქარბ ნიადაგებს. იგივე შეიძლება ითქვას ველურად მოზარდ კატაბალახაზე, რომელიც მეტწილად უფრო მსხვილ და გრძელ ფესურებს იძლევა კაობიან მეავე და ნეიტრალური რეაქციის ნიადაგებზე. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სამკურნალო მცენარეების უმრავლესობა უფრო ბარაქიან მოსავალს იძლევა მეავე რეაქციის მქონე ნიადაგის პირობებში. ამ მხრივ აღსანიშნავია მცენარე ლემას ფოთლებზე და ლეროებზე ჩატარებული ცდა, რომლის შედეგადაც გამოირკვა შემდეგი: ლემას ფოთლების მოსავალი ერთი მცენარიდან ნიადაგის 4,3 მეავეობის დროს უდრიდა 15,0 გრამს, ხოლო ალკალოიდიანობა (მშრალი წონა) 0,256% შეადგენდა. როდესაც pH 6,9 იყო, მოსავალი უდრიდა 24,0 გრამს, ხოლო ალკალოიდიანობა 0,257% აღწევდა, pH—8,2 დროს მოსავალი 18,2 გრამს უდრიდა, ხოლო ალკალოიდიანობა 0,407%. ასევე ლეროების მხრივ: თუ pH 4,3 არის, ლეროს მოსავალი 42,2 გრამს უდრის, ხოლო ალკალოიდიანობა 0,261% შეადგენს, pH 6,9-ის შემთხვევაში ლეროს მოსავალი 60,0 გრამს აღწევს, ალკალოიდიანობა კი 0,105%, pH — 8,2 დროს მოსავალი 30,0 გრამს შეადგენს, ხოლო ალკალოიდიანობა — 0,565%. ვფიქრობთ, რომ ეს მონაცემები საკმაოდ ნათლად მოწმობენ ნიადაგის ქიმიური თვისებების გავლენას სამკურნალო მცენარის როგორც მოსავლიანობაზე, ისე მის შემადგენლობაზეც.

სინათლე. სინათლე ერთ-ერთ მთავარ საყურადღებო ფაქტორად ითვლება როგორც მოზარდი, ისე გამზმარი სამკურნალო მცენარისათვის. ამ მიმართულებითაც ჩატარდა მრავალი ცდა და, თუმცა მიღებული შედეგები ზოგჯერ ეწინააღმდეგება ერთიგორეს, საერთო დასკვნა მაინც ნათელია. 1927 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში დ. ნ. ბეკეტოვსკის მიერ პიტნაზე ჩატარებული ცდების შედეგად გამოირკვა, რომ განათებულ იწყვილებში ერთი მცენარე იძლევა საშუალოდ 68,9 გრ ნედლ მასას და 0,44% ეთეროვან ზეთს, იმ დროს, როდესაც საშუალო განათებაზე ნედლი მასის წონა 61,1 გრ შეადგენს და ეთეროვანი ზეთი 0,4%-ს. ხოლო ძლიერ სუსტად განათებულ იწყვილებში ნედლი მასის წონა 70,1 გრ უდრის და ეთეროვანი ზეთი 0,56%-ს. სინათლის გავლენის გამოკვლევის მიზნით აგრეთვე საინტერესო ცდები ჩატარა ლენინგრადში ე. ბუსლოვმა მცენარე კატაბალახაზე, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ კაუგი განათების შემთხვევაში მიწის ზედა ნაწილების მშრალი მასის წონა ერთ მცენარეში უდრიდა 14,1 გრამს, მწრალ ფესვებში 25,3 გრ, ხოლო ეთეროვანი ზეთების

შემცველობა ფესვებში—0,368% და ფესვურებში 0,193% შეადგენდა. საშუალო განათების შემთხვევაში მიწის ზედა ნაწილების მშრალი მასის წონა ერთ მცენარეში უდრიდა 15,9 გრამს. მშრალ ფესვებში—18,3 გრ ; ეთერზეთთა შემცველობა ფესვებში 0,34% შეადგენდა, ფესვურებში—0,193%. ძლიერი დაჩრდილების შემთხვევაში მიწის ზედა მშრალი ნაწილების წონა უდრიდა 8,1 გრამს, მშრალ ფესვებში—9,4 გრამს, ხოლო ეთეროვან ზეთთა შემცველობა ფესვებში უდრიდა 0,405% და ფესვურებში—0,194%. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ძლიერი განათების შემთხვევაში მიწის ზედა და მიწის ქვედა ნაწილების მშრალი მასა კატაბალახაში მატულობს, ხოლო ეთეროვანი ზეთების შემცველობა, პირიქით, კლებულობს. ასეთივე ცდები იმავე შედეგებით ჩატარდა სხვა სამკურნალო მცენარეების მიმართაც, როგორცაა ლენცოთა, ფუტკარა და სხვ.

გარდა ამისა, სინათლე და, კერძოდ, მზის სხივი, განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს სამკურნალო მცენარეთა გაშრობის დროსაც და იწვევს მცენარის მოქმედ საწყისთა აქროლებას; ამიტომ ა, რომ სამკურნალო მცენარეთა ხმობის მცოთლებს შეტოდ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და მათი გაშრობა მზეზე, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, ყოვლად დაუშვებელია. მზეზე გახმობა შეიძლება მხოლოდ ქინისა და ხეჭრელის ქერქისა, ნაყოფებიდან კი მოცვის კენკრისა. რაც შეეხება მთლიანად მცენარეს, მის ფესვებს, ფესვურებს, ფოთლებსა და ყვავილებს, მათი გაშრობა მზეზე არაერთაშრ შემთხვევაში არ შეიძლება. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც გვირილას მაგალითი. რომელიც გასაშლელ კოკორში უფრო მეტ მოქმედ საწყისს შეიცავს, ვიდრე გაშლილში; მზეზე გამშრალ დაღმაციურ გვირილაში პირეთრინის გამოსავალი 0,93% უდრის, ხოლო მაშრობ კარადაში შრობისას—1,5%. იგივე ითქმის ფუტკარას ფოთლის შრობის შესახებაც, რომელიც მზეზე შავდება და ლაქიანდება და მასში დიგიტოქსინის შემცველობაც საგრძნობლად ქვეითდება.

დაქანება და ცენოზი. ამ ორ მნიშვნელოვან ფაქტორს სამკურნალო მცენარეებში რატომღაც სათანადო ყურადღება არ ექცევა, თუმცა ამა თუ იმ პლანტაციის გაშენების დროს დაქანების სიმკვეთრე, მისი გეოგრაფიული მდებარეობა და რელიეფი რა თქმა უნდა, გარკვეულ გავლენას ახდენს მოქმედ საწყისებზე სამკურნალო მცენარეში. საქართველოს ველურად მოზარდ სამკურნალო მცენარეთა შესწავლის მიზნით, ხანმოკლე დაკვირვებებისა და გამოცდილების საფუძველზე გამოვიტანეთ

ის დასკვნა, რომ ბევრი ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარე საქართველოს პირობებში არ იზრდება ძალიან მკვეთრ დაქანებაზე, ზოგი კი, პირიქით, უკეთესად ხარობს მასზე. მაგრამ ირკვევა, რომ მთავარ როლს თამაშობს ის გარემოება, თუ გეოგრაფიულად რომელ მხარეზეა მოქცეული დაქანება, სამხრეთით თუ ჩრდილოეთით. მაგალითად, ველურად მოზარდი კატაბალახა გვხვდება როგორც მთავარ, ისე მცირე კავკასიონის ქედზე, მეტწილად ჩრდილო ქანობებზე, სადაც სინესტე მეტია, მცენარეული დაჯგუფებაც განსხვავდება სამხრეთისაგან და მზის სხივიც ისე ძლიერად ვერ წვდება იას, როგორც სამხრეთ ფერდობზე. ამ პირობებში კატაბალახა უფრო დიდი სიმაღლისაა, ნედლი მასაც მეტი აქვს, ფესვები და ფესვურები უფრო ახლოსაა მიწის ზედაპირთან, რაც აადვილებს მის ამოღებას; ძლიერ განვითარებული: გრძელი და დიდი ზომის ფესვები და ფესვურები გადატეხისას ისეთი მკვეთრი და გამაღიზიანებელი სუნის ეთეროვან ზეთებს უშვებს, რომ მან შეიძლება გამაბრუებლადაც კი იმოქმედოს. კატაბალახა გვხვდება აგრეთვე სამხრეთის შედარებით მშრალ ფერდობებზეც, სადაც განათება უფრო ძლიერია და მცენარეული დაჯგუფებაც თავისებური; ამ პირობებში კატაბალახა უფრო ტანმორჩილია, ფესვთა სისტემა უფრო ღრმად წასული აქვს მიწაში. რაც მის ამოღებას აძნელებს; ფესვურა განაკვეთზე ისეთი ძლიერი სუნის ეთეროვან ზეთს აღარ იძლევა; როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა ნაწილების ნედლი მასაც შედარებით ნაკლებია. ანალოგიუო მაგალითს იძლევა მცენარე საგუგაც (*Senecio platyphyllos* D. C.). საქართველოს ბუნებრივ პირობებში ველურად ხრდის დროს სამკურნალო მცენარეთა შორის გვხვდება საწინააღმდეგო მაგალითებიც. მაგალითად, წითელი სარწყილე გვირილა სამხრეთის ქანობებზე უფრო ხშირი და ბარაქიანია, ვიდრე ჩრდილოეთისაზე. სამხრეთ ფერდობებზე ნაკლებია სინესტე, მზის სხივთა მოქმედების ინტენსივობა და განათება კი უფრო ძლიერია. ამიტომ მცენარეული დაჯგუფებაც თავისებურად განსხვავებულია. უფრო ქსეროფიტული და სახეობრივი შემადგენლობით ღარიბი. ასეთ პირობებში გვირჩილას ყვავილს უფრო მკვეთრი სუნი აქვს. რაც მასში პირეთრინის მეტ პროცენტულ შემცველობას მოწმობს: ჩრდილო ფერდობებზე გაზრდილ გვირილაში კი ყველა ეს თვისება შედარებით უფრო სუსტადაა გამოხატული. ამრიგად, სამკურნალო მცენარეთა ეკოლოგიური პირობების შესწავლის დროს უფროდ უნდა გამოხვილდეს ამ მხრივაც; ყველა ეს დაკვირვება კიდევ უფრო დეტალურად შემოწმდეს, გამოიკრკვეს და

მეცნიერულად დასაბუთდეს ცდებით, ანალიზებით და ხანგრძლივ შესწავლით, რათა ჩვენმა მომავალმა მუშაობამ უფრო ნაყოფიერი შედეგები მოგვცეს.

მცენარეთა განვითარების ფაზების როლი. დიდი ხანია მკვლევარების მიერ შემზინებულია, რომ მოქმედ საწყისთა შემცველობა სამკურნალო მცენარის ზრდის სხვადასხვა ფაზებში განსხვავებულია. კერძოდ, უნდა ითქვას, რომ ეთერზეთების მაქსიმალური შემცველობა მცენარის კოკრობის ან ყვავილობის ფაზაზე მოდის. ამ პერიოდში ეთერზეთებით მდიდარია არა მარტო ყვავილები, არამედ ფოთლებიც. თუ მცენარე ორწლელია ან მრავალწლელი, ეთერზეთების შემცველობა ფესვებსა და სხვა მიწისქვეშა სახეცვლილ ღეროებში შედარებით მიწისზედა ნაწილებთან, ყვავილობის დროს უფრო მცირეა, ხოლო ადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე—პირიქით, მიწისქვეშა ნაწილები უფრო მდიდარია, ვიდრე მიწისზედა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ადრე გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე ეს მოქმედი საწყისები თავსდება სამარაგო ნივთიერების სახით სამკურნალო მცენარის მიწისქვეშა ნაწილებში, რათა მცენარე მომზადებული შეხვდეს მომავალ სავეგეტაციო წელს, მოასწროს დაყვავილება. თესლის მომწიფება და მისი დაცვენა გამრავლების მიზნით. მრავალ მაგალითს შორის, ამას ადასტურებს ლ. ა. უტკინის კვლევის მონაცემებიც, რომელთა თანახმადაც კავკასიური ძირტებილა იძლევა ფესურებში გაზაფხულზე მაისამდე 5,8% გლიცირიზინს, მაისში—5,26%, ზაფხულში—5,02% და შემოდგომაზე—4,62%. ეს მოელენა რომ შემთხვევითი არ არის, მტკიცდება იმით, რომ მსგავსი შედეგები მიღებულ იქნა ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკო-ქიმიური ფაკულტეტის საცდელ ნაკვეთზე 1929 წელს. მეტი პროდუქციის მიღების მიზნით, მნიშვნელობა ენიჭება სამკურნალო მცენარის ტექნიკური სიმწიფის დადგენასაც. ხშირად მოქმედ საწყისთა პროცენტული შემადგენლობა ერთისა და იმავე გვარის ან სახეობის სამკურნალო მცენარეთა შორის განსხვავებულია, რაც უქველად მცენარის ინდივიდუალური ბიოლოგიისაგანაა დამოკიდებული, რის გამოც ისინი შეიძლება ცალკე ბოტანიკურ ფორმებად ჩაითვალოს; მაგალითისათვის უაფასახელებ ზოგიერთ კავკასიურ შმაგას; ანუ გიჟანას, რომელიც შეიცავს 1% ალკალოიდებს, იმ დროს როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შმაგა ანუ გიჟანა, იძლევა ალკალოიდებს არა უმეტეს 0,5%—0,7%-სა. სამკურნალო მცენარეთა ბუნების დეტალური მეცნიერული შესწავლა გვაძლევს სა-

შეაღებდას მივალწიოთ მაქსიმალურად სასურველ შედეგებს, გარდაეკმნათ მათ ბუნება ჩვენი სურვილისამებრ და მივალწიოთ უმაღლეს პროდუქტიულობას ისე, როგორც ეს შეძლეს მიჩურინმა და ლისენკომ, მასობრივი სელექციის საფუძველზე. სამკურნალო მცენარეთა ვარგისიანობაზე გავლენას ახდენს ზოგიერთი ზოი — და ფიტოჰორაზიტი, რომელთა წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა.

### **სამკურნალო მცენარეთა შავროვების, გაზროვის, ტრანსპორტირების და შენახვის ტექნიკური წესები**

სანამ სამკურნალო მცენარის შეგროვებას დაიწყებდეთ, საჭიროა ჩავატაროთ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, რისთვისაც პირველ რიგში წესრიგში მოგვყავს სახმობი ადგილები, ვასუფთავებთ და ვალაგებთ მათ, შემდეგ ვკიმავთ სუფთა ბრეზენტს ან უკიდურეს შემთხვევაში ვფენთ ქალაღს. რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური სახმობები არ გავვაჩნია და ხმობას საღლის სხვენზე ან ოთახებში ვაწარმოებთ.

შემდეგ ვასუფთავებთ იმ ადგილს. სადაც მოგვიხდება სამკურნალო მცენარეთა ფესვების ან ფესურების გასუფთავება, ან გარეცხვა. ნედლ მასალას პირველად ვყრით კასრში იმდენს, რამდენსაც ერთ გარეცხვაზე მოვერევით, და ვრეცხავთ, სანამ მას არ მოშორდება მიწა და სხვა მექანიკური მინარევები; შემდეგ ეს მასალა გადაგვაქვს მაგიდაზე დადებულ გოდოში ან ძარში და ვიდროთი ვახამთ წყალს, სანამ მას სრულიად სუფთა წყალი არ გაუვა, შემდეგ ისევ გადაგვაქვს სხვა სუფთა გოდოში და მიგვაქვს საშრობში გასაფენად. მრეცხავს სჭირდება ერთი-ორი დამხმარე — ყველას უნდა ეცვა კაუჩუკის ჩექმები და წინსაფარი. მცენარის შეგროვებისათვის საჭიროა წესრიგში მოვიყვანოთ ინვენტარი. სამკურნალო მცენარეთა ნაწილების შესაგროვებლად საჭიროა: მჭრელი დანა, ბარულა ან წერაქვი, ცელი ან ნამგალი, კალათი, სუფთა ტილო ან ტომარა და წვრილი კანაფი. მჭრელი დანა საჭიროა ფესვებისა და ფესურების შეგროვების დროს მათ მოსაშორებლად ღეროდან; ბარულა ან წერაქვი გვჭირდება მცენარის მიწისქვეშა ნაწილების ამოსაღებად; ცელი ან ნამგალი საჭიროა მაშინ, თუ ფესვის გარდა მთლიანი მცენარე უნდა შეგროვდეს; კალათი და გვჭირდება იმ შემთხვევაში, თუ ვაწარმოებთ ფოთლების. ან ყვავილების შეგროვებას, რომლებსაც ზევიდან ვაფარებთ სუფთა თეთრ ტილოს ნაქერს ისე, რომ ტილო საკმაოდ ფარავდეს კალათის ნაპირებს. თესლის მოსაგროვებლად საჭიროა პატარა ტომარაკები, ხოლო მათ თავის მოსაქრავად კანაფი უნდა მო-

ვიმარაგოთ; იმ შემთხვევაში, თუ ვაწარმოებთ მთლიანი მცენარის ან მიწისქვეშა ნაწილების შეგროვებას, დაგვეკირდება დიდი ტომრები. ვიდრე შეგროვებას შევუდგებოდეთ, საჭიროა მარშრუტებისა და შესაგროვებელ მცენარეთა მასივების შერჩევა, რომ შეგროვების დროს მათ არ აეცდეთ და არ ვიხეტიალოთ თითო-ორი მცენარის მოსაქრელად. საჭიროა აგრეთვე ხელსაყრელი ამინდის შერჩევა—უმჯობესია წყნარი მზიანი დღე. ჭუშობას უნდა შევუდგეთ, როცა ცვარი საკმაოდ გაშრება, ხოლო წვიმიან დღეში სამკურნალო მცენარეთა შეგროვება ყოველად დაუშვებელია, რადგან შეგროვებული ფოთლები ან ყვავილები გაშავდება და ჩახურდება, რაც გამოიწვევს იმ ნივთიერებების დაშლასა და აქროლებას, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ სამკურნალო მიზნებისათვის. შეგროვებულ მასალას, თუ საჭიროა, ვრეცხავთ, და თუ არა, მაშინ პირდაპირ მიგვაქვს და თხლად ვფენთ საშრობში წინასწარ გაქიმულ ბრეზენტზე ან გაფენილ ქაღალდზე. გასაშრობად გაფენილი მასალა დღეში ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც უნდა გადაბრუნდეს. საშრობში მზის სხივი არსაიდან არ უნდა შედიოდეს, მხოლოდ ოდნავი გამკრავი ქარი კი აუცილებლად საჭიროა. თუ საშრობად ვიყენებთ სხვენს, უმჯობესია გამოვიყენოთ თუნუქის სახურავით დახურული. რადგან ასეთი სახურავის ქვეშ უფრო მაღალი ტემპერატურაა. წვიმა გასაშრობ მასალას არ უნდა მოხვდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ფუჭდება და მკურნალობის მიზნებისათვის გამოუსადეგი იდება. სახმობის ახლოს არაა დასაშვები საქონლის ბაგა ან სუნიანი რამის მოთავსება, რომელიც შეგროვილმა მასალამ შეიძლება შთანთქას და ამით უვარგისი გახდეს. თუ გახმობა სკოლაში წარმოებს. მაშინ უნდა ავირჩიოთ ჩრდილოეთის მხარეზე მოთავსებული ოთახები. რომლებიც მერხებისაგან უნდა განთავისუფლდეს, ხოლო იატაკი კარგად გაირეცხოს ცხელი წყლით. ნაყოფის გასახმობად იყენებენ ფურნეს, თონეს ან ჩვეულებრივ უბრალო ღუმელს. სპეციალურ სახმობებში ტემპერატურა, ჩვეულებრივ, 35°-დან 45°-მდე აჰყავთ (ცელსიუსით). ეს სპეციალური სახმობი წარმოადგენს სხვადასხვა ფორმის კარადას, რომელშიც მოთავსებულია დაცხრილული წვრილი ბადისებრი უჯრები ან თაროები გასაშრობი მასალის გასაშლელად. კარადის კარი ჰერმეტიულად იხურება და მასში სითბო თანაბრად უვლის ყველა უჯრას ან თაროს. სახმობს ათბობენ ცეცხლით, ნავთქურით ან ელექტრონით. გამშრალი მზა მასალა ადვილად ტყდება ხელში, მაგრამ ის არ უნდა იფხვნებოდეს, არ უნდა შეიცავდეს მექანიკურ მინარევებს და გარეშე ან იმავე მცენარის უვარგის ნაწილებს.

2. საქართველოს სამკურნალო მცენარეები.

თუ ასეთი მექანიკური მინარევები 1% აღემატება, მისი სამკურნალო ღირსება მცირდება და ხშირად ის სრულიად უვარგისი ხდება. მზა გამშრალ მასალას ინახავენ სპეციალურ თუნუქის დაუქანგავ სუფთა ყუთებში ან თავმოკერილ ტომრებში, რომლებსაც ათავსებენ სპეციალურ საწყობში. საწყობი არ უნდა იყოს ნესტიანი, მაგრამ ამავე დროს შიგ მზის სხივი არ უნდა შედიოდეს; საწყობი ზედმიწევნით სუფთა უნდა იყოს და არაავითარი სხვა სუნიანი ნივთიერება (ნავთი, ბენზინი და სხვ.) იქ არ უნდა იდგეს. თუ საწყობში ბუნებრივი ვენტილაცია არ არის, საჭიროა ის ხელოვნურად მოწესრიგდეს. როგორც ხმობის, ისე შენახვისა და ტრანსპორტირების დროს უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა სამკურნალო მცენარეთა ნაწილები ერთმანეთში არ უნდა აირიოს და არც ერთ და იმავე დროს უნდა გაიფინოს, რადგან მათი სუნი ერთიმეორეზე გადადის და ზეგავლენას ახდენს; თითოეული სამკურნალო მცენარე უთუოდ ცალკე უნდა გახმეს და მას შესაფერი ეტიკეტი გაუკეთდეს. სამკურნალო მცენარეთა ტრანსპორტირება, ჩვეულებრივ, წარმოებს ურმით, ავტომობილით, რონოდით ან გემით, აგრეთვე შეიძლება თვითმფრინავითაც. გადასაზიდი საშუალება უნდა იყოს სუფთა, მასში წვიმა არ უნდა ჩადიოდეს, აგრეთვე უნდა წარმოებდეს მისი ვენტილაცია და იგი უნდა დაცული იყოს ყოველგვარი მექანიკური დაზიანების შესაძლებლობისაგან. ტრანსპორტირება ხანგრძლივი არ უნდა იყოს. სამკურნალო მცენარის რონოდაში პირუტყვი არ დაიშვება, აგრეთვე დაუშვებელია მცენარის გადაზიდვა იმ რონოდით, რომლითაც მასზე პირუტყვი ან სუნიანი რაიმე გადაზიდეს. სამკურნალო მცენარეებით დატვირთულ რონოდასთან ახლოს არ უნდა იყოს ნავთი, მაზუთი ან ბენზინი. თუ სამკურნალო მცენარეთა ხმელი ნაწილის ვარგისიანობაზე ეჭვი გვეპარება, საჭიროა ავილოთ სინჯი მისი ზედა, შუა და ქვედა ფენიდან თანაბარი რაოდენობით, შემდეგ ერთმანეთში ავურიოთ და გამოვიკვლიოთ ქიმიურად მოქმედ საწყისთა შემცველობაზე. თესლის სინჯის აღება ხდება სპეციალური ხელსაწყოთი, რომელსაც იყენებენ სოფლის მეურნეობის პრაქტიკაშიც. ეს ხელსაწყო წარმოადგენს დაახლოებით ერთ მეტრამდე სიგრძის ღრუ მილს, რომელშიც მოთავსებულია ასეთივე ღრუ, ადვილად მბრუნავი მილი. თესლის სინჯის ასაღებად ამ ხელსაწყოს ჩადებენ ტომარში, რომელშიც ჩაყრილია თესლი და მოაბრუნებენ შიგნითა მილს, ისე, რომ თესლი ავტომატურად მოხვდება მილში ტომრის ყველა ფენიდან.

## სამკურნალო მცენარეთა ცალკე ნაწილების უზაროვნების წესები

სამკურნალო მცენარეთა სხვადასხვა ვარგისი ნაწილები უნდა შეგროვდეს წლის ისეთ დროს, როდესაც მცენარე ტექნიკური სიმწიფის ფაზაშია, ან მასში ყველაზე ჰარბადაა დაგროვილი ესა თუ ის მოქმედი სამკურნალო ნივთიერება. შეგროვება ხდება მშრალ მზიან ამინდში სუფთად და წესიერად ისე, რომ მას სხვა შინარევები არ შეჰყვეს. უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენ მასალას შეგროვების დროს მზემ არ დაანათოს ან არ დასველდეს. ჩვეულებრივ, აგროვებენ მცენარეთა ფესვებს, ფესვურებს, ტუბერაკებს, მთლიან მცენარეს, ფოთლებს, ყვავილებს, ნაყოფს, ქერქს, კვირტებს და სხვა ნაწილებს. ფესვების, ფესვურების, ტუბერაკების და სხვა მიწისქვეშა ნაწილების შეგროვება ხდება მაშინ, როდესაც მცენარეს არ დაუწყია ვეგეტაცია ანდა უკვე დაასრულა ის და ფოთლები ჩამოსცივდა. ასეთ დროდ ითვლება ადრე გაზაფხული ან გვიანი შემოდგომა. ფესვებისა და ფესვურების ამოღების დროს მათ მცირე ნაწილს მაინც სტოვებენ მიწაში, რათა არ მოხდეს მცენარის სრული ამოფესვა და მომავალი წლისათვის მცენარემ კვლავ იხაროს. ამოიღებენ თუ არა ფესვებს, მათ მაშინვე მოაცილებენ ღეროს და სხვა მიწისზედა ნაწილებს ფესვის ყელიდან ორი სანტიმეტრის დაშორებით, ასუფთავებენ მიწისაგან და უფარგისი ხმელი ნაწილებისაგან, თუ საჭიროა, აცლიან ქერქსაც და სწრაფად რეცხავენ ცივი წყლით, ხოლო თუ ფესვები ძალიან მსხვილია და გრძელი, ხშირად ხლეჩენ მათ სიგრძეზე რამდენიმე ნაწილად, რის შემდეგაც თხლად გაფენენ საშრობში და ახმობენ, დაახლოებით ცელსიუსის 50°—55°; ფესვები, როგორც ნელი. ისე გამზმარი არ უნდა იყოს მექანიკურად ან პარაზიტებისაგან დაზიანებული, არ უნდა იყოს ნესტიანი, ობმოკიდებული ან აშმორებული; მათ უნდა ჰქონდეთ დამახასიათებელი სუნი, გემო და გარეგანი ფორმა. გამზმარი მზა მასალა ლაგდება ჰერმეტულად დახშულ ყუთებში, კასრებში, ხოლო თუ ფესვები და ფესვურები ეთერზეთებს შეიცავს, მაშინ მათ ინახავენ მინის ან თუნუქის ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში. ჭურჭელს უკეთდება გარედან შესაფერი ეტიკეტი, სადაც აღინიშნება მცენარის ლათინური და ქართული სახელწოდება, აღებისა და გაშრობის დრო, თარიღი, აღების ადგილი და მცენარის ნაწილის დასახელება. ჭურჭელი უნდა ინახებოდეს მშრალ და ოდნავ თბილ ადგილას.



ფოთლებს აჯროვებენ მაშინ, როდესაც სამკურნალო მცენარე იწყებს აყვავებას; ფოთლები შეგროვებისთანავე უნდა გაშრეს სახმობში. მათ არ უნდა შეჰყვეს სხვა მცენარის ფოთლები ან იმავე მცენარის ღეროები. გროვდება ზრდადასრულებული, დაუზიანებელი და ნორმალური ფერის ფოთლები. ხმელი და მავნე მწერებისაგან დაზიანებული ან დალაქიანებული ფოთლები, როგორც წესი, არ უნდა შეგროვდეს, თუმცა არსებობს გამონაკლისიც; მაგალითად, თუ შმაგას ან გიჟანას ფოთლები დაზიანებულია მექანიკურად ამ მწერებისაგან, მათი შეგროვება მაინც შეიძლება, რადგან ატროპინი ძირითადად მიიღება ამ მცენარის ფოთლის ძარღვებისაგან; რაც შეეხება ლაქების ან სხვა წერტილების არსებობას. ზოგიერთ შემთხვევაში ესეც დასაშვებია, რადგან ზოგიერთი სამკურნალო მცენარის, მაგალითად, საქართელოს ტყეებში მოზარდი ფუტკარას ან წყავის და სხვა ფოთლებისათვის ლაქები და წერტილები სახეობრივ დამახასიათებელ ნიშნად ითვლება; შეგროვებულ ფოთოლს ვაშრობთ ჩვეულებრივი წესით უმზეო ადგილას, სადაც ოდნავი გამკრავი ქარი იქნება. მზა ხმელი მასალა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: მას უნდა ჰქონდეს ბუნებრივი მწვანე ფერი, ფოთლის ფორმა შეუცვლელი, სუნი და გემო დამახასიათებელი, ფოთოლი არ უნდა იფხვნებოდეს, არ უნდა იყოს წესტიანი, დაობებული ან აშშორებული; მექანიკური მინარევები და მცენარის სხვა ნაწილები დასაშვებია ძალიან მცირე რაოდენობით. მზა ხმელი მასალა ლავდება თუნუქის ან ფანერის ყუთებში, დასაშვებია კასრებშიც, შემდეგ ზემოაღნიშნული წესით უკეთდება ეტიკეტი და ინახება სუფთა, მშრალ და ოდნავ თბილ საწყობში.

ყვავილები გროვდება მაშინ, როდესაც კოკორი გაუშლელია ან მისი გაშლისთანავე. შეგროვების დროს ძალიან უნდა ვერიდოთ მზის სხივსა და წვიმას; ყვავილის ვაშრობა წარმოებს ადებისთანავე ისე, რომ ის დაცული იყოს ყოველგვარი გაბინძურებისაგან და მტერებისაგან. მზა მასალას უნდა ჰქონდეს ნორმალური ფერი, დამახასიათებელი სუნი და გემო. ყვავილი არ უნდა იყოს აშშორებული და დაობებული; შენახვა ხდება ჰერმეტიკულად დახურულ სუფთა თუნუქის ყუთებში ან მინის ქურკელში, ეტიკეტი უკეთდება ჩვეულებრივი წესით.

ნაყოფი უნდა შეგროვდეს მაშინ, როდესაც ის არც ძალიან გადაშეშებულია და არც დაუმწიფებელი და ზრდადაუსრულებელი, ისე რომ მოკრეფის დროს ორ თითს შუა მომწყვდეული ნაყოფი ძალიან ადვილად არ იწყვიტებოდეს. ნაყოფის გამომშრობა

ტ. ლევა სპეციალურ სახმობში ან ლუმელში, შეიძლება აგრეთვე ფურ-  
ნეში და ოონეშიც. მზა ხმელი მასალა ინახება ტომრებში ან კას-  
რებში ჩვეულებრივი წესით და ეტიკეტით. ნაყოფი უნდა აკმაყო-  
ვანდეს ყველა ზემოაღნიშნულ ბუნებრივ პირობას.

მთლიანი მცენარე გროვდება ისეთივე მეთოდით, როგორც  
მისი ნაწილები, მაგრამ მის მოსაჭრელად საჭიროა ცელი ან ნამ-  
გალი. მისი გახმობა და შენახვა ჩვეულებრივი წესების დაცვით  
ხდება. მექანიკური მინარეები აქაც უნდა მოსცილდეს, ხოლო  
იგივე მცენარე ინახება ისეთივე წესით, როგორც ფოთოლი. რაც  
შეეხება კვირტებისა და ქერქის შეგროვებას, მისი წესიც ჩვეუ-  
ლებრივისაგან არ განსხვავდება, მხოლოდ ქერქი უნდა გას-  
ცილდეს მცენარეს მაშინ, როდესაც წვენი მოძრაობა ჯერ და-  
წყებული არ არის ან ეს არის დაიწყო. კვირტები გროვდება  
მათ გაშლამდე.

მზა სამკურნალო მცენარის ნაწილების შესანახი შენობა  
შეიძლება განკუთვნილი იყოს ხანმოკლე და ხანგრძლივი შენახვი-  
სათვის. ხანგრძლივი შენახვისათვის განკუთვნილი შენობა უნდა  
იყოს კაპიტალური და მასში მხოლოდ სამკურნალო მცენარეები  
უნდა ინახებოდეს. ის უნდა აშენდეს მშრალ და ნათელ ადგილ-  
ზე. უფრო ჩრდილოეთისაკენ; წვიმა და ნესტი მასში არსაიდან  
არ უნდა შედიოდეს, იატაკი და ქერი უნდა იყოს დაგებული  
მკიდროდ, სადად, სწორად და სუფთად, კედლები უნდა ჰქონდეს  
წელესილი და გათეთრებული, ვენტილაცია ბუნებრივი და ხელო-  
ვნური, თანჯრები ჩრდილოეთისაკენ უნდა ჰქონდეს და მათ უნდა  
გაუკეთდეს დარაბები საჭიროების დროს დასახურავად. სამუშაო  
ოთახი და მოწყობილობა მომუშავეთათვის უნდა მოთავსდეს წინა  
შხარეს ისე, რომ პერსონალს არ მოუხდეს ხშირი გავლა იქ, სა-  
დაც მზა მასალა აწყვია, რადგან სიარულის დროს შეიძლება ის  
მექანიკურად დაზიანდეს ან დამტვერიანდეს; გარდა ამისა. სუნი  
მოქმედებს მომუშავეზე, ამიტომ როგორც საწყობში მომუშავე, ასევე  
მიმობელი უნდა ერიდოს გასაშრობ ან მზა მასალასთან დიდხანს  
დარჩენას. შეგროვების შემდეგ შემგროვებლებმა, ისევე როგორც  
მშრობელმა და საწყობში მომუშავემ, კარგად უნდა დაიბანონ  
საპნით ხელები, რადგან ზოგიერთი სამკურნალო მცენარე ძალზე  
შხამიანია და დაუბანელი ხელის პირში მოხვედრამ შეიძლება გამო-  
იწვიოს მოწამელა, ხოლო თვალში მოხვედრისას შეიძლება ის  
დროებით დაბრმავდეს კიდევც.

## საქართველოს ოფიცინალური ველური სამკურნალო მცენარეები

### სოკი—*Abies Nordmanniana* Spach.

ეს შიშველთესლიანი მცენარე ეკუთვნის ფიქვისებრთა (*Pinaceae*) ოჯახს. სოკი 40—50 მ სიმაღლისა და 1—1,5 მ სიგანის მცენარედ იზრდება; წიწვები ბრტყელი აქვს, სწორი ან ოდნავ მოხრილი. ბლაგვად წაწვეტებული. სიგრძით 1 $\frac{1}{2}$ —3 სმ, ზემოდან მუქი მწვანე, ხოლო ქვემოდან უფრო ნათელი; ხასიათდება ვერცხლისფერი თეთრი ზოლებით. სწორ პირამიდულ ვარჯზე მას განვითარებული აქვს მოგრძო ცილინდრული 15—20 სმ სიგრძისა და 5 სმ სიგანის გირჩები. სოკის ეს სახეობა უფრო გავრცელებულია საქართველოს დასავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით აჭარის მთებში, აფხაზეთსა და იმერეთში, გადმოდის ქართლშიც, მდინარე ლიახვის აღმოსავლეთ საზღვრამდე და აღწევს ატენის ხეობის აღმოსავლეთ საზღვარსაც. იგი კოლხური ტიპის მთის ტყეთა წარმომადგენელია, რომელსაც უჭირავს მთის შუა სართულის ტყეები 900—2200 მ სიმაღლემდე ზღვის დონედან. აქ ის მოცემულია მეტწილად წმინდა სახით ან ერევა ზოგჯერ სხვა წიწვიანებს, როგორცაა: *Picea orientalis* (L) Link. (აღმოსავლური ნაძვი) და სხვ., მაგრამ გვხვდება ფოთლოვან ხეებს შორისაც, სადაც მარადმწვანე ქვეტყეცაა წარმოდგენილი. სოკი გვხვდება როგორც ჭუმუსით მდიდარ ღრმა ნიაღვრებზე, ასევე შედარებით გაღარიბებულზედაც; ის ეტანება სინესტეს, მაგრამ იტანს ნაწილობრივ სიმშრალესაც და ჩრდილის ამტანი მცენარეა. სოკის ეს სახეობა ამერიკასა და ევროპის დასავლეთ ნაწილში კულტივირებულია სადეკორაციო მცენარის სახით. ამ მცენარის ქერქი და წიწვები გამოყენებას პოეებს მეცნიერულ მედიცინაში. ქერქი შეიცავს სკიპიდარს, ტერპენტინს და მარიმლავ ნივთიერებებს, ხოლო წიწვებში ეთერზეთებია პინენის სახით, აგრეთვე C ვიტამინი, კამერენი და ბორნეოლი. ის გამოიყენება ჩასახელად რევმატიზმული ანთებებისა და სიმსივნეების დროს, აგრეთვე სკორბუტის საწინააღმდეგოდ.

ნედლი მასალის შეგროვება გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხდება. საქართველოში დამზადების საეარაუდო რაოდენობა ტონებში ასეთია: წიწვი 30 ტონა, ქერქი 10 ტონა, სულ 40 ტონა. ამერიკასა და გერმანიაში გამოყენებულია სოკის სხვა სახეობანი: *Abies pectinata*, *Abies excelsa* D. C., *Abies nigra*.


### ტილქირი — *Aconitum anthora* L.

ხეესურეთში ტილქირს სატყობას უწოდებენ.

ტილქირის ეს სახეობა მეტწილად სამხრეთი მთიანეთის სუბალპებისთვისაა დამახასიათებელი. იგი ეკუთვნის ბაიასებრთა (*Ranunculaceae*) ოჯახს. ამ მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარის სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატება. მის კენწეროს ამშვენებს მოყვითალო ფერის მუზარადებით შემკული ყვავილები.

ტილქირი ტენიანი ადგილისა და სინათლის მცენარეა, მაგრამ ეგუება სიმშრალესა და დაჩრდილვასაც. უფრო ხშირად მას ვხვდებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე ან სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, დაახლოებით 20°—25° ქანობზე, სადაც წყლის რეჟიმი ასე თუ ისე დაცულია და ნიადაგი გადამპალ ნივთიერებას მოკლებული არ არის.

ტილქირის გვარი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საკმაო რაოდენობითაა გავრცელებული, რითაც აიხსნება სხვადასხვა ქვეყანაში მისი მრავალნაირი გამოყენება როგორც ხალხურ, ისე მეცნიერულ მედიცინაში, რისთვისაც შემოდგომაზე აგროვებენ და აშრობენ ჩრდილში მის ფესვება, რომლებსაც *Tubera Aconiti*-ს უწოდებენ. ტილქირის ქიმიური შემცველობა ასეთია: ანთორინი, ფსუდოანთორინი, აკონიტინი, აკონიტინის მჟავა, Ca მარილი, შაქარი, ამონიუმის ქლორიდი და სხვ. ალკალოიდების შემცველობა მასში ყვავილობის პერიოდში უფრო ნაკლებია, ვიდრე დაყვავილების შემდეგ, ამიტომ შეგროვება დაყვავილების შემდეგ უნდა მოხდეს. ალკალოიდები მის ღეროსა და ფოთლებშიც მოპოვება, მაგრამ მცირე რაოდენობით; მათ შორის აღსანიშნავია: აკონიტინ-აცეტ-ტილ-ბენზოილაკონინი — 0,2—1,25% ორი იზომერიით—აკონიტინ A-თი და C-თი, აკონიტინის მჟავა, ინოზიტი, შაქარი, მთრიმლავე ნივთიერებანი, ნაცარი 16,6% და სხვ. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია: *Pulvis Aconiti*, *Extractum Aconiti* (*Tuberis*), *Extractum fluidum Aconiti*, *Sirupus Aconiti*, *Tinctura Aconiti*, *Oleum Aconiti* და სხვ., რომლებიც გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში, როგორც ტკივილის გამაყუჩებელი საშუალება ნევრალგიებისა და ტრემატიზმული ანთებების დროს. ამ სახეობის გარდა, მსოფლიოს სხვადასხვა ფარმაცოპეიაში ძირითადად მიღებულია ტილქირის შემ-



სურ 1. ტილპირი (*Aconitum anthora* L.)

დეგი სახეობანი: 1. *Aconitum napellus* L. (საბჟოთა კავშირის ფარმაკოპეას მე-7 გამოცემა), რომელიც უფრო უხვად შეიცავს ზემოხსენებულ ალკალოიდებს. ვიდრე აღწერილი სახეობა. ის მოხსენებულია საზღვარგარეთის სახელმწიფოების: გერმანიის, ამერიკის შ/შ, შვეიცარიის, ბრაზილიის, იტალიის, პორტუგალიის, საფრანგეთის, გალიციის, ნიდერლანდების ფარმაკოპეაში. 2. *Aconitum Canadense* L. შეიცავს 0,5% ალკალოიდებს, მათ შორის უმთავრესად ალკალოიდ აკონიტინს. სხვა ალკალოიდები ბენზოლისა და ძმრის მექანიზმით განიცდიან ჰიდროლიზს. 3. *Aconitum ferax* Woll., რომელსაც სხვანაირად *Aconitum viridum* Dou. ეწოდება (ჰიმალაი). მისი ფესვები შეიცავს ფსევდოაკონიტინს — ნაპელინს. მცირე რაოდენობით აკონიტინს და ერთ ამორფულ ალკალოიდს  $C_{20}H_{47}NO_7$  (?), რომელიც უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე აკონიტინი. შემდეგი სახეობაა (*Aconitum japonicum* Thunb.) *A. Fischeri* Rehb. რომლის ფესვი შეიცავს იაპაკონიტინს. ფისს, ცხიმებს და სხვ. მასში ალკალოიდების შემცველობა — 0,05% — 0,08% — დეა, აქედან უმთავრესია იაპაკონიტინი (რომელიც აკონიტინის იდეატური არ არის) და მცირე რაოდენობით — იაპაბენზაკონინი; *Aconitum Lyeoetoum* Koelle, Koch (ეგროპისა და შუა აზიის ტყეებში), მის ფესვურებსა და ტუბერაკებში შემდეგი ალკალოიდები აღინიშნება: ლიკაკონიტინი და მიკოკტონინი, ორივე ერთად თითქმის 0,9%, რომლებიც თავის მხრივ იშლებიან ლიკოკტონინად და ლიკოკტონის მექავად, ხოლო თვით აკონიტინი არ მოიპოვება.

ინტერესმოკლებული არ არის საქართველოში გავრცელებული ტილჭირის სხვა სახეობათა ქიმიურად შესწავლა; მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა: *Aconitum nasutum* Fisch. და *Aconitum orientale* Mill., რომლითაც დაფარულია საქართველოს სუბალპების საკმაოდ დიდი მასივები. *Aconitum anthora* L. ჩვენში შეიძლება შეგროვდეს 1,5 ტ. რაოდენობით; მინარევები და გარეშე ნაწილები მზა მასალაში 2% არ უნდა აღემატებოდეს. გამშრალი მასალა ერთი წლის შემდეგ, როგორც სააფთიაქო საქონელი, არ ვარგა.

### რეცეპტები:

Rp.: T-rae Aconiti 10,0  
 DS. 2—3 წვეთი დღეში  
 სამჯერ.  
 Rp.: Extr. Aconiti 1,5  
 Ac. Salicyl. 2,0  
 Ol. Terebinthinae 5,0  
 Lanolini  
 Vaselini aa 4,0  
 MDS. მტკივნეულ ადგილებში ჩასაზღვლად.

Rp.: T-rae Aconiti  
 T-rae jodi aa 5,0  
 MDS. გარედან სახმარად.

ტილქირის პრეპარატები დიდი სიფრთხილით უნდა ვიხმაროთ, რადგან ის ძლიერ შხამს წარმოადგენს და გაერთიანებულია ბაჯგუფში.

### კლდის ქოჩორა—*Adiantum capillus veneris* L.


ეს მრავალწლოვანი სპოროვანი მცენარე გვიმრა ეკუთვნის Polypodiaceae-ს ოჯახს. სიმალით ის 35 სმ-მდე იზრდება, მას აქვს მხოხავი, მოშავო ფესურები და ორ ან სამ ფრთად გაკვეთილი ფოთლები. მაისიდან ვიდრე სექტემბრამდე მას უვითარდება სპორები. ჩვენში გავრცელებულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში (აფხაზეთში, სამეგრელოში, აჭარაში, გური-აში, ქუთაისის, თბილისის მიდამოებში, მდინარე ალაზნის გასწვრივ, კოლხური ან ქალის ტიპის ტყეებში, სამხრეთ ოსეთსა და მთათუშეთში). ეს მცენარე ხმელთაშუა ზღვის გეოგრაფიული ტიპისაა, მშრალ ადგილებს ერიდება, მაგრამ ტენიან კლდეებზე კარგად გრძნობს თავს 45° ქანობზეც კი. იზრდება ქაობებში, წყალსაცავთა და მდინარეთა კლდიან ნაპირებზე, მთის ქვედა და შუა სარტყელში 1000—1200 მ სიმაღლეზე ზღვის დონედან, განსაკუთრებით ჩრდილო ან ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე, სადაც ინსოლაცია შედარებით მცირეა. მის დაჯგუფებაში უმთავრესად ხავსებია გავრცელებული, თუმცა მათი მონაწილეობა დიდი არ არის. ხალხურ მედიცინაში ეს მცენარე დიდი ხანია პოულობს გამოყენებას, როგორც ხველების და ქოშინის საწინააღმდეგო საშუალება. იყენებენ მას, როგორც საფაღარათოსა და შარდსადენ საშუალებასაც, ხოლო მისი ფოთლების ნახარში შექართან ერთად იხმარება როგორც ამოსახველებელი საშუალება. ქალები ხმარობენ მას თმებისათვის სიბრწყინვალის მისაცემად. მისი ძლიერი ნახარში იწვევს პირღებინებას. ჩვენი ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში ის მოხსენებული არ არის. გვხვდება გერმანიისა და ბრაზილიის ფარმაკოპეაში, აგრეთვე ირანსა და ავღანისტანში, სადაც იყენებენ მთლიან მცენარეს *Herba Capilli veneris* ან *Herba Capillorum veneris* სახელწოდებით; ის შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს: მწარე ნივთიერებებს, ლორწოს, შაქარს, ეთერების კვალს, ზეთს და ნაცარს 7,5%—10%. ექვი შეაქვთ მისი ფოთლების შხამიანობაზე. მისი ფარმაკევტული პრეპარატებია: *Extractum Capilli veneris fluidum* და *Sirupus Capilli veneris*. მცენარის შეგროვება ხდება გვიან გაზაფხულზე და ზაფხულში; მისი დამზადების სავარაუდო რაოდენობა საქართველოში დაახლოებით 1,5 ტონით უნდა განისაზღვრებოდეს.

## ფარსმანდუკი, ყვავისკულა—*Achillea millefolium* L.

ეს მცენარე ცნობილია საქართველოში სხვა სახელწოდებითაც—მელისკულა, ასფოთოლა, ფარსმანდუკი; ლეჩხუმელები მას თავისკულდას უწოდებენ, ხევსურები—ციცისკულდას და სხვ. ის ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახს, ხასიათდება 50—60 სმ სიმაღლის ღეროთი და ჰორიზონტალური მხოხავი ფესვურებით. მას აქვს ორმაგ ფრთად გაკვეთილი ფოთლები, რის გამო პირველი შეხედვით ის ამართლებს ქართულ სახელწოდებას—ასფოთოლა. ფესვთან ფოთლები როზეტისებურია, ხოლო ღეროსიკი—ყუნწის ფუძესთან გაგანიერებული. მისი ფარისებური ყვავილედის გარეთა ყვავილები ენაკიანია, შიგნითა—მილისებური და ყვითელი ფერის. გარედან ის ერთი შთლიანი საბურველითაა შემოსილი. ფარსმანდუკი ყვავილობს მაისიდან აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე. მისი ნაყოფი თესლურაა, მწიფდება სექტემბერსა და ოქტომბერში; ფარსმანდუკი იზრდება საქართველოს ყველა კუთხეში, როგორც მშრალ ადგილზე, ისე ნესტიანზეც; გარდა ძლიერ მლაშე ნიადაგებისა, ის თითქმის ყველა სუბსტრატზე გვხვდება (ყომრალი, შავმიწა, თიხნარი, თიხნარ-კირნარი და სხვ.). მას ვერ ნახავთ ქაობებში. ის ეტანება განათებულ ადგილებს, სადაც მზის ინსოლაცია ზოგჯერ ისეთი ძლიერია, რომ მის გარდა თითქმის ყველა მცენარე ხმება ან აჩერებს ვეგეტაციას და ისვენებს. მას ნახავთ ველზე, მდელოებზე. კლდეებზე, ნათელ ტყეებში, ბუჩქნარში, მაღალ მთებში და ბარში. ზღვის დონედან დაახლოებით 2500 მ სიმაღლეზე ის თავს კარგად გრძნობს და სუბალპთა მაღალ ბალახოვან დაჯგუფებაშიც იჭრება. ამნაირად, საქართველოს პირობებში ყვავისკულა კარგად ეგუება გარემოს და წარმოადგენს აქტიურ, პროგრესულ სახეობას, რომელიც გვხვდება სხვადასხვა დაჯგუფებებში და ერთხელ კიდევ მიგვითითებს რთულყვავილოვანთა ოჯახის ფილოგენეზის მაღალ საფეხურზე. საქართველოს ხალხურ მედიცინაში ყვავისკულა მრავალფეროვან გამოყენებას პოულობს, როგორც სისხლის დენის შემჩერებელი და ქრილობის შემხორცებელი საშუალება. ამიტომაც, რომ სამხრეთ საქართველოში (ჯავახეთში) სამკაღში მიმავალთ ხშირად ჰკიდიათ წელზე პატარა შუშებით ამ მცენარის სპირტიანი ნაყენი. მას ხშირად იყენებენ აგრეთვე როგორც ციების საწინააღმდეგო საშუალებას.

ფარსმანდუკი პოულობს გამოყენებას მეცნიერულ მედიცინაშიც, როგორც კუჭის მომწმენებელი ფუნქციის გამაძლიერებელი





სურ. 2. ფარსმანდუკი—*Achillea millefolium* L.

და მადის მომგვრელი საშუალება და შეტანილია ჩვენი ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში, აგრეთვე შვეიცარიისა და გერმანიის საექიმო წიგნში და სხვ. მკურნალობის საქმეში გამოყენებულია მთლიანი მცენარე *Herba Millefolii* და მისი ყვავილი *Flores Millefolii*. ქიმიური შემცველობა ამ მცენარისა ასეთია: აქილემჟავა-აკონიტმჟავა, სუსტად შესწავლილი მწარე ნივთიერება აქილენინი, მუქი-ლურჯი ან მწვანე ფერის ეთერზეთი 0,1 — 0,2%, აზულენი, ფისი, ინულინი, ასპარაგინი და სხვ. მისი ფარმაკეგეტული პრეპარატია: *Extractum Millefolii fluidum*. ამ მცენარის შეგროვება ხდება ზაფხულსა და შემოდგომაზე; მისი სავარაუდო მარაგი საქართველოში დაახლოებით 5 ტონით განისაზღვრება.

### ბირკავა *Agrimonia eupatoria* L.

ბირკავა მრავალწლოვანი, 1 მ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა და ვარდნაირთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახშია გაერთიანებული. მას ახასიათებს მოკლე და მსხვილი ფესვთა, რომელზედაც ნიწისზედა ღეროა განვითარებული. მისი მარტივი ან სუსტად დატოტიანებული ღერო დაფარულია ხშირი და მკვრივი ბუსუსით. ღეროზე ვითარდება პატარა, პუსუსიანი ფოთლები; ქვედა ფოთლები ქერქლისებურია, ხოლო ზედა კი როზეტისებურადაა შემჭიდროებული. მტვევან ყვავილედში ყვითელი ფერის ყვავილებია. ბირკავა ყვავილობს მაისის ბოლო რიცხვებიდან სექტემბრის დამდეგამდე. გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ნეტწილად ტყის პირას, ბუჩქნარში, კეკნარებში, მდინარეებისა და არხების ნაპირას, ბალახოვან ფერდობებზე, როგორც ვაკეზე. ისე მთის მაღალ სარტყელშიც. ის ეტანება უფრო ნესტიან ადგილებს და დამლაშებული ნიადაგის გარდა თითქმის ყველგან ხარობს: იტანს ნაკლებ ვანათებას. ეს მცენარე ხშირად იზრდება ჯაგთან *Paliurus spina christi* (Mill.) C.K. Schneid. და შავჯაგასთან *Rhamnus Pallasii* F. et M. ერთად, შემდეგ ყველა იმ ბალახოვან მცენარესთან, რაც ჯაგისათვისაა (ძეძვისათვის) დამახასიათებელი ბირკას ჩათვლით, რაც მოწმობს იმას, რომ მცენარე ბირკავა სიმშრალისას და ველის პირობებში კარგად ხარობს. ხალხურ მედიცინაში მას მრავალნაირი გამოყენება აქვს. მაგალითად. როგორც ჭიის გამომდენ, ციებისა და სიყვითლის საწინააღმდეგო საშუალებას და სხვ. გარდა ამისა, მას აქვს ტექნიკური გამოყენება ტყავის გამოქნაში, როგორც ყვითელ საღებავსა და მთრიმლავ ნივთიერებას. დასავლეთ საქართველოში

მას იყენებენ აგრეთვე ფალარათობის წინააღმდეგ, რაც აიხსნება მასში მთრიმლავი ნივთიერების არსებობით. მეცნიერულ მედიცინაში ბოლო ხანებში ის გამოიყენება როგორც ლეიძლის და აუაღებთანა და სიყვითლის საწინააღმდეგო საშუალება. გერმანიისა და იტალიის ფარმაცოპეის გარდა, ის არსად მოხსენებული არ არის. გერმანიაში ამ მცენარეს იყენებენ მთლიანად *Herba Agrimoniae*-ს სახელწოდებით. მისგან მიღებული პრეპარატი *Herbogrimum*-ი წარმოადგენს ყვავილობაში მყოფ მცენარე *Agrimonia eupatoria* L-ს კონცენტრირებულ ალკოჰოლის ნაზავს (ალკოჰოლით გაჯერებულ ნივთიერებას) და იხმარება სიყვითლისა და ლეიძლის დაავადების დროს (სამჯერ დღეში თითო ჩაის კოვზი). მისი შემადგენლობა ასეთია: მთრიმლავი ნივთიერება (ფოთლებში თითქმის 4,8%-მდე), მწარე ნივთიერება—გლუკოზიდი ეუპატორინი (0,2%), ეთერზეთი, ნაცარი და კაეის მჟავა 12%; მისი შეგროვება ხდება ზაფხულის პერიოდში, უფრო სწორად ყვავილობის დროს. მისი სავარაუდო რაოდენობა საქართველოში 2,5 ტონა მშრალი მასით შეიძლება გამოიხატოს.

### ქ ა ნ გ ა — *Agropyron repens* (L) P.B.

ეს მხოხავი მრავალწლოვანი მარცვლოვანი მცენარე, რომელიც გავრთიანებულია მარცვლოვანთა (*Gramineae*) ბოტანიკურ ოჯახში, ხასიათდება ღონიერი ფესვურათი და ოდნავ წამოწეული მიშველი ღეროთი, რომელიც კენწეროსაკენ თანდათან ვიწროვდება და გადადის წვრილ სწორ თავთავში. მისი ფოთლები ვიწრო ხაზურია, ოდნავ წამახვილებული და ზევიდან მახვილი ხორკლებითაა მოფენილი. თავთავზე ორმწკრივად განლაგებულია თავთუნები, სადაც მოთავსებულია სამ-სამი მტვრიანა და თითო ბუტკო, რომლებიც მომწყვდეულია ორ მწვანე კილს შორის; ნაყოფი წარმოადგენს წვრილ მარცვალს.

ქანგა ძალიან გავრცელებული და საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობისათვის ცნობილი მცენარეა. ის გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში (აფხაზეთი, სამეგრელო, აჭარა, გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი, ჯავახეთი). ქანგა წარმოადგენს პალეარქტიკულ გეოგრაფიულ ტიპს, რომელიც გვხვდება სხვადასხვა დაჯგუფებაში, როგორც ნესტიან ადგილებზე (მდინარის ნაპირები, გუბეები, მდელოები და სხვ.), ისე მშრალ ნიადაგზეც, ვაკეზე და მთის კალთებზე სუბალპურ სარტყლამდე.

ჭანგა გამოყნებულია როგორც სახალხო მედიცინაში (შარდ-  
სადენი საშუალება), ისე მეცნიერულ მედიცინაში. ჩვენი ფარმა-



სურ. 3. ჭანგა—*Agropyron repens* (L.) P.B.. (*Agropyrum repens* (L.) P.B.).  
კობეის მე-7 გამოცემაში ის მოხსენებული არ არის. გვხვდება ბრა-  
ზილიის, უნგრეთის, პორტუგალიის ფარმაკოპეაში. იყენებენ მის

ფესვლებსა და ფესვებს Rhizoma (Radix) Graminis სახელწოდებით; მათი შემცველობა ასეთია: ლორწო 11%, ჰემოლიზურად ნაკლებად მოქმედი ერთი საპონინი, ინოზიტი, ვანილინგლიკოზიდი, ამიგდალინი, A ვიტამინი და B ვიტამინი, ნაცარი 5—6%, პოლისაქარიდი ტრიტიცინი, ვაშლის მეაფა და სხვ. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია: Extractum Graminis fluidum, Extractum Graminis, Decoctum rhizoma Graminis. იგი გამოიყენება როგორც შარდსადენი საშუალება, ლორწოვან გარსშემომვლებად აბების დამზადების დროს და როგორც corrigens. მისი შეგროვება ხდება გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. სავარაუდო რაოდენობა საქართველოსათვის 2 ტონა მზა მასალით განისაზღვრება.

### რეცეპტები:

Rp.: D-ti rhiz. Graminis  
20,0 — 200,0  
DS. სუფრის კოვზით 3-ჯერ  
დღეში.

Rp.: Acidi arsenicosi 0,02  
Extr. Graminis  
q. s. ut f. pil. N 30  
DS. ექიმის დანიშნულებისამებრ.

### მურყანი. თხმელა—*Alnus glutinosa* (L) Gaertn.


ეს მცენარე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებას ატარებს. იმერეთში მას თხმელა ჰქვია, სვანები ბელკეშს უწოდებენ, ხოლო გურულები — თხმელას. თხმელა 20—26 მ სიმაღლის მცენარეა, რომელიც ეკუთვნის არყისებრთა (*Betulaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. მისი მერქნის სილიდე დიამეტრში ზოგჯერ ერთ მეტრს აღწევს; გარედან ის ყომრალი ან ნათელი წითელი ფერისაა, ხოლო ახლად აღმოცენებულ მურყანს კი უფრო მწვანე ფერი აქვს და თეთრი წინწყლებითაა დაფარული. მისი ფოთლები მარტივი ფორმისაა და ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული. მურყანს ახასიათებს ერთსქესიანი მჟადა ყვავილედები, რომლის მდებარეობითი მჟადა გირჩაავითაა გახევებული და მომწიფების შემდეგ გვიანამდე რჩება მასზე. მისი მერქანი რბილი და მეტად მსუბუქია; მისი ხვედრითი წონა 0,53 უდრის. მურყანი საქართველოს ყველა კუთხეში საკმაოდ გავრცელებული მცენარეა, მაგრამ ატმოსფერული ნალექების სიუხვისა და მეტი სინესტის გამო დასავლეთ საქართველოში უფრო მეტია. ის ქალის (ტუგაის) ტიპის მცენარეულობის ერთ-ერთი წარმომადგენელია და მისი

სხეული ხშირად დაფარულია ისეთი ღიანა მცენარეებით, როგორცაა ეკალიქი, ციცაბარდა, სვია, ფათალო (სურო), ლემდეკი და სხვ. სამეგრელოსა და სამტრედიის რაიონებში ის ხშირად წმინდა დაჯგუფებას იძლევა და მხოლოდ აქა-იქ ხეჭრელი თუ შეერგვა ხოლმე.

ქართულ ხალხურ მედიცინაში დიდი ხანია იყენებდნენ მურყანის როგორც ამ სახეობის, ისე მეორის—*Alnus barbata* C. A. M.—ქერქსა და გირჩაებს, როგორც შემკვრელ საშუალებას, საღებავსა და შთრიმლავ ნივთიერებას. მისი ქერქის (*Cortex Alni*) შემცველობა ასეთია: 20%-დე მთრიმლავი ნივთიერება, წითელი საღებავი ნივთიერება, ემოდინი, ალნულინი  $C_{30}H_{50}O$ , პროტალნულინი  $C_{22}H_{32}O$ , ციმ-ზეთი და სხვ. მეცნიერულ მედიცინაში მას დღემდე გამოყენება არა ჰქონია. ამიტომაც, რომ ის არც ერთი ქვეყნის ფარმაცოპეაში არ გვხვდება. ამ მცენარის გირჩაები შესწავლილ იქნა საქართველოს ფარმაცო-ქიმიური ინსტიტუტის მიერ, რომლის მონაცემთა საფუძველზე ირკვევა, რომ მისგან მიღებული ქართული პრეპარატი თხილენი (იგივე ალნივალი) საუკეთესო შემკვრელი საშუალებაა კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს. თხმელინმა დიდი სამსახური გაუწია ჩვენს მეტროლოებს დიდ სამამულო ომში და საქართველოს აფთიაქებში დღესაც დიდი მოთხოვნილებაა მასზე. უქვევლია, რომ ჩვენი ფარმაცოპეის მომავალ გამოცემაში ეს ქართული პრეპარატი უთუოდ შევა. მურყანის ქერქის შეგროვება ხდება გაზაფხულზე, ხოლო გირჩაების—გვიან შემოდგომაზე. მათი დამზადების საყარაუდო მარაგი საქართველოში შეიძლება გავითვალისწინოთ შემდეგნაირად: ქერქი მზა მასალის სახით 5 ტონა, ხოლო გირჩა-ები—6 ტონა, სულ 11 ტონა.

### ტუხტი—*Althaea officinalis* L.

ტუხტი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 1—1,5 მ სიმაღლის ღეროთი, რომელიც ბალბანაირთა (*Malvaceae*) ბოტანიკურ ოჯახშია გაერთიანებული. მის დატოტიანებულ ღეროზე მორიგეობით განწყობილია კვერცხისებური ან ოდნავ თათვანკვეთილი ყუნწიანი ფოთლები დაკბილული კიდევებით. მთლიანად მცენარეს მონაცრისფრო იერი აქვს და ის ხშირი, წვრილი ბუსუსითაა დაფარული. საშუალო ზომის, წითელი ფერის ყუნწიანი ყვავილები თავმოყრილია ღეროს წვერში ხშირ თავთავისებურ ყვავილედში. ჯამი ორ-შაგია, შიგნითა ხუთი და გარეთა 8 ან 9 ხაზურა ფოთოლაკით. წითელ ფონზე მაინც აშკარად ჩანს სამტვრე ძაფებიანი წითელი ფეხის მრავალი მტვრიანა, რომლებიც მილისებურად შეზრდილია 3. საქართველოს სამკურნალო მცენარეები.



სურ. 4. ტუბტი (*Althaea officinalis* L.).

ერთმანეთთან. წვრილი ნაყოფი ბექდისებურად შეერთებულია ერთიმეორესთან. ეს მცენარე ხშირია ნესტიან ადგილზე, ტბებისა და მდინარეთა ნაპირებზე, განსაკუთრებით იქ, სადაც მდინარე ადიდების დროს ნაპირებიდან გადმოდის და დაშრობის შემდეგ დიდ-

ძალ ლამსა და სინესტეს ტოვებს. მას ნახავთ როგორც დაბლობზე და ვაკე ადგილებზე, ისე მთაშიც. ის ეტანება განათებულ ადგილებსა და ტყის პირს, ყვავილობს ივლისსა და აგვისტოში, იზრდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში (იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, ფშავი, ხევსურეთი, თბილისის მიდამოები და სხვ.).

საქართველოს ხალხურ მედიცინაში ტუხტს მრავალფეროვანი გამოყენება აქვს: ხველების წინააღმდეგ, კუჭ-ნაწლავის კატარალური აშლილობის დროს, სასუნთქი გზების კატარალური ანთების შემთხვევებში, კანის დაავადებათა დროს და სხვ. სვანეთში ტუხტს, რომელსაც ფოხოტის უწოდებენ, იყენებენ კოსმეტიკისთვისაც: სვანი ქალები აგროვებენ მის ნაყოფს და ისვამენ ლოყებზე, რაც ლოყებს წითელ ფერს აძლევს და სამი დღის განმავლობაში არ სცილდება.

მეცნიერულ მედიცინაში ტუხტი, როგორც ლორწოს შემცველი, გამოყენებულია აგრეთვე ამოსახველებელ და სასუნთქი გზების დამამშვიდებელ საშუალებად. მას აქვს ნახველის გათხელების უნარიც. ტუხტის ძირის ფხვნილს ხმარობენ აბების დამზადების დროს, როგორც *constituens*-ს. მისი ფოთლები კი შედის მოსაფენ ნაკრებთა შემადგენლობაში. მისი ძირის (*Radix Althaeae*) ქიმიური შემცველობა ასეთია: 35% ლორწო, 37% სახამებელი, 8% შაქარი, 2% ასპარაგინი, 1,5% ცხიმზეთი და მინერალური მარილები, უპირატესად ფოსფატები, 11% პექტინი, 4% ბეტაინი, მქროლადი სურნელოვანი ნივთიერება, 16% ნაცარი და სხვ. მის ფოთლებზე ხშირად ნახავთ ჟანგას *Puccinia Malvaearum*-ის სპორებს; ამ მცენარის ფოთლები ძალიან ჰგავს მცენარე *Lavatera thuringiaca* L. ფოთლებს, რის გამო მას ხშირად ტუხტის ფოთლის ფალსიფიკაციისათვის იყენებენ. ტუხტის ყვავილში (*Flores Althaeae*) 0,025% ეთერზეთებია. ტუხტი მოხსენებულია როგორც ჩვენი ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში, აგრეთვე გერმანიის, ბრაზილიის, უნგრეთის, შვეიცარიის და სხვ. ფარმაკოპეაში. მისი ფარმაკეცტული პრეპარატებია: *Extractum pectoralis fluidum*, *Sirupus pectoralis*, *Sirupus Althaeae*, ხოლო *Fenn*-ის ფარმაკოპეის (*Suomen Pharmacopoea Editio sexta 1937 წ.*) მიხედვით: *Mucilago Althaeae*, *Maceratio Althaeae* და სხვ. ჩვენი ფარმაკოპეათი მათ ემატება კიდევ: *Jnf. rad. Althaeae*, *Species pectorales* და *Species emollientes*. ტუხტის ფესვების შეგროვება ხდება ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომაზე, ხოლო ფოთლები უნდა შეგროვდეს მცენარის ყვავილობის პერიოდში.



გამწვარი მასალა უნდა სუფთად და მშრალ ადგილას შეინახოს, რადგან ფესვებში დიდი რაოდენობითაა სახამებელი და ამის გამო მოსალოდნელია მათი გამწარება და დაობება. ტუხტის შეგროვება საქართველოში შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგ ფარგლებში: ფესვები 2,5 ტონა და ფოთლები 1,5 ტონა, სულ 4 ტონა.

### რეცეპტები:

- |   |  |
|---|--|
| Rp.: Jnf. rad. Althaeae 10,0:200,0<br>Liq. Ammonii anisati 4,0<br>MDS. სუფრის კოვზით<br>დღეში 3-ჯერ.  | Rp.: D-ti rad. Althaeae<br>10,0 : 200,0<br>Sir. Liquiritiae 20,0<br>MDS. ჩაის კოვზით<br>დღეში სამჯერ.  |
| Rp.: Sir. Althaeae 50,0<br>DS. ყოველ სამ საათში<br>თითო ჩაის კოვზი.   | Rp.: Jnf. rad. Althaeae<br>5%—40,0<br>DS. ოყნებისათვის.  |
| Rp.: Ferri sulfurici oxydati 9,0<br>Kalii carbonici<br>Sacchari<br>Glycerini aa 4,0<br>Pulv. rad. Althaeae q.s.<br>utf. pi ll. N 100<br>DS. ექიმის დანიშნულები-<br>ბისამერ. | Rp.: Rad. Althaeae<br>Flor. Chamomillae<br>Flor. Malvae<br>Herbae Meliloti aa 25,0<br>Sem. Lini cont. 75,0<br>MDS. ექიმის დანიშნუ-<br>ლებისამერ. |

### ლანძილი—*Allium ursinum* L.

ლანძილი ეკუთვნის შროშანისებრთა (*Liliaceae*) ბოტანიკურ ოჯახს; ეს 15—50 სმ სიმაღლის სუსტი ღეროიანი მცენარეა, რომლის მიწისქვეშა მოგრძო მოყვანილობის ბოლქვს აპკისებურად ზედვე შემოხვეული ვაგინები აქვს. ლანძილის ფოთლები ელიფსური ლანცეტაა. ბრტყელ ქოლგისებურ ყვავილედში შეკრებილია მისი შედარებით პატარა ზომის თეთრი ყვავილები, რომლებიც გრძელ ყუნწებზე სხედან. ზომით ყუნწები ორჯერ აღემატება 8—10 მმ სიგრძის ყვავილსაფარს. მტერიანები ყვავილსაფართან შედარებით ორჯერ უფრო პატარა ზომის არის. ლანძილი წარმოადგენს საკმაოდ გავრცელებულ მცენარეს საქართველოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში—იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, ქართლში და თბილისის

მიდამოებში. ის ეკუთვნის ევროპულ ტყეთა გეოგრაფიულ ტიპს, ძირითადად ნესტიან ადგილსამყოფელს ეტანება, რის გამო მეტწილად ნესტიან ტყეებში, მდელოებზე და მალაღმალახოვან დაჯგუფებაში გვხვდება. მას ნახევთ როგორც მთაში, ისე ბარში.

ქართველი ხალხი მას დიდი ხანია იყენებს როგორც უჩიის გამომდენ და სკორბუტის საწინააღმდეგო საშუალებას, რისთვისაც მას ადრე გაზაფხულიდან მოყოლებული, ვიდრე დაყვავილებამდე ზარშავენ და მხალის სახით ხმარობენ. მთაში მისი ფოთლებით ხშირად იხვევენ ჭრილობებს, რადგან აწერენ მას ჭრილობის ადვილად და სასწრაფოდ შეხორცების უნარს. გარდა ამისა, მას იყენებენ ნიორის შემცვლელად და ფიქრობენ, რომ ის წარმოადგენს სისხლის მიმოქცევის მოწესრიგების საუკეთესო საშუალებას. მეცნიერულ მედიცინაში ღანძილმა, მსგავსად ნიორისა, მხოლოდ ამ ბოლო ხანებში პოვა გამოყენება, ამიტომ ის ჯერ კიდევ არც ერთი ქვეყნის ფარმაცოპეაში შეტანილი არ არის, გარდა დემოკრატიული გერმანიის საექიმო წიგნისა. მთლიანი მცენარე *Herba Allii ursini* შეიცავს ეთეროვან ზეთს *Oleum Allii ursini*, რომელიც შედგება ვინილსულფიდისაგან, პოლისულფიდებისაგან, მერკაპტანისაგან და ალდეჰიდისაგან. ბერლინ-ბრიტცაში კურტმა დაამზადა ყვავილობის პერიოდში შეგროვილი ღანძილისაგან პრეპარატი ალურზინი (*Allursin*), ალკოჰოლის მსგავსად კონცენტრირებული სითხე, რომელიც იყიდება აფთიაქებში პატარა უფუხებით 50—100 გრამის რაოდენობით. ალურზინს უნიშნავენ როგორც დისპეფსიები, მეტეორიზმის, ბრონქიტისა და არტერიების გაკირვის საწინააღმდეგო საშუალებას (თითო ჩაის კოვზი დღეში სამჯერ). ალურზინი კარგი მადის მომგვრელი საშუალებაა. ერთი ნაწილი ალურზინისა ეთანაბრება ერთ წილ ახალ მცენარეს.

ღანძილის მარაგი საქართველოში საკმაოდ დიდია. მისი შეგროვების სავარაუდო რაოდენობა მზა მასალის სახით 2—2,5 ტონის რაოდენობით განისაზღვრება.

### დათვის მოცვი — *Arctostaphylos uva ursi* Spreng.

მექსიკაში ამ მცენარის ნაცვლად *Arctostaphylos pungens* H. et B. იყენებენ. დათვის მოცვი ეკუთვნის *Ericaceae* ბოტანიკურ ოჯახს. ის წარმოადგენს ერთი მეტრის სიმაღლის ბუჩქს დატოტიანებული ღეროთი, რომელზედაც უკულმა კვერცხნაირი, მოგრძო, ტყავისებური და კიდე მთლიანი ფოთლებია. ახალგაზრდობის პერიოდში მისი ფოთლის კიდეები სუსტად შებუსხილია, ფოთლის

ზევითა მხარე მუქი მწვანეა, ხოლო ქვემოთა—ფერმკრთალი და ბა-  
 დენერვიანი. მისი თეთრი ფერის ყვავილები, რომლებსაც ზემოდან  
 წითელი ფერი გადაჰკრავს, მოკლე ყუნწებზე სხედან და შეკრები-  
 ლია მტევან ყვავილედში. თითოეული ყვავილი განაყოფიერების  
 შემდეგ იძლევა მწარე გემოს ნაყოფს. ველურ პირობებში ეს მცე-  
 ნარე იძლევა მასივებს მხოლოდ ესპანეთსა და ჩრდილო ამერი-  
 კაში. ჩვენში ის გავრცელებულია მთავარი კავკასიონის დასავლეთ  
 ნაწილში, ძირითადად, სუბალპებში 2.000 მ სიმაღლეზე ზღვის  
 დონედან (ბზიბის, სამეგრელოსა და ლეჩხუმის რაიონებში), მეტწი-  
 ლად ქვეტყეში, სადაც მზის სხივები საკმაო რაოდენობით აღ-  
 წევს. ის ეტანება ნესტიან ადგილებს, მაგრამ კარგად ეგუება  
 მწრალ ქვიშნარ ნიადაგსაც.

ჩვენში დათვის მოცვი ხშირად ბალებშიც აქვთ დარგული.  
 ჩვენი ხალხი დიდი ხანია მას იყენებს როგორც შარდსადენ სა-  
 შუალებას, თირკმლებიდან სისხლის დენის დროს და სხვ. მისი ფოთ-  
 ლები *Folia Uvae Ursi*-ს სახელწოდებით გამოყენებულია მეცნიე-  
 რულ მედიცინაში, შეტანილია ჩვენი ფარმაცოპიის მე-7 გამოცე-  
 მაში და შვეიცარიის, ბრაზილიის, ამერიკის, გერმანიისა და ესპა-  
 ნეთის ფარმაცოპეაში. მათი ქიმიური შემცველობა ასეთია: ურ-  
 ზონი (*Urson*)  $C_{21}H_{36}O_3$  8,5—9,2%, გლუკოზიდები, რომლებიც  
 შეიცავენ: ფლავონოლს დამახასიათებელი ძლიერი დიურეტიკული  
 თვისებით, არბუტინსა და მეთილარბუტინს, რომლებიც მიიღება  
 ჰიდროქინონის ჰიდროლიზით, და აგრეთვე მეთილჰიდროქინონი-  
 სებურ გლუკოზიდს. გლუკოზიდი არბუტინი დუღილით არ იშლება.  
 დათვის მოცვი შეიცავს 35% მთრიმლავ ნივთიერებას, რის გამო  
 მას იყენებენ ნაზი ტყავების გამოსაქნელად; ამავე დროს ის აძ-  
 ლევს ტყავს მუქ ნაცრისფერ მომწვანო ფერს. ის შეიცავს აგ-  
 რეთვე 6%-მდე გალუს მჟავას, 4,4—6,3% რედუცირებულ ნივ-  
 თიერებას, საღებავ ნივთიერებას, ქვერკეტინს, მირიციტინს. ცი-  
 ტრონენს. ქინას. ქიანჰველას მჟავას, 0,01% ეთერზეთებს, არბუ-  
 ტოზას, C ვიტამინს, ერიკოლინს, რომელიც მასში არბუტინზე  
 მეტი არ არის. დათვის მოცვის პრეპარატები გამოყენებულია მე-  
 ცნიერულ მედიცინაში, როგორც შარდსადენი და აგრეთვე, როგორც  
 ანტისეპტიკური და მწკლარტი საშუალება. ძირითადად ის იხმა-  
 რება ნახარშების სახით, განსაკუთრებით საშარდე გზების დაავა-  
 დებათა დროს. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია: *Decoetum*  
*folia Uvae Ursi*, *Extractum Uvae Ursi fluidum*, *Sirupus Uvae ursi* და  
 სხვ. ზოგან დათვის მოცვის ფოთლები შედის *Species anticystiff-*  
*cae*-ს შემადგენლობაში შემდეგნაირი სახით: *Folia Uvae ursi*, *Folia*

*Betulae, Stigmata Maidis, Radix Liquirtiae* და *Rhizoma Graminis*—  
 ყველა თანაბარი რაოდენობით. მისი ფოთლები აგვისტოსა და  
 სექტემბერში უნდა შეგროვდეს. საქართველოს ტყეებში ეს მცენარე



სურ. 5. დათვის კენკრა, დათვის მოცი (Arctostaphylos uva-ursi (L.) Spreng.).  
 შინცდამაინც დიდ მასივებს არ გვაძლევს; ამიტომაც, რომ მისი  
 შეგროვების სავარაუდო რაოდენობა ჩვენში მხოლოდ 0,5 ტონა მზა  
 მასალით განისაზღვრება, მაგრამ, სამაგიეროდ, კულტურაში მისი

დანერგვის შესაძლებლობა კი ჩვენში ძალიან დიდია, დასავლეთ ნაწილის მთების პირობებში.

რეცეპტები:

Rp.: D-ti fol. Uvae Ursi  
ex 10,0—200,0  
DS. ექიმის დანიშნულ-  
ბისამებრ.

Rp.: D-ti fol. Uvae Ursi  
ex 10,0 : 200,0  
Liq. Kalii acetici 10,0—15,0  
(Seu Natrii salicylici 6,0)  
MDS. ექიმის დანიშნულ-  
ბისამებრ.

აბზინდა—*Artemisia absinthium* L.

აბზინდა რთულყვავილოვანთა (Compositae) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია. მისი სინონიმია *Absinthium officinale* Lam. აბზინდა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მრავალწლოვანი ძლიერი ფუნჯა ფესვებით და 60—125 სმ სიმაღლის ერთწლეულა ცილინდრული ღეროთი, რომელზეც ყვავილები მეორე წელიწადს ვითარდება. მისი ფოთლები, რომლებიც დორზალურ მხარეს თეთრი ფერისაა, ხოლო ვენტრალურზე — მომწვანო, მორიგეობით განლაგებულია ღეროზე. ფესვთანი ფოთლები გრძელყუნწიანებია და სამმაგად ფრთართული, ყუნწის ფუძესთან ოდნავ გაგანიერებული, სიგრძით 25 სმ და სიგანით ზოგჯერ 10 სმ; ღეროს ფოთლები მჯდომარეა, ქვედა და შუა ფოთლები ფრთართულია. ზედა — სახნაწილაკიანი, ბოლო კენწეროსი კი მარტივი და ლანცეტა წილიანი კიდეებით. აბზინდას ახასიათებს კალათა ყვავილედო, რომლის სიდიდე 5 მმ-ს არ აღემატება. ის შედგება წერილი მილისებრი მდედრობითი ყვავილებისაგან, რომლებიც გარს ეხვევიან შიგნითა ორსქესიან ძაბრისებურ ყვავილებს. მას უვითარდება თესლურა ნაყოფი. აბზინდა მშრალი ადგილების მცენარეა, იზრდება კლდის ბალახოვან დაჯგუფებებში, სადაც ის ზოგჯერ წმინდა მასივის სახითაა წარმოდგენილი, ხარობს ტყის პირად, ბუჩქებს შორის, საქონლის მიერ გათლილ და დატყეპნილ მძოვრებზე, გვხვდება მდელოებზე და ბალებშიც. ეს მცენარე აღწერილია ჩვენ მიერ ჯავახეთში მუშაობის დროს, ვნახეთ ვარძიის მიდამოებსა და მდინარე ყარაბულახის ნაპირებზე, შეგვხვდა აწყურშიც, როგორც წმინდა დაჯგუფების სახით, ასევე ფიტოცენოზშიც. ის ყვავილობს ივნისიდან სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე.



სურ. 6. აბზინდა—ავშანი (*Artemisia absinthium* L.).

ქართველი ხალხი უხსოვარ დროიდან ხმარობს მის თესლს  
 საფლთან ერთად, როგორც ჭიის გამომდენ საშუალებას „ხვარაშა-

ნის<sup>4</sup> სახელწოდებით. მას უნიშნავდნენ აგრეთვე მშობიარობის შემდეგ მოკლის არეში ტკივილების დროს, რის შესახებაც დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს: „მოიტანე აბზინდა ბალახი რომე თათოულად ავსანთანი რუმი ჰქუიან და სპარსნი ფარიავშანს უდახიან, ვითამცდა აბზინდაო, დანაყონ, გამოწურონ და ამისი წვენი სუან, ღთითა უსათუოდ დაეხსნების“. მეცნიერულ მედიცინაში დღეს მას იღებენ როგორც მადის მომგვრელ საშუალებას, რისთვისაც იღებენ მთლიან მცენარეს ყვავილობის პერიოდში *Herba Absinthii*-ს სახელწოდებით. აბზინდას ქიმიური შემკველობა ასეთია: გლუკოზიდი აბზინთინი და ანაბზინთინი, ცილა, სახამებელი, ფისი, გვარჯილა, ქარვისა და ვაშლის მჟავა მარილები, მთრიმლავი ნივთიერებანი, 0,05% ქარვისმჟავა კალიუმი, 2%/-მდე ეთერზეთები, რომელიც წარმოადგენს მუქიმწვანე ფერის ნეიტრალური რეაქციის სითხეს 0,92—0,97 წონაკუთრით, მცენარის დამახასიათებელი სუნითა და გემოთი. ამ ეთერზეთების მთავარი შემადგენელი ნაწილია თუიონი  $C_{10}H_{16}O$ , რომელიც წინათ აბზინთინოლად იყო წოდებული. ის შეიცავს თავისუფალ თუილის სპირტსაც  $C_{10}H_{18}O$  და ეთერებს, ეთერები კი თავისთავად შეიცავს ძმრის, იზოვალერიანას და პალმიტინის მჟავას, ფულანდრენს, პინენს, კადინენს და აზულენს. აბზინდა შეიცავს აგრეთვე კეტონებს, *C* ვიტამინს, ტერპენის ალკოჰოლს, 8—15% ნაცარს და სხვ. ეს მცენარე მიღებულია როგორც ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემით, ასევე მსოფლიოს სხვა ფარმაცოპეებითაც. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია: *Juf. herbae Absinthii*, *T-ra Absinthii*, *Extr. Absinthii*, რომელსაც ბრაზილიური ფარმაცოპეათი *Extractum Chamomillae* ჰქვია, *Extractum Absinthii fluidum*, *Tinctura Absinthii composita*, *Unguentum aromaticum*, *Unguentum Absinthii compositum*, *Vinum Absinthii*, რომელიც სხვაგვარად ჭიათა ღვინის სახელითაა ცნობილი. აბზინდა შედის მადის მომგვრელ (მწარე) ნაკრებთა შემადგენლობაში *Species amarae (amaricanthes)* სახელწოდებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწარე ნივთიერებათა შემკველობის მაქსიმალურ რაოდენობას ეს მცენარე ყვავილობის პერიოდში აღწევს. ჩვენში ის ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე ყვავილობს. ხოლო ნაყოფი გამოაქვს ნოემბრის დასასრულამდე. მასზე არსებული ეანგა სოკო *Puccinia Absinthii* D.C. მწარე ნაყოფიერებათა შემკველობაზე გავლენას არ ახდენს. მისი ყოველწლიური მარაგა საქართველოსათვის მზა მასალის სახით 2 ტონით შეიძლება განისაზღვროს.

რეცეპტები:

Rp.: Jnf. Absinthii  
10,0 : 200,0

DS. თითო სუფრის კოვზი  
საქმლის მიღების წინ ნახევარი  
რი საათით ადრე.

Rp.: T—rae Absinthii 15,0  
DS. 3-ჯერ დღეში  
15—20 წვეთი.

Rp.: Herbae Absinthii

Fol. Trifolii  $\overline{aa}$  15,0  
MDS. უნდა დაყენდეს  
ჩაივით და მიღებულ  
იქნეს თითო სუფრის  
კოვზი საქმლის მიღე-  
ბის წინ.

გარდა აღნიშნული სახეობისა, საქართველოში იზრდება ამ მცენარის გვარის სხვა სახეობებიც, რომლებიც ჩვენს ფარმაკოპეიაში მოხსენებული არ არის, მაგრამ საზღვარგარეთ გამოყენებულია. ასეთია ავშანი (*Artemisia maritima* L.), საქართველოში საკმაოდ გავრცელებული და, როგორც გარდაბნის, ისე შირაქის ველისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი მცენარეა. ის გავრცელებულია თბილისის და მარნეულის რაიონებში, უმთავრესად მთის ხრიოკ კალთებზე, ზღაშე ადგილებზე, საზოგადოდ ნახევრადუდაბნოს მცენარეულ ტიპში და გვხვდება აგრეთვე დაჯგუფებაში ჭანგასთან ერთად. ეს მცენარე გამოიყენება მსგავსად წინა სახეობისა *Herba Artemisiae maritimae*-ს სახელწოდებით. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: არტემიზინი  $C_{15}H_{18}O_4$  ( $\gamma$ -ოქსისანტონინი, სანტონინი, ჰელენინი, ეთერზეთები და სხვ.). ბერლინში ამ მცენარისაგან დამზადებულ იქნა ფორტამინი (*Fortamin*), რომელსაც იყენებენ როგორც *Tonicum*-ს. მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი ის მწარე ნივთიერებაა, რომელსაც მცენარე *Artemisia maritima* L. შეიცავს. მისი ყოველწლიური მარაგი საქართველოსათვის 2,5 ტონა მზა მასალას უდრის. შემდეგი სახეობაა *Artemisia vulgaris* L., რომელიც უფრო ფართოდ გავრცელებული მცენარეა საქართველოში, წარმოადგენს ნესტიან და მალალბალახოვან დაჯგუფებათა ჩვეულებრივ სტუშმარს, გვხვდება ტყეებსა, ბუჩქნარებსა, ბაღებსა, ბოსტნებსა და რუდერალურ ადგილებში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. ყვავილობას ის იწყებს მაისის ბოლო რიცხვებიდან. ისიც *Herba Artemisiae*-ს სახელწოდებით იხმარება და უნდა შეგროვდეს ყვავილობის პერიოდში. როგორც მთლიანი მცენარის, ასევე განსაკუთრებით მოყვავილე ყლორტების ქიმიური შემცველობა ასეთია: 0,03—0,6% ეთერზეთები, რომლის მეტი წილი აბზინთოლზე, ანუ რგივე  $\alpha$ -თუიონზე მოდის. ცინეოლი და ეკვალპტოლი, ნაცარი 4—9%-მდე. მის ფოთლებში 0,13%.



C ვიტამინი და 11,2—11,9 მგ%, კაროტინია, ფესვებში (*Radix Artemisiae*) კი ინულინი, მთრიმლავი ნივთიერებანი, ფისი, 0,1%, ყვითელი, კარაქისებური ეთერზეთი. ეს უკანასკნელი ორი სახეობა საქართველოს ხალხურ მედიცინაში საკმაოდ ცნობილ საშუალებად ითვლება, განსაკუთრებით, როგორც სისხლის დენის შემწვევტი, ეპილეფსიის საწინააღმდეგო და მოტეხილობის დროს გამოსაყენებელი სამკურნალო საშუალება. ზოგჯერ მას მუცლის არეში არსებული ქვლების წინააღმდეგაც ხმარობენ. საზოგადოდ აბზინდას ყველა სახეობაში არსებული ეთერზეთები ხასიათდება ქსოვილებში შეწოვის დიდი უნარით. ამიტომეა, რომ ავშანიტ ნაკვებო საქონლის რძე ან ხორცი ამ მცენარისათვის დამახასიათებელი სუნითა და გემოთი ხასიათდება.

### გლერძი—*Astragalus microcephalus* Will.


გლერძი წარმოადგენს 25—60 სმ სიმაღლის ქონდარა ბუჩქს პარკოსანთა (*Leguminosae*) ოჯახიდან. მისი ხისმაგვარი ტოტები დაფარულია ხშირი, ეკლიანი წაწვეტებული ფოთლებით, რომლებიც ფუძესთან გაგანიერებული და წყვილ-წყვილად განლაგებულია. ქვედა ფოთლების ილიაში მოთავსებულია პატარა შროშანისფერი ყვავილების გროვა. ყვავილების ჯამი დაფარულია ხშირი, გრძელი და თეთრი მატყლისებური ბუსუსით, რომლის შემდეგ ვითარდება გვირგვინი. ეს უკანასკნელი მალე ხმება, ყვითლდება და დიდხანს ზედვე რჩება. გლერძის ნაყოფი ერთთესლიანი პარკია. ის ყვავილობს ივნისში, ივლიაში და აგვისტოში. საქართველოს ქვედა და შუა მთის სარტყელთა ლორღიან და ქვიან კლდეებზე ის საკმაოდ კარგად გრძნობს თავს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში, სომხეთის საზღვრის გასწვრივ; ხარობს აგრეთვე სუსტ კარბონატთან შავმიწა ნიადაგებზე, ველის წარმომადგენლებთან ერთად, განსაკუთრებით ვაციწვერასთან.

ამ მცენარის ღეროს თუ დავსრესთ, ის გამოყოფს გუმფისს, რომელიც გამოიყენება ფარმაციაში, როგორც შემკვრელი (შემწებელი) საშუალება, განსაკუთრებით კვერაკების, ტაბლეტების და აბების მომზადების დროს. ამ მცენარიდან გამოყოფილი გუმფისი, რომელსაც ტრაგაკანთი ეწოდება, სწრაფად იკვრის ჰაერზე. ტრაგაკანთი შედგება ბასორინისაგან, რომელიც წარმოადგენს წყალში უხსნად ნივთიერებას; სამაგიეროდ წყალში ის ფუფდება. ტრაგაკანთი მცირე რაოდენობით შეიცავს არაბინს და სახამებელს. წებო ტრაგაკანთი გამოიყენებულია ჩვენში, ამერიკაში, გერმანიაში, ბრაზილიაში, გალიციაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში. ბერლინში მისგან მიიღეს პრეპარატი ნორმაკოლი (*Nor-*

macol), რომელიც წარმოადგენს ბასორინის (Bassorin) და ტრაგაკანთის შემკველ მცენარეთა ნაზავს ხეჭრელის (*Rhamnus Frangula L.*) ან შოთხვის (*Prunus padus L.*) მცირეოდენ ქერქთან ერთად. მეორე პრეპარატი, რომელიც მიიღეს ღრეზდენში, ცნობილია ტუფონის სახელწოდებით (Tuffon). ტუფონი წარმოადგენს მკრთალი ყვითელი ფერის ფხენილს, რომელსაც იყენებენ როგორც დიდ, ისე მცირე ქირურგიაში—პარენქიმატოზული სისხლის დენის შესაჩერებლად. მოხვდება თუ არა ეს ფხენილი სისხლთან შეხებაში, სისხლის დენა მყისვე წყდება.

### შმაგა, ანუ გიჟანა—*Atropa caucasica* Kreyer

შმაგა წარმოადგენს მსხვილფესურიან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს, რომელიც ორი და ზოგჯერ სამი მეტრის (სვანეთი) სიმაღლემდე იზრდება. შმაგა ეკუთვნის ძალღუურძენასებრთა (*Solanaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. მისი განიერი და გრძელი ფირფიტა ფოთლები მოგრძო ელიფსისებური წამახვილებული წვეტით და მთლიანი ნაპირებით ხასიათდება. ქვედა ფოთლები ყუნწიანებია, ხოლო ზედა—მჯდომარე, უყუნწო და უფრო პატარა ზომისაა, ვიდრე ქვედა ფოთლები. შმაგას ახასიათებს გრძელყუნწიანი ერთეული ყვავილები, რომლებიც შედგება 5 ჯამის ფოთოლაკისაგან, 5 გვირგვინის ფურცლისაგან და 5 მტერიანისაგან. დაყვავილების შემდეგ მას უვითარდება ბრწყინავი, მუქი-წითელი ფერის მოავალთესლიანი ნაყოფი, რომელიც გემოთი ტკბილი, მაგრამ ძლიერ შხამიანია. შმაგა ყვავილობს მაისიდან ვიდრე აგვისტომდე, ამავე დროს იწყებს ნაყოფობას და ამთავრებს სექტემბრის ბოლომდე. ეს მცენარე საქართველოში გავრცელებულია ნესტიან და ნახევრადნესტიან ტყეებში, განსაკუთრებით ნაკაფ და ნახანძრე ადგილებზე, ტყის ბილიკების, ხეებისა და მდინარეების ნაპირებზე, როგორც შავშიწა, ისე თიხაკირიან ნიდაგებზე, გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში 2000 მ სიმაღლეზე (აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, ფშავ-ხევსურეთში, სამხრეთ ოსეთში, მთა-თუშეთში, კახეთში, ბორჯომის ხეობაში და სხვ.). მაგრამ დასავლეთ საქართველოში მოქმედ საწყისთა პროცენტი შმაგაში უფრო დაბალია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, რაც, ჩვენის აზრით, გამოწვეულია ეკოლოგიური ფაქტორებით (ნიადაგი, ტენიანობა და ინსოლაცია). ამითვე უნდა აიხსნას ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში შმაგა უფრო დიდი ზომის იზრდება და ამავე დროს ფესვთა სისტემა მას ნაკლებად ძლიერი აქვს, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.



სურ. 7. შმაგა ანუ გიგანა (*Atropa caucasica* Kreyer).

ქართულ ხალხურ მედიცინაში ეს მცენარე იხმარება როგორც საუკეთესო საშუალება კრუნჩხვითი ხველების, ნევრალგიის, სოკოთი მოწამელის და ასტიმის დროს, ხოლო მეცნიერულ მედიცინაში კი — როგორც ტკივილების დამაყუჩებელი და სპაზმის საწინააღმდეგო საშუალება, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ნაღვლის გზების დაავადებათა და მორთეუმით მოწამელის დროს და აგრეთვე ოფლის დენის შესამცირებლად. ის შედის ასტიმის საწინააღმდეგო სიგარის შემადგენლობაში. მცენარის ეს სახეობა *Atropa caucasica* Kreyer ფარმაკოპეაში შესული არ არის და მის მაგივრად მოხსენებულია *Atropa Belladonna* L. მაგრამ ის უფრო მეტ მოქმედ საწყისებს შეიცავს, ვიდრე *Atropa Belladonna*. იგი თავისი მოქმედებით მას არაფერში ჩამორჩება. გარდა ამისა, ის უკვე დიდი ხანია მზადდება ჩვენში ზემოხსენებული მცენარის შემცვლელად, რის გამო უფლებას ვაძლევთ ჩვენ თავს აღვნიშნოთ, რომ ფარმაკოპეაში მოხსენებული *Atropa Belladonna*-სთან ერთად მცენარის ეს სახეობაც რეგულირებაში.

შმაგა შესულია მსოფლიოს ყველა კუთხის ფარმაკოპეაში. იყენებენ შმაგას ფესვებს *Radix Belladonnae* და ფოთლებს *Folia Belladonnae*. შმაგას ფესვები ქიმიურად შეიცავს 0,5% - დე ალკალოიდებს; მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიოსციამინი და სკოპოლამინი, ისე რომ შმაგას ფესვებს შეუძლია შესცვალოს მანდრაგორას ფესვები. მშრალი ფესვები ინახება დაკეტილში „ბ“ ჯგუფის სიით. საბჭოთა კავშირის ფარმაკოლოგთა კომიტეტის დადგენილებით ამ ფესვებიდან მზადდება ნახარში ღვინოში პარკინსონიზმის წინააღმდეგ — ენიშნება ავადმყოფს ერთ მილებზე 0,1 გრ, ხოლო სადღეღამისო დოზა 0,4 გრ განისაზღვრება. შმაგას ფესვების ფარმაკევტული პრეპარატია ნახარში *Decoctum vini rad. Belladonnae* შემდეგი შემადგენლობით: *Rad. Belladonnae grosso modo pulv.* 5,0, *Wini albi* 100,0, *Carbouis animalis* 0,09. ფოთლების ქიმიური შემადგენლობა შეჰდევია: ალკალოიდებიდან ყველაზე მეტს შეიცავენ ისინი მარცხნივმხრელ ჰიოსციამინს, შემდეგ მის იზომერ ატროპინს, სკოპოლამინს და იზომერ ჰიოსცინს, ალკალოიდ ანატროპინს, ბელადონინს, გლუკოზიდ მეთილესკულინს, და სხვ. ფოთლებიდან მზადდება შემდეგი ფარმაკევტული პრეპარატები: *Tinctura Belladonnae* (ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემით უდიდესი დოზა ერთ მილებზე — 0,5 გრ, ხოლო სადღეღამისო — 1,5). *Exstratum Belladonnae* (ერთ მილებზე 0,05, ხოლო სადღეღამისო დოზა 0,15); ის შედის ასტიმატოლის ნაკრების შემადგენლობაში. საქართველოში შმაგას წლიური დამზადების მარაგი ვარაუდით შეიძლება განისაზღვროს 1 ტონა მშრალი ფესვებით და 3 ტონა მშრალი ფოთლებით.

## რეცეპტები:

Rp.: Folia Belladonnae  
Fol. Stramonii àà 15,0  
Kalii nitrici 4,0  
M. f. Species  
DS. ასტმის დროს მოსა-  
წვეად.

Rp.: Trae Belladonnae 10,0  
DS: 5—8 წვეთი დღე-  
ში 3-ჯერ.

Rp.: Fol. Stramonii  
Fol. Belladonnae  
Fol. Hyoscyami  
Herbae Lobeliae àà 20,0  
Adde sol. Kalii nitrici  
10%<sub>გ.გ.</sub>  
DS: ასტმატოლის მსგა-  
ვსად.

Rp.: Extr. Belladonnae 0,02  
Saluli 0,3  
M.f. pulv. D. t. d. №10  
S. თითო ფხვნილი დღე-  
ში 3-ჯერ.

### · კოწახური—Berberis vulgaris L.

კოწახური ეკუთვნის კოწახურისებრთა (Berberidaceae) ოჯახს; ის იზრდება 3—5 მ სიმაღლის ბუჩქად, რომლის ღეროზე და განსაკუთრებით ახალგაზრდა ყლორტებზე ვითარდება ეკლადქცეული ფოთლები. მისი ნამღვილი ფოთლები ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილია და ღეროზე მორიგეობით განლაგებული. ორსქესიანი ყვავილები შეკრებილია მტევან ყვავილედში; თითოეული ყვავილი შედგება 6 ჯამისა და გვირგვინის ფურცლისაგან, 5 მტვრიანისაგან, სანექტრეებისაგან და ერთი ნაყოფის ფოთლიანი ბუტკოსაგან. მას უვითარდება მუქი-წითელი ფერის, მკავე, წიპწიანა ნაყოფი. კოწახური ჩრდილოეთის ზომიერი სარტყლის მცენარეა, რომელიც კარგად ვეგუბა საქართველოს პირობებს და გვხვდება სხვადასხვა მცენარეულ დაჯგუფებაში 1500 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან, განსაკუთრებით ტყეში, ბუჩქნარში, მდინარეთა ნესტიან და ქვიშიან ნაპირებზე და სხვ.

საქართველოს ხალხურ მედიცინაში კოწახურს მრავალფეროვანი განოყენება აქვს, მაგალითად: სურავანდის დროს, გულის დაავადებათა პრაქტიკაში და სხვ. წიგნი სააქიმოის მიხედვით ის გამოიყენება სხეულის რომელიმე ნაწილის ნერვული კანკალის დროს. რომლის მიზეზად ავტორს ზოგადი სისხლმეტობა მიაჩნია, „კურნებაი მისი იგი არს, რომელ ადღაისა მატბუხსა და კოწახურსა და მაშასა, ნუშის გულსა და ქათმის მუხათარსა და ბატკნის ხორც-

სა და ახალსა თევზსა რომელ ძმრითა შექმნილ იყოს, და ბრო-  
წეულსა და ვაშლსა და ბაჭესა და შავსა ტყემალსა (იხმარებოდეს)\*.  
დავით ბატონიშვილი ურჩევს ავადმყოფს მიიღოს ის სისხლის გა-  
ღების შემდეგ: „და ლიმოსა, ისრიმოსა, კოწახურისა. თუთუბოსა,  
მოცხარისა და ამავე რიგის მკაეისა და შემკრავისა რისამე შექამა-  
დები“ და სხვ. უსწორო კარაბადინით ქანანელი უნიშნავს მას ავად-  
მყოფს; შეუკავებელი შარღის დროს, ელენთისა და ღვიძლის ტკი-  
ვილების დროს, აგრეთვე თირკმლებსა და შარღის ბუშტში კენქის  
გაჩენის შემთხვევებში: „წამალი მიეცე ამა ნიშნითა: აიღე კოწა-  
ხური და თუხმიქანი, და ფურთა ერბოთა აღუღე და წყლისა აწი-  
წატი წყლითა კარგა მოაღუღე და შიგან ერბო ანუ ზეთი გაუ-  
რივე და შეასვი და რაც თირკმელთა და ბუშტისა და შირიჩისა  
წამალი სწერია ყველა უყავ და უშველას ღრთითა“. საქართველო-  
ში მისგან ამზადებენ შარბათს *Sirupus Berberidis vulgaris* და იყე-  
ნებენ აგრეთვე საკულინარო საქმეში და ყვითელი საღებავის მისა-  
ღებად. მეცნიერულ მედიცინაში დღესდღეობით ის პოულობს გა-  
პოყენებას C ვიტამინისა და პრეპარატი ბერბერინის მისაღებად.  
გარდა გერმანული საექიმო წიგნისა, სხვა რომელიმე ფარმაკო-  
პიაში ჩვენ ის არ შეგვხვდებოდა. იყენებენ კოწახურის ფესვების  
ქერქს (*Cortex Berberidis radiceis*, რომლის ქიმიური შემცვე-  
ლობა ასეთია: 1,3% ყვითელი ალკალოიდი ბერბერინი—ხელი-  
ფოქსანთინი, 1,5% ადკალოიდი ოქსიაკანთინი  $C_{37}H_{40}N_2O_6$ , ბერ-  
ბამინი  $C_{26}H_{38}N_2O_6$ , C ვიტამინი, ფისი, ექატრაქტული ნივთიერებანი,  
ვილი. მთრიშვალნი ნივთიერებანი, წებო, მარილები და სხვ. ამათ-  
გან გამოყენება აქვს ბერბერინს 3-4,5% ნაყენის სახით. კოწა-  
ხურის ფოთლები *Folia Berberidis* შეიცავს ალკალოიდ ბერბე-  
რინს  $C_{20}H_{19}NO_3$ , ხოლო ნაყოფი *Fructus Berberis* (*Baccae Ber-  
beridis vulgaris*) — დექს ტროზას და ღვეულლოზას (ორივე ერთად  
4,7% მდე). თავისუფალ მკაეას, რომელიც უფრო ვაშლის მკაეად  
უნდა ჩაითვალოს, თი აქმის 6,6%,-დე პექტოზას, წებოს (თითქმის  
6,6%). მჭროლავ არომატულ მკაეას, მინერალურ ნივთიერებას, რო-  
მელიც 3% არ აღემატება, C ვიტამინს და სხვ. კოწახურის ფესვების  
*Radix Berberis vulgaris* შემცველობა იგივეა, რაც მისი უესვის  
ქერქისა. პრეპარატი ბერბერინი (*Berberinum*) განსხვავდება ალკა-  
ლოიდ ბერბერინისაგან. ამ პრეპარატის ქიმიური ფორმულაა:  
 $C_{20}N_{19}O_3.NHO$ . თავისუფალი სახით. ის აღდებიდ ბერბერინალის  
 $C_{20}H_{19}O_3N$  ფორმისაა, მისი ლობის წერტილი 144°, იხსნება ციფ  
წყალსა და სპირტში, უფრო კარგად ქლოროფორმსა და ბენზოლში,  
აგრეთვე ეთერსა და პეტროლეთერშიც. კოწახურის უარყოფით თე-

სებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მის ფოთლებზე იზამთრებს მარცვ-ლოვანთა ენგარა სოკო *Puccinia graminis*, რომლითაც გაზაფხულზე ხორბლის ნათესები ავადდება. მისი ყოველწლიური მარაგი საქართველოში 2 ტონა მზა მასალით შეიძლება განისაზღვროს (ქერქი, ფოთლები და ნაყოფი ერთად). ფესვების ქერქი უნდა ადრე გაზაფხულზე შეგროვდეს.

### არყი—*Betula Pendula* Roth. (*Betula verrucosa* Ehrh.)

არყი ეკუთვნის არყისებრთა (*Betu'aceae*) ბოტანიკურ ოჯახს. ის წარმოადგენს ხემცენარეს ერთწლიანი შიშველი ტოტებით, მექექოვანი და ჯირკვლოვანი წინწკლებით, რომლებზედაც განლაგებულია აოლისებური ფოთლები. ფოთლები ფუძიდან სამკუთხა ან რომბულია, ორმაგი მახვილი, დაკბილული ნაპირებათ და შიშველი ზედაპირით. მჭადა სანაყოფე ყვავილები ცილინდრული ფორმისაა 2—3 სმ სიგრძით და 8-დან 100 მმ-დე სიგანით. ქერქი სოლისებრია, შუა წილი პატარაა, ხოლო გვერდითი წილები ჩვეულებრივ მოხრილი და უფრო დიდია. კაკლუქები შებრუნებული კვერცხივით მოკრძოა, ხოლო ფრთები 1,5—2,5-ჯერ განიერია, ვიდრე კაკლუქებს მცენარე ჩვეულებრივი და დამახასიათებელია საქართველოს მაღალი მთების ზონისათვის. განსაკუთრებით ის გვხვდება აფხაზეთის, გურიის, იმერეთის, ქართლისა და მთათუშეთის მაღალ მთებში. არყი მონაწილეობას იღებს როგორც მთის ზედა სარტყლის ნარევ ტყეებში, ისე მდინარეთა სათავეებისა და სუბალპების მდელოთა საზღვრების მცენარეებში, რის გამოც ის მოცემულია სხვადასხვა ცენოზში.

არყის ქერქს, ფოთლებსა და ახალგაზრდა ტოტებს ჩენი ხალხი იყენებს: წყალმანკის, ფილტვების დაავადებათა, კუჭის ტკივილის და ფეხის ოფლის წინააღმდეგ, აგრეთვე გარედან ეგზემისა და რევმატიზმული ანთების დროს. მეცნიერული მედიცინაში კი დღესდღეობით ის გამოყენებულია, როგორც შარდსადენი, ამოსახველებელი და სადებინთექიო საშუალება. ჩენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში ის მოხსენებული არ არის, მაგრამ შედის სხვა სახელწოდებითა ფარმაცოპეაში *Betu'a pendula* Roth.—*B. verrucosa* Ehrh. და *B. alba* L.-ის საბელწოდებით. ძირითადად იყენებენ ყვავილობის პერიოდში მყოფი არყის ფოთლებს და ადრე გაზაფხულზე შეგროვებულ კვირტებს (*Geninae Betulae*). ქიმიურად არყის ფოთლები შეიცავს მეთილპენტროზას, ფისს, რომელშიც შედის ბუტილესტერბუტულორეტინის მჟავა, 1,5—9% მთრიმლავ ნივთიერებას, ეთერო-

ვან ზეთს 25%-მდე (რომელიც ბეტუტოლად, ანუ სესქუიტერპენალ-კოჰოლადაა წოდებული), საღებავ ნივთიერებას, C ვიტამინს და 5% ნაცარს; ბეტულინსა და გლუკოზიდებს ის არ შეიცავს. კვირ-ტებში შედის ეთერზეთები, ფისი და ყურძნის შაქარი. არყის სა-ექიმო და ფარმაცევტული პრეპარატებია: Pix Betulina, Oleum Ru-sci, Pix Betulae, Pyroleum Betulae, Oleum Betulae empyreumati-  
cum rectificatum, Pasta Pyrolei Betulae (რომლის შემადგენლობაში შედის: Pyroleum Betulae 1,0 და Pasta Zinci 99,0), Pasta Pyrolei Betulae fortior (აქ ის შეიცავს 5% Pyroleum Betulae-ს), Spiritus Picis Betulinae (Pix Betulina 25,0 და Spiritus vini 90%—25,0), Tinctura Rusci (რომელიც შეიცავს Pyroleum Betula 250,0, Spiritus vini 86%—375,0 და Aether 375,0). არყის კვირტების (Gem-inae Betulae) პრეპარატებია: Infusum Gemmae Betulae, Tinc-tura Gemmae Betulae. ის შედის აგრეთვე შარდსადენ ნაკრებთა შემადგენლობაში. არყის შეგროვების ჰოველწლიური მარაგი მზა მშრალი მასალის სახით ჩვენში შეიძლება გავითვალისწინოთ შემ-დეგ ფარგლებში: ფოთლები 3 ტონა, კვირტები 2 ტონა.

### რეცეპტები:

- |  |   |
|--|---|
| Rp.: Betulae gemm. 25,0<br>DS. ერთი ჩაის კოვზი მო-<br>ხარშოს ჩაის მსგავსად 0,5<br>ქიქა წყალში და შეისვას<br>ერთ დღეში. | Rp.: Trae Betulae gemm. 30,0<br>DS. 40 წვეთი საქმლის<br>მიღების წინ.  |
| Rp.: Inf. Betulae gemm.<br>10%—200,0<br>DS. ექიმის დანიშნულე-<br>ბისამებრ.   | Rp.: Flor. Cyani. 10,0.<br>Fol. Uvae Ursi 20,0<br>Fr. Petroselini 10,0.<br>Gemm. Betulae 10,0.<br>Fol. Trifolii fibr. 40,0<br>Rad. Helenii conc. 10,0<br>MDS. 2 ჩაის კოვზი მო-<br>ხარშოს ერთი ქიქა წყალში<br>და დაღეულ იქნეს 3-ჯერ<br>დღეში საქმლის მიღებამდე<br>20 წუთით ადრე. |

### შავბოლოკა, მდოგვი—Brassica nigra Koch.

მდოგვი—ჯვაროსანთა (Cruciferae) ბოტანიკური ოჯახის წარ-  
მომადგენელი, ერთწლიეული ბალახოვანი მცენარეა, რომლის სწო-



როს ლერო მეტრის სიმაღლეს აღწევს. მისი საკმაოდ მოზრდილი ყუნწიანი, ფრთადგახვეთილი და ბლაგვებილა ფოთლები მორიგეობით განლაგებულია ლეროზე. ზედა ფოთლები უფრო პატარებია. ყვითელი ფერის ყვავილები შეკრებილია მტევან ყვავილედში; ჯამისა და გვირგვინის ფურცლები ოთხის ჯერადია, ხოლო მტვრინა 6 აქვს. მოკლე 1,5 სმ სიგ'რძის ოთაწიბოიანი ქოტი ნაყოფი ყვავილედის ლერქთანაა შეკრებულბული და 5 თესლისაგან შედგება. ნაყოფობას ჩვენში ის იენისში ამთაერებს. ამ სახეობის გარდა, საქართველოში გვხვდება მეორე სახეობაც *Brassica Juncea Czern (Sinapis Juncea L.)*. რომელიც მედიცინაში ისევე გამოიყენება, როგორც *Brassica virga Kochi*. მდოგვი გავრცელებულია უმთავრესად დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში და აფხაზეთში. მდოგვი კულტურაშიც მოყავთ, მაგრამ ჩამოთვლილ ადგილებში ის გვხვდება ველურად და რუდერალურად, უმთავრესად ნესტიან ადგილებზე. ის ხშირია მდინარეებისა და გუბეების ნაპირებზე, აგოეთვე ზოგიერთ ნათეს კულტურაშია შორის, მაგალითად, ცერცვისა და ბოლოკის ნათესებში.

ხალხურ მედიცინაში მდოგვს იყენებენ როგორც მადის მომგერელ საშუალებას; სიდაშბლის დროს ხმარობენ მდოგვიან ანაზანას და აკრთვე რეკმატიზმული ანთების შემსახვევად და სხვ. მეცნიერულ მედიცინაში მდოგვი იამარება როგორც კანის განაღვიზიანებელი და ადგილობრივი სისხლმტოვის (ჰიპერემიის) გამომწვევი. გარდა სამედიცინო მიზნებისა, მდოგვის თესლის ზეთს იყენებენ სატექსტილო მრეწველობის საქმეშიც, როგორც აბსალათინის ზეთის შემცველს, საპნის წარმოებაში, საკონდიტრო მრეწველობაში, პურის ცხობის დროს და აკრთვე სორტელის საწებლად. მედიცინაში გამოყენებულია მდოგვის როგორც პირველი, ისე მეორე სახეობის თესლი (*Semen Sinapis*), რომლებიც თითქმის ერთი და იგივე ქიმიური შემადგენლობისაა. მდოგვის თესლი შეიცავს სენვოლგლიკოზიდებს, სინერგინს და სინიგრანს, რომლებიც ფერმენტ მიროზინის გავლენით იშლება ეთერზეთად და გლუკოზად. მდოგვის ეთერზეთი (*Oleum Sinapis albae*) ხასიათდება მწვავე სუნით, მწარე გემოთი და შაშიანობით, იწვევს კანის ძლიერ გაღიზიანებას, რაც გამოიხატება კანის გაწითლებაში და დაბუშტუკებაში. მის შემადგენლობაში შედის 25—35% უშრობი ცხინზეთი, 20—24% ლორწო, უჯრედანა, ცილოვანი და მინერალური ნივთიერებანი. მდოგვი მოხსენებულია საბჭოთა კავშირის ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში, დემოკრატიული

გერმანიის ფარმაკოპეაში და სხვა საექიმო წიგნებში. მდოგვიდან ამზადებენ შემდეგ პრეპარატებს: Charta Sinapina და Spiritus Sinapis. ველურად მისი თესლების შეგროვება საქართველოში ყოველწლურად 70—100 კვ. რაოდენობით შეიძლება, ხოლო მდოგვის კულტურაში მოყვანის შესაძლებლობა საქართველოში მეტად პერსპექტიულია.

### რეცეპტები:

Rp.: Chartae sinapinae N 1 et 2 Rp.: Spiriti Sinapi  
 DS. მტკივნეულ ადგილზე Spiriti camphorati  $\frac{1}{2}$  15,0  
 დასადებად. MDS. ჩასახელად.

### კანაფი—Cannabis sativa L.

კანაფი ერთწლელი და ორსახლიანი მცენარეა, რომელიც ეკუთვნის კანაფისებრთა (Cannabiceae) ბოტანიკურ ოჯახს. საშუალოდ ის 1,5—2 მეტრის სიმაღლისაა, ცალკული ეგზეჰლარები კი 3 და მეტ მეტრის სიმაღლეს აღწევს. ღეროზე ფოთლები მორიგეობით განლაგებულია და გრძელი ყუნწებითაა მიმაგრებული. ფოთლები 3—5—7 ღრმა თათრთულებია, წვრილი, ლანცეტა, წაწვეტილებული ნაწილებით და ხერხკბილა ნაპირებით. ყვავილები მწკანე ფერისაა, პატარა და გამკვირვალე. მამრობითი ინდივიდების ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედში და აღქუვილია შტერიანებით, ხოლო მდედრობითი კი შეკრებილია თავთავა ყვავილედში, რომელშიც მოთავსებულია ბუტკოები. კანაფის ნაყოფს, ერთთესლიან კაკლუქას, შემოვლებული აქვს მეტად ნაზი, სადა, ბრქვიალა საფარველი, რომელაც ჯერ მუქი-მწვანე ფერისაა, ხოლო მომწიფების შემდეგ ღიაყვითელი ფერის ხდება. ყვავილობს კანაფი ივნისსა და ივლისში, ხოლო ნაყოფობას პირველ აგვისტოდან იწყებს. საქართველოში ის გვავდება როგორც კულტურაში, ისე რუდეარალურად და ველურადაც. ველურ პირობებში ის ნესტიან და შავმიწა ნიადაგს ეტანება და გვავდება იმეოეთში, გურიანში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთში, რაქაში, ფშავესურეთში და განსაკუთრებით მაზნულის რაიონში, სადაც ის მასობრივი დამზადების შესაძლებლობასაც იძლევა.

ქართველი ხალხი უძველესი დროიდან იყენებს ამ მცენარეს სამკურნალო ძიხნებით. შოგნო საექიმოში მიიღეჯათ კანაფის თესლს ხმარობენ თვალის დაავადებათა წინააღმდეგ: „ბაყრატი იტყვის:

რა ეს მანკი და ბალამისაგან იყოს ყმაწვირილთა და დედა-  
 თა შეექმნების. კურნება მათი იგი არს რომელ ბაზრაცა-  
 ტუნთა და სხვათა წვენთა შაუთა ესრე იხმარებოდეს, ვითარებად  
 მისი: ულბოი და კანაფის თესლი კიდევნათ განცხოს და მაშინ  
 ერთა და ნახევარსა წყალსა შიგან მიუშვას და მაშინ ორივე ხელითა  
 დაკულიტოს და მათი წუენი დაიჭიროს და თვითოისა თვითოი ქიქისა  
 შიგან ჩაუვას თუნდა ჩაასხას“. იალიგარ-დაულის მიხედვით კი კანა-  
 ფის ფოთოლი (*Folia Cannabis*), კანაფის თესლი (*Semina Cannabis*),  
 კანაფის ზეთი (*Oleum Cannabis*) და კანაფის წვენი იხმარება ძი-  
 რითადად კბილისა და ღრძილის დაავადებათა პრაქტიკაში: „ვინცა  
 კანაფისა ფოთოლი კვესავითა ღეჭოს, ღრძილები და კბილები ორივე  
 გაუმთელოს“. იყენებდნენ მას როგორც ადამიანის გასამხნეველ  
 საშუალებას და აგრეთვე ურის დაავადებათა წინააღმდეგ. „შაპ-  
 დანა, ვითამცა და კანაფის თესლიო, მშოედ მხურვალი და ხმელი  
 არის, კაცმან რომე ქამოს კაქსა გაამხიარულებს, ბევრს აცინებს.  
 კაცსა რომელ უური სტკიოდეს, მოიტანე ორი ღირჰამი კანაფის  
 თესლი, დანაყე და ამისი გმოჰადე და თბილი ურშიგა ჩააწვეთე  
 და ურის ტკივილსა უშველის“. „კაცსა რომე უური ყრუდ დე  
 მძიმედ ჰქონდეს მოიტანე ესე კანაფის თესლი და ზეთი გა-  
 მოჰხადე და თბილ-თბილი ურშიგან ჩაასხან, და უურის სიყ-  
 რუვე და უურის სიმძიმე მაშინვე ეშველების. ნაგრამ ეს კანა-  
 ფის წვენი იყოს თუ კანაფის ზეთი ორი დანგის მეტი არ უნდა  
 იყოს, თვარემ აწყენს და კაცი ვერ გაუძლებს“. ხმარობდნენ მას  
 აგრეთვე სხვა წაჰლებთან ერთად დაჟეჟილ ადგილებზე ჩასახე-  
 ლად, რასაც გვიმოუშებს როგორც დავით ბატონიშვილი, ისე ქა-  
 ნანელიც თავია უაჭორო კარბადინში: „აიღე: ბატის ქონი ორ-  
 მოცდაათი ღრამი დაადნევე ცეცხლითა, გაურივე შვიდი ღრამი  
 ბერძნული ზეთი, აიღე ნინოტრისა ძირი დანაყილი, გაცრილი.  
 ათი ღრამი შალი ხილი და ბარბანა დანაყილი, გაცრილი თვითო-  
 საგან სამი ღრამი კენაფისა შემა და მუყლი და ვაშაყი დანაყილი  
 და გაცრილი, თვითოაგან ათი ღრამი, გაურივე ბატის ქონში და  
 ზეთშიგან. იმა ადგილსა რომე დაკრული დაბეჟილი იყოს შესცხე  
 და უშველის“. მეცნიერულ მედიცინაში დღეს კანაფს ჩვენში გა-  
 მოყენება არა აქვს, მხოლოდ ფარმაცეაში ხმარობენ მის თესლს  
 (*Fructus Cannabis*) ემულსიების მოსამზადებლად და იწვეახე საპნის  
 მისაღებად. საზღვარგარეთ იყენებენ ამ სახეობის ვარიაციას, *Cannabis sativa L. var. indica Lam.*, რომელიც ქიმიურად თითქმის  
 იგივე შემკველობისაა, როგორც აღწერილი. აგროვებენ მთლიან  
 ბალახს დანაყოფს *Herba Cannabis indicae et Fructus Cannabis*.  
 რომელიც მსგავსად ჩვენ მიერ აღწერილი სახეობისა შეიცავს

ცხიმზეთს 35%, ალკალოიდ ტრიგონელინს, პროტეინს, ქოლინს ედესტინს (კრისტ. გლობულინი), ნუკლეინს. ლეციტინს, ქოლესტერინს, ფისს, შაქარს, ნაცარს 8 --10—15% მდე, 5% სიმკვავეში უხსნად ნაცარს და სხვ. მისი სამკურნალო ფორმებია: *Exrtactum Cannabis indicae*, *Esxtractum Cannabis indicae fluidum*, *Tinctura Cannabis indicae* უდიდესი დოზა ერთ მიღებაზე 1,0 გრ, ხოლო დღე და ღამეში 4,0. საქართველოში კანაფის შეგროვება შეიძლება 3 ტონის რაოდენობით ყოველწლიურად.

**ხ ა ქ ი ჯ ო რ ა — წ ი წ მ ა ტ უ რ ა — *Capsella bursa pastoris* (L.) Medik.**

ხაქიქორა ხეესურული სახელია; მთათუშეთში ამ მცენარეს უწოდებენ ჩიტის წიწმატს, ხვარტას და სხვ. ხაქიქორა ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა და ეკუთვნის ჯვაროსანთა (*Cruiciferae*) ოჯახს. ხასიათდება მარტივი ან დაუოჯიანებული, სწორმდგომი ღეროთი, რომელზედაც მორიგეობით განლაგებულია მჯდომარე ფესვთანი ერთადგანკვეთილი კიდემთლიანი ან ამოღრღნილკბილებიანი ფოთლები. მას ახასიათებს მტევანი ყვავილენი, რომელშიც მოთავსებულია პატარა ზომის თუთი ყვავილები, რომლებისკანაც ვითარდება ქოტაკი ნაყოფი. საქართველოში ის ზოგჯერ თებერვლის შუა რიცხვებიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე ყვავილობის, ნაყოფიზს მაისიდან ნოემბრამდე. ის გაერცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში, როგორც მთაში, ისე ბარში, ვაკეებზე და მდელოებზე. მდინარის ნაპარზე, ბალებში, ბაღებში, ბოსტნებში, საძოვრებზე და გზის ნაპირებზე. როგორც თხნარებზე, ისე თხნარ-კირნარებზე. ხირხატიან, ყოპრალ, ქვიშნარ, შლამიან, ნაკვიან და ჰუმუსიან ნიადაგებზე. ეს მცენარე მონაწილეობასღებილობს როგორც ნესტიანი მდელოს, ისე მაღალბალახოვან და ბუჩქნარ მცენარეთა შორის და ამნირად ის გვხვდება მცენარეთა თითქმის ყველა ფიტოცენოზში. მას ხშირად ნახავთ კულტურულ ნათესებს შორისაც, როგორც სარეველა მცენარეს *Thlaspi arvense* L.-სთან ერთად. ჩვენი ხალხი მას მდოგვის შემცველად იყენებს და ამავე დროს მაალადაც ხმარობს, მხოლოდ სხვა მხალეულთან ერთად; იყენებენ მას როგორც სისხლის დენის შემწყვეტ საშუალებასაც. ზოგიერთ სახელმწიფოთა მეცნიერულ მედიცინაში ის გამოყენებულია და ფარმაკოპეაშიც შეჰანილია. ჩვენს ფარმაკოპეაში ის მოხსენებული არ არის, მაგრამ საბჭოთა კავშირში ჩატარებული კვლევით დადასტურდა, რომ ამ მცენარეს შესწევს სი-

სხლის დენის შემწყვეტის უნარი. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს გერმანელები იყენებდნენ მას სისხლის დენის შემწყვეტად და იოდის შემნაცვლებელ საშუალებად. დღესდღეობით მეცნიერულ მედიცინაში მჭკუმაის გუდას იყენებენ როგორც საშვილოსნოდან სისხლის დენის შემწყვეტ საშუალებას და აგრეთვე გაძლიერებული მენსტრუაციის დროს. მწყემსის გუდაზე ვითარდება პარაზიტი სოკო, და აქამდე ფიქრობდნენ, რომ ეს სოკო ცვლის მცენარის ქიმიურ შემცველობას და სწორედ ის იწვევს სისხლის დენის შეჩერებას. მაგრამ, როგორც მსოფლიო ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, ეს პარაზიტი სოკო სრულიად უვნებელია და არავითარ გავლენას მცენარეზე არ ახდენს. მკურნალობის საქმეში ეს მცენარე გამოიყენება მთლიანად ყვავილობის პერიოდში *Herba Bursae pastoris* სახელწოდებით. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: ალკალოიდი ბურსინი, გლუკოზიდი ბურსა-მევა, ტირამინი—პენ ტაოქსიფენილეთალამინი, ქალინი, აცეტილქოლინი, 20% -დე ცხიმზეთი და C ვირამინი. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია: *Jnfusum herbae Bursae pastoris* და *Extractum Bursae pastoris fluidum*.

ზოგიერთი მკვლევარი თვლის ხაქ-ქორას პრეპარატებს მცენარე ჰიდრასტის (*Hydrastis canadensis*) ძირების შემცვლელად.

საქართველოში ეს მცენარე შეიძლება შეგროვდეს მზა მასალის სახით დაახლოებით 3 ტონის რაოდენობით ყოველწლიურად.

### რეცეპტები:


Rp.: *Jnf. herbae Bursae pastoris* Rp.: *Extr. Bursae pastoris fl.*  
20,0:200,0 30,0.

Ds: დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვში Ds. 25—30 წვეთი დღეში 3-ჯერ.

Rp.: *Extr. Bursae pastoris fl.* Rp.: *Extr. Bursae pastoris fl.*  
*Extr. Polygoni hydropi-* *Extr. Viburni fl. ã 10,0*  
*peris fl. ã 15,0* MDS. 30 წვეთი დღეში  
MDS. 30 წვეთი 3-ჯერ დღეში. სამჯერ.

### კვლიავი—*Carum carvi* L.

კვლიავი იკუთვნის ქოლგოსანთა (*Umbelliferae*) ბოტანიკურ ოჯახს და წარმოადგენს ორწლოვან ბალახოვან მცენარეს,



სურ. 8. კვლიაკი, ზირა--*Carum carvi* L. (*Carum roseolum* G. Wor.).

დაბალი ტანით და მსხვილი ფესვით. მის ფრთართულ ძირში გაგანიერებული ფოთლები ღეროზე მორიგეობათაა განლაგებული, სადაც პატარა ზომის ყვავილები შეკრებილია ქოლგა ყვავილედში; ჯამისა და გვირგვინის ფურცლები ხუთის ჯერადია. მტვრიანაც ხუთი აქვს; ყვავილის განაყოფიერების შემდეგ ვითარდება ორი ხუთწიბოიანი ნაყოფი, რომლის კედელში მოთავსებულია ცხიმის მილაკები. კვლიავი დამახასიათებელი მცენარეა საქართველოს სუბალპური მდელოებისათვის, მას სიამოვნებით ძოვს ცვარო და მწყემსების აზრით ის ნოყიერ გამასულებელ მცენარედ ითვლება, ხოლო მის ძირებს მწყემსები თვით ხმარობენ საქმელში და შადის მომგვრელ თვისებებს აწერენ. კვლიავი ჩვენ ვნახეთ როგორც მთავარი კავკასიონის სუბალპებში, ისე მცირე. ანუ სამხრეთი კავკასიონის საძოვრებზე, ორთავე შემთხვევაში თითქმის ერთი და იგივე დაგვუფებაში.

კვლიავის ნაყოფს ჩვენში ზირას სახელწოდებით იყენებენ, ხმარობენ მას საკულინარო საქმეში, უმთავრესად ხორკთან მახარშული ბრინჯის საწებლად, ხოლო მწყემსები კი ბეგქონდაჩასთან ერთად ხორცთანაც ხარშავენ მას. ხალხურ მედიცინაში კვლიავს იყენებენ როგორც აღამიანის, ისე ცხვრის კიის დამდენ საშუალებად. მის ძირებს მწყემსები ნაყავენ და აყრიან ცხვარს ჭრილობაში შატლის გაჩენის საწინააღმდეგოდ ზაფხულის პერიოდში. ჩვენს ფარმაკოპეაში ის მოხსენებული არ არის, მაგრამ შვეიცარიის, ამერიკის, გერმანიის, იუგოსლავიის ჰუნგარიის, ბრიტანეთისა და ნორვეგიის ფარმაკოპეაში ის მოხსენებულია როგორც ნაწლავთა ატონიებისა და მეტეორიზმის შემამაუბუქებელი საშუალება. იყენებენ კვლიავის ნაყოფს და თესლს (*Fruetus (Semina) Carvi*), რომლას მზახასალა სხვა მცენარეთა თესლების მინარევს 3% ზე მეტს არ უნ და შეიცავდეს. კვლიავის ნაყოფისა და თესლის ქიმიური შემცველობა ასეთია: 3—7% ეთერზეთები, 6—8% ცხიმზეთები, 20%-დე ცილოვანი ნაფთიერება, 5—9% ნაცარი, 1,5%-ან 2%-მდე მეთავე უხანალი ნაცარი, 15% ფაშარი ქოვილი და 2% ქვიშა. კვლიავის ზეთი (*Oilum Carvi*) 50—65% კარვონს შეიცავს. მისი პრეპარატებია: სხვადასხვა ნაკრებები ჩაის სახით, მაგალითად, მისი ნაყოფისა და ხეჭრელის ქერქის ნაკრები ჩაი (*Eleosaccharum Carvi*). რომელიც საუღარათო საშუალებად იხმარება. კვლიავის ნაყოფი საქართველოს მდელოებზე შეიძლება 50 კგ რაოდენობით შეგროვდეს.

## რეცეპტები:

**Rp.:** Sem. Carvi  
 Sem. Foeniculi  $\text{aa}$  10,0.  
 Flor. Chamomillae.  
 Fol. Menthae.  
 Rad. Valerianae conc.  
 $\text{aa}$  20,0.  
 MDS. ორი ჩაის კოვზი  
 მოიხარშოს, როგორც ჩაი,  
 ერთ კიქა წყალში, ერთი  
 კიქა დილას და მეორე სა-  
 დამოს დასალევად.

**Rp.:** Sem. Carvi  
 Rad. Tormentillae  
 Flor. Gnaphalii  $\text{aa}$  10,0  
 Bacc Myrtilli 20,0  
 Fol. Salviae 30,0  
 MDS. ეს ნაკრები 2 სუფ-  
 რის კოვზის რაოდენობით  
 20 წუთის განმავლობაში  
 უნდა იხარშოს 2 ჩაის კიქა  
 წყალში და დაილიოს დღე-  
 ში 3-ჯერ ნახევარი ჩაის კი-  
 ქა საკმლის მიღებამდე  
 15—20 წუთით ადრე.

### ისლანდიური მღიერი *Cetraria islandica* (L.) Acharius

ამ მცენარეს ლიტერატურაში ხშირად *Li hen islandicus* უწოდებენ. ჩვენში ის საკმაოდ რაოდენობით მოიპოვება, განსაკუთრებით სუბალპური ნესტიანი მდელოების უმაღლეს საზღვარზე. იგი გვხვდება ალპებშიც, განსაკუთრებით მის ქვედა ზოლში და შედის ლორღიანზე განვითარებულ მცენარეთა დაჯგუფებაშიაც. ჩვენში მოიპოვება ამ მცენარის მეორე სახეობაც (*Cetraria nivalis* იმ განსხვავებით, რომ ეს მეორე სახეობა (*Cetraria nivalis*) ნივალურ სარტყელში გვხვდება, ზოგჯერ მარადი თოვლის ზევითაც სხვა მცენარეთა შორის. ისლანდიური მღიერი ჩვენ ვნახეთ როგორც მთავარი კავკასიონის დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში, ისე მცირე კავკასიონზე—სამხრეთ საქართველოში (ჯაბახეთში), შავნაბადასა და ემლეკლის მთების კალთებზე.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ისლანდიური მღიერს გამოყენებული არ არის, მაგრამ მეცნიერულ მედიცინაში მას იყენებენ როგორც მოსაფენ საშუალებას. მასში ლორწოს შემცველობის გამო. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: 10% მწარე გემოს ცეტრარმეავა (ცეტრარინითა და სტრაქტინით), მწარეები, სახამებელი, ლიქენინი, ლორწო და სხვ. ჩვენს ფარმაკოპეიაში ეს მცენარე მოხსენებული არ არის, მაგრამ საზღვარგარეთ და განსაკუთრებით შვეიცარიაში მას დღესაც იყენებენ და ფარმაკოპეიაშიც მოხსენებულია.

ზოგიერთ ხალხურ მედიცინაში მღიერს იყენებენ ნახარშის სახით ფილტვების დაავადების დროს. მისი პრეპარატებია: *Lichen*



**Islandicus desamaratus**, ნაყენები და გამონახარშები. ისლანდიური მღიერის ყოველწლიური მარაგი ჩვენში განისაზღვრება დაახლოებით 1,5 ტონის რაოდენობით.

### რეცეპტი

Rp.: D-ti Lichenis island.

5—10<sup>0</sup>/<sub>10</sub>—200,0

DS. სუფრის კოვზით დღე-

ში 3-ჯერ.

### ქრისტესისხლა—Chelidonium majus L.

მრავალწლოვანი, დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, რომელიც ეკუთვნის ყაყაჩოსებრთა (Papaveraceae) ბოტანიკურ ოჯახს. ეს ტიპური ტყის მცენარეა, მაგრამ მას ხშირად ნაგვიან ადგილებზე (რუდეჩალური მცენარის სახით) და ზოგჯერ სუბალპების მდელოშიც ვხვდებით. ზოგჯერ ის ბუჩქებს შორისაცაა დასაიდებელი. ქრისტესისხლა ხასიათდება მთავარლერძიანი, წაკლებად დატოტიანებული მსხვილი, მრავალწლოვანი ფესვით, რომელზედაც განვითარებულია დატოტიანებული ღერო. მის ღეროზე მორიგეობით განლაგებულია ნახი ფოთლები სადა ზედაპირით, რომლის ზედა მხარე პრიალაა და ნათელი მწვანე ფერისა, ხოლო ქვედა—უფრო მტრედისფერისაა. ქვედა ფოთლები გრძელ ყუნწებზე საედან და ფრთადგანკვეთილებია, ხოლო ზედა ფოთლები ან მოკლეყუნწიანებია, ან მკდომარე და ფრთადგანკვეთილი. ცალკეული ფოთოლაკი მომრგვალოა ან კვერცხნაირი. ყვავილის ჯამი ორფოთლიანია და გაშლისთანავე ჩამოვარდება ხოლმე, ოთხი ფოთლისაგან შემდგარი გვირგვინის ფურცლები კი ზედაფერება. გრძელყუნწიანი ყვავილი შეკრებილია მარტივ ქოლგა ყვავილედში. ყვავილს ახასიათებს მრავალი მტერიანა და ერთი ბუტკო. ნაყოფი ერთბუდიანი, მრავალთესლიანი, კოტის მსგავსი კოლოფია. თესლები შავი ფერისაა და მოგრძო კვერცხნაირი მოყვანილობის. ქრისტესისხლა ყვავილობს აპრილიდან მოყოლებული სექტემბრამდე. ღეროს გადატეხვით ან ხელის მოჭერით მას ყვითელი იოდისფერი წვენი გადმოდის.

ქართულ სალხურ მედიცინაში ქრისტესისხლას დღესაც ფართოდ იყენებენ. სევსურეთში მას ხმარობენ როგორც იოდის შემცველს და ქრილობათა შემხორცებელ საშუალებას, სამეგრელოში

ღვიძლის დაავადებისა და ნალევის გზების ანთების შემთხვევებში, ვანსაკუთრებით სიყვითლის დროს. ხმარობენ მას კორფლის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ქრისტესისხლა შედის ავთეისებთან სიმსივნეთა (კიბოს) საწინააღმდეგო ნაკრებთა შემადგენლობაში და ამიტომ მას ხშირად ნახავთ ზოგიერთი ქართველი „დასტაქარის“ ან მოსახლის ბოსტანში მოფარებულ ადგილას დაკრულს. ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში ეს მცენარე მოხსენებული არ არის, მაგრამ საზღვარგარეთ ის ხმარებაშია როგორც დამამწვიდებელი, შარდსადენი და ტკივილების დამაყუჩებელი საშუალება, იხმარება ის აგრეთვე კანის დაავადებათა პრაქტიკაში და მექეკების წინააღმდეგ. აგროვებენ მთლიან მცენარეს (*Herba Chelidonii majoris*) უექველად ყვავილობის პერიოდში. ბოლო ხაზებში გამოირკვა, რომ ეს მცენარე აპრილის ნაცვლად უმჯობესია შეგროვდეს გვიან გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, რადგან შემოდგომაზე მოყვავილე მცენარეში ქარბობს ალკალოიდები. ქრისტესისხლას ქიმიური შემცველობა ასეთია: ფესვებში არის რძეწვენი. რომელიც შეიცავს ექსიდან შვიდამდე ალკალოიდს; ეს ალკალოიდები ფესვების მიწიდან ამოღებისთანავე იცვლიან სახეს, რაც დამოკიდებულია წლის დროზე და ამინდზე. ძირითადად ფესვები შეიცავენ შემდეგ ალკალოიდებს: ალოკრიპტოპინს (*Allucryptopin*), ოქსიხელიდონინს (*Oxychelidonin*), მეთოქსიხელიდონინს (*Methoxychelidonin*) და სანგუინარინს (*Sanguinarin*). ალკალოიდების შემცველობა ფესვებში სულ მცირე 0,5% განისაზღვრება და უმოაერეს შემადგენელ ნაწილად ალკალოიდი ხელიდონინი ( $C_{21}H_{19}O_5N$  მოლ. წონა 353.1) ითვლება, ხოლო ნაკარი 8% არ აღემატება. მიწის ზედა ნაწილების რძეწვენში ქარბობს ენნიმები—ოქსიდაზები. ყვითელი საღებავი ნივთიერება ხელიდოქსანთინი (*Chelidoxanthin*), რომლის შემცველობა ახალ მცენარეში 0,005—0,01% განისაზღვრება. მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება შემდეგი ალკალოიდები: ხელერიტრინი (*Chelerythrinum*)—ხელიდონინი (*Chelidoninum*), ჰომოხელიდონინი (*Homochelidoninum*), პროტოპინი (*Protopinum*) და ხელიდონინის მჟავა (*Acidum chelidonicum*). ქრისტესისხლას ფარმაცევტული პრეპარატებია: *Herba Chelidonii*. ახალი რძეწვენი (*Succus recens Chelidonii*), *Extractum Chelidonii*, *Extractum fluidum Chelidonii* და *Tinctura Chelidonii*. ქრისტესისხლასაგან ამზადებენ ფხენილსაც *Pulvis Chelidonii*, რომელიც შეიცავს: *Trituratio Chelidonii „Stada“*, *Calcium Carbonicum praecipitatum* aa 0,95, *Extractum Belladonnae* 0.2; *D. tal. dos Nr. XII ad chart. cerat.* მისი პრეპარატებიდან აღსანიშნავია აგრეთვე *Tinctura cholagoga*: *Tinctura Cardui Mariae* 10,0.

Tinctura Chelidonii, Tinctura Strychni aa 5,0 და Tinctura cholagoga fortis: Tinctura Belladonnae 4,0, Tinctura Chelidonii, Tinctura Cardui Mariae, Spiritus Menthae piperitae aa ad 30,0. ჩვენს ტყეებში ყოველწლიურად შეიძლება ამ მცენარის 2 ტონა მზა მასალა შეგროვდეს.

ნაცარქათამა—*Chenopodium album* (L.) *Chenopodium ambrosioides* (L.) Aellen

ნაცარქათამა ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც ეკუთვნის ნაცარქათამასებრთა (*Chenopodiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება მორიგეობით განლაგებული, ქვედა მხარეზე მჯდომარე ჯირკვლოვანი ფოთლებით. მისი ყვავილი შეკრებილია სქელ და შეფოთლილ ყვავილედში. ყვავილსაყვარით ნაყოფი მთლიანად იფარება. ეს მცენარე ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი არ არის და ტროპიკული ქვეყნებიდან შემოსული ან გზამყოფილი მცენარეა, რომელიც შესანიშნავად ხარობს შავი ზღვის სანაპიროებზე (ჩაქვში). ადრე გაზაფხულზე ხალხი ხმარობს მხალად ნაცარქათამას ყველა სახეობას, ხოლო მის თესლს კი იყენებს როგორც კიის დამდენ საშუალებას. ნაცარქათამას ეს სახეობა თავისი ვარიაციებით და სახეობა *Chenopodium anthelminticum* L. მოხსენებულა დღესდღეობით მხოლოდ ზოგიერთ ფარმაცოპიაში. როგორც ამ უკანასკნელი სახეობის სახელწოდება გვიჩვენებს, ნაცარქათამა გამოყენებულია მეცნიერულ მედიცინაში როგორც კიის დამდენი საშუალება. აგროვებენ ყვავილობაში მყოფ მცენარეს (*Herba Chenopodii ambrosioidis*), რომელიც შეიცავს ეთერზეთს 0,05—1, 4% ასკარიდოლით. მცენარის ყველა ნაწილები შეიცავს. საპონინებს შაქრით და ხელიდონს უმსაპოკენინით. ფესვებში არის ბეტაინი, ლეიციანი, ნაცარი 13—16%. უნგრეთში, გერმანიაში, ამერიკაში, ბრაზილიაში, ბრატანეთში, გალიციაში, შევითარიაში, იუგოსლავიასა და ნიდერლანდებში ძირითადად იყენებენ: *Chenopodium ambrosioides* (L.) Aellen და *Chenopodium anthelminticum* L., მათი საექიმო ფარმაცოპია: *Oleum Chenopodii* (*Ch. anthelminticum*), რომელსაც ერთ მიღებაზე აღევენ 0,5 ccm, ხოლო დღელამეში 1,0 ccm და *Mucilago Chenopodii*, რომლის შემადგენლობაშიც შედის *Oleum Chenopodii* 1,2, *O. Ricini* 20,0, *Mucilago Tylose* 5,0 *Tinctura Allii sativi* 10,0, *Aqua Menthae piperitae* ad 100,0. ნაცარქათამას ეს სახეობა ჩაქვში 0,5 ტონის რაოდენობით შეგროვდება.

## ვარდკაქაჟა—*Cichorium intybus* L.

ეს მრავალწლოვანი მცენარე ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (Compositae) ბოტანიკურ ოჯახს, ხასიათდება 70 სმ, ზოგჯერ ერთი მეტრი სიმაღლის დატოტიანებული ღეროთი. ქვედა ფოთლები ამოდრღნილ-ფრთართულებია, ხოლო ზედა ხასიათდება განიერი ფუძით და ბასრი დაკბილვით. ფესვები მეტად ხორციანია და რძეწვენიის შემცველი. მტრედისფერი ყვავილები შეკრებილია კალათა ყვავილედში, რომლის გვერდითი კალათები მჯდომარე ან იშვიათად ყუნწიანია. ვარდკაქაჟა ყვავილობს მაისიდან მოყოლებული სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე. ვარდკაქაჟა გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთაეში, დაწყებული დაბლობიდან ვიდრე მთის მაღალ სარტყლამდე, როგორც მშრალ ბალახოვან კლდეებზე, ისე ბუჩქებს შორის, ტყის პირას, ნაგვიან ადგილებში და სავ. და ამიტომ ამ მცენარეს მრავალფეროვან ფიტოცენოზში ვხვდებით. ჩვენი ხალხი მას იყენებს როგორც მთლიანად, ისე ცალკე ფოთლებსა (Folia Cichorii) და თესუს (Semina Cichorii). ვარდკაქაჟას რძეწვენი, ვარდკაქაჟას წვენი (Succus Cichorii), ვარდკაქაჟას ყვავილის წყალი (Aqua Cichorii), ვარდკაქაჟას ყვავილის არაყი (Spiritus Cichorii) და ვარდკაქაჟას ფესვის ქერქი იხმარება როგორც სიმსივნეთა დამცხრობი საშუალება, ხურგების წინააღმდეგ, ღვიძლის ტკივილის დროს და სხვ. დავით ბატონიშვილის თქმით: „მოიხანე ვარდის კაქაჟის ფოთოლი, ძაღლის ყურძენი, ჯინჯარი, ქანდრის ფოთოლი, დანაყილი სანდალი, ძმარი და ვაშლის წვენი. ესე წამლები რომელიცა იყოს ცოტა ქაფური გაურივეთ და ამის წყალშიგა ერთი ხელისახოცი დაასვრელეთ და გულსა და ატომაქსა და ღვიძლსა საწოლსა ალაგზედა გარდააფაროთ და ძალითა ღვთისათა ღვიძლის ტკივილსა და სიმსივნესა, ორსავე უშკელის“-ო. ვარდკაქაჟას ფესვებში არის ციხორინი, რომელსაც იყენებენ ყავის სუროგატად. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში ეს მცენარე მოხსენებული არ არის და ამიტომ მეცნიერულ მედიცინაში ის ჩვენთან გამოყენებული არ არის, რადგან უკეთესი შემკვლელები გვაქვს. მაგრამ ბრაზილიაში, გალიციაში, პორტუგალიაში და იტალიაში ვარდკაქაჟას დღესაც იყენებენ Folia et Radix Cichorii-ს სახით (ბრაზილია, გალიცია და იტალია), Radix Intybi (პორტუგალიაში) და სხვ.

მისი ფოთლებისა და ყვავილების (Folia et Flores Cichorii) ქიმიური შემცველობა ასეთია: 0,1—0,2 მწარე ნივთიერება (გლუკოზიდი) ციხორინი, ქოლინი 4,5—9,5%, ფრუქტოზი 6,5%, ჩვე-

ულბრივი ნახშირწყალი, 0,3—0,5% ცხიმები, 3—4,5% ნაცარი. ახალი ფესვები [Radix Cichorii (Jntybi)] შეიცავენ 11—19% ინულისს, 10—22%—სხვა შაქარს, თრიმლის მკაფას. პექტინს, ცხიმზეთს, ფისს. რთულ ეთერზეთს, ლევეულობას, ქოლინს. ვარდკაქას რძეწვენიში შედის: წებო, მწარე ნივთიერება, ლაქტუცინი, გლუკოზიდიციხორინი  $C_{32}H_{34}O_{19} \cdot 4\frac{1}{2}H_2O$ , რომლის ჰიდროლიზით მიიღება გლუკოზა და ციხორიგენინი. ვარდკაქაქის საექიმო ფორმები: Extractum Cichorii (ბრაზილია), Extractum Cichorii fluidum (ბრაზილია), Sirupus Cichorii (ბრაზილია). ვარდკაქას ყვავილი, ფესვი, ფოთოლი და მთლიანი მცენარე ჩვენში ყოველწლიურად შეიძლება 4 ტონის რაოდენობით შეგროვდეს.

### ქვავის რქა—Claviceps purpurea (Tries) Tulasne

ეს ჩანთოსანი პარაზიტი სოკო ეკუთვნის Hypocreaceae-ს ოჯახს, რომელიც პარაზიტობს მარცვლოვან მცენარეებზე, განსაკუთრებით მარცვლოვნების ყვავილობის პერიოდში. ამ დროს ქვავის რქის მიკროსკოპული სპორები იმყოფება ჰაერში, ხვდება ხოლმე მარცვლოვანი მცენარის გაშლილი ყვავილძა მიღში, იკავებს მაღიან ნასკვს და წარმოშობს საზაფხულდო სპორებს, რომლებიც რამდენიმე ხნის შემდეგ ედება ქვავის ახალ ეგზემპლარებს. ქვავეზე ვითარდება მოშავო ფერის რქის მსგავსი სხეულები, რომლებიც გადაინანთებენ, კვლავ წარმოშობენ სპორებს, კვლავ ახვდებიან მარცვლოვანი მცენარის ყვავლის დანგზე და ამრიგად აოკოს განვითარების ციკლი კვლავ მეორდება. თუმცა ეს სოკო ყველგან ხშირად ქვავეზე ვითარდება, მაგრამ მას ჩვენში სხვა მარცვლოვან მცენარეზეც ნახავთ, მაგალითად, ხორბალზე, ქერზე, ფეტვეზე, განჯაზე, ღვარძალაზე, წივანაზე, შერიანზე, გლიცერიაზე, თივქასრასზე, სათითურაზე, ტიპოთელაზე, მელიკუდაზე, ნამიკრეფიანზე, ლაკაოტიაზე და სხვ.

გემოთი ქვავის რქა ტკბილია, მაგრამ თუ მისმა რაოდენობამ დააუღებელი მარცვლოვანის ფქვილში 5% მიაღწია, ის უკვე მომწამვლეელია. ასეთი ფქვილის ხშირად ხმარების შემთხვევაში მოსალოდნელია ქრონიკული მოწამვლის გამოვლინება, რაც, ჩვეულებრივ, სიკვდილით თავდება. შეიძლება დამთავრდეს მოწამვლის მწვავე ფორმითაც, რომელსაც იწვევს ქვავის რქის შიამიანი ალკალოიდები—ერგოტოქსინი და ერგოტამინი. მოწამვლა გამოიხატება სხეულის პერიფერიული ნაწილების კვების მოშლაში, რასაც მოსდევს განგრენა და სიკვდილი ან სხეულის ნაწილის მოვადნა. განგრენა ვითარდება

სისხლძარღვოვანი სისტემის დაეწროებით და ბოლოს სისხლის ძარღვთა დახვეით. სისხლის ძარღვის სრულ დახშვას იწვევს ჰიპალინური ტრომბების გაჩენა. მსგავსი სურათი ვითარდება ცხოველის მოწამკლის დროსაც, რასაც იწვევს თევა, რომელშიც ბევრი სკლეროციები. ასეთ მოწამკლას, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ბანდალას უწოდებენ, ადგილი ჰქონდა ჩვენში (სამეგრელოში) საქონლის გამოკვებისას მცენარე ლაკარტიას (*Paspalum digitaria* poir. et *P. distichum* non L.) (ლიპსკი) დაავადებული თევით. მეცნიერულ მედიცინაში ამ სოკოს იყენებენ როგორც საუკეთესო საშუალებას სისხლის ღენის შესაჩერებლად, განსაკუთრებით საშეილოსნოდან — მშობიარობის შემდეგ, ცხვირიდან და ღრძილებიდან — კბილების გაძნელებული ამოჭრისას, ნაწლავებიდან, ფალარათობის დროს და სხვ. მსგავსი გამოყენება აქვს მას ვეტერინარიაშიც. ქვევის რქის პრეპარატები თითქმის ყველა სახელმწიფოში გამოყენებულია და ფარმაცოპიაშიც მოხსენებულია *Secale Cornutum*-ის სახელწოდებით; ქვევის რქა შეიცავს ალკალოიდებს, პროტეინოგენურ და აციკლურ ამინებს. ქვევის რქის ალკალოიდებია: ერგოტოქსინი — ჰიდროერგოტინინი, კრისტალური ერგოტამინი (რომლის რაოდენობა ახალ ქვევის რქაში 2% უდრის), უმოქმედო ალკალოიდები: ერგოტინინი — დეჰიდრირებული ერგოტოქსინი, ურაცილი — 2-ნ დიოქსი — პირიმიდინი. ქვევის დანარჩენ ალკალოიდები არ შეიცავს მოქმედ საწყისებს და ამიტომ არამოქმედ ალკალოიდებად ითვლება. ქვევის რქის ციკლური — პროტეინოგენური ამინებია: ტირამინი — ოქსიფენილეთილამინი, ჰისტამინი — იმიდაზოლილ-ეთილამინი; ალიფატიური ბაზით მასში მოიპოვება ქოლინი, აცეტილქოლინი, აგმატინი — ამინობუტილენგუანიდინი, ბეტაინი და რიგი გაეთილირებული რადიკალები, არაალკალოიდური შემცველობის გლუკოზიდაკლავიცეპსინი და საღებავი ნივთიერება. აქტიურად მოქმედ ნივთიერებებს, რომლებიც შედის ქვევის რქის შემცველობაში, W. Küssner-ი ყოფს სამ ჯგუფად: 1. ერგოტინინი. ფსევდო-ერგოტინინი, ერგოტოქსინი, ერგოტამინი, სენსიბამინი, ერგოკლავინი; 2. ბიოგენური ამინები, რომელთა სამედიცინო ღირებულება საეკვია; 3. ერგომეტრინის ჯგუფი ანუ ოქსიტოკური მოქმედების ალკალოიდები — ერგომეტრინი, ერგოტოცინი, ერგოტამინინი, ერგობაზინი, ერგოსცეტირინი. ქვევის რქის პრეპარატებია: *Extractum Secalis cornuti*, *Extractum Secalis cornuti fluidum* (ეს ორი პრეპარატი მოხსენებულია მხოლოდ ჩვენი ფარმაცოპიის მე-7 გამოცემაში). *Mixtura Secalis cornuti*, *Sirupus Secalis cornuti*, *Secale cornutum pulveratum*, *Secaleu*, *Ergotinum*, *Basergin* და სხვა მრავალი. ბაზერგინი

წარმოადგენს ქვევის რქის ალკალოიდ ერგობაზინს  $C_{19}H_{23}O_2N_3$ , რომელიც მოქმედებს უფრო სწრაფად, ვიდრე ქვევის რქის სხვა ცნობილი პრეპარატები და საპირისპიროდ ერგომატინისა არ არის სიმპათიკური ნერვის შემკავებელი; მისი ლობის ტემპერატურა— $160^{\circ}$  უდრის. მას უშხაპუნებენ კუნთებში ან კანქვეშ და იყენებენ როგორც საუკეთესო საშუალებას საშიგლოსნოდან სისხლის დენის შესაჩერებლად (uterotonicum); მკირე ღოზებში შიგნით მიღებული ის იწვევს სამშობიარო კინთვებს.

ქვევის რქიდან დემოკრატიულ გერმანიაში მიიღეს ახალი პრეპარატი ერგომეტრინი, რომელიც წინააღმდეგ ერგოტოქსინის ჯგუფის ალკალოიდებისა წყალში ხსნადი და მდგრადია. ძირითადად მას იყენებენ მძიმედ მიმდინარე მშობიარობის დროს, აგრეთვე გინეკოლოგიურ პრაქტიკაში და სხვადასხვა სახის სისხლის დენის შემთხვევებში. შემდეგი ახლად მიღებული პრეპარატი არის ნეო გინერგინი (Neo-gynérgin), რომელიც შეიცავს ქვევის რქის კირის-ალურ ალკალოიდ ერგომატინს (გინერგენს) და ახლად აღმოჩენილ წყალში ხსნად სეველალკალოიდ ერგობაზინს (ბაზერგინი, ერგომეტრინი). ის იყიდება ამპულებში და იხმარება როგორც სწრაფად მოქმედი უტეროტონიკუმი.

იმ აგროტექნიკურ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც ტარდება საქართველოში მარცვლოვანი კულტურების დაცვისათვის. ქვევის რქის მარაგი ჩვენში დიდი არ არის. კვლევის პერიოდში ჩვენ შეგვივდა ის მხოლოდ სპორადიულად და ისიც მეტად მკირე რაოდენობით ჯავახეთის მიდამოებში მარცვლოვანებზე მუშაობის დროს, ხოლო ველური მცენარეებიდან ის სულ 30—50 კგ რაოდენობით თუ შეგროვდება.

### რ ე ც ე პ ტ ე ბ ი :

Rp.: Secalis cornuti—pulv. 0,5

D. t. d. N 6.

S. თითო ფხენილი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Inf. Secalis cornuti

6,0 : 200,0

DS. თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Inf. Secalis cornuti

6,0:200,0

Elixir ac. Halleri 4,0

MDS. თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Ergotini 1,0

D. t. d. N 6 in ampul.

S. საინექციოდ.

Rp.: D—ti Secalis cornuti

5,0 : 200,0


Ac. hydrochlorici diluti 2,0

MDS. თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ.

სათოვლია—*Colchicum umbrosum* Stev.

(*Colchicum speciosum* Stev.)

სათოვლია ცნობილია საქართველოში უცუნას სახელწოდებ-  
ბითაც, ეკუთვნის შროშანასებრთა (*Liliaceae*) ბო ჯანიკურ ოჯახს.  
მეტად ლამაზი და საინტერესო მცენარეა. ის ყვავის ერთი  
ღლით ადრე თოვლის მოსვლის წინ, ამიტომ ქართველები მას სა-



სურ. 9. უცუნა, სათოვლია (*Colchicum laetum* Steven.).

თოვლიას უწოდებენ. ეს მცენარე ჩვენი მწყემსების ბარომეტრია;  
როგორც კი სათოვლია აყვავდება, მათ უკვე იციან, რომ მეორე



დღეს უმეტესად თოვლი მოვა და ამიტომ საქონელს დაძრავენ და ბარად ჩამორევენ ხოლმე. ეს დაბალი ტანის მცენარეა, რომელსაც აქვს დაახლოებით 3 სმ სისქის ბოლქვი, ოთხი მბრწყინავი მწვანე ფერის ფოთოლი და ერთიდან სამამდე ღია წითელი ფერის ყვავილი; ყვავილსათარი ზოგჯერ 4—5 სმ-ის სიგრძისაა. სათოვლია გიხედება უმთავრესად მაღალი მთის ტყეთა საზღვრებზე (სურ. 9). გრი სპეიმის მიხედვით ეს მცენარე აღწერილია ქართლის მიდამოების მცირედ კლდეებზე, ბალახოვან და ველის მცენარეთა შორის და წარმოადგენს კავკასიურ გეოგრაფიულ ტიპს. მაგრამ მცენარის ეს სახეობა ჩვენში ბლომად არ მოიპოვება, ხოლო სხვა სახეობები, როგორცაა: *Colchicum Szovitsii* Fischler et Meyer (*C. Steveni* (non L.) Ledebour და *Colchicum nivale* Boissier et Huet., *C. montanum* Boissier), საკმაოდ გავრცელებულია. სათოვლიას ყველა სახეობა შხამიანია და ზეიცავს ყველა ნაწილებში შხამ კოლხიცინს. ეს ლათინური სახელწოდება „*Colchicum*“ სათოვლიას გვარმა კოლხეთიდან მიიღო და სახელი გაითქვა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, როგორც საუკეთესო საწამლაგამა, რომელსაც იყენებდნენ მონადირეები და მეთევზეები.

დღესაც ბევრი ქართველი დიასახლისი (დასავლეთ საქართველოში) მოგიითხრობს სათოვლიას, ლენცოუას და კონიოს შხამით შოწამლულთა ამბებს. პატარა მთელი მწყურსები ხშირად იწამლებიან სათოვლიათი, იინიდან ვერ არჩევენ მას მცენარე ღვინასაგან (*Fritillaria latifolia* Willdenow), რომელიც უმად იქმება და, სახხრეთ ოსეთის მკვიდრთა წარმოდგენით, კუჭის ყოველგვარ დაავადებას უხდება.

მეცნიერულ მედიცინაში სათოვლიას იყენებდნენ წინათ რევმატული ანთების, ნიკრისის ქარების და ნევრალგიების დროს, აგრეთვე როგორც *drasticum*-სა და *diureticum*-ს. თუმცა ჩვენში დღეს მას აღარ იყენებენ, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნების ფარმაკოპეაში ის დღემდე შემორჩა. სათოვლია საყურადღებო გახდა მას შემდეგ, რაც გამოიკვია მისი ახალი თვისება, სახელწოდების ის, რომ თუ მის წვენს კოლხიცინს წაუსვამთ ისეთ მცენარეს, რომელსაც ვეგეტატიურად გამრავლების უნარი დაკარგული აქვს (მაგალითად, ფიჭვის), შხამის წანასეამზე ფესვები ვითარდება. ცნობილია, რომ ხაზში სათოვლია უძველეს დროიდან მიჩნეული იყო როგორც გამაახალგაზრდავებელი საშუალება. გარდა ამისა, იგი ითვლება საუკეთესო თაფლოვან მცენარედ. ამ მცენარის თესლის (*Semen Colchici*) ქიმიური შემცველობა ასეთია: ალკალოიდები-კოლხიცინი  $C_{22}H_{25}O_6$  N—0,2—0,4%, ოქსილკოლხი-

ცინი, რომეოიც წარმოადგენს ძლიერ შხამს და იწყებს მოქმედებას მიღებიდან ო-ი-სამი საათის შემდეგ; ეს შხამ კოლხიციინის უცვლელი პროდუქტია და მისი შეკველობა თესლში 0,5% უდრის. გარდა ამისა, სათოვლია შეიცავს: ცილოვან ნივთიერებას. შაქარს. ცხიმუხვებს და მინერალურ ნივთიერებებს, ნაცრის რაოდენობა 3—8% შორის მერყეობს. სათოვლიას ბოლქვები და ფოთლები თითქმის იგივე შემცველობისაა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბოლქვებში 20%-მდე სახამებელია, ამიტომ ამ მცენარის თესლს, ფოთლებს და ბოლქვებს (Semen, Folia et Bulbi Colchici) იყენებენ შემდეგი ფარმაცევტული პრეპარატების მისაღებად: Aceti Colchici, Oxymel Colchici, Tinctura Colchici. Vini Colchici, Extractum Colchici Bulbi, Tinctura Colchici e Bulbo, Colchici pulvis. გარდა ამისა, სათოვლიას თესლიდან ბელგიაში ამზადებენ Extractum Colchici (Seminis), ბრიტანეთში Extractum Colchici siccum. ბრიტანეთში. ბრაზილიაში და სხვა ქვეყნებში იღებენ Extractum Colchici fluidum (Liquidum). სათოვლიას ბოლქვებიდან, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნებში უწოდებენ Bulbus Colchici, Tubera Colchici—და Colchici Cormus,—ამზადებენ: Fluidextractum Colchici Cormi Tinctura Colchici Cormi fortis და სხვ. მთლიანი მცენარის პრეპარატია Colchicinum და Colchiceinum. კოლხიციინის ქიმიური ფორმულა და მოლ. წონა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი, აგროვებენ ყვავილობაში მცენარის ყველა ნაწილებს, რომელიც, ნიღარლანდების მონაცემებით. შეგროვებიდან ერთი წლის შემდეგ აღარ ვარკა. ჩვენში სათოვლიას სხვადასხვა სახეობათა შეგროვების პერსპექტივები ასეთია: ქვემო სვანეთში სამეგრელოს საზღვრიდან ხაიმამდე შეიძლება შეგროვდეს 1,75 ტონა, აფხაზეთში 0,75 ტონა, სამეგრელოში 0,2 ტონა, რაჭალეჩხუმში 0,3 ტონა, სამხრეთ ოსეთში 0,5 ტონა. სულ საქართველოში 2 ტონა.

### რეცეპტები:

#### Pilulae antarthriticae

Rp.: Colchicini 0,05  
Lithii citri 4,5  
Extracti Faclei  
Radix Liquiritiae pulv.  
àà 5.0  
Glycerini W. S.  
M. f. pil. N 60  
DS. ექიმის დანიშნულები-  
სამებრ.

#### Pilulae Colchicini

Rp.: Colchicini 0,05  
Sacchari lactici 3,0  
Amyli Tritici 10,0  
Rad. Liquiritiae 10,0  
Gummi arabic. pulv. 1,25  
Glycerini  
Aqua dest. àà q. s. zu 10 Pil.  
MDS. ექიმის დანიშნულები-  
სამებრ.

## კონიო — *Conium maculatum* L.

კონიო ეკუთვნის ქოლგოსანთა (*umbelliferae*) ბოტანიკურ ოჯახს. მისი მრგვალი, შიშველი დატოტიანებული ღერო ხშირი მუქი ყავისფერი წირტილებით ერთი მეტრის სიწალეზე იზრდება. კონიოს ფოთლები ორმაგ ან სამმაგ ფრთად — განკვეთილია. სეგმენტებიანი და შიშველი, ხოლო პატარა თეთრ ყვავილოვანი ქოლგები 12–20 სხივიანია. ყვავილსაფარი შედგება 5–6 მოხრილი ლანცეტა ფოთოლაკისაგან. ზოგჯერ ყვავილსაფარის 3–4 ფოთოლაკი ერთადაა შეზრდილი. ნაყოფი 2,5 მმ-ის სიგრძისაა. საქართველოში ეს მცენარე გავრცელებულია ქაოზიან, ნისტიან და ნაგვიან ადგილებში, ძირითადად აფხაზეთში, საჩხერელოში, აჭარაში, გურიაში, იმერეთში და თბილისში.

კონიო მეტად შხამიანი მცენარეა. ფიქრობენ, რომ ფილოსოფოსი სოკრატე მოწამლეს ამ მცენარის აგან მომზადებული შხამით. გარდა თხისა, სხვა საქონელი მას არ ეტანება საკმლად. ჩვენი ხალხი იყენებს მას ნაყენების სახით ავიზნისა და კრუნჩხვების წინააღმდეგ, ხოლო მეცნიერულ მედიცინაში კონიოს პრეპარატებს იყენებენ ტკივილების დამაყუჩებელ საშუალებად. ჩვენი ფარმაცოპეას მე-7 გამოცემაში კონიო მოხსენებული არ არის, რადგან ჩვენ მასზე უკეთესი შემცვლელი მოგვეპოვება, მაგრამ სხვა სახელმწიფოებში მას ღღესაც იყენებენ. პორტუგალიაში ეს მცენარე ცნობილია *Cicuta maculata* samk. სახელით. კონიოს შემცვლელად ხშირად იყენებენ მცენარე *Cicuta virosa* L. (*Cicutaria aquatica* Lam.), რომელიც მსგავსად კონიოსი შხამიანია, ქოლგოსანთა (*Umbelliferae* — *Ammineae* — *Carinae*) ოჯახს ეკუთვნის და ჩვენში (აფხაზეთი-ბიჭვინთა) ხარობს. ციკუტას ახალი მცენარის ფესვებში მოიპოვება 0,2% და გამშრალში 3,5% ფოსის მსგავსი, უაზოტო, ნეიტრალური, ამორფული და ძმარე შხამიანი ნივთიერება ციკუტოქსინი. მწვავე სუნის, მქროლადი ალკალოიდი ციკუტინი და 0,12–0,36% ეთერზეთები საექვო ტერპენით ციკუტინით. გარდა ამისა, ამ მცენარეიდან გამოყოფილია კიდევ ციკუტოქსინი და ციკუტოქსინინი, რომლებიც ცალცალკე არსებობენ და შხამიანებია. ციკუტას ყველანაწილები შხამიანია, მაგრამ ყველაზე მეტად შხამი მის ფესვებშია დაგროვილი.

ეს მცენარე შეიცავს ძირითადად ალკალოიდ მკონინს (აპროპილპიპერიდინს), რომლის რაოდენობა კონიოს ნაყოფში 1%–ს უდრის. გარდა ამისა, ის შეიცავს ალკალოიდ ყ კონიციენს (ეს უკანასკნელი ალკალოიდი მზ. პრეპარატში 10% შეადგენს), კონჰიდრინს (*Conhydrin*). მეთილკონინს, ფსევდო-კოჰიდრინს, ვაშლის მჟავას და კოფეინის მჟავას. ფიქრობენ, რომ ამ უკანასკნელად



სურ. 10. კონიო (Conium maculatum L.).

ორი შეავას სინთეზი წარმოადგენს კონიინის შეავას. ახლად შეგროვილ მცენარე კონიონი ყველა აქ ალკალოიდების შემცველობა 2%-ს უდრის. გაშრობის პროცესში ეს მცენარე *Herba Conii* ჰყარკავს ალკალოიდებს და სააფთიაქო წესით გამწრალ მცენარეშიც კი ალკალოიდების რაოდენობა 0,7%-მდე დადის, ხოლო ნაცრის რაოდენობა 8% შეადგენს. ძირითადად იყენებენ ამ მცენარის ნაყოფს (*Fructus Conii Cicutae*). კონიოსაგან მიღებული პრეპარატები მეტად შხამიანია, ამიტომ ისინი გაერთიანებული არიან „ბ“ სიაში და მთავარ მოქმედ საწყისად მათში კონიინი ითვლება. მისი სამკურნალო ფორმებიდან აღსანიშნავია: *Emplastrum Conii maculati*, *Extractum Conii maculati siccum* (უძალღესი დოზა ერთ მიღებაზე 0,05 გრამი, ხოლო დღე-ღამეში 0,2 გრამი), *Extractum Conii (Cicutae)*, *Extractum Conii fluidum*, *Emplastrum Conii*, პრეპარატი კონიინი (*Coniinum*), უძალღესი დოზა ერთ მიღებაზე 0,002 გრ., ხოლო სადღღღამისო 0,01 გრამი, *Coniinum hydrobromicum* (უძალღესი დოზა ერთ მიღებაზე 0,005 გრამი, ხოლო სადღღღამისო 0,015 გრამი).

ჩვენში კონიო შეიძლება შეგროვდეს 1,5 ტონის რაოდენობით, აქედან გურიასა და აქარაში 0,5 ტონა, სამეგრელოში 0,5 ტონა და აფხაზეთში 0,5 ტონა. აგროვებენ მთელ მცენარეს ყვავილობის ან ნაყოფობის პერიოდში.

### შროშანა — *Convallaria transcaucasica* Utkin

შროშანა ეკუთვნის შროშანასებრთა (*Liliaceae*) ოჯახს. ადგილობრივ მცხოვრებლებს ხშირად ერევა ი ეს მცენარე სეინტრში, რომელსაც ის თითქოს მართლაც გავს ფოთლებით, მაგრამ მათი გარჩევა მაინც ადვილია, რადგან შროშანას ახასიათებს 2—3 ფესვთანი გრძელყუნწიანი ოვალური ან ლანცეტა, შიშველი და მკვეთრი მწვანე ფერის ფოთოლი პარალელური ნერვაციით. შროშანა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომლის ღერო უფოთლოა, ხოლო კენწერს ამშვენებს მტევან ყვავილედში შეკრებილი მოკლე ყუნწიანი ყვავილები, რომლებსაც ჯაშის ფოთოლაკები არა აქვთ, გვირგვინის ფურცლები ბარისებურია და დაკბილული, ახასიათებს ექვსი მტვრიანა და წითელი, ბურთივით მრგვალი, კენწრა ნაყოფი. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია. მაგრამ მისი ყვავილი მეტად ლამაზი და სურნელოვანია. ჩვენში ის საკმაოდ გავრცელებულია და საქართველოს მთის ქვედა სარტყლის ნესტიან ტყეებისათვის დამახასიათებელი მცენარეა (სურ. 11). ჩვენ ვნახეთ ის როგორც ნათელ ფიქვნარ



სურ. 11. შროშანა (*Convallaria transcaucasica* Utkin).

ტყეში, მშრალ თიხ კირიან ადგილებში (ქართლი, გუდალეთი) ისე ნესტიან, ჰუმუსიან შავმაწა ნიადაგებზე (სამხრეთ ოსეთი), ნესტიან, თიხნარ კირნარებზე (სვანეთი, რაჭა) და ნესტიან შლამიან ნიადაგებზე (მდინ. იოზისა და ალაზნის სანაპირო ქალის ტყეებში). ქართულ ხალხურ მედიცინაში ეს მცენარე გამოყენებულია როგორც წყალმანკის საშინაომდეგო საშუალება. ხალხის დაკვირვებით ის აწესრიგებს გულის მუშაობას, ამასთან კარგი შარდსაღინი საშუალებაა და ამიტომ მისი ფესვებისა და ფოთლების ნახარშით ავადმყოფი იკურნება წყალმანკისაგან. შროშანას ეს სახეობა არც ერთ ფარმაკოპეიაში შესული არ არის, მაგრამ ის გამოყენებულია მეცნიერულ მედიცინაში ჩვესში, როგორც საუეოისო საშუალება გულის მუშაობის მოსაწესრიგებლად გულის ნერვული აღზნების დროს. მსგავსად გიჟანასი. შროშანას ეს სახეობა უკეთეს შედეგებს გვაძლევს. ვიდრე ყველა ფარმაკოპეიაში მოხსენიებული *Convallaria majalis*-ი. ამით აიხსნება, რომ შროშანას ჩვენი სახეობა უკვე დიდი ხანია სველის *Convallaria majalis* და ამ მიზნებისათვის საქართველოში მას ამზადებენ კიდევ. ეს სამკურნალო საშუალება კუმულაციური თვისებებით ხასიათდება. იუნაი ენ კვაკილობაში მკუფ მთლიან მცენარეს ან (ალკე ყვავილს, ფოთოლს და ფესვებს. მთლიანი ბალახი (*Herba Convallariae*) შეიცავს კონვალატოქსინისა და კონვალამარინის ნახევ გლუკოზიდს, რომელშიაც კონვალატოქსინი 20% შეადგენს, ხოლო კონვალამარინი კი 80%. მეტწილად ისინი მოიპოვებიან შროშანას ფოთლებში, განსაკუთრებით წისი დაყვავილებიდან მცირე ხნის შემდეგ. ორივე ეს გლუკოზიდი გულის საშუალებათა ჯგუფსაა, მაგრამ მთავრეს მოქმედი საწყისებს იძლევა კონვალატოქსინი, რომელიც მოქმედებს გულზე მსგავსად ფურკარასი და სტროვანტისა. რაც შეეხება კონვალარინს, ის გულზე არ მოქმედებს, სამაგიეროდ მას აბასიათებს საფალარათო თვისება და გამაღისიანებელი გავლენა თირკმლებზე. გარდა ამისა, მთლიანი მცენარე შეიცავს ხელიდონინს, ასპარაგინს, ვაწლისა და ლიმონის მკვას და ფისს. მის ყვავილებში (*Flures Convallariae*) შედის ეთერზეთები, რომლებსაც იყენებენ პარფიუმერიაში და კრისტალური მკვრივი ნივთიერებანი. შროშანას ფესვურები (*Radix Convallariae*) თითქმის იგივე შემცველობისაა, რაც მთლიანი ბალახი, იმ განსხვავებით, რომ მოქმედი საწყისები მათში პროცენტულად უფრო ნაკლებია, ხოლო ნაცრის შემცველობა კი 5-6% უდრის. ვფიქრობთ, რომ ფესვებში კონვალარინი. კონვალარეტინი, კონვალამაონინი და კონვალამარეტინი შემოდ-

გომასა და ზამთარში უფრო მეტია, ვიდრე ყვავილობის პერიოდში და ალბათ ამით აიხსნება, რომ ჩვენი მოსახლეობა მიგვიითიბებს წლის ამ პერიოდში შოროშანას ფესვებისა და ფესვურების შხამიანობაზე. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემით ცნობილია შროშანას შემდეგი პრეპარატები: *T-ra Convallariae majalis*, რომლის მოსამზადებლად იღებენ ფოთლებისა და ყვავილების ნახევს 3:1 40% - იან სპირტთან, ისე რომ ნაყენში 12 ერთეული იყოს. ინახება ეს პრეპარატი „ბ“-სიის მიხედვით; უმაღლესი დოზა ერთ მილგბასე 20 წვეთია (1.25 გრ.), ხოლო სააღლეულისო 50 წვეთი (3.75 გრ.). ჩვენში იყენებენ აგრეთვე ყვავილების ნაყენს (*Jnfusum flor. Convallariae majalis*) და ახალ ნეოგალენურ პრეპარატებს — კ-ნვალენს (*Convallen*), კონვაზიდს (*Convasid*) ამპულებში 1 cm<sup>3</sup> რაოდენობით.

საზღვარგარეთულ ფარმაკოპეაში მიღებულია შემდეგი პრეპარატები: *Fluidextractum Convallariae Radicis*, *Extractum Convallariae aquosum*, *Extractum Convallariae fluidum*, *Tinctura Convallariae* (იშირად კოფეინთან ერთად უნიშნავენ ამ უკანასკნელს), *Tinctura Convallariae cum Coffeino*, *Coffeinum --Natrium benzoicum* 2,0 და *Tinctura Convallaria ex Herba recenti ad. 20,0*, ანდა როგორც გულის საშუალებას (*Tinctura cardialis*). ამ პრეპარატებს კოფეინის გარდა უნიშნავენ კუნელის გამონაწელითან ერთად (*Tinctura Convallariae ex Herba recenti 20,0* და *Extractum crataegi fluidum 10,0*). გარდა ამისა, შროშანადან მიიღეს კონვალანი (*Convallan*), ყოველგვარი ბალასტი ნივთიერებისაგან განთავისუფლებული ალკალოიდების კრებადობა, რომელსაც იყენებენ გულის ინსუფიციენციის, სისუსტის ან გულის კუნთის მოღუნების შემთხვევებში. ჩვენში შროშანა შეიძლება დამზადდეს ყოველწლიურად დაახლოებით 5 ტონის რაოდენობით. აქედან სვანეთსა და რაჭაში 1 ტონა, სამხრეთ ოსეთში 1 ტონა, ქართლში 1 ტონა, კახეთში 2 ტონა. მისი დამზადება შეიძლება აპრილიდან ივლისის ბოლომდე.

#### რეცეპტები:

- |  |  |
|--|--|
| Rp.: <i>Jnf. flor. Convallariae majalis</i> 2,0-3,0—4,0; 200,0 | Rp.: <i>T—rae Convollariae majalis</i>                     |
| <i>T—rae Valerianae simpl.</i> 6,0                             | <i>T—rae Valerianae simpl.</i>                             |
| MDS. ექიმის დანიშნულებისამებრ.                                 | სმ 5,0   |
| Rp.: <i>T—rae Convallariae majalis</i> 10,0                    | MDS. ექიმის დანიშნულე-ბისამებრ.                            |
| DS. ექიმის დანიშნულე-ბისამებრ.                                 | Rp.: <i>Convasidi</i> 1.0                                  |
|  | <i>D. t. d. № 3 in amp.</i>                                |
|  | S. ექიმის დანიშნულებისამებრ (02,—0,3—0,5cm <sup>3</sup> ). |



შინდი საკმაოდ გავრცელებული მცენარეა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. იზრდება მოზრდილი ბუჩქის სახით და ეკუთვნის შინდისებრთა (*Cornaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. შინდს ახასიათებს მოკლეუწწიანი კვერცხისებური ან ელიფსური, წაწვეტიანებული და კიდეთლიანი ზოგჯერ სუსტად შებუსვილი ფოთლები პრიალა ზედაპირით. ზევიდან შინდის ყვითელი ფერის ყვავილები გვირგვინის ლანცეა მოხრილი ფურცლებით და შებუსვილი ყუნწებით ქოლგისებურად შეკრებილია. შინდის ყვავილები იშლება ადრე გაზაფხულზე ფოთლების გაშლამდე, მაგრამ ნაყოფი მხოლოდ გვიან შემოდგომაზე მწიფდება. მისი ნაყოფი მოგრძო ფორმისაა და მუქი წითელი ფერის. შინდი იტანს სიმშრალეს და შესანიშნავად გრძობს თავს თიხნარ-კირნარ ნიადაგებზე. ჩვენში იზრდება შინდის რამდენიმე სახეობა, რომლებიც დაამუშავა ბოტანიკოსმა ქ. სანაძემ; ერთ-ერთ მათგანს მან უწოდა მისი ადგილსამყოფელოს სახელი *Armasica*, მათ შორის, თუმცა იშვიათად, საქართველოში იზრდება თეთრი შინდიც. შინდს, მსგავსად პანტასი, ჩვენი ხალხი იყენებს როგორც შემკვრელ საშუალებას კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს. ასევე უხსოვარ დროიდან იყენებენ ზღმარტლსაც, როგორც შემკვრელს და მუნის საწინააღმდეგო საშუალებას. შინდის შესახებ დავით ბატონიშვილი შემდეგს მოგვითხრობს: „კაცი რომე მუცელშიგან გახსნით იყოს და ამა შინდის შეკამადი ქამოს, მაშინვე მუცელშიგა შეჰკრავს, მეტადრე მაშინ, რომ ესე შინდი კაცმან ცრვად გამოჰხადოს და კარგად ნიორი ურიონ, სისხლს დაწმენდს და დააწყნარებს. კაცმან რომე ან შინდის შეკამადი ქამოს, ან ამ შინდის ჯუღაბი სეას, გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და ძალასა და წყალს მისცემს და ყოველსა სისხლისა და საფრის სიმბურვალესა არგებს და კარგად უზამს“.

მეცნიერულ მედიცინაში შინდი აქამდე არსად არ იყო გამოყენებული. გარდა ამერიკისა. ჩვენს ფარმაკოპეაში ის შეტანილი არ არის, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს ფარმაკოპიში ურმა ინსტიტუტმა (პროფ. ი. ქუთათელაძე) შეისწავლა მისი მოქმედება პანტასთან ერთად, შინდისა და პანტის ე. წ. „შვინპანის“ პრეპარატის უებარი მოქმედება და შემკვრელი თვისებაც დადასტურდა და ეს პრეპარატი დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს. საქართველოში პანტაც უხვად მოიპოვება, განსაკუთრებით ბორჯომ-ბაკურიანისა და თბილისის მიდამოებში, ზემო იფერე-

თში, რაქაში, ლეჩხუმში, სვანეთში, სამეგრელოში და სხვ., დაწყებული ზღვის სანაპიროდან ვიდრე მთების შუა სარტყლის ტყეთა ზედა საზღვრამდე.

ქართული პრეპარატი „შვინპანის“ შემადგენლობა, პროფ. ი. ქუთათელაძის მონაცემებით, ასეთია: სინამე 18,66%, მკვრივი ნივთიერებანი 81,34%, შაქარი 46%, მჟავადაბობა გადაანგარიშებული ვაშლის მჟავაზე 2,624%. მთრიმლავი ნივთიერებანი 6,90%, ჰექტინოვანი ნივთიერებანი 3,57, აზოტი 0,343, ცილოვანი ნივთიერებანი 2,114%, ფოსფორმჟავას ანჰიდრიდი 0,117%, მინერალური ნივთიერებანი 2.16%; შვინპანის მინერალურ ნივთიერებათა შემადგენლობაში შედის 3,727%—Cl, 2,861%—SO<sub>3</sub>, 2,132%—SiO<sub>2</sub>, 13,34%—Fe<sub>2</sub>O<sub>3</sub>+Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>, 3,133—CaO, 0,228—MgO. 56,47%—K<sub>2</sub>O, 5,8—Na<sub>2</sub>O.

ამერიკაში იყენებენ შინდის შემდეგ სახეობებს: *Cornus florida* L. (*Cornus Nutallii* And.), *Cornus circinata* L'Herit, *Cornus sericea* L. Herit, *Cornus alternifolia* L. ხმარობენ შინდის ფესვების ქერქს *Cortex radices Corni floridae*, რომლის ქიმიური შემცველობა ასეთია: 3%—მთრიმლავი ნივთიერება, საღებავი ნივთიერება, ნალღის მჟავა, ფისი—კორნუს—რეზინოიდი, გლუკოზიდი კორნინი, რომელიც წარმოადგენს გლუკოზიდ ვერბენალინის (*Verbena officinalis*) იდენტურ ნივთიერებას.

შინდისა და პანტის შეგროვება ჩვენში შეიძლება შემდეგ ფარგლებში: შინდი—კახეთში 1,5 ტონა, ფშავ-ხევსურეთში 2 ტონა, სამხრეთ ოსეთში 1 ტონა, მთიან ქართლსა და თბილისის მიდამოებში 1,5 ტონა, ზემო იმერეთში 1 ტონა, რაქა-ლეჩხუმში 2 ტონა, სვანეთში 1,5 ტონა, სამეგრელოსა და აფხაზეთში 1 ტონა. პანტა—კახეთში 2 ტონა. მთათუშეთში 1 ტონა, ფშავ-ხევსურეთში 3 ტონა, სამხრეთ ოსეთში 3 ტონა, მთიან ქართლსა და თბილისის მიდამოებში 3 ტონა, ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში 5 ტონა, ზემო იმერეთში 3 ტონა, რაქა-ლეჩხუმში 5 ტონა, სვანეთში 4 ტონა, გურიაში 1 ტონა, სამეგრელოში 2 ტონა და აფხაზეთში 2 ტონა. სულ საქართველოში შეიძლება დამზადდეს შინდი 11,5 ტონა და პანტა 34 ტონა.

## 6 კუნელი—*Crataegus oxyacantha* L..

კუნელის ძველი ლათინური სახელწოდება იყო *Mespilus Oxycantha* Gärtn. (Grantz). კუნელი ეკუთვნის ვარდნაირთა (*Rosaceae*—*Pomoidae*) ბოტანიკურ ოჯახს. ის წარმოადგენს მოზრ-

დილი ტანის ფოთოლმცვივან ბუჩქოვან მცენარეს შიშველი ტოტებით და შიშველი ფოთლებით, რომლებიც ახალგაზრდობის პერიოდში დაფარულია ნაზი ბუსუსით. მას ახასიათებს ოვალური, 3—5 წილაკიანი ფოთლები, ორმაგად დაკბილული კიდეებით და წანახვილებული წვერებით. თეთრი სურნელოვანი ყვავილები, რომლებიც სიედან შიშველ ყუნწებზე, შეკრებილია ფარ ყვავილედში. მაგარი, ოვალური ფორმის წითელი ნაყოფი შეიცავს 1—2 კურკას. კუნელის ეს სახეობა გვხვდება ორი ფორმით— *typica* და *Caucasica*, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად ჩვენი ტყეების ქვეტყეში; იტანს მშრალ ადგილსამყოფელს და კარგად გრძნობს თავს თიხნარ-კირქვიან ნიადაგზე.

საქართველოში კუნელს მრავალმხრივ იყენებენ; მეურნალობის საქმეში მას ხალხი დღესაც იყენებს როგორც პირღებინების საწინააღმდეგო, გულისა და შარდსადენ საშუალებას. ვინაიდან ჩვენ უფრო ეფექტიური საშუალებანი მოგვეპოვება ამისათვის, ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში კუნელი მოხსენებული არ არის, მაგრამ დემოკრატიულ გერმანიასა და გალიციაში კუნელის პრეპარატებს დიდი წარმატებით იყენებენ როგორც გულის გასაზაგრებელ და სისხლძარღვოვან სისტემაზე მოქმედ საშუალებას. იყენებენ კუნელის როგორც ამ სახეობის, ისე *Crataegus oxyacanthoides* Thuill და *Crataegus monogyna* Jac. ნაყოფს, ყვავილსა და ფოთლებს. კუნელის ფოთლები და ყვავილი (*Folia et Flores Crataegi oxyacanthae*) შეიცავს ტრიმეთილამინს, ოქსიაკანთინს, ქვერციტრინს, ქვერცეტრინს, 0,15% ეთერზეთებს, ხოლო კუნელის ნაყოფი (*Fructus Crataegi oxyacanthae*, *Baccae Oxyacanthae*) კრატეგუსლაკტონს ორი ლაქტონის ჯგუფით და კრატეგუსმეივას ცხიმზეთებს, ცვილს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ლორწოს, ეთერზეთებს, საღებავ ნივთიერებებს, ერთ ალკაოლს და სხვ. მასში არ არის არც ერთი ალკალოიდი. კუნელის თესლებში არის ამიგდალინი; ნაცარი არა უმეტეს 4%-სა; გალიციაში იყენებენ კუნელის შემდეგ საექიმო ფორმებს: *Extractum Crataegi oxyacanthae fluidum* და *Tinctura Crataegi*. დემოკრატიულ გერმანიაში დამზადდა პრეპარატი კურტაკრატი (*Curtacrat*), რომელიც წარმოადგენს კონცენტრირებულ, ალკაოლზე ბაზირებულ ახლად შეკრებილი მცენარის *Crataegus oxyacantha*-ს ფოთლებს, ყვავილებსა და ნაყოფს. ის იხმარება (10 წვეთი დღეში 3-ჯერ), როგორც საგულე საშუალება და სისხლის ძარღვებზე მოქმედი ნივთიერება — *Sedativum*-ი, ჰიპერტონიისა და სხვ. შემთხვევებში; აგრეთვე როგორც გულის მუშაობის გამაუმჯობესებელი

საშუალება. გარდა აღნიშნული საეკიმო ფორმებისა, გალიციაში კუნელი შედის *Guttae Crataegi compositae* და *Species antiscleroticae* შემადგენლობაში შემდეგნაირი სახით:

<i>Guttae Crataegi compositae</i>	<i>Species antiscleroticae</i>
<i>Ammon. rhodanatum</i> 3,0	<i>Viscum album</i>
<i>Tinctura Allii sativi</i>	<i>Flores Crataegi</i> $\frac{aa}{aa}$ 25,0
<i>Extract. Crataegi fluidum</i>	<i>Herba Rutae</i>
" ad 30,0	<i>Herba Equiseti</i> $\frac{aa}{aa}$ 20,0
	<i>Herba Bursae Pastoris</i> 10,0.


საქართველოში ველურად მოზარდი კუნელი *Crataegus kyrtostyla* Ling. და ზემოთ ჩამოთვლილი სახეობები დიდად გავრცელებულია და ყველა ამ სახეობათა დამზადება სამკურნალწამლო მიზნით შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგ ფარგლებში: დასავლეთ საქართველოში 5 ტონა და აღმოსავლეთ საქართველოში 8 ტონა.

### ღ ზაფრანა—*Crocus speciosus* M.B.

ზაფრანა ეკუთვნის ზამბახისებრთა (*Iridaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. სიმაღლით ეს მცენარე 10 - 30 სმ-ია. მას ჟეითარდება ზოლქვები, ხოლო ადრე გაზაფხულზე გადაეშლება მიწის ზევით მშ-ის სივანის ხაზურა ფოთლები და შემოდგომაზე — ღია იისფერი ყვავილები ნარინჯისფერი ღინკებით. ზაფრანა იზრდება საქართველოს როგორც დაბლობ. ისე მთიან ზონაში (აფხაზეთში, იმერეთში, რაჭაში, ქართლში), ბალახიან ფერდობებზე, ტყის პირზე, ზუჩქებს შორის, ნაჩხატებში და სხვ. ქართულ ხალხურ მედიცინაში ზაფრანას წვეწვს ცალკე ან ნარევიში დიდი ხანია იყენებენ როგორც ტკივილების დამაყუჩებელ საშუალებას. დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს შემდეგს: „კაცმან რომე ზაფრანიანი საქმელი ჭამოს, გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს, და ძალსა მისცემს. კაცმან რომე ესე ზაფრანა ჭამოს, წელთა და ნაწლავებსა მწოედ არგებს და გაუთბობს და ძალს მისცემს, კაცსა ლაძასსა ელფერზედა ამყოფებს, კაცსა გაამხიარულებს და კაცსა მწოედ ძილს მოგურის“.

„დედაკაცსა რომე შვილის შობა გაუძნელდეს და ესე ზაფრანა გაუღესო და ასეა, მაშინვე მარტვილი დაეხსნების. კაცმან რომ ხმელი ზაფრანა დაღეჟოს და ჭამოს, ამას უკან რომე კაცმან ერთი ასოცა მოსკრას, ტკივილსა ველარას შეიტყობს. ასე ასოსა და ზორცსა დაუბოჟებს. ბოლომ ყოველის ფეოის გრილის სენის აქიმი და წამალი არის“.

მეცნიერულ მედიცინაში ძირითადად იყენებენ *Crocus sativus* L. სახეობას, ვინაიდან ველურად ზაფრანა ყველგან არ იზრდება,



სურ. 12. ზაფრანა (*Crocus speciosus* M. B.).

კულტურაში კი მხოლოდ ეს სახეობაა შეტანილი. ხმარობენ მას როგორც გარედან, ისე შიგნით, როგორც ტკივილების გამაყუჩებელ საშუალებას, ხოლო წინათ ხმარობდნენ როგორც aphrodisiacum-ს, emmenagogum-სა და abortivum-ს. აგრეთვე ხმარობენ ზაფრანას დინგებს (*Stigmata Croci*), რომლის ქიმიური შემცველობა ასეთია: α და γ კაროტინი, ლიცოპინი, ზეაქსანთინი, პენტრიაკონტანი, უმაღლესი ალიფატური ნახშირწყალბადიანი ნივთიერება, პიკროკროცინი და

და გლუკოზიდი; ის შეიცავს ყვითელ საღებავ ნივთიერებას კროცინს, კროცეტინს, 12—15% წყლის შემცველ ნივთიერებას, 5—8% ნაცარს 0,1% საღებავ ნივთიერებას, გლიცერინს, შაქარს, და სხვა. ყოველივე ეს მოცემულია ზაფრანის ღინგში, ხოლო 10%-ის რაოდენობით — ბუტკოს სხვა ნაწილებში. ზაფრანა შედის ჰუფელანდის, ანუ ბავშვთა საფალარათო ფხენილის შემადგენლობაში (*Pulvis Hufelandi pro infantibus*), საბრის რთული ნაყენის (*Tinctura Albes composita*) და იშვიათად ოპიუმ-ზაფრანის ნაყენის (*Tinctura Opii Crocata*) შემცველობაში. გარდა ამისა, არსებობს ზაფრანის შემდეგი საექიმო ფორმები: *Extractum Croci*, *Extractum Croci fluidum*, *Spiritus Crocus compositus* და *Tinctura Croci*, ზაფრანა შედის აგრეთვე *Elixir aromaticum*-ის შემცველობაში (*Spiritus Cinnamomi*, 4 ccm, *Spiritus Caryophyllorum* 2 ccm., *Spiritus florum Aurantii* 10 ccm., *Spiritus Nucis moschatae* 1 ccm., *Tinctura croci* 5 ccm., *Tinctura Vanillae* 5 ccm., *Tinctura Myrrhae* 1 ccm., *Alcohol* (92%), 300 ccm., *Aqua destillata* 200 ccm., *Sirupus Adiantii* ad 1000 ccm.), საერთოდ; ხოლო შვეიცარიის ფარმაცოპეით კი: *Crocus* 1 ნაწილი, *Cortex Cinnamomi chinens.* 2 ნაწილი, *Caryophylli* 1,5 ნაწილი, *Nuces moschatae* 1,5 ნაწილი, *Spiritus* (95%) 200 ნაწილი, *Spiritus e Vino* — 100 ნაწილი, *Sirupus simplex* 560 ნაწილი, *Aqua florum Aurantii* 150 ნაწილი. ზაფრანა შედის *Potio Croci spirituosa*-ს შემადგენლობაში შემდეგი პროპორციით: *Spiritus Croci compositus* 370,0. *Fructus Vanillae* 0,3, *Crocus* 0,15, *Sirupus Capilli Veneris* 570,0, *Aqua florum Aurantii* 60,0. გარდა ამისა, წინათ იყენებდნენ ზაფრანას შემდეგ არაოფიცინალურ ფარმაცეპტულ პრეპარატებსაც: *Collyrium adstringens luteum*, *Elixir proprietatis Paracelsi*, *Emplastrum Galbani crocatum*, *Emplastrum oxycroceum*, *Liquor Clauderi*, *Sirupus Croci*, *Tinctura Croci* და სხვ.

ა. ტიხომიროვის გამოკვლევათა საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზაფრანის სახეობა *Crocus speciosus*, რომელიც ჩვენში მოიპოვება *Crocus sativus* L. სახით, სრულფასოვანი შემცველია და სამედიცინო მიზნებისათვის სავსებით გამოსადეგია, რადგან მისი რეაქცია კროტონზე კარგია და თანაც წყლის 1:100.000 კონცენტრაციის ხსნარი აშკარა ყვითელ შეფერადებას იძლევა. საქართველოში ზაფრანის შეგროვება ველურ პირობებში შეიძლება ყოველწლიურად 1,5 ტონის რაოდენობით.

## აბრეშუმა — *Cuscuta europaea* L.

საქართველოში აბრეშუმას ჯუწოდებენ აგრეთვე გველის ბუდეს და მხალის ქირს. ის ეკუთვნის ხვართქლასებრთა (*Convolvulaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. აბრეშუმა ბალახოვანი პარაზიტი, მხეიარა და უფოთლო მცენარეა დამანასიათებელი ყვითელი ფერის სხეულით და თავაქყვავილედში შეკრებილი პატარა ყვავილებით: ყვავილი შედგება ოთხად ონ ხუთად გაყოფილი ჯამის ფოთოლაკისაგან და გვირგვინის ბლაგვი ფურცლებისაგან. მას აქვს ხუთი მტვრიანა, 2—4 ბუდრანი ზედა ნასკვი. სვერი ნასკვზე პატარაა ონ იშვიტად მისი თანაბარია. აბრეშუმა საქართველოში საქმალად გავრცელებული პარაზიტი მცენარეა, რომელიც იზრდება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, როგორც ველურ, ისე კულტურულ პატრონ მცენარეებზე, განსაკუთრებით ჭინქარზე (*Urtica dioica* L.), ძეძვზე (*Paliurus spina Christi* (Mill.) C. K. Schneid.), ანწლზე (*Sanibucus ebulus* L.), სამყურებზე (*Trifolium* sp. div.). იოლო კულტურული მცენარეებიდან—კომპოსტოზე, წითელ ქარხალზე და სხვ. საქართველოს ხალხურ მედიცინაში აბრეშუმა გამოყენებულია როგორც ქრილობის შემხორცებელი და სისხლის დენის შემწყვეტი საშუალება. როგორც მოძველებული და ნაკლებ ეფექტიური, ის ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში მოხსენებული არ არის, მაგრამ სახლვარგარეთ როგორც აღწერილ სახეობას (*Cuscuta europaea* L.), *Cuscuta major* Bauh., *Cuscuta vulgaris* Pers., ასე *Cuscuta umbellata* Humbdt., Bonpl. et Kth.-ს იყენებენ მეცნიერულ მედიცინაში *Extractum Cuscutae fluidum* და *Sirupus Cuscutae umbellatae*-ს პრეპარატების მისაღებად. აბრეშუმას ამ სახეობათა ქიმიური შემცველობა ასეთია: გლუკოზიდი კუსკუტინი, 5% მთრმლავი ნივთიერება, 3% ფლობაფენი, 2,5% გლუკოზი, 3% ნაცარი, რომელშიც შედის 75%  $K_2O$ . ჩვენში აბრეშუმა თავისუფლად შეიძლება დამზადდეს 1 ტონის რაოდენობით.

## ღემა — *Datura Stramonium* L.

ეს ერთწლოვანი მცენარე ეკუთვნის ძალღუჟრძენასებრთა (*Solanaceae*) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება 30—160 სმ სიმაღლის ღეროთი, რომელიც ორთითას მსგავსადაა დატოტიანებული. მისი საკნოდ მოზრდილი კვერცხისებური ამოღრღნილი და დაკბილული ფოთლები ნორიგეობით განლაგებულია ღეროზე, ხოლო მსხვილი თეთრი, სურნელოვანი ყვავილები ცალ-ცალკე იშლება

ანტიბიოტიკების მნიშვნელოვანი წილი უკავიათ. მათგან უმეტესად პენიცილინი, სტრეპტომიცინი და ტეტრაციკლინი უნდა აღინიშნოს. ამ ანტიბიოტიკების გამოყენებით ხელსაწყოების დამზადებაში მიღწეული წარმატებები უკვე მტკიცებენ. ნაყოფი წარმოადგენს მსხვილ, ოვალურ, მწვანე ფერის კოლოფს, რომელიც დაფარულია გარედან სადგისისებური ეკლებით და მომწიფების შემდეგ ოთხად იყოფა და იხსნება. კოლოფში ვითარდება მრავალი თირკმლისებური მოყვანილობის მცირე თესლი. ჩვენში ეს მცენარე საკმაოდ გავრცელებულია და უფრო ხშირად ხვდება რუდერალური სახით ნაგვიან, ნანებვარ ადგილებში, რკინიგზის სადგურების ახლოს ლიანდაგის გასწვრივ, ბოსტნებში და შლამით და ჰუმუსით მდიდარი მდინარის ნაპირებზე დაწყებული ვაკე ადგილებიდან მთის შუა სარტყლამდე. ლემა ყვავილობს მაისიდან მოყოლებული სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე; ნაყოფობს ივლისიდან ნოემბრამდე. ხშირად გვხვდება სუფთა და ჯგუფების სახითაც საკმაოდ მოზრდილ ფართობზე.

ლემას ყველა ნაწილი მხამიანია და ამიტომ ჩვენი ხალხი მას სიფრთხილით ეპყრობა. მთლიან მცენარეს ახასიათებს თავისებური მათრობელა სუნი, რის გამო უნდა ვერიდოთ მის მასივში დიდხანს ყოფნას, ხოლო გასაშრობად დაყრილი ფოთლების გადაბრუნების ან მოკრეფის შემდეგ სავალდებულოა ხელების დაბანა საპნით, რადგან დაუბანელი ხელის პირში ან თვალში ამოსმა მეტად სახიფათოა. საქართველოში ლემას ფოთლებს აშრობენ და ამზადებენ პაპიროსს, რომელსაც ეწევიან ძლიერი ხველების დროს, როგორც ხველების შემაჩერებელ საშუალებას. მეცნიერულ მედიცინაში ლემას ფოთლებსა და თესლს იყენებენ როგორც ტკივილების დამაყუჩებელ საშუალებას და სასუნთქი გზების სპაზმების წინააღმდეგ, უმთავრესად ბრონქიალური ასტმის დროს. უნიშნავენ მას აგრეთვე შიგნით მისაღებადაც პრიაპიზმისა და ნიფთომანიის შემთხვევაში. ლემა მოხსენებულია როგორც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეას მე-7 გამოცემაში, ასევე საზღვარგარეთის ფარმაცოპეაშიც; მხამიანობის გამო ლემა მოთავსებულია „ბ“ ჯგუფის სიაში. ქიმიურად ლემას ფოთლებში (*Folia Stramonii*) მთავარი ალკალოიდი — ჰიოსცინამინია, მცირე რაოდენობით ატროპინი — დატურინი და 1 — სკოპოლამინი. ალკალოიდების რაოდენობა ფოთლებში მერყეობს 0,2—0,6%, რაც დამოკიდებულია უპირატესად კლიმატური პირობებისაგან. ლემას ყვავილებში (*Flores Stramonii*) ალკალოიდები მოიპოვება 0,4% რაოდენობით, ხოლო თესლებში (*Semen Stramonii*) ალკალოიდების ჰიოსცინამინისა და ატროპინის რაოდენობა მერყეობს 0,25—0,5% მდე. მცენარე ლემადან ამზადებენ შემდეგ ფარმაცევტულ პრეპარატებს: *Folia Stramonii* seu



Herba Daturae Stramonii, Semina Stramonii, Tinctura Stramonii, Cigaretae antiasthmaticae seu Tabacum antasthmaticum, Extractum Stramonii, Extractum Stramonii fluidum.



სურ. 13. ღება (*Datura stramonium* L.).

Extractum Stramonii siccum, Oleum Stramonii, Sirupus Stramonii (რისტოვისაც 25 ccm ფლუიდექსტრაქტს ურევენ 975 ccm Sirupus Simplex-ში), Tinctura Stramonii. Folia Stramonii nitrata, რომელიც შედის Species antiasthmaticae-ს შემადგენლობაში, Fumigatio antiasthmatica, Pomatum Stramonii, Pulvis antiasthmaticus, Stramonium Zigaretten და სხვ. როგორც ვხედავთ ძირითადად ის შემადგენელი ნაწილია Asthmatol-ისა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად მზადდება. გარდა აღნიშნული სახეობისა, იმავე მიზნებით იყენებენ ლემას სხვა სახეობებსაც, მაგალითად: Datura alba Nees (Semen Daturae albae). Datura metel L., Datura arborea L. (Herba Daturae arborea). საქართველოში ლემა ველურად საკმაო რაოდენობით იზრდება და მან შეიძლება თავისუფლად დააკმაყოფილოს საქართველოს მოთხოვნილება. ლემას ფოთლები, რომლებიც უნდა მოიკრიფოს ყვავილობის პერიოდში, შეიძლება შეგროვდეს როგორც დასავლეთ საქართველოში (იმერეთში 0,3 ტონა, გურიაში 0,2 ტონა, აჭარაში 0,4 ტონა, სამეგრელოში 0,3 ტონა, აფხაზეთში 0,3 ტონა, სვანეთში 0,2 ტონა, და რაჭა-ლეჩხუმში 0,6 ტონა, სულ 2,3 ტონა), ასევე აღმოსავლეთ საქართველოში (ბორჯომ-ბაკურიანში 0,1 ტონა, ქართლში 0,5 ტონა, კახეთში 0,5 ტონა, მარნეულის რაიონში 0,2 ტ., მთათუშეთში 0,2 ტ., ფშავესურეთში 0,2 ტონა, სამხრეთ-ოსეთში 0,2 ტონა, სულ 1,9 ტონა) და სამხრეთ საქართველოში (ჯავახეთში 0,4 ტონა), მთლიანად დაახლოებით 5 ტონის რაოდენობით.

### რეცეპტები:

Rp.: Fol. Stramonii

Fol. Belladonnae  $\overset{aa}{aa}$  15,0

Kalii nitrici 4,0

M. f. Species

DS. ასტმის

დროს მოსაწევად

Rp.: Fol. Stramonii

Fol. Belladonnae

Fol. Hyoscyami

Herbae Lobeliae  $\overset{aa}{aa}$  30,0

M. Adde

Sol. Kalii nitrici 10% q. s.

DS. ასტმატოლთან შეფარდებული მოსაწევი ნაქრები.

ფუტკარა—*Digitalis ferruginea* L.

ფუტკარა (*Scrophulariaceae*) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი, მსიძაღლის, მრავალწლოვანი სალახოვანი მცენარეა, რომლის უმწიფესი ვითარდება მტკვან ყვავილედში შეკრებილი, საბინთეს მწვანე ყვითელი ყუნწიანი ყვავილები. ქვედა მხარეზე მატარა შავი ფერის წინწკლებით და მოხი მტვრიანათი. განიერი ლანცეტა ფესვთანი ფოთლები ეხვევიან წინწკლებით ზედა მხარეზე გრძელ ყუნწიანებია, დიდები და ხშირი, ხოლო ლეროზე განწყობილი ფოთლები კი მკლდმარები და კენწისაქენ თანდათანობით პატარავდება. მისი ნაყოფი წა-შრატევის მავარ კვერცხისებურ, წაწვეტიანებულ კოლოფს, რომელსაც ნსნება რივი საგლდით, აიღანაც. მრავალი თესლი ცვიტა. ფურცკარას ეს სახეობა გაყრცელებულია საქართველოს ყველა კუთაფში, მთის ქვედა მთიანიდან უმაღლეს სარტყლამდე, როგორც ტყეებში, ისე გაკათული ტყის პარდაგებზე. ტყი ნაპირებზე და ნესტიან სუბალპური მაღალი ბალახეულის ზონაში. მას ხშირად ვხვდებით დეკასთან, შსამასთან, პატუგასთან, ჩადუნასთან და წითელ გვირილასთან, როგორც თიანეთში, ისე ტყის ნიადაგზე.

ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ ამ მცენარის ფოთლს კრილობების შესახვევად, ხოლო მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ სივა ხახვობას *Digitalis purpurea* L., რომელიც გოხსენებოლია მსოფლიოს თითქმის ყველა ფარმაკოპიაში. როგორც საუკეთესო საშუალება გულის დაავადებათა წინააღმდეგ მოქმედებს ის აგრეთვე სისტ-მარღოვან სისტემაზეც. ფურცკარას ირეპარატი შეიცავს გულის მუშაობის მმტეჯული რეზელ ნაწიიყვებას, რომელსაც ახასიათებს კუმულაციური თვისება, რის გამოც ის ხანგამოშვებით და მოკლე ვადით ენიშნება ავადმყოფს. ამნიონას *Digitalis ferruginea* L. სამკურნალო მიზნებისათვის ირე იყენებდნენ, ვიდრე საქართველოს სამეცნიერო კლკვრითი ფარმაკო-ქიმიურმა ინსტიტუტმა არ დაამზადა მისგან პრეპარატი დიგალენეო (*Digalen-Neo*), რომელიც თავისი თერაპიული ეფექტით დიგალენსე ძლიერიც აღმოჩნდა და ინსტიტუტი იძულებული გახდა გაეხაქებინა ეს პრეპარატი ისე, რომ გაეთანასწორე ია მისი მოქმედება უცხოურ დიგალენის ძალასთან. სათანადო შემოწმების შემდეგ სარკვეშირის განსაჯკრმის ფარმაკოლოგიურმა კომიტეტმა, ენეა ედარქონის ინსტიტუტს 1937 წელს დიგალენ-ნეოს მასობრივი დაზადებერკა, რაც დღესაც გრძელდება თბილისის № 1 ფარმკარხანაში.

ფურცკარას ეს სახეობა, რომელიც გაყრცელებულია ტყეებში, მისწავლა მრავალმა ავტორმა (*Homolle—1845 წ., Walz-ი, Nativelle-მ, Schmiedeberg, Kiliani, Morin, Kossman-მა* და სხვ.), და მათი მონაუემებით ის შეიცავს გლუკოზიდებს დიგიტოქსინს, კიტალინს, დიგიტალინს, აღმოჩნდა, რომ გლუკოზიდი დიგიტონინი სინამდვილეში საპონინი ყოფილა და მას ფარმაკოლოგიური მოქმედება არა ჰქონია; რაც შეეხება დიგიტოქსინსა და გიტალინს,



სურ. 14. ფუტკალა (*Digitalis ferruginea* L.).

ისინი შედგებიან მოქმედი გენინებისაგან და უმოქმედო აგლუკონებისაგან. დადასტურდა ისიც, რომ ყველა ეს საწყისები სხვადასხვა სიძლიერით მოქმედებენ გულზე.

ჩვენი კვლევის მიხედვით, *Digitalis ferruginea*-ს ველურად არსებული მასივები გვაძლევენ შესაძლებლობას დავამზადოთ მისი ფოთოლი: იმერეთში 1 ტ., გურიაში 1 ტ., სვანეთში 3 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 1 ტ., სამხრეთ-ოსეთში 2 ტ., ფშავ-ხევსურეთში 1,5 ტ., მთათუშეთში 1 ტონა, ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში 1,5 ტონა, ე. ი. სულ 12 ტონა. შეგროვება შეიძლება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. გარდა ამისა, აფხაზეთში მოიპოვება ფუტკარას კიდე ერთი სახეობა, სახელდობრ, *Digitalis ciliata*, რომელიც ჯანჯლას გამოკვლევების საფუძველზე, ასევე წარმატებით შეიძლება გამოიყენოს გულის დაავადებათა სამკურნალოდ. *Digitalis ciliata* 3 ტონაზე მეტი შეიძლება დამზადდეს აფხაზეთში. რაც შეეხება სახეობა *Digitalis purpurea* L., ის აკლიმატიზირებულია და შესაძლებელია ვიწრო გარეგნობისაგან — ქობულეთში, მაგრამ ველურად მისი ფართო მასივები ჩვენ არ მოგვეპოვება. ფუტკარას პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Folia Digitalis*, რომელიც შეტანილია ჩვენი სახელმწიფო ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში (უმაღლესი დოზა ერთ მილზე 0,2 გ., ხოლო სადღეღამისოდ კი 1,0 (*Pulvis folia Digitalis*, *Infusum folia Digitalis*, *Tinctura Digitalis*).

ჩვენი სახელმწიფო ფარმაკოპეას მე-7 გამოცემა (*Gitalen*, *Diginorm*, *Digalen-Neo*).

### რ ე ც ე პ ტ ი ბ ი :

- |  |   |
|--|---|
| Rp.: Jnf. fol. Digitalis 0,5—1,0:200,0<br>DS. თითო სუფრას კოვზი დღეში 3-ჯერ.                                       | Rp.: T-rae Digitalis 15,0<br>DS. 10—10 წვეთი დღეში 3-ჯერ.   |
| Rp.: Pulv. fol. Digitalis 0,5—0,1<br>Sacchari lactis 0,2<br>M. f. p. D. t. d. № 6.<br>S. თითო ფხვნილი დღეში 3-ჯერ. | Rp.: T-rae Digitalis 2,5<br>T-rae Valerianae aether. 10,0<br>MDS. 15—20 წვეთი ერთ მილზეაზე.         |
| Rp.: Fol. Digitalis pulv. 0,1<br>Diuretini 0,5<br>M. f. p. D. t. d. № 12.<br>S. თითო ფხვნილი დღეში 3-ჯერ.          | Rp.: Gitaleni 15,0<br>DS. 10—15 წვეთი დღეში 3-ჯერ.  |
| Rp.: Diginormi 10,0<br>DS. 16 · 29 წვეთი თითო მილზეაზე   | Rp.: Jnf. fol. Digitalis 0,6:200,0<br>Diuretini 4,0—6,0<br>MDS. თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ.      |
| Rp.: Jnf. fol. Digitalis 1,0:180,0<br>Coffeini natrio-salicyl. 3,0<br>MDS. თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ.          | Rp.: Jnf. fol. Digitalis 0,6:200,0<br>Liq. Kalii acetici 8,0<br>MDS. თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ. |

## დროზერა—*Drosera rotundifolia* L.

ეს მრავალწლოვანი ბალახოვანი მწერიკამია მცენარე გუ-  
ენის დროზერასებრთა (*Droseraceae*) ბოტანიკურ ოჯახს. დრო-  
ერას ყვავილი ორსქესიანია და აქტინომორფული, აქვს ჯამი.  
ვირგვინი და ხუთი მტვრიანა, ნაყოფი წარმოადგენს კოლოფს.  
პროზერას ფესვთანი ფოთლები დაფარულია ჯირკვლიანი ბუსუ-  
ით, რომელიც განვითარებული აქვს ამ მცენარეს მწერის დასა-  
ერად. საქართველოსათვის დროზერა წარმოადგენს გამყინვარების  
პროინდელ რელიქტს, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია ტორ-  
ვიან ქაობებში, განსაკუთრებით ფოთსა და ქობულეთში *Sphagnum*  
*umbifolium* და *Sphagnum sublicolor*-თან ერთად. მისი მარაგი  
ვენში მეტად მცირეა და სულ 100 კგ რაოდენობით თუ გამოი-  
ატება. ქართულ ხალხურ მედიცინაში დროზერა გამოყენებული  
არ არის, მაგრამ მეცნიერულ მედიცინაში მას იყენებენ როგორც  
ველებს საწინააღმდეგო საშუალებას სასუნთქი ვეების დაავადე-  
ხის დროს, განსაკუთრებით ყივანახველის შემთხვევებში. ის შედის  
აგრეთვე არტერიოსკლეროზის საწინააღმდეგო ჩაის შემადგენლო-  
ბაში. იყენებენ დროზერას მიწის ზედა ნაწილებს, ყვავილის ჩათ-  
ვლით. მკურნალობისათვის ვარჯა მხოლოდ ყვავილობაში მყოფი  
მცენარე, რადგან მისი მოქმედი საწყისები ამ პერიოდში უფრო  
მეტადაა მოცემული. დროზერას ქიმიური შემადგენლობა ასეთია:  
ენზიმი პროთეინაზი და პეფსინაზი, მქროლადი ოქსინათოხინო-  
ნის შემცველი ნივთიერება, ქიანქველას მჟავა, ბენზოეს მჟავა,  
პროპიონის მჟავა, დროზერინი-მეთილიუგლონი (*Methyljuglon*).  
გლუკოზიდის მსგავსი დროზერინი, 8—9% ნაცარი და სხვ. დრო-  
ზერა არ შეიცავს არც ერთ ალკალოიდსა და გლუკოზიდს. საბ-  
ქოთა კავშირის ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში ეს მცენარე მოხსე-  
ნებული არ არის, მაგრამ გალიციასა, პორტუგალიასა და სხვა სა-  
ხელმწიფოთა ფარმაკოპეაში ის მოხსენებულია და მას იყენებენ  
კიდევ. გარდა აღნიშნული სახეობისა, გალიციაში და პორტუგალი-  
აში იყენებენ სხვა სახეობებსაც, სახელდობრ, *Drosera longifolia* L.,  
*Drosera intermedia* Hayne-ს და სხვ. მცენარე დროზერასაგან  
ამზადებენ შემდეგ ფარმაკევტულ პრეპარატებს: *Herba Droserae*,  
*Infusum herbae Droserae*, *Extractum Droserae fluidum* (პორტუ-  
გალია) და *Tinctura Droserae* (გალიცია).

Rp.: Herbae Droserae 25,0  
 DS. მოხიარშოს ერთ ქიქა  
 წყალში და მიღებულ იქნეს  
 სუფრის კოვზით დღეში  
 3—5-ჯერ.

Rp.: Inf. herbae Droserae  
 10% — 200,0  
 DS. სუფრის კოვზით  
 დღეში 3—5-ჯერ.

Rp.: Inf. herbae Droserae  
 10% — 200,0  
 Natri (S. Kalii) bromati 8,0  
 MDS. სუფრის-კოვზით დღე-  
 ში 3—5-ჯერ.

Rp.: Extr. Droserae fl. 25,0  
 DS. 20 წვეთი დღეში  
 3—4-ჯერ.

**ჩაღუნა** *Dryopteris filix mas* (L.) Schott. (*Nephrodium Filix mas* Michaux; *Aspidium filix mas* (L.) Schwarz).

ჩაღუნა, ანუ გვიმრა, ცნობილია მეცნიერულ მედიცინაში ამა-  
 ჯლი გვიმრის სახელწოდებით. ჩაღუნა ეკუთვნის გვიმრისებრთა  
 (*Polypodiaceae*) ბოტანიკურ ჯგუფს და წარმოადგენს ჰორტაქტი-  
 კული ტყის გეოგრაფიულ ტიპს. ეს 20—150 სმ სიმაღლის, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელსაც ახასიათებს მსხვი-  
 ლი, ირიბი, მრავალი წვრილშრიანი ქერქით დაფარული ყომ-  
 ჵალი ფერის ფესვურა. ფესვის ყელიდან ვითარდება ფესვთანი,  
 ენტოფტორთული ფოთლები 1 მეტრამდე სიგრძით; ფოთლის  
 ენტრალურ მხარეზე განლაგებულია სორუსებში შეკრებილი  
 სპორანგიუმები, რომლებიდანაც ვითარდება სპორები. გვიმრის ეს  
 ახეობა მრავლდება საქართველოში საკმაოდ დიდი რაოდენობით,  
 ამის ქვედა ზონიდან სუბალპურ სარტყლამდე, განსაკუთრებით წი-  
 ლნარ და კრცხილნარ ტყეებში და სუბალპური ნესტიანი მდე-  
 ლების ნალაბალახეულ ცენოზში.

საქართველოში ჩაღუნას მრავალფეროვანი გამოყენება აქვს:  
 მის ახალანარს ხეჭუჭა ფოთლებს ხმარობენ, როგორც მხალს.  
 მშრითა და ნივებით, ზრდასასრულეებულ ფოთლებს იყენებენ მწყე-  
 მსები რძის გასაწურად, ხოლო შეაბრეშუმეობის რაიონებში ხმა-  
 რობენ ცახალ (უღებენ საფენად. აზრეშუმის ქიას-პარკის გაკეთე-  
 ბის პერიოდში). ხალხურ მედიცინაში უხსოვარ დროიდან იყენე-  
 ბენ ჩაღუნას ფესვურას, როგორც ქიის დამდენ საშუალებას. მეც-  
 ნიერულ მედიცინაში ხმარობენ მის ფესვურას ლენტისებური ქიე-  
 90

1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 30. 31. 32. 33. 34. 35. 36. 37. 38. 39. 40. 41. 42. 43. 44. 45. 46. 47. 48. 49. 50. 51. 52. 53. 54. 55. 56. 57. 58. 59. 60. 61. 62. 63. 64. 65. 66. 67. 68. 69. 70. 71. 72. 73. 74. 75. 76. 77. 78. 79. 80. 81. 82. 83. 84. 85. 86. 87. 88. 89. 90. 91. 92. 93. 94. 95. 96. 97. 98. 99. 100. 101. 102. 103. 104. 105. 106. 107. 108. 109. 110. 111. 112. 113. 114. 115. 116. 117. 118. 119. 120. 121. 122. 123. 124. 125. 126. 127. 128. 129. 130. 131. 132. 133. 134. 135. 136. 137. 138. 139. 140. 141. 142. 143. 144. 145. 146. 147. 148. 149. 150. 151. 152. 153. 154. 155. 156. 157. 158. 159. 160. 161. 162. 163. 164. 165. 166. 167. 168. 169. 170. 171. 172. 173. 174. 175. 176. 177. 178. 179. 180. 181. 182. 183. 184. 185. 186. 187. 188. 189. 190. 191. 192. 193. 194. 195. 196. 197. 198. 199. 200. 201. 202. 203. 204. 205. 206. 207. 208. 209. 210. 211. 212. 213. 214. 215. 216. 217. 218. 219. 220. 221. 222. 223. 224. 225. 226. 227. 228. 229. 230. 231. 232. 233. 234. 235. 236. 237. 238. 239. 240. 241. 242. 243. 244. 245. 246. 247. 248. 249. 250. 251. 252. 253. 254. 255. 256. 257. 258. 259. 260. 261. 262. 263. 264. 265. 266. 267. 268. 269. 270. 271. 272. 273. 274. 275. 276. 277. 278. 279. 280. 281. 282. 283. 284. 285. 286. 287. 288. 289. 290. 291. 292. 293. 294. 295. 296. 297. 298. 299. 300. 301. 302. 303. 304. 305. 306. 307. 308. 309. 310. 311. 312. 313. 314. 315. 316. 317. 318. 319. 320. 321. 322. 323. 324. 325. 326. 327. 328. 329. 330. 331. 332. 333. 334. 335. 336. 337. 338. 339. 340. 341. 342. 343. 344. 345. 346. 347. 348. 349. 350. 351. 352. 353. 354. 355. 356. 357. 358. 359. 360. 361. 362. 363. 364. 365. 366. 367. 368. 369. 370. 371. 372. 373. 374. 375. 376. 377. 378. 379. 380. 381. 382. 383. 384. 385. 386. 387. 388. 389. 390. 391. 392. 393. 394. 395. 396. 397. 398. 399. 400. 401. 402. 403. 404. 405. 406. 407. 408. 409. 410. 411. 412. 413. 414. 415. 416. 417. 418. 419. 420. 421. 422. 423. 424. 425. 426. 427. 428. 429. 430. 431. 432. 433. 434. 435. 436. 437. 438. 439. 440. 441. 442. 443. 444. 445. 446. 447. 448. 449. 450. 451. 452. 453. 454. 455. 456. 457. 458. 459. 460. 461. 462. 463. 464. 465. 466. 467. 468. 469. 470. 471. 472. 473. 474. 475. 476. 477. 478. 479. 480. 481. 482. 483. 484. 485. 486. 487. 488. 489. 490. 491. 492. 493. 494. 495. 496. 497. 498. 499. 500. 501. 502. 503. 504. 505. 506. 507. 508. 509. 510. 511. 512. 513. 514. 515. 516. 517. 518. 519. 520. 521. 522. 523. 524. 525. 526. 527. 528. 529. 530. 531. 532. 533. 534. 535. 536. 537. 538. 539. 540. 541. 542. 543. 544. 545. 546. 547. 548. 549. 550. 551. 552. 553. 554. 555. 556. 557. 558. 559. 560. 561. 562. 563. 564. 565. 566. 567. 568. 569. 570. 571. 572. 573. 574. 575. 576. 577. 578. 579. 580. 581. 582. 583. 584. 585. 586. 587. 588. 589. 590. 591. 592. 593. 594. 595. 596. 597. 598. 599. 600. 601. 602. 603. 604. 605. 606. 607. 608. 609. 610. 611. 612. 613. 614. 615. 616. 617. 618. 619. 620. 621. 622. 623. 624. 625. 626. 627. 628. 629. 630. 631. 632. 633. 634. 635. 636. 637. 638. 639. 640. 641. 642. 643. 644. 645. 646. 647. 648. 649. 650. 651. 652. 653. 654. 655. 656. 657. 658. 659. 660. 661. 662. 663. 664. 665. 666. 667. 668. 669. 670. 671. 672. 673. 674. 675. 676. 677. 678. 679. 680. 681. 682. 683. 684. 685. 686. 687. 688. 689. 690. 691. 692. 693. 694. 695. 696. 697. 698. 699. 700. 701. 702. 703. 704. 705. 706. 707. 708. 709. 710. 711. 712. 713. 714. 715. 716. 717. 718. 719. 720. 721. 722. 723. 724. 725. 726. 727. 728. 729. 730. 731. 732. 733. 734. 735. 736. 737. 738. 739. 740. 741. 742. 743. 744. 745. 746. 747. 748. 749. 750. 751. 752. 753. 754. 755. 756. 757. 758. 759. 760. 761. 762. 763. 764. 765. 766. 767. 768. 769. 770. 771. 772. 773. 774. 775. 776. 777. 778. 779. 780. 781. 782. 783. 784. 785. 786. 787. 788. 789. 790. 791. 792. 793. 794. 795. 796. 797. 798. 799. 800. 801. 802. 803. 804. 805. 806. 807. 808. 809. 810. 811. 812. 813. 814. 815. 816. 817. 818. 819. 820. 821. 822. 823. 824. 825. 826. 827. 828. 829. 830. 831. 832. 833. 834. 835. 836. 837. 838. 839. 840. 841. 842. 843. 844. 845. 846. 847. 848. 849. 850. 851. 852. 853. 854. 855. 856. 857. 858. 859. 860. 861. 862. 863. 864. 865. 866. 867. 868. 869. 870. 871. 872. 873. 874. 875. 876. 877. 878. 879. 880. 881. 882. 883. 884. 885. 886. 887. 888. 889. 890. 891. 892. 893. 894. 895. 896. 897. 898. 899. 900. 901. 902. 903. 904. 905. 906. 907. 908. 909. 910. 911. 912. 913. 914. 915. 916. 917. 918. 919. 920. 921. 922. 923. 924. 925. 926. 927. 928. 929. 930. 931. 932. 933. 934. 935. 936. 937. 938. 939. 940. 941. 942. 943. 944. 945. 946. 947. 948. 949. 950. 951. 952. 953. 954. 955. 956. 957. 958. 959. 960. 961. 962. 963. 964. 965. 966. 967. 968. 969. 970. 971. 972. 973. 974. 975. 976. 977. 978. 979. 980. 981. 982. 983. 984. 985. 986. 987. 988. 989. 990. 991. 992. 993. 994. 995. 996. 997. 998. 999. 1000.

15. *Dryopteris filix mas* (L.) Schott.



ბის საწინააღმდეგოდ—*Rhizoma Filicis* ან ზოგიერთ ფარმაკოპე-  
აში *Herba Filicis maris* სახელწოდებით. მას აგროვებენ შემოდ-  
გომაზე თოვლის მოსვლამდე. მისი ფესურას ქიმიური შემცველობა  
ასეთია: 0,025—0,045% ეთერზეთები, 5—8% ცხიმზეთები, ფისი,  
შაქარი, სახამებელი, პექტინოვანი ნივთიერება, 2—3% მინერა-  
ლური მარილი, 5% ფილმარონი, 1,5—2,5% ფილიქსმევა ფილი-  
ცინი. მოქმედი ნივთიერება. არის კრებადობა კეტონის მსგავსი  
ნაერთებისა, ერბომეავასი და იზოერბოსმეავასი ფენოლ ფლორო-  
ცალუცინით ან მეთილით, დიამეთილით და ტრიმეთილფლოროგლუ-  
ცინით. კონდენსირებული ბუტანონის ორი მოლეკულა იძლევა ფლა-  
ვასპილმეავას, ალბასპიდინს, სამი მოლეკულა ფილიქსისმეავას—ფი-  
ლიცინს, ხოლო ოთხი მოლეკულა—ფილმარინს. ნაცრის რაოდენობა  
ფესურაში 3% არ აღემატება, მათ შორის 2% მევაში უხსნადი  
ნაცარია. ჩაღუნას ეს სახეობა მოხსენებულია როგორც საბჭოთა  
კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში, ისე სხვა  
ქვეყნების ფარმაკოპეაში. ცნობილია მისი შემდეგი ფარმაკევტული  
პრეპარატები: *Rhizoma Filicis*, *Extractum Filicis maris*, *Filma-*  
*ronum*, *Extractum Filicis maris aethereum*, *Oleum Filicis maris*  
*aethereum*, *Extractum Filicis concentratum*, *Extractum Filicis. Filici-*  
*num crudum* და სხვ. დაამზადეს პრეპარატი ეკობოლი (*Ecobol*), რო-  
მელიც წარმოადგენს ფილიქექსტრაქტის ხსნარს, ჰალოგენური ან ჰა-  
ლოგენის სახის ნახშირწყლოვანი ნივთიერებით. ამავე მიზნებისათვის  
დემოკრატიულ გერმანიაში იყენებენ *Aspidium athamantium Kunze*  
*Panna*-ს სახელწოდებით (*Radix Pannae*), *Polypodium vulgare L.*  
*Herba Polypodii*-ს სახით და სხვ. ჩაღუნა შედის *Remedium contra*  
*Taeniam*-ის შემადგენლობაში შემდეგი პროპორციით *Calomel* 0,3,  
*Extractum Filicis* 8,0, *Sirupus Rubi Jdae* 32,0. ამ უხსოვარი  
უროიდან ცნობილ ჭიის დამდენ საშუალებას ზოგჯერ შეუძლია  
გამოიწვიოს მოწამელაც, თუ ის დიდი რაოდენობით მიეცით ავად-  
მყოფს. საქართველოს ფარმაკოქიმიური ინსტიტუტის პროფე-  
სორმა პ. ი. ქუმბურიძემ გამოიკვლია ბაკურიანში შეგროვილი ჩა-  
ღუნას ვარგისიანობა და დაადასტურა მისი ფესურების მაღალი  
სამკურნალო ღირსება. გამოიკვია აგრეთვე, რომ შენახვით მათი  
სამკურნალო ღირსება არ მცირდება. ჩაღუნას ფესურების ველური  
პარაგი, ჩვენი გამოკვლევის საფუძველზე, შემდეგნაირად განისა-  
ზღვრება: იმერეთში 2 ტ. გურიაში 2 ტ., სამეგრელოში 1,5 ტ.,  
ფხაზეთში 1 5 ტ., სვანეთში 5 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 3 ტ., სამხრეთ-  
ეთში 5 ტ., ფშავ-ხევსურეთში 4 ტ., მთათუშეთში 2 ტ., ბორ-  
ჯომ-ბაკურიანში 4 ტ., სულ საქართველოში 30 ტონა.


## რეცეპტები:

|   |  |
|---|--|
| <p>Rp.: Extract; Filicis maris<br/>aetherei 0,5<br/>D. t. d. № 10 in capsulis<br/>gelat.<br/>S. მიღებულ იქნეს ერთ<br/>საათში.</p> | <p>Rp.: Extr. Filicis maris<br/>aetherei<br/>Pulv. Filicis maris ႁ 4,0<br/>M. f. pil. № 30<br/>DS. მიღებულ იქნეს ერთ<br/>საათში.</p> |
|---|--|

### ჯორისძუა (ეფედრა)—*Ephedra procera* F. et. M.

ჯორის ძუა ეკუთვნის ჯორისძუასებრთა (*Ephedraceae*) ბოტანიკურ ოჯახს, წარმოადგენს მარად მწვანე ორსახლიან ბუჩქს, რომელიც 3—4 მ. სიმაღლის იზრდება. ტოტებზე მას პატარა მეჭეჭები და განუფითარებელი ფოთლები აქვს. მდედრობითი ყვავილედ იორყვავილიანია, კვერცხისებრ-ოვალური, მოკლესუნწიანი და ბლავი, ხოლო მამრობითი ყვავილედ სფერულია, ყვითელი ტყავისებური ყვავილთანებით და 8 მტკრიანათი. მისი ორთესლიანი ნაყოფი წითელია და სფერული. ჯორისძუას ეს სახეობა წარმოადგენს სარმატიისეულ გეოგრაფიულ ტიპს, რომელიც ჩვენში გავრცელებულია როგორც დაბლობ ადგილებში, სე მთის ქვედა სარტყელშიც. განსაკუთრებით მშრალ კლიან, ღორღიან და ქვიშნარ ნიადაგებზე; მას უყვარს ძლიერ განათებული ადგილები და მთის სამხრეთი კალთები, გვხვდება ნათელ ტყეებშიც და ქსეროფიტისაიის ნიადაგზე მდგომ ფიტოცენოზში. მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერად მცენარის ეს სახეობა გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში მდინარე მტკვრის სანაპიროების გასწვრივ მდებარე გაქსეროფიტებულ ადგილებში. ჩინეთიდან მოყოლებული ინდონეზიის არქიპელაგამდე იზრდება ამ მცენარის სხვადასხვა სახეობა, რომლებიდანაც იყენებენ მკურნალობისათვის: *Ephedra Sinica* Stapf., *Ephedra equisetina* Bunge, *Ephedra Gerardiana* Wall., *Ephedra nebrodensis* Tineo, *Ephedra intermedia* var. *tibetica* და სხვ. ჩინეთში ჯორისძუა ცნობილია, როგორც სამკურნალო მცენარე, 5000 წლის წინ ჩვენს ერამდე. ჩვენში ხალხი იყენებს მას როგორც კუჭ-ნაწლავის ტკივილების დამაყუჩებელ და რევმატიკული ანთების საწინააღმდეგო საშუალებას. დავით ბატონიშვილი ურჩევს მას წელის, თირკმლების და თეძოების ტკივილების დროს: ჟინცა ჯორის ძუის ხის ფოთოლი ანდა ნეკერი დანაყოს კარგად მოხარშოს და

№: Extract: Filicis maris Rp.: Extract Filicis maris  
aether. D. t. d. in capsula gelat.  
D. s. in capsula gelat.



სურ. 16. ეპედია, ჯარიხბუა (Eperdhia distachya L.)

ამისგან უზომიან ერთი თავი დალიოს წელისა, თირკმელისა და თე-  
 ძიების ტკივილსა, საშივე უშველოს“. მეცნიერულ მედიცინაში  
 მცენარე ჯორისძუდან მიღებულ პრეპარატებზე იყენებენ რო-  
 გორც გულის მუშაობისა და სისხლის ცირკულაციის მომწეს-  
 რიგებელ საშუალებას. მოქმედებს ის სისხლის წნევაზეც, კარგ  
 შედეგს იძლევა ყველა სახის ციების დროს. იხმარება ას-  
 თვის წინააღმდეგ, თვალის გუგის ნორმაში მოსაყვანად მი-  
 არ გაფართოების შემთხვევებში და სხვა. ჩვენს ფარმაკოპეიაში  
 ეს მცენარე მოხსენებული არ არის, რადკან ჩვენ სხვა შემკულე-  
 ლები მოგვეპოვება. მაგრამ დემოკრატიულ გერმანიაში. დანიაში  
 და სხვა სახელმწიფოებში მას ჯერ კიდევ იყენებენ როგორც საუ-  
 კეთესო სამკურნალო საშუალებას, იყენებენ მცენარის *Herba Ephedra*  
 ტოტებსა და ახალგაზრდა ყლორტებს. ქიმიურად ის შეიცავს:  
 ეფედრინს (*Ephedrin*—მოლეკ. წონა 165,12), რომელიც წარმო-  
 ადგენს მთავარ მოქმედ მარილმეავე ალკალოიდს, ქიმიურად ადრე-  
 ნაღინის მსგავსია და გაცილებით მეტი რაოდენობით მოიპოვება ჯო-  
 რისძუას აზიურ სახეობებში, ვიდრე ხმელთაშუა ზღვის სახეობებში.  
 ამ უკანასკნელებში უფრო ფსევდოეფედრინი ქარბობს. ეფე-  
 დრინის რაოდენობა ვარგის სახეობებში მერყეობს 1,3—2% დე-  
 ფსევდოეფედრინი ქარბობს ჩვენში გავრცელებულ მცენარეშიც.  
 მაგრამ მოიპოვება ისეთი სახეობაც, რომელშიც ორივე ალკალოი-  
 დი—ეფედრინი და ფსევდოეფედრინი—თანაბარი რაოდენობითაა  
 მოცემული. ორივე ეს ალკალოიდი წარმოადგენს ოპტიურად აქტიურ  
 ფორმას: ფენილმეთილამინო—II—პროპანოლისას (II—*Propanol*);  
 ჩვეულებრივად, გარდა ამისა, არის ინაქტიური და რაცემოზული  
 ფორმები მთელი ექვსი ერთმანეთთან დაქვემდებარებული—ფენილ-  
 მეთილამინო—II—პროპანოლის სახით. პრაქტიკული გამოყენება  
 დღესდღეობით აქვს მხოლოდ I—ეფედრინს და ინაქტიურ I—ეფე-  
 დრინს (იგივე ეფეტონინი). ეფედრინის მოლეკ. წონა 165,12.  
 ამერიკისა და გალიციის მონაცემებით მოლეკ. წონა 174,14.  
 ამერიკაში I—ეფედრინს ლებულობენ ბუნებრივად მცენარი-  
 დან, ხოლო დანიაში როგორც ბუნებრივად, ისე სინთე-  
 ზური გზითაც. I ეფედრინი წარმოადგენს მწარე გემოს, უფერულ  
 კრისტალებს ან თეთრ კრისტალურ ფხენილს, რომლის ლღობის  
 ტემპერატურა, დანიის მონაცემებით 39—42° უდრის, ხოლო ამე-  
 რიკის მონაცემებით 34—40°. ეს წყალში ხსნადი, ტუტე რეაქ-  
 ციის (ლაკმუსს ალურჯებს ძლიერ) ნივთიერებაა, რომელიც იხს-  
 ნება აგრეთვე ალკოჰოლსა და ეთერში, ხოლო ქლოროფორმში  
 კახსნისას იმღვრება, თუ ის წყლისაგან განთავისუფლებული პრ

არის. წყალში გახსნილი ის მარჯვენე ხრის პოლარიზებულ სხივს, ხოლო ლენის სპირტში გახსნილი—მარცხნივ; აგრეთვე წყალში გახსნილ ჰიდროქლორიდულ ხსნარშიც მარცხნივ. ეფედრინი ინა ბება შუშის ქურქელში.

ეფედრინს დანიაში ერთ მილეზაზე უნიშნავენ 0,1, ხოლო დღე ღამეში 0,4 გრამს. გალიციაში კი ერთ მილეზაზე 0,03 გრამს და დღე-ღამეში 0,25 გრამს. რაც შეეხება ჯორისძუას დანარჩენ პრეპარატებს, უნდა აღინიშოს: 1) Ephedrinum hydrochloricum, იგივე ეფედრინჰიდროქლორიდი, რომელიც წარმოადგენს მარილმეცავა ფენილ-მეთილამინო-პროპანოლს (უნიშნავენ ერთ მილეზაზე 0,05 გრამს, ხოლო დღე-ღამეში 0,15 გრ); 2) ეფედრინოსულფატი (Ephedrinum sulfuricum—მოლექ. წონა 428,33), რომლიდანაც ამზადდებენ: Liquor Ephedrinae Sulfatis, Gelatum Ephedrinae sulfatis (Ephedrinum sulfuricum 10,0, Tragacantha 10,0, Methylum salicylicum 0,1 ccm., Eucalyptolum 1 ccm., Oleum Pini pumilionis 0,1 ccm., Glycerinum 150 ccm., Aqua destillata 830 ccm.), Liquor Ephedrinae Sulfatis. (Ephedrinum sulfuricum 30,0, Chlorobutanol Acetonchloroform 5,0, Aqua destillata ad 1000 ccm.), Nebula Ephedrinae (Ephedrinum 10,0, Methylum salicylicum 2 ccm., Paraffinum liquidum leve ad 100,0), მისგან ამზადდებენ აგრეთვე: Guttae Thymericum Ephedrin-ს (Ephedrin. hydrochloricum 2,0, Stadastrat Thyini ad 20,0), Pilulae Ephedrin compositae (Ephedrin. hydrochloricum 1,5, Sirotol 3,0, Extractum Pimpinellae 1,0, Glycerinum q.s.m.f. Si. № 30). Remedium nasale—(Ephedrinum hydrochloricum 0,6, Oleum Eucalypti gtts X, Menthol. Synth. 0,05, Oleum Ricini 4,0, Mucilago Tylose Stada 10,0, Aqua destillata ad 20,0), Tinctura antasthmatica cum Ephedrin (Ephedrinum hydrochloricum 1,0, Kalium jodatum 2,0, Tinctura Lobeliae, Tinctura Sramonii  $\frac{1}{10}$  10,0), Nebula Ephedrinae composita, ანუ იგივე Nebuloleum Ephedrini compositum, რომელსაც იყენებენ დანიაში (Ephedrinum 1,0, Mentholum 2,5, Camphora 2,5, Oleum Thymi 2,5, Paraffinum liquidum tenue 91,5); დანიაში ამზადდებენ აგრეთვე ამპულებს: Solutio Ephedrini hydrochlorici pro injectione-ს (Ephedrinum hydrochloricum 5,0, Aqua destillata sterilisata ad 100 ccm.) ჯორისძუას პრეპარატებიდან აღსანიშნავია კიდევ: Sirupus Ephedrinae sulfatis (Ephedrinum sulfuricum 4,0, Aqua destillata 20 ccm., Alkohol (95% 20 ccm.), Sirupus Cerasorum ad 1000 ccm.), Tabulae Ephedrini Hydrochloridi, Tinctura Ephedrae benzoica. მისგან ამზადდებენ აგრეთვე სინთეზურ ეფეტონინს (Ephetonin).

რომელიც წარმოადგენს ინაქტიურ ეფედრინჰიდროქლორიდს, საიდანაც ამზადებენ Ephedrin liquidum compositum-ს, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ეფედრინის 2% ხსნარს პირაზინკარბონ მჟავა იზოპროპილიდენ-ჰიდრაზიდ-ს. შემდეგი პრეპარატია ეფედონალი (Ephedonal), რომელიც წარმოადგენს ჰიდროქლორიდ 1--P-ამინოფენილ—1+ოქსი—2 ნეთილამინო-პროპანს.

დემოკრატიული გერმანიის ქიმიურ ქარხანაში გამოიყვანეს პრეპარატი პარლზალონი (Parlalon), თეობრომინის, კოფეინისა და ფენილმეთილპირასოლანის ნარევი, რაქელსაც შემდეგ უმატებენ იზალონ „Divig“-ს, დიეთილამინოეთილ—ეფედრინ-დიფოსფატს. მოლეკ. წონა აქ ეფედრინდიფერიატისა 450-ია, ხოლო თავისუფალი ფუძის—264. პარლზალონს იყენებენ ბრონქიალური ასთმის დროს. გარდაამისა, Bayer-მა დაამზადა „Farbenindustrie“-ს ქარხანაში პრეპარატი რაცედრინი (Racedrin), რომელიც წარმოადგენს სინთეზურ რაცემ-ეფედრინს, ე. ი. 1—ფენილ—2—მეთილამინო+—1 ოქსიპროპანს, ქლორალჰიდრატით (Racem-Ephedrin „Bayer“).

რაცედრინი წარმოადგენს თეთრ კრისტალურ ნივთიერებას, რომელსაც იყენებენ როგორც გულის მუშაობისა და სისხლის ცირკულაციის მომწესრიგებელ საშუალებას. მას უნიშნავენ ასთმის წინააღმდეგ ყველა სახის ციების დროს, გარეშე ალერგიული მოვლენების შემთხვევებისა, ხრინწიანი ხველების დროს და თვალის მკურნალობის პრაქტიკაში გაფართოებული გუგის ნორმაში მოსაყვანად იმავე ქარხანაში ბაიეომა დაამზადა პრეპარატი სუპრიფენი, ანუ სუტრიფენი (Sutrifin). ის წარმოადგენს რაცემოზულ-ოქსიფენილ-მეთილამინო-პროპანოლი-ქლორჰიდრატს. სუპრიფენი შეიცავს ორ სუპრაპენინს და ეფედრინს. სუპრიფენი ეფედრინთან ერთად ზოგჯერ ტოქსიკურად მოქმედებს ადამიანზე, რაც აიხსნება სუპრიფენის ძლიერი მოქმედებით ეფედრინზე. სუპრიფენი წარმოადგენს თეთრ კრისტალურ ფხვნილს, რომელიც ღვება 203—205°, იხსნება 2,5 ნაწილ წყალში, 10 ნაწილ ალკოჰოლში და ნაწილობრივ 5 ნაწილ გლიცერინში. აცეტონსა და აბსოლუტურ ალკოჰოლში სუპრიფენი ძნელად იხსნება. ის იყიდება ამპულებში 1% ხსნარის სახით და 2 ccm., დიდ ამპულებში 10 ან 50 ccm; რაოდენობით და 10% ხსნარის სახით. იხმარება როგორც სისხლის მიმოქცევის მომწესრიგებელი და Cardiacum-ი. ჩვენში ჯორისძუას ამ სახეობის ყოველწლიური მარაგი (აღმსავლეთ საქართველოში), ველურად, დაახლოებით 2 ტონით განისაზღვრება. ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ ამ მცენარის სხვა სახეობებსაც. რომლებიც გავრცელებულია ჩვენში, შვეისწავლით ეფედრინის შემცველობის მხრივ.

7. საქართველოს სამყურნალო მცენარეები. 97

## შვიტა—*Equisetum arvense* L.

შვიტა წარმოადგენს მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს. მეტად განვითარებული, ნიდაგში ღრმად წასული, რამდენიმე იარუსად განწყობილი, შავი ფერის ფესვურათი. ის ეკუთვნის ჯორისძუსებრთა (*Guetaeae*) ბოტანიკურ ოჯახს (ამ ბოლო დროს გამოყოფილია ცალკე შვიტასებრთა *Equisetaceae* ბოტანიკურ ოჯახში). ნისა ფესვურები კმნიან ერთგვარ მარწყუისებურ კუთხეებს. სადაც ჩვეულებრივ პატარა ტუბერაკები წარმოიქმნება. გაზაფხულზე ფესვურები იძლევა ამონაყარს, მარტივ, დაუტოტ-ვ, მკრთალი ყომრალი ფერის ე. წ. სანაყოფე ღეროებს, რომლებზედაც იზრდება პატარა, ერთმანეთთან მილისებურად შეზრდილი, განუვითარებელი ფოთლები. სანაყოფე ღეროს კენწეო ბოლოვდება კონუსისებური ფორჩხის თავთავით, რომელშიაც რამდენიმე სპოროფილია. თითოეული სპოროფილი იფითარებს სპორანგიუმებს, ხოლო სპორანგიუმში წარმოიქმნება სპორები, რომელთაგან კვლავ იფითარდება ახალი მცენარე. ნაწიკილი შვიტა ვითარდება ზაფხულში. იგი იწვანე ჯერის, ცილინდრული ფორჩხის დამჯხლული სტენარეა, უნაყოფო ღეროებით, რომლებიც საშალლით ნაღვეარ მტრას აღწევენ. შვიტას ეს სახეობა საქართველოში საქნაოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით ნესტიან ადგილებში, კაობების ნაპირზე, გუბებთან. მდინარის პირას—ნათესაებში და ნაჩაატებში, როგორც დაბლობ, ისე მთის შუა სარტყელში, განსაკუთრებით ჩამონახვავებ ადგილებში.

შვიტა მეტად შხამიანი მცენარეა; ამიტომაც, რომ მას საქონელი არა ქამს. ქართულ ბალახურ მედიცინაში მას იყენებენ როგორც შარდსადენ საშუალებას, ხოლო ხელოსნები კი ხმარობენ მის მასალის ზედაპირის მოსაკრიალებლად და გასასწორებლად. მეცნიერულ მედიცინაში შვიტა *Herba Equiseti* გამოყენებულია როგორც შარდსადენი საშუალება, რისთვისაც გვიან ზაფხულში აგროვებენ მთლიან მცენარეს. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეას მე-7 ვანოცემაში შვიტა მოხსენებული არ არის, მაგრამ ქანაველეთ ევროპის ფარმაცოპეაში ის მოხსენებულია და მას იყენებენ კიდევ. შვეიცარიის ფარმაცოპეაში, გარდა აღწერილი სახეობისა, შარდსადენ საშუალებად მოხსენებულია აგრეთვე შვიტას სხვა სახეობებიც, როგორცაა *Equisetum silvaticum* L., *Equisetum pratense* Ehrh., *Equisetum maximum* Link. *Equisetum hiemale* L., *Equisetum palustre* L. შვიტას ყველა სახეობათა ქიმიური შემსწავლობა ასეთია: 22,6%—წყლიანი ექსტრაქტი, 6,6—ალკოჰოლ-

ექსტრაქტი, 2,5%—მეთილალკოპოლექსტრაქტი, 4,4%—ქლორო-  
ფორმექსტრაქტი, 1,3%—აცეტონექსტრაქტი. შვიტა 16,1—17,6%  
ნაცარს შეიცავს; გარდა ამისა, შვიტა შეიცავს 7,4%  $\text{SiO}_2$ -ს (სა  
აფთიაქო საქონელში არის  $\text{KCl}$ —1,5%-ის რაოდენობით), აკონიტისა  
და ოქსალმჟავებს, 5% საპონინს—ექუიზეტონინს და შაქარს.  $\text{H}_2\text{S}$ -  
ის მონაცემებით ალკალოიდები მასში შერეული სახითაა მოცე-  
მული. დანარჩენ ნოვითერებებიდან აღსანიშნავია სილიციუმმჟავა,  
რომელიც ახლად შეგროვილ მცენარეში 3,2—6,2%, ხოლო გამშრალ  
მცენარეში — 5,2—7,8%; ხსნადი სილიციუმის მჟავა ახალ მცენა-  
რეში 0,05—0,33% შეადგენს, ხოლო გამშრალში 0,06—0,08%.  
ნაცარში  $\text{SiO}_2$  70%-ს შეადგენს; მასში მოიპოვება აგრეთვე ალუ-  
მინიუმი და კალიუმქლორიდიც. შვიტადან ამზადებენ შემდეგ  
ფარმაცევტულ პრეპარატებს: *Herba Equiseti*, *Species Equiseti*  
*compositae* რომელშიც შედის 100 გრამი *Herba Equiseti*, 100  
გრამი *Herba Galeopsidis* და 100 გრამი *Herba Polygoni avicula-*  
*ris* და *Decoctum herbae Equiseti*. საქართველოში იზრდება შვიტას  
მრავალი სახეობა და თითქმის ყველა ვარგა სამკურნალო მიზნები-  
სათვის. შვიტას ყველა სახეობათა ყოველწლიური ველური მარაგი  
დაახლოებით 12.5 ტონას უდრის; აქედან იზერეთში შეიძლება შე-  
გროვდეს 1 ტონა. გურიისში 1 ტ., აქარაში 1 ტ., სამეგრელოში  
1,5 ტ., აფხაზეთში 1 ტ., სვანეთში 0,75 ტ., რაჭა-ლეჩხუმში  
1,5 ტ., სამარეთ ოსეთში 1 ტ., ფშავ-ხევსურეთში 0,75 ტ., მთა-  
თუშეთში 0,5 ტ., კახეთში 1 ტ., ქართლში 0,5 ტ., ბორჯომ-ბაკუ-  
რიანში 1 ტ.

### რეცეპტები:

Rp.: *Herbae Equiseti* 25,0  
DS. ორი სუფრის კოვზი  
მოიხარშოს ერთ ქიქა ალუ-  
ლებულ წყალში, გაცივდეს  
და დაილიოს ერთი ღლის  
განმავლობაში.

Rp.: *D-ti herbae Equiseti*  
10%—200,0  
DS. ერთი სუფრის კოვზი  
ღლეში 3-ჯერ.

Rp.: *D-ti herbae Equiseti*  
10%—200,0  
*Liq. Kalii acetici* 10,0  
MDS. ერთი სუფრის კოვზი  
ღლეში 3-ჯერ.




**ახსთავა—Erythraea centaureum Pers. (Centaurium  
umbellatum Gilib.)**

ეს 20—40 სმ სიმაღლის ერთი ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც ეკუთვნის Gentianaceae-ს ბოტანიკურ ოჯახს. მისი ღერო ფესვის ყელიდან ფესვთან ფოთლების დონემდე ოთხკუთხა და სადაა, შემდეგ კი დატოტიანებულია. ფესვთან ფოთლები მოგრძობებია და ბლავი, ღეროსი კი წვეტიანი, მოპირისპივედ მჯდომარე, ლანცეტა, ზოგჯერ ხაზურა. საშუალო ზომის, ნათელი წითელი ფერის მჯდომარე ყვავილები შეკრულია ღეროს ბოლოზე ფარ-ყვავილედში. ჯამი და გვირგვინი შედგება 5 ფოთოლაკისაგან. გვირგვინი 2—2,5-ჯერ უფრო დიდია ჯამზე და მილისებურად შეზრდილია. ნაყოფი წარმოადგენს წვრილ მოგრძო კოლოფს, რომელშიაც ვითარდება მრავალი წვრილი თესლი. ჩვენში ასისტავა ყვავილობს მაისის შუა რიცხვებიდან ივნისის ბოლო რიცხვებამდე, რის შემდეგ ნაყოფობს და დაახლოებით აგვისტოს ბოლომდე მწიფდება. გვხვდება ასისტავა როგორც აღმოსავლეთ, ისე განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც ის უფრო ხშირია, ხარობს ბარში და მთაში, განსაკუთრებით მთის შუა სარტულამდე, რომლის ზევით ის უფრო იშვიათად გვხვდება. იზრდება ბუჩქებ შორის, მდელოებზე. მღიწარეებისა და გუბეების ნაპირებზე, უყვარს ნესტიანი ნიადაგი.

საქართველოს ხალხურ მედიცინაში. განსაკუთრებით აფხაზეთში, ასისტავა დიდი ხანია იხმარება როგორც უებარი საშუალება ციების დროს, ზოგან კი მას სვიის შემცველად ხმარობენ. ასისტავა მარსინის სახელწოდებით მოხსენებული აქვს დავით ბატონიშვილსაც, როგორც კუჭში შემკვრელი საშუალება: „და თუ ავადმყოფი მუცელშია გახსნილ იყოს, ასისა შარბათი ასუით, რომე მარსინი ჰქუიანო. მეცნიერულ მედიცინაში, როგორც აღწერილი სახეობა, ისე მეოვე სახეობა *Erythraea pulchella* Tr. (*Centaurium pulchellum* Druce-ა), რომელიც გავრცელებულია ჩვენში, გამოყენებულია, როგორც მწვა-ე. მადის მომკვრელი და საკმლას მონელების მომწესრიგებელი საშუალება. ორივე სახეობა მოხსენებულია ჩვენი სახელმწიფო ფარ-აკოპეას მე-7 გამოცემაში და აგრეთვე გერმანიის, უნგრეთის, შვეიცარიისა და ბრაზილიის ფარმაკოპეაში. მკურნალობის მიზნებისათვის აგროვებენ ამ მცენარის მიწისზედა ნაწილებს ზაფხულის პერიოდში, როდესაც ის ყვავილობას იწყებს.

ქიმიურად ის შეიცავს ნაკლებად შესწავლილ მწარე ნივთიერებებს, რომლებიდანაც დღესდღეობით გამოყოფილია მწარე გლუ-

კოზიდი ერიტაურინი და არამწარე უერიტროცენტაურინი. მწარეების მაჩვენებელია 1/2000; ნაცრის შემცველობა სხვადასხვა კვეყნე-



სურ. 17. ასისტავა, ეჩითრეა (*Erythraea centaureum* L.).

ბის მონაცემებით სხვადასხვაა, დაწყებული 3% დან 8%-მდე. გარდა ამისა, ასისტავა შეიცავს მინერალურ იარილებს, ფისს, ცვილს და

სხვ. ჩვენში ასისტავას პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Herba Centaurii*, *Herba Centaurii minoris*, *Jnfusum Centaurii* და *Tinctura Centaurii*. ის შედის აგრეთვე სხვადასხვა მცენარეთა ნაკრებების შემადგენლობაში. საზღვარგარეთ, გარდა ჩამოთვლილი პრეპარატებისა, კიდევ ხმარობენ *Extractum Centaurii minoris fluidum* (ბრაზილია), *Tinctura amara*, *Extractum Centaurii aquosum Spissum* და სხვ.; ასისტავა შედის აგრეთვე *Extractum Stomachicum*-ის შემადგენლობაში (*Extractum Centaurii fluidum* და *Extractum Aurantii fluidum*  $\frac{aa}{aa}$  15,0). *Mixtura Centaurii* შეიცავს: *Extractum Centaurii fluidum*, *Stadatr. Aurantii*  $\frac{aa}{aa}$  15,0, *Acidum hydrochloricum dilutum* 3,0, *Sirupus simplex* 2,0, *Aqua destillata* ad 200,0. ასისტავას ორივე სახეობის ყოველწლიური რაოდენობა ჩვენში დაახლოებით შემდეგნაირად შეიძლება ვივარაუდოთ: იმერეთში 0,5 ტ., გურიაში 0,75 ტ., აქარაში 0,75 ტ., სამეგრელოში 0,5 ტ., აფხაზეთში 1 ტ., თბილისში (ქართლის ჩათვლით) 2,2 ტ., კახეთში 0,3 ტონა. სულ საქართველოში—4 ტონა.

#### რეცეპტები:

- Rp.: *Jnf. herbae Centaurii* 10,0 : 200,0  
 DS. სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: *Extr. herbae Centaurii fl.* 30,0  
 DS. 15—20 წვეთი კამის წინ.
- Rp.: *Fol. Trifolii fibr.*  
*Herbae Centaurii*  
*Herbae Absinthii*  $\frac{aa}{aa}$  10,0  
 MDS. მოიხარშოს 1 ჰიქა ნადულ წყალში და მიღებულ იქნეს სუფრის კოვზით კამის წინ.
- Rp.: *Herbae Centaurii.*  
*Fol. Trifolii conc.*  $\frac{aa}{aa}$  20,0  
*Rad. Taraxaci conc.*  
*Rhiz. Caricis conc.*  
*Cortex chinae conc.*  $\frac{aa}{aa}$  10,0  
 M. f. Species  
 DS. მოიხარშოს 1 ჰიქა ნადულ წყალში და მიღებულ იქნეს სუფრის კოვზით დღეში 3—5-ჯერ კამის წინ.

Rp.: *Herbae Centaurii* 30 0

DS. შიხარშოს 1 კიკა წყალში და მიღებულ  
იქნეს დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზი  
ქამის წინ.

**კანადურა ერიგერონი—*Erigeron canadensis* L.**

ეს მცენარე, რომელიც ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (*Compositae*) ბოტანიკურ ოჯახს. იქნება ამერიკიდანაა შემოტანილი. მის სწორმდგომ ღეროზე, რომელიც 30—150 სმ სიმაღლის იზრდება, განლაგებულია სახურა ან ლანცეტა, ხერხებილა ფოთლები. მისი მრავალრიცხოვანი თეთრი კალათა ყვავილედი შეკრებილია საგელად, ხოლო კალათას ნაპირებზე პატარა ეთაკიანი ყვავილებია. საგველა ხშირად მტევნისებურია. კალათენი იმდენად პატარებია, რომ მათი სიგანე 3—4 მმ არ აღემატება. ჩვეულებრივ მას ვხვდებით ნესტიან და ზემუსიან ნიადაგზე, განსაკუთრებით ნაგვიან ადგილებში.

ჩვენში ეს მცენარე ნეტწილად შავი ზღვის სანაპიროებზე გავრცელებული, გვხვდება თბილისშიც, მაგრამ როგორც სამკურნალწამლო საშუალებას ქართველები მას არ იყენებენ. თავის სამშობლოში კი მას ხაზობენ, როგორც ქიის დამდენ და საშვილოსნოდან სისხლის დენის საწინააღმდეგო საშუალებას; იყენებენ აგრეთვე წყალმანკის დროს, *Diarrhoe*-ს და დიზენტერიის შემთხვევებში. ამიტომაც, რომ ამერიკის ფარმაკოპეიაში მოხსენებულია მისი პრეპარატი *Herba Erigerontis canadensis*, რომლის ქიმიური შემცველობა ასეთია: 0,3—0,7% ეთერზეთი.  $\alpha$ -ლიმონენი.  $\alpha$ -ტერპინეოლი და მეთილაკეტატი, დიპენტენი, მთრიმლავი ნივთიერება, ნალელის მჟეა და სავ. ამერიკაში იყენებენ ამ მცენარის სხვა სახეობასაც—*Erigeron aeris* L., რომელიც ცნობილია *Herba Eonyzae coeruleae (minoris)*, *Herba Erigeri Senecionis coeruleae*-ის სახელწოდებით და ქიმიურად იმავე შემცველობით ხასიათდება. ამ მცენარის ყოველწლიური მარაგი ჩვენში შეიძლება გამოისახოს შემდეგი რაოდენობით: იმერეთში, 0,2 ტ., ბათუმში 0,3 ტ., აფხაზეთში 0,3 ტ., ლაზეთში 0,2 ტ., თბილისის მიდამოებში კი 0,1 ტონა, სულ 1,1 ტონა.

**ეროდიუმი (სავარცხელა)—*Erodium cicutarium* L. Herit**

ეროდიუმი ნემსისწვერასებრთა (*Geraniaceae*) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია; ის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. რომელიც გაზაფხულზე ივითარებს ფესვთან ფოთლებს, ხოლო ზაფ-


ხულში ღეროზე განწყობილ ფოთოლთანაიან მოგრძო ფრთად განკვეთილ ფოთლებს; მისი ყვავილები აქტინომორფულია და შეკრებილია ქოლგა ყვავილედში. ჯამი ხუთ ფოთოლაკიანია, გვირგვინიც შედგება ხუთი მკრთალი წითელი ფერის 4—6 მმ სიგრძის ფოთოლაკისაგან. მტერიანა ათია, აქედან ხუთი სამტერე პარკებს ივითარებს, ხოლო ხუთი სამტერეს გარეშეა დარჩენილი. ეროდიუმი იზრდება ქვიშიან, მშრალ ნიადაგებზე და ნაგვიან ადგილებში.

ჩვენი ხალხი ამ მცენარეს მკურნალობის მიზნებისათვის არ იყენებს, რადგან შემცველად მარწყვაბალახი (*Potentilla tormentilla* Neck.) აქვს, მაგრამ მეცნიერულ მედიცინაში მას ხმარობენ (გერმანიაში) როგორც საუკეთესო შარდსაღენ საშუალებას (*Diureticum-s*), რომელიც საექიძი. წიგნშიცაა შეტანილი. მისი პრეპარატებია: *Herba Erodii cicutarii*, რომელსაც ამზადებენ ყვავილობაში მყოფი მცენარიდან. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: ფლავონი, ცთრიმლავი ნივთიერება, მცირეოდენი ნაღვლის მჟავა, ცხიმი, კვილოვანი ნივთიერება და 12—14% ნაცარი, რომლის შემცველობაში 44%  $K_2O$  შედის. ჩვენში ეროდიუმის საყარაუდო ყოველწლიური მარაგი დაახლოებით ასე გამოიხატება: იმერეთში 0,3 ტ., ბათუმის ნიდაშობებში 0,2 ტ., აფხაზეთში 0,4 ტ., აბილისში კი 0,1 ტონა. სულ საქართველოში 1 ტონა.

**ეუპატორიუმი (ვარკანაფა)—*Eupatorium cannabinum* L.**

მცენარე ეუპატორიუმი 50—100 სმ სიმაღლის, ზედა ნაწილში დატოტიანებული მცენარეა, რომელიც ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (*Compositae*) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება მოკლე ყუნწიანი, სამმაგი, ბასრი ლანცეტა ფორმის ფოთლებით. მისი ოდნავ შებუსხილი ღეროს კენწერზე ვითარდება ფარისებური კალათა ყვავილელები. თითოეული კალათა შედგება 4—6 წითელი ფერის ყვავილისაგან, რომლებიც საჯანით 2—3 მმ, ხოლო სიგრძით 5 მმ არ აღემატება. ეს მცენარე ეტანება ქაობიან ადგილს და უფრო ხშირად ქაობთა სანაპირო ფიტოცენოზში მონაწილეობს. ის გავრცელებულია შიის შუა სარტყლის ზონამდე.

მკურნალობის მიზნით ჩვენი ხალხი ამ მცენარეს არ იყენებს, მაგრამ ბრაზილიაში მას დღესაც იყენებენ და ფარმაცოპეაშიც შეტანილი აქვთ, როგორც ტონიკუმი, ქიის დამდენი, ოფლის მომგვრელი და შარდსაღენი საშუალება. აგროვებენ ყვავილობაში მყოფ მცენარეს, როგორც ამ სახეობას, ასევე სხვებსაც; სახელ-



სურ. 18. მარწყვაბაღი (*Potentilla tormentilla* Neck.).

დობრ: *Eupatorium triplinerve* Vohl., *E. perfoliatum* L., *E. purpureum* L., *E. aromaticum* L. და *E. odoratum* L. მაგრამ ჩვენში გავრცელებულია ზემოაღწერილი სახეობა, როელიც შეიცავს იაპინს (იგივე ესკულეტინის მეთილენ ეთერს). 1-1,2% ეთერ-ზეოს, რომელშიაც 75-80% თიმოქიდროინი-ნ-დიმეთილეთერია, კუმარინს) 1 ეუპატორინს და სხ. ბრაზილიაში ცნობილია ეუპატორიუმის შეიდეგი პრეპარატები: *Extractum Ayapanae fluidum* და *Tinctura Ayapanae*. საქართველოში ეს მცენარე შეიძლება შეგროვდეს ყოველწლიურად დაახლოებით წემდეგი რაოდენობით: იმერეთში 0.2 ტ., გურიაში 0.3 ტ., აჭარაში 0.3 ტ., სამეგრელოში 0,3, აფხაზეთში 0,4 ტ., ლაზეთში 0,2 ტ., თბილისში 0,1 ტონა. სულ 1,8 ტონა.

### რძიანა—*Euphorbia amygdaloides* L.

რძიანა ეკუთვნის რძიანასებრთა (*Euphorbiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება 60 სმ სიმაღლით, სუბოვალდგომი და დატოტვილი, წვრილად შებუსხვილი ღეროთი. რძიანა მრავალწლოვანი მცენარეა და მისი წარსული წლების შებრუნებულ-კვეთცხნაირი ან ლანცეტა ფოთლები ხშირად ღეროს ფუძესთანაა შეკრებილი; ღეროს ფოთლები მჯდომარეა და გრძელი. ყვავილები შეკრებილია სხივისებურ ყვავილედში, რომლისგანაც ვითარდება კოლოფი ნაყოფი. ჩვეულებრივ ეს მცენარე ტყეებს: და ტყის პირას იზრდება. ბოლო შავი ზღვის სანაპიროებზე—ქვიშნარში. რძიანას მეორე სახეობაა—*Euphorbia peplis* L., რომელიც აგრეთვე გამოყენებულია მეურნეობის საქმეში.

ჩვენი ხალხი რძიანას იყენებს როგორც საფალარათო საშუალებას, კანის აქერცვლის წინააღმდეგ, ქავახას დროს და სხე. ჩვენს ფარმაკოპეიაში საზოგადოდ რძიანას გვარი მოხსენებული არაა, მაგრამ საზღვარგაეთ, გარდა ჩამოთვლილი სახეობებისა. იყენებენ სხვებსაც, სახელდობრ: *Euphorbia resinifera* Berg., *E. cyparissias* L. (*Tithymalus cyparissias* Scop.), *E. corollata* L., *E. procera* M. B., *E. pilosa* L., *E. villosa* W. et Rit., *E. escula* L., *E. helioscopia* L., *E. hypericifolia* L., *E. splendens* Boj. და სხვ. რძიანას გვარის მცენარეებს იყენებენ ჰომეოპათიაშიც. აგროვებენ ამ მცენარეთა თესლებს და მთლიან ბალახს ყვავილობის პერიოდში. რძიანას თესლი ქიმიურად შეიცავს ალკაჰოლ ეუფორბოლს, ეუფორბინს, რომელიც შედგება ეუფორბინისა და—ეუფორბინისაგან, ზოგიერთ ალკალოიდთა კვალს, ცხიმებს

(ოლეინით), ცერილალკოჰოლს, ფრუქტოზას, ქოლინს და მარილებს. მის რძიან წვენში შედის ეუფორბიას მკაევა ანჰიდრიდი, ეუფორბინის კრისტალები, ფისი, კაუჩუკი, ნალელის მკაევა, ვაშლის მკაევა, ღვინის მკაევა, ეთერზეთები, ცხიმზეთები, ალკალოიდი, ხოლო *Hulmes*-ის მონაცემებით აგრეთვე მცირეოდენი გლუკოზიდი და ალკალოიდიც. მთლიანი მცენარე ყვავილობის პერიოდში შეიცავს ეუფორბიას მკაევას ანჰიდრიდითა და ეუფორბინით, 15,7% ფისს. 2,7% — კაუჩუკს ნალელის მკაევას, ვაშლის მკაევას, 4% შაქარს, 3,6% წებოს, ეთერზეთებს, ცხიმზეთებს, ცილას და ალკალოიდს. საპონინ ფაზინს და სხვ. რძიანას პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Herba Euphorbiae pep̄li*, *Tincturae Euphorbii* და *Elixir Euphorbiae compositum*. ჩვენში გავრცელებულ რძიანათა გვარი, მკურნალობისათვის გამოყენების თვალსაზრისით, სრულიად შეუსწავლელია. მისი შესწავლა კი გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ხალხი იცნობს ამ მცენარის ბაქტერიოციდულ თვისებას, და მწუყემსები ისე არ დააღწევენ პირუტყვს ბინძურ წყალს. რომ შიგ 2–3 წვეთი რძიანას რძე არ ჩააწვეთონ ამ მცენარის გვარის წარმომადგენელთა შეგროვება ჩვენში უხვად შეიძლება და მათი კოეფლუორი მარაგი საქართველოში დაახლოებით 2,7 ტონით განისაზღვრება. აქედან იმერეთში შეიძლება შეგროვდეს 0,5 ტ., გურიაში 0,3, სამეგრელოში 0,3, აფხაზეთში 0,5, სვანეთში 0,2, რაქა-ლეჩხუმში 0,3, სამხრეთ-ოსეთში 0,2, ფშავ-ხევსურეთში 0,1 ტ., ხოლო მთა-თუშეთში 0,1, ბორჯომ-ბაკურაიანში 0,2 ტონა.

**ევროპული ქანკუატი — *Evonymus europaeus* L.  
*E. vulgaris* Mill.**

ევროპული ქანკუატი ეკუთვნის *Celastraceae*-ს ბოტანიკული ოჯახს და წარმოადგენს მომცრო ხეს ან ბუჩქს ჩვეულებრივ შიშველი, სადა მწვანე ყლორტებით. მისი ფოთლები მოკლეუნწიანია, ლანცეტა ან ოვალური, ხერხებილა კიდეებით და წაწვეტებული ბოლოებით. ქანკუატის ყვავილი მწვანე ფერისაა, ნაყოფი კი კოლოფი. საქართველოს ტყეებში ქანკუატი საკმაოდ გავრცელებული მცენარეა.

ხალხში ცნობილია, რომ ამ მცენარის თითქმის ყველა ნაწილი შხამიანია; ის იყენებს მას, როგორც საღებავს, აგრეთვე მცირე დოზებში იხმარება საფალარათოდ, ქიების და ქავანას საწინააღმდეგო საშუალებად. ამავე მიზნით ბრაზილიაშიც იყენებენ მის ნაყოფს, რომელსაც აგროვებენ სიმწიფის პერი-



ოდში. ჰანჰყატის მწიფე ნაყოფი შეიცავს გლუკოზიდ ევონიმიინს, თესლი—ცხიმზეთ ტრიაცეტილგლიცერიდ ტრიაცეტატს, და თესლის საფარველი ქერქი—ზეაქსანთინს; მოწითალო ნარინჯისფერ ცხიმზეთს თითქმის 72,5%, მკროლადს 10,7%. მკვირვ ცხიმმჟავას 2,3% და უვნებელ ფიტოსტერინის კრისტალებს. მისი პრეპარატებია: *Extractum Evonymi* და *Extractum Evonymi fluidum*. საქართველოში ჰანჰყატის ნაყოფი შეიძლება შეგროვდეს ყოველწლიურად 1—1,5 ტონის რაოდენობით.

### წიფელი—*Fagus Orientalis* Lipsky

წიფელი წიფლისებრთა (*Fagaceae*) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია.

ეს საკმაოდ მოზრდილი, 20—25 მ სიმაღლის ხეა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ჩვენში, განსაკუთრებით მთის შუა სარტყელში; თუმცა საერთოდ წიფელი ვაკეზე არ იზრდება, მაგრამ თუ მთის კალთა უშუალოდ ზღვას ეხება, მაშინ ის ზღვის პირამდეც ჩამოდის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც ის წმინდა კორომებსაც ქმნის (ნ. კეცხოველი). უფრო ხშირად წიფელი გვხვდება სივ. სახეობის ხე-მცენარეებთან ერთად, ამიტომაც, რომ ის მთის შუა სარტყელის ტყეებში სხვადასხვა სახის დაჯგუფებებსა და ვარიანტებს ქმნის. წიფელას ახასიათებს 7—10 სმ სიგრძის, ცვინია, მარტივი ფორმის ფოთლები, 9—12 წყვილი გვერდითი ნერვით; ღეროზე ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული. მამრობითი ყვავილების ყვავილსაყარი ზარისებრია, განიერი სამკუთხა ნაწილებით, 5—20 მტვრიანათი და 2—6 ბუდიანი ნასკვით; მისი ნაყოფი ერთათესიანი კაკალია სფერული აპიკატით.

წიფელი საქართველოში დიდი ხანია გამოყენებულია როგორც ხალხური სამკურნალო საშუალება ფილენჯის ქარის დროს, აგრეთვე წელის ტკივილებისა და სხვადასხვა ქარების წინააღმდეგ. დავით ბატონიშვილის სიტყვით „ინდოური ნიგოზი, ნაქვის გული, წიფელი და ნიგოზი“... „ქა“-სა ოთხივე კარგად უზავს“-ო. ამავე მიზნებისათვის დავით ბატონიშვილი ურჩევს წიფლის ზეთს, შერეულს სხვა მცენარეულ ზეთებთან: „ნიგოზისა, ნაქვისა და წიფლის ზეთების ქამა, და მტკივანსა ალაგსა შეეცხება, ფილანჯისა და ყოვლის ფერის ფილანჯის ქარისათვის, მწოვედ კარგი არის“-ო. მისი სიტყვით, წიფლის ზეთი შველის აგრეთვე ღვიძლისა და თირკმლის

ტკივილების დროს და შედის ხანთალას ზეთის შემადგენლობაში, რომელსაც იყენებდნენ მწკელში ქიის ან გველის ჩაძრომის დროს; ამ შემთხვევაში სამ ღირჰამ ხანთალას ზეთს ლესავდნენ თბილ წყალში და ასმევდნენ ავადმყოფს. რაც „ყოველივე ამათ დაჰაოცს და გამოჰყრის“. ამავე ზეთს ხმარობდნენ აგრეთვე თმის ძირის გასამაგრებლად და მისი ცვენის შესაჩერებლად. ხანთალას ზეთი შეფლის კბილისა და ყურის ტკივილებსაც. ხანთალას ზეთს ამზადებდნენ შემდეგნაირად: „მოიტანე ოთხი რათალი ამა ხანთალის თესლი, რომე ხუთას ოცი ღირჰამი იყოს და ნახევარზედა დანაყე და ერთი რაფალი შირლიღნის ზეთი, და ან ამდენივე ნიგუზის ზეთი და ან ამდენივე წიფლის ზეთი დაასხი, რომე ასოცდაათი ღირჰამი იყოს და კარგად ამოქულიტონ და მანამდისი აღუღონ, რომე ზეთი მოსქელდეს და თესლის ძალი და ხასიათი ყუელა ერბოშივა გამოვიდეს, მერმე გაწურონ და მინაშივა ჩაასხან და იხმარონ. ზეთი იქნება“-ო, ამბობს დავით ბატონიშვილი. მეცნიერულ მედიცინაში წიფლის ხის მშრალი გამოხდის პროდუქტებს კრეოზოტსა და კუპრს, ან, უფრო სწორად, გვაიკოლს იყენებენ ფილტვების ტუბერკულოზის დროს; ამავე დროს ის მადის აღმძვრელი და ხელების საწინააღმდეგო საშუალებაა და ხელს უწყობს ნახველის გამოყოფას; მას იყენებენ აგრეთვე ორსულობის პერიოდში პირღებინების დროს და კუქ-ნაწლავის არანორმალური მოქმედების დროს ამბობხის პროცესების წინააღმდეგ; ხმარობენ აგრეთვე როგორც ქიის დამდენ, კანის გამღიზიანებელ და ანტიისეპტიკურ საშუალებას, უნიშნავენ თირკმლების დაავადებით გამოწვეული პირღებინების დროს. მკურნალობის საქმეში გამოყენებულია არა მარტო წიფლის ხის მშრალი გამოხდის პროდუქტები, არამედ წიფლის ნაყოფიდან გამოხდილი ზეთიც, რომელიც ამასთან საუკეთესო საკვებ საშუალებასაც წარმოადგენს. ამ მცენარის მთავარი შემცველი ქიმიური ნივთიერებებიდან, რომლებიც მიიღება მისი მერქნის მშრალი გამოხდის საშუალებით, აღსანიშნავია ძმრის მჟავა, 10%-დე კრეოზოტი (Kreosotum), გამკვირვალე, ზეთისმაკვარი მოყვითალო სითხე 1,07 წონაუთრით, რომელიც ძლიერ ტებს სინათლის სხივს, იხსნება 120 ნაწილ ცხელ წყალში და მკვირვდება 20°. მისი დუღილისა და გამოხდის ტემპერატურა 205—220° შორის მერყეობს. მას ახასიათებს ძლიერი სუნი და მწველი გემო. თვით კრეოზოტი რამდენიმე ნივთიერების ნაზავია, რომლებიდან უმთავრესად აღსანიშნავია გვაიკოლი (ბრენცკატეჰინის მონომეთილეთერი), კრეოზოლი (Kreosolum seu Homogujacolum); ყველა ამ ნივთიერებას აქვს ანტიისეპტიკური თვისებები; გვაიკოლსა და კრეოზოლს ღვწულობენ კრეოზოტიდან,

ხოლო კრეოზოლს კი რთული ან გულდასმითი გამოხდის შედეგად იღებენ გაუწმენდელი კარბოლის ნეაქიდან. ოფიცინალური სამედიცინო გამოყენება უმთავრესად ხვდება გვაიკოლს (Guajacolum), რომელიც წარმოადგენს გამკვირვალე, უფერულ, ზეთისმაგვარ სითხეს არასასიამოვნო მწიკლი სუნით. ის იფერება სითხის მოქმედებით. დუღს 200—205°, ძველად იხსნება წყალში, ხოლო ადვილად სპირტში, ეთერში და გოგირდნახშირბადში. მისი წონაკუთრი 1,117—1,140 შორის მერყეობს. სუფთა გვაიკოლი უფერო კრისტალური ფორმის ნივთიერებაა, რომელიც 33° ლღვება. კრეოზოლი ყვითელი ფერის, ზეთისმაგვარი სითხეა არომატული სუნით; დუღს 220°. წიფელის ნაყოფი შეიცავს 43—45% ცხიმზეთს, ცილოვან ნივთიერებას, სახაზებელს, შაქარს და სხვ. მაგრამ, რაც მთავარია, წიფელის ნაყოფი შეიცავს ალკალოიდ ფაგინს, რის გამო მას ახასიათებს ნარკოტული მოქმედება. ფაგინი იდენტურია ქოლინთან, რომლის ნარკოტული და შხამიანი მოქმედება შეიძლება ავიციდინოთ მისი გაცხელებით. წიფელის ფარმაკევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: Kreosotum, Guajacolum, Guajacolum carbonicum (seu Duotalum), Pix liquida Fagi (seu Oleum Fagi empyreumaticum), Oleum Fagi expressum, Aqua Kreosoti, Sapo Kreosoti, Spiritus Kreosoti, Unguentum Kreosoti, Vinum Kreosoti, Kreosotiformum, Kreosot-Calcium chlorhydro-phosphoricum, Kreosot Magnesium, Kreosotum benzoicum, Kreosotum carbonicum, Kreosotum Oleinicum, Kreosotum phosphoricum, Kreosotum tannicum, Kreosotum valerianicum, Guajacol-phosphit, Guajacolum benzoicum (seu Benzosolum), Guajacolum bijodatum, Guajacolum cinnamyllicum (seu Styracolum), Guajacolum phosphoricum, Guajacolum salicylicum (seu Guajacolsalolum), Guajacolum Valerianicum (seu Geosotum), Thiocolum (seu Kalium sulfoguajacolicum) და Sirolinum, რომელიც წარმოადგენს თიოკოლის 10% ხსნარის ნაზავს კომერანცევის სპირტთან.

ჩვენში წიფელის მასივები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა, ისე რომ, მისი ნაყოფის დამზადება განსაკუთრებით ჩვენ სუბალპებში ათეული ტონობით შეიძლება.

### ტყის მარწყვი — *Fragaria vesca* L.

საქართველოში არსებობს მარწყვის რამდენიმე სახეობა და ამიტომ თითოეულ მათგანს ცალკეულ სახელს უწოდებენ; აღნიშნულ სახეობას ტყის მარწყვსა და დარდალას უწოდებენ.

ის ეკუთვნის ვარდნაირთა (Rosaceae) ბოტანიკურ ოჯახს, წარმოადგენს დაბალი ტანის მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს, რომელიც მიწის ზევით ივითარებს პშუკალებს, რაც მისი ვეგეტატიური გამრავლების საშუალებაა. ფესვთანი ფოთლები გრძელყუნწიანებია და გასსამმაგებელი. თითოეული მათგანი, განსაკუთრებით ქვედა ფოთოლაკი, როაბული მოყვანილობისაა ხერხებილა კიდეებით და აბრეშუმისებური ბუსუსით ვენტრალურ მხარეზე. საყვავილე ყლორტებზე მცირე რაოდენობით ვითარდება ხშირი ბუსუსით დაფარული ყუნწებიანი თეთრი ყვავილები, ორმაგი ჯამით, ხუთფურცლიანი გვირგვინით და მრავალი მტკრიანათი. წითელი ფერის ნაყოფი კვერცხნაირი ან მრგვალი ფორმისაა, ხორციანი, წვნიანი, არომატული სუნით და მრავალი წერილი თესლით. ტყის მარწყვი ყვავილობს მაისიდან ივლისის ბოლო რიცხვამდე, ნაყოფი გამოაქვს ივნისიდან აკვისტამდე. საქართველოში ტყის მარწყვი გვხვდება დაწყებული ვაკე ადგილებიდან მთის ზედა სარტყლამდე, განსაკუთრებით ტყეებში, ბუჩქებ შორის, ტყის ნაპირას, ნაკაფ ტყეებში და სავ.

ჩენი ხალხი დიდი ხანია იყენებს მარწყვის ნაყოფს, როგორც შარდსადენ საშუალებას, რის შეახებ დავით ბარონიშვილი ამბობს: „მარწყვი მხურვალი და ხმელია, კაცმან რომე მარწყვი დანაყოს და წყალი გამოჰხაფოს და ამისის წყლითა კაცმან საქმელი ჰამოს, ყუთლისა და შავის იარაყნისათვის მშოვედ კარგი არის და თუ კაცსა მუცელშიგა ჰია ასხაა. იმას ყველას დაჰხოცს და გამოჰყრის“. ჩენს ფარმაკოპეაში მარწყვი მოხსენებული არ არის, მაგრამ საზღვარგარე (პორტუგალიაში) მის ფოთლებსა და ფესვურებს (Folia et Radix (Rhizoma) Fragariae) დღესაც იყენებენ როგორც შარდსადენ საშუალებას, ხოლო თვით ნაყოფს (Fructus Fragariae) უნიშნავენ საშარდე გზებში კენჭების დაშლის მიზნით და აგრეთვე როგორც დიეტკურ საშუალებას ნიკრისის ქარების დროს. მაგრამ მარწყვის დანიშვნისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი ორჯანიზმი მარწყვს ვერ იტანს და მისდამი ე. წ. იდიოსინკრაზია აქვს.

მარწყვის ნაყოფი შეიცავს ლიმონის და ვაშლის მჟავას, პექტინს, შაქარს, წითელ პიგმენტს, მთრიმლავ ნივთიერებას, ეთერზეთთა კვალს, ცილოვან ნივთიერებას; შაქრის რაოდენობა მარწყვში 3—4,5% არ აღემატება, თავისუფალი მჟავა 1,3—1,65% შეადგენს, წყალი 87—88% და ნაცარი 0,6—0,7%-ს. მარწყვის თესლში 14—19% ცხიმზეთია, ხოლო მისი ფოთლები და ფესვურები, პორტუგალიის მონაცემებით, შეიცავს 10% მთრიმლავ ნივთიერე-

ბას, ციტრალს, ვიტამინს და 9% ნაცარს. ზარწყვის პრეპარატები-  
 დან აღსანიშნავია: Fructus Fragariae vescae siccati, Rhizoma  
 Fragariae vescae და Herba Fragariae vescae. ჩვენში გარეული  
 მარწყვი, როგორც ნაყოფი, ისე მთლიანი მცენარე, საკმაოდ დიდი  
 რაოდენობით შეიძლება შეგროვდეს, სახელდობრ: იმერეთში ნა-  
 ყოფი 2 ტ., მთლიანი მცენარე 0,5 ტ., გურიაში ნაყოფი 0,5 ტ.,  
 მთლიანი მცენარე 0,2 ტ., სამეგრელოში ნაყოფი 1 ტ., მთლიანი  
 მცენარე 0,2 ტ., აფხაზეთში ნაყოფი 1 ტ., მთლიანი მცენარე  
 0,2 ტ., სვანეთში ნაყოფი 0,1 ტ., მცენარე 0,2 ტ., რაქა-ლეჩხუმ-  
 ში ნაყოფი 0,2 ტ., მცენარე 0,2 ტ., სამხრეთ-ოსეთში ნაყოფი  
 0,1 ტ., მცენარე 0,1 ტ., ფშავ-ხევსურეთში ნაყოფი 0,1 ტ., მცენა-  
 რე 0,1 ტ., კახეთში ნაყოფი 0,2 ტ., მთლიანი მცენარე 0,1 ტონა.  
 სულ საქართველოში ნაყოფი—5,2 ტ., ხოლო მთლიანი მცენარე  
 1,8 ტონა შეგროვდება.

### რეცეპტები:

Rp.: Fr. Fragariae 100,0  
 DS. მოიხარშოს 1 ჭიქა წყალში  
 და მიღებულ იქნეს დილა-სალამოს.

### • იფანი — Fraxinus excelsior L.

დასავლეთ საქართველოში იფანს კოპიტის სახელწოდებით  
 იცნობენ. მაგრამ ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოში  
 ზოგიერთ ადგილს კოპიტნარი ჰქვია, მოწმობს, რომ წინათ იფანი  
 ჩვენში უფრო დიდი რაოდენობით და სუფთა მასივების სახით  
 ყოფილა. იფანი ეკუთვნის Oleaceae-ს ბოტანიკურ ოჯახს. ის წარ-  
 მოადგენს საკმაოდ მოზრდილ ხეს, დამახასიათებელი ნაცრისფერი  
 ჭერქით, სადა ზედაპირით და შიშველი ახალგაზრდა ყლორტებით,  
 რომლებზედაც შავი ფერის კვირტები ვითარდება. იფნის კენტ-  
 ფრთართული ფოთოლი, რომელიც შედგება დაახლოებით 3—6  
 წყვილი ფოთოლაკისაგან, განიერი ლანცეტაა, მჯდომარე ხერხ-  
 კბილა ნაპირებით და ზევიდან პრიალა, ხოლო ქვემოდან უფრო  
 მოთეთრო, ცოტად თუ ბევრად შებუსვილი ზედაპირით. ამ მცე-  
 ნარის ყვაილი ფოთლებზე ადრე ვითარდება, შეკრებილია საგველა  
 ყვაილედში და მოკლებულია ყვაილსაფარს, ე. ი. მას არც ჯამი  
 აქვს და არც გვირგვინი. იფანი ისხამს ანემოხორულ ფრენია ნა-  
 ყოფს. საქართველოში იფანი გავრცელებულია დაწყებული შავი ზღვის  
 სანაპიროებიდან სუბალპურ ტყეთა ბოლო საზღვრამდე, როგორც

პატარა, ისე მსხვილი ზომის ხის სახით, კარგად იტანს როგორც ნესტს, ისე ნაწილობრივ სიმშრალესაც. დიდი მასივების სახით იფანი არ გვხვდება, მაგრამ ფოთლოვან ტყეებში (წიფლნარში) და მდინარის სანაპირო ქალის ტყეებში მას ხშირად ნახავთ მურყანთან და ლიფანთან ერთად. იფანი მეტად დიდხანს, თითქმის 300 წლამდე ცოცხლობს, რის გამო იგი ხშირად ძალზე დიდი სიმაღლის იზრდება. მაგალითად, სვანეთში მოგზაურობის დროს, ჭახუნდერის ეკლესიის ეზოში ჩვენ შეგვხვდა დარგული იფნის ეს სახეობა, რომელიც სიმაღლით 30 მ-ზე მეტი იქნებოდა და ლეროს გარშემოწერილობა კი 8 მეტრსა და 12 სმ-ს უდრიდა.

იფნის ფოთლებს, ქერქსა და ნაყოფს საქართველოში იყენებენ როგორც გამონახარშის, ისე ნაყენის სახით ციების, კიებისა და თირკმლების დაავადებათა წინააღმდეგ, ხოლო მისი კვირტების ნაყენს ზოგჯერ რევმატიზმული ანთების დროსაც ხმარობენ. მეცნიერულ მედიცინაში იფანი წინათ უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ამიტომ ჩვენ ძველ ფარმაკოპეაში მოხსენებულიც იყო, მაგრამ ჩვენ სახელმწიფო ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში იგი უკვე მოხსენებული არ არის. დღეს ეს მცენარე შემორჩენილია მხოლოდ *Helvetica Editio Quinta* ფარმაკოპეაში, რომლის მონაცემებითაც იყენებენ ამ მცენარის ფოთლებს (*Folium Fraxini*), რაც ცნობილია აგრეთვე *Folium Linguae avis*-ის სახელწოდებით. ქიმიურად იფნის ფოთოლი შეიცავს 25-დან 82%-მდე ალკოჰოლ მანიტს (*Mannitum*), თვით მანიტი შეიცავს 2,2-3% გლუკოზს, 2,5—3,4% ლეფულაზს, 12—16% მანნოტეტროზებს, 6—16% მანინოტროზებს, 1,5—2% ნაცარს, 0,05—0,1% ფისს, 10% წყალსა და 10% გაურკვეველ ნივთიერებებს. გარდა ამისა, იფნის ფოთლებში მოიპოვება ინოზიტი, ქვერციტრინი, სახაროზი, დექსტროზი, ვაშლისა და ლიმონის მჟავა, ლორწო, მთრიმლავი ნივთიერება, ეთერზეთები, ვიტამინი C და 10% ნაცარი. იფნის ახალი ქერქი შეიცავს გლუკოზიდ ფრაქსინს გლუკოზითა და ფრაქსეტინით, რომელიც ტრიოქსი კუმარინ მონომეთილეთერია. გარდა ამისა, ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, წებოს, ეთერზეთს, მწარე ნივთიერება ფრაქსინინს, რომელიც ზოგს მანიტი ჰგონია. მცენარეთა სამეფოში მანიტი საკმაოდ გავრცელებული ნივთიერებაა, რომელიც შეიძლება დაკრისტალდეს თეთრი ნემსისებური კრისტალების სახით. სუფთა მანიტი უსუნოა და ხასიათდება სასიამოვნო გემოთი; მისი ლღობის ტემპერატურა 166° უდრის, წონაკუთრი—1,521 უდრის. მანიტს ახასიათებს ნაზი საფალარათო მოქმედება; ხშირად ის იწვევს ნაწლავებში რძისმჟავა ამბოხს. მანიტის ამ-

ბოხის პროდუქტებია: წყალბადი, ნახშირბევა ანჰიდრიდი, ეთილის ალკოჰოლი, ძმრის, ერბოს და რძის მება. მეცნიერულ მედიცინაში მანიტს უნიშნავენ როგორც ნახ საფალარათოს :და აგრეთვე სხვა საფალარათო საშუალებათა გემოს შესაცვლელად. მისი ფარმაკევტული პრეპარატებია: *Manna canelata*, *Manna communis*, *Sirupus Mannae*, *Infusum Sennae-compositum* (*Infusum laxativum Vindobonense*) და *Mannitum*. საქართველოში იფნის ფოთოლი შეიძლება დამზადდეს ყოველწლიურად 5 ტონის რაოდენობით, აქედან იმერეთში 1 ტ., გურიაში 0,5 ტ., აქარაში 0,3 ტ., სამეგრელოში 0,5 ტ., აფხაზეთში 1 ტ., სვანეთში 0,5 ტ., რაქალეჩხუმში 0,3 ტ. კახეთში კი 0,9 ტონა.

### შავთარა—*Fumaria officinalis* L.

შავთარა ყაყაჩოსებრთა (*Papaveraceae*) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია, რომელიც 15—30 სმ და ზოგჯერ მეტი სიმაღლის იზრდება. ეს ერთწლოვანი ბალახია, სწორმდგომი ან წამოწეული ღეროთი, რომელზედაც მორიგეობით განლაგებულია ფოთლები, ხოლო კენწეროზე მტევან ყვავილედში შეკრებილი ყვავილები ასხია. მისი ფესვი ნაზია და დაუტოტავი, ღეროკი, პირიქით, საკმაოდ დატოტიანებულია და ზოგჯერ გართხმული მცენარის შთაბეჭდილებას ტოვებს. შავთარას ფოთლები ფრთაღანკვეთილია და უფოთოლთანო, ცალკეული 2—3 ნაკვთიანი ვიწრო, სოლისებრი ფოთოლაკით. ყვავილები ორსქესიანებია და მოკლე ყუნწებზე სხედან; თითოეულ მათგანს 2 ჯამის ფოთოლაკი აქვს, რომლებიც ადრე ცვივა, გვირგვინის ფურცელი 4, რომელთა სიგრძე 6—8 მმ-ს უდრის, ხოლო ჯამის ფოთოლაკები კი 3-ჯერ უფრო მოკლეა. მისი ნაყოფი ერთბუდიანი კაკლუქაა, რომელშიც შავი ფერის სადა თესლები ვითარდება. შავთარა ყვავის აპრილიდან სექტემბრამდე. ამ მცენარეს ჩვენში ვხვდებით, დაწყებული შავი ზღვის სანაპიროებიდან სუბალპურ სარტყლამდე, განსაკუთრებით ნათესებში—სეგეტალურ და ნავიან ადგილებზე რუდერალური მცენარის სახით.

საქართველოში დიდი ხანია იყენებენ ამ მცენარეს, როგორც სისხლის გამწმენდ და შადის მომგვრელ საშუალებას. ის წინათ ჩვენს ფარმაკოპეაშიც იყო მოხსენებული, მაგრამ მე-7 გამოცემაში შეტანილი არ არის. დღეს ის მოხსენებულია მხოლოდ ბრაზილიის ფარმაკოპეას უკანასკნელ გამოცემებში და მას იყენებენ იქ, როგორც შადის მომგვრელ საშუალებას და ნაწლავთი

ატონიების დროს. აღსანიშნავია, რომ ეს მცენარე იწვევს პულსის გაზშირებას და ზოგჯერ ძილის მომგვრელადაც ითვლება. აგრო-ვებენ ყვავილობაში მყოფ მთლიან მცენარეს *Herba Fumariae*-ს სახელწოდებით; მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: ნახშირწყლოვანი ნივთიერებებ დაახლოებით 0,5%, 0,13% პროტოპინი, 10% ნაცარი, ფუმარის მჟავა (*Acidum fumaricum*) და ალკალოიდი ფუმარინი (*Fumarinum*). შავთარას პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Herba Fumariae*, *Succus recens Fumariae*, *Extractum Fumariae*, *Extractum Fumariae fluidum* და *Sirupus Fumariae*, რომელშიაც შედის 100 ccm ფლუიდექსტრაქტი და 900 ccm *Sirupus simplex*-ი. ჩვენში შავთარა შეიძლება დამზადდეს იმერეთში 0,75 ტ. და აფხაზეთში 0,75 ტ., სულ 1,5 ტონა.

### გალები—*Gallae*

გალები საზოგადოდ წარმოიშვება მუხის ყლორტებზე ერთ-გვარი მწერის—*Cynips gallae tinctoriae* Olivier ან *Cynips tinctoria* Hartig, ჩხვლეტის შედეგად (ნახვლეტში ეს მწერი დებს კვერცხებს, რომლიდანაც შემდეგ მატლი ვითარდება. ჩხვლეტის მომენტში მცენარე ღიზიანდება, რის პასუხადაც ნახვლეტ ადგილზე ის ინტენსიურად ივითარებს ახალ უჯრედებს. ამრიგად, მუხის ახალგაზრდა ყლორტებზე წარმოიქმნება საკმაოდ მოზრდილი, დაახლოებით კაკლის ოდენა, შიგნით ცარიელი და განატეხზე მუქი ნაცრისფერი სხეულები—გალები). როგორც ცნობილია, მუხაში ბევრია მთრიმლავი ნივთიერება—ტანიინი, რომელიც გაღიზიანების შედეგად უხვად გროვდება ამ ახალ უჯრედში, რის გამოც ის პოვებს სამედიცინო გამოყენებას. ტანიინის უხვი შემცველობით იმთავითვე განთქმულია იაპონური, ჩინური და თურქული გალები, რომლებშიც მისი რაოდენობა 40-დან 77%-მდე მერყეობს. პროფ. ი. ქუთათელაძის მონაცემებით ირკვევა, რომ საქართველოს მაღალი მთის მუხის გალები (*gallae Querci macrantherae Georgiae*) შეიცავს 24% სახმარ ტანიინს. ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად გამოიჩვენა, რომ გალები ვითარდება არა მარტო მაღალი მთის მუხებზე, არამედ მის სხვა სახეობაზეც, როგორცაა: *Quercus iberica* Stev., *Quercus longipes* Stev., *Quercus pedunculata* Ehrh. და სხვ. ამგვარად, გალების ყოველწლიური მარაგი საქართველოში შეიძლება დაახლოებით 2 ტონით განისაზღვროს. კარგი იქნება, თუ ჩვენი ფარმაცო-ქიმიური ინსტიტუტი შეისწავლის ამ სახეობებზე განვითარებულ გალებსაც და გა-



მოაქვს ტანინის რაოდენობას მასში. გალები შეიცავს გლიკოგალუსმეავას, მისი პრეპარატებია: Tinctura Gallae cum Iodo (რომელშიც შედის Sol. Iodi spirituososa seu Tinctura Iodi 50,0, Tinctura gallae 50,0.), Tinctura Gallarum (ჩვენში, გერმანიაში, იუგოსლავიაში) და Unguentum Gallae (ამერიკა), რომელშიც შედის 20 ნაწ. წმინდა გალის ფხვნილი, 5 ნაწ. მგლის ქონი, 5 ნაწ. ყვითელი ცვილი და 70 ნაწ. ყვითელი ვაზელინი; გალის პრეპარატი აგრეთვე Gallae turcicae და სხვ.

### ოშოშა—Glechoma hederacea L.

ოშოშა ეკუთვნის ტუჩოსანთა (Labiatae) ბოტანიკურ ოჯახს, ხასიათდება შებუსვილი 15—60 სმ სიგრძის, დატოტიანებული, გართხმული ღეროთი და კუნწიანი ფოთლებით; ქვედა ფოთლები თირკმლისებურად მორგვალეებულია, ხოლო ზედა კი გულის მოყვანილობისაა. 2—3 ყვავილი იზრდება ერთად, ჯგუფურად. ჯამის სწორი მილისებური ფოთლები ერთიმეორესთან შეზრდილია. მოიხსრო გვირგვინი 15—20 მმ სიგრძისაა და 2—3-ჯერ უფრო გრძელია ჯამზე. ეს მცენარე კარგად იტანს ჩრდილს და იზრდება ნესტიან ადგილებში, ვანსაკუთრებით ღობის ძირში, ბუჩქებს შორის და ტყის პირას.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ოშოშა მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ჩვენი ხალხი მას სამართლიანად გაჭირვების ტალკვესს უწოდებს, რადგან ოშოშას ნახარშით და ნაყენით იკურნება მოტეხილობა, ნაღრძობი, სიმსივნეები, გაბინძურებული წყლულები და სხვ. ჩვენს ფარმაკოპეასა და მეცნიერულ მედიცინაში ეს მცენარე მოხსენებული არ არის, ხოლო ბრაზილიაში მას წარმატებით ხმარობენ და ფარმაკოპეაშიც აქვთ შეტანილი. აგროვებენ ყვავილობაში მყოფ მთლიან ბალახს *Herba Hederæ terrestris* სახელწოდებით. მისი შეიცავს ეთერზეთს, რომლის რაოდენობა ახალ ბალახში 0,03% უდრის, ხოლო გამშრალში 0,065%; 5,9%—7,5% მთრიმლავ ნივთიერებას, მწარე ნივთიერებას, ქოლინს, წებოს, მარილს და ღვინის მეავას. ნაცრის რაოდენობა გამშრალ მცენარეში 10% არ აღემატება. ბრაზილიაში ცნობილია ოშოშას შემდეგი პრეპარატები: *Extractum Glechomæ (Hederæ terrestris) fluidum* და *Sirupus Glechomæ (Hederæ terrestris)*, რომელშიც შედის 50 ccm ფლუიდექსტრაქტი და 950 ccm *Sirupus simplex*-ი. ოშოშა შეიძლება დამზადდეს: იმერეთში 0, 75 ტ., გურიაში 0,5 ტ., აპარაში

0,25 ტ., სამეგრელოში 0,5, აფხაზეთში 0,75 ტ., თბილისის მიდამოებში—0,25 ტ. ამრიგად, ვარაუდით, საქართველოში შეგროვდება სულ 3 ტონა ნელი მასალა.

### ძირტკბილა—*Glycyrrhiza glabra* L.

ძირტკბილა, რომელიც ეკუთვნის პარკოსანთა (*Leguminosae*) ბოტანიკურ ოჯახს 1,5 მ სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მძლავრი და ნიადაგში ღრმად განვითარებული ფესვთა სისტემით. მისი ღერო, ფოთლისა და ყვავილედის ყუნწები მოკლე ბუსუსითაა დაფარული. ფრთართული ფოთლები 9—15 ფოთოლაკისაგან შედგება და მორიგეობით განლაგებულია ღეროზე. თითოეული ფოთოლაკი მოგრძო კვერცხისებურია და, მასში არსებული ფისის შემცველი წერტილოვანი ჯირკვლების გამო, ქვედა მხარეზე პრიალაა. მრავალი პატარა ნათელი იისფერი ყვავილი შეკრებილია მტევან ყვავილედში. ნაყოფი—მოგრძო ფორმის თვითუხსნადი პარკია და შეიცავს ერთ ან მრავალ თესლს. ძირტკბილა ყვავილობს მაისიდან ივლისის ბოლო რიცხვებამდე, ნაყოფის მოსხმას კი სექტემბრის ბოლოს ამთავრებს. ძირტკბილა გავრცელებულია ჩვენში შავი ზღვის სანაპიროებიდან დაწყებული ვიდრე მთის წინამდე, განსაკუთრებით მდინარის ნაპირებზე, ველებზე, ნათესების ახლოს და სათიბებში; გვხვდება აგრეთვე მლაშობ ნახევრად უდაბნოებზე, სადაც დამარილება შედარებით სუსტია და დანესტიანება კი ხშირი. ამიტომაც, რომ ძირტკბილას სხვადასხვა დაჯგუფებაში ვხვდებით, მაგრამ ხშირად ის სუფთა სახის დაჯგუფებასაც ქმნის; რამდენიმე ჰექტარის ფართობზე და მის ახლოს სხვა მცენარე აღარ ხარობს. ძირტკბილის ასეთ მასივებს ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მარნეულის რაიონში და მტკვრის სანაპიროთა გასწვრივ. ჩვენი ხალხი უხსოვარ დროიდან იყენებს ძირტკბილას ფესვებს, როგორც ხველების საწინააღმდეგო საშუალებას.

დავით ბატონიშვილის თქმით, ძირტკბილას ფესვები (*Radix Glycyrrhizae* S. *Liquiritiae*), ძირტკბილას წვენი (*Succus Liquiritiae*) და ძირტკბილას ძირის წყალი „ხუნაყისათვის მწოვედ კარგი, მრავალჯერ დაცდილი არისო: მოიტანე რძე და ლეღვი და ბალდური ყარა, ვითამცა და წყაროს სუმბულიო, რომე სპარსნი ფარისიომანს უძახიან, ძირტკბილას ძირი, ბოლოკის წვენი და ანაკვეთი და ესეები ყუელა დაჯეჯკეთ და შაქრითა და ნუშის ზეთითა წამოადლულე და ისრე ჰამონ, და ხუნაყსა უშველის“.

მეცნიერულ მედიცინაში ძირტკბილას ძირს იყენებენ როგორც ამოსახველვებელ საშუალებას და სუსტ შეღავათის მომცემს. ის მოხ.



სურ. 19. ძირტკბილა (*Glycyrrhiza glabra* L.).

სენებულია როგორც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეაში (მე-7 გამ.), ისე გერმანიის, ამერიკის, ნიდერლანდების, სუეტის, დანიის, შვეიცარიის, იუგოსლავიის, იტალიისა და სხვათა ფარმაკოპეაში. იყენებენ ამ მცენარის ფესვებს (*Radix Liquiritiae*) და არჩევენ მის სამ ხარისხს: 1) გაუწმენდავი (*Radix Liquiritiae naturalis*), გაწმენდილი (*Radix Liquiritiae mundata*) და ორჯერ გაწმენდილი (*Radix Liquiritiae bimundata*); სამედიცინო პრაქტიკაში ძირითადად იყენებენ უკანასკნელ ორ გაწმენდილ ფორმას. ქიმიურად მისი ფესვები შეიცავს გლიცირიზინს გლიკურონით (რომელიც წარმოადგენს დიგლიკურონმჟავა ესთერს გლიცირეტინ მჟავათი K-სა და Ca-თან კავშირში), 5,9—7,3% საპონინისმაგვარ ნივთიერებებს, რომლებიც განსხვავდება საპონინებისაგან მით, რომ ჰემოლიზური მოქმედებით არ ხასიათდება; ის შეიცავს აგრეთვე გლუკოზიდ გლიცირიზინის მჟავას, რომელიც ჰიდროლიზით იშლება აგლიკონ გლიცირეტინის მჟავად და გლუკოზიდ ლიქუირიცინს, რომელიც ლიქუირიცინგენინთან ერთადაა; მასში შედის გლუკოზი, სახამებელი, ასპარაგინი, 0,25% აზოტოვანი ნივთიერება, 3,5% ცხიმი, ოქსალმჟავა, ვაშლის მჟავა, 2,5—2,7% და ზოგიერთებში 6,5%-დე სახაროზი,—გლუკოზი, 1,5% მანიტი, 2,3%—4% უხსნადი მწარე ნივთიერებანი, 3—6% მხსნადი მწარე ნივთიერებანი, 1,8—4% ფისი, 30% ექსტრაქტული ნივთიერებანი, 8—9% წყალი, 4,5%—8% ნაცარი. ის არ შეიცავს არც ერთ საპონინს და არც გლიკურონ მჟავას. შვეიცარიის ფარმაკოპეაში ამ მცენარის პრეპარატებიდან ცნობილია *Radix Liquiritiae ad usum veterinarium*. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემით ცნობილია ძირტკბილას შემდეგი პრეპარატები: *Pulvis Liquiritiae compositus*, *Sirupus Liquiritiae*, *Species pectoralis*, *Extractum Liquiritiae spissum et siccum* და *Elixir pectoralis*, ხოლო საზღვარგარეთ—*Elixir cum Extracto Glycyrrhizae* (*Elixir pectoralis*), *Extractum Glycyrrhizae purum*, *Extractum Liquiritiae fluidum*, *Extractum Liquiritiae*, *Pasta Glycyrrhizae*, *Pasta Glycyrrhizae compositae*, *Sirupus Liquiritiae* (*Glycyrrhizae*), *Succus Liquiritiae*, *Succus Liquiritiae pulveratus*, *Tinctura Glycyrrhizae opiata*—შეიცავს: *Oleum Anisi* 1,0, *Sirupus simplex* 120,0, *Extractum Glycyrrhizae* 30,0, *Tinctura Opii simplex* 200,0, ღვინის სპირტს 90%—320,0 *Aqua destillata ad* 1000,0. *Elixir pectorale*—შეიცავს: *Extractum Liquiritiae fluidum* 200 ccm, *Aqua Foeniculi* 600 ccm და *Liquor Ammonii anisatis* 200 ccm. *Liquor pectoralis*—შეიცავს: *Extractum Glycyrrhizae* 200,0, *Aqua destillata* 600 ნაწ., *Oleum Foeniculi* 1 ნაწ.,

Oleum Anisi 2 ნაწ., Spiritus (90%) 162 ნაწ., Liquor Ammoniaci (10%)—35 ნაწილი. Liquor pectoralis benzoicus შეიცავს: Tinctura Opii benzoica 25 ნაწ., Liquor pectoralis 75 ნაწ. Pulvis Liquiritiae compositus granulatus—შეიცავს: Pulvis Liquiritiae compositus 100 ნაწილი, Spiritus dilutus 30 ნაწილი. Mixtura Salina dulcis შეიცავს: Ammonium chloratum 20,0, Extractum Glycyrrhizae 40,0, Aqua Menthae piperitae 940,0. Mixtura Opii et Glycyrrhizae composita შეიცავს: Extractum Glycyrrhizae fluidum 120 ccm, Tartarus stibiatus 0,24, Tinctura Opii composita 120 ccm, Spiritus Aetheris nitrosi 30 ccm, Glycerinum 120 ccm, Aqua destillata ad 1000 ccm. გარდა ამისა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ ამზადებენ Pulvis Liquiritiae compositae, რომელიც ერთი და იმავე ნივთიერებებს სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს.

ძირტკბილას ფესვების ყოველწლიური დამზადება საქართველოში შეიძლება გავითვალისწინოთ შემდეგი რაოდენობით: გურიაში 1 ტ., აქარაში 0,5 ტ., სამეგრელოში 1 ტ., აფხაზეთში 1,5 ტ., იმერეთში 0,5 ტ., ქართლში 2 ტ., მარნეულში 2 ტ. და კახეთში 1,5 ტონა. საქართველოში სულ შეიძლება დამზადდეს 10 ტონა მასალა.

### რეცეპტები:

- Rp.: Pulv. Liquiritiae compos. 100,0  
DS. თითო მილებზე თითო ჩაის კოვზი (საფალარათო).
- Rp.: Elix. cum extr. Liquiritiae 15,0  
DS. 10—25 წვეთი ღლეში 3-ჯერ (ბავშვებს).
- Rp.: Sir. Liquiritiae 30,0  
DS. ჩაის კოვზით ღლეში 3-ჯერ.
- Rp.: Extr. Liquiritiae sicc. 10,0  
Aq. destill. 100,0  
Liq. Ammon. anis. 3,0  
Sir. Simpl. 10,0  
MDS. სუფრის კოვზით ღლეში 3-ჯერ ან 4-ჯერ.
- Rp.: Inf. Senegae sib. 10,0—200,0  
Sir. Liquiritiae 20,0  
MDS. სუფრის კოვზით ღლეში 3-ჯერ ან 4-ჯერ.

## მკვდრის ყვავილი—*Helichrysum arenarium* D. C.

მკვდრის ყვავილს ჩვენში აგრეთვე უკვდავას და უხმობელსაც ეძახიან. ის ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (*Compositae*) ოჯახს და სიმაღლით 40 სმ აღწევს; მისი ფესვიდანვე დატოტიანებული ღერო დაფარულია მოთეთრო ქეჩისებური ბუსუსით და შემოსილია ყუნწიანი ლანცეტა ფოთლებით. მეტად პატარა ყვითელი ყვავილები სხედან სფერული ფორმის კალათებში ისე, რომ ფარისებრ საგველა ყვავილედის შთაბეჭდილებას ტოვებენ. კალათას მრავალრიცხოვანი ღია ნარინჯისფერი ან ოდნავ მოწითალო საფარი ფოთლები მეტად პრიალა ზედაპირით გამშრალის შთაბეჭდილებას ახდენენ. იგი ყვავილობს ივნისიდან სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე. მკვდრის ყვავილის ეს სახეობა ჩვენში მეტწილად შავი ზღვის სანაპიროთა ქვიშნარზე ხარობს. ჩვენი ხალხი იყენებს ამ მცენარეს ნალვლის გზების და ღვიძლის დაავადებათა დროს, განსაკუთრებით სიყვითლის შემთხვევებში. მისი სუსტი მოქმედების გამო ჩვენს ფარმაცოპიაში ეს მცენარე მოხსენებული არ არის, ხოლო საზღვარგარეთ მას დღესაც იყენებენ როგორც ნალვლის მომდენ საშუალებას, აგრეთვე ღვიძლის, ნალვლის ბუშტის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და შარდ-სასქესო გზების დაავადებათა წინააღმდეგ. აგროვებენ ყვავილობაში მყოფ მთლიან მცენარეს, რომელიც შეიცავს: ეთერზეთებს, მწარეებს, მთრიმლავ, საღებავ და სხვა ნივთიერებებს. მკვდრის ყვავილის პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Flores Stoechados citrinae*, *Decoctum flores Stoechados*, *Infusum flores stoechados* და *Extractum Stoechados fluidum*. მისი ყოველწლიური მარაგი შავი ზღვის სანაპიროებზე განისაზღვრება შემდეგი რაოდენობით: გურიაში 0,25 ტ., აჭარაში 0,25 ტ., სამეგრელოში 0,5 ტ., აფხაზეთში 0,5 ტონა. სულ 1,5 ტონა. საქართველოში მკვდრის ყვავილის სხვა სახეობებიც იზრდება, რომელთა შესწავლა აუცილებელია.

### რეცეპტები:

Rp.: *Flor. Stoechados citrinae* 20,0  
*Fol. Trifolii fibr.* 15,0  
*Fol. Menthae pip.* 10,0  
*Sem. Coriandri conc.* 5,0  
*M. f. Species*

DS. 2 სუფრის კოვზი მოიხარშოს  
 2 ქიქა წყალში და გაცივების შემდეგ  
 დაილიოს დღეში 2—3-ჯერ ნახევარი ჩაის  
 ქიქა ჭამის წინ (ნალვლის მომდენი ნაკრები).

Rp.: D-ti fl. Stoechados citrinae 12,0:300,0  
DS. 2 სუფრის კოვზით 2—3-ჯერ დღეში.

Rp.: Fr. Myrtillorum 10,0  
Rhiz. Tormentillae conc. 10,0  
Flor. Stoechados citrinae 5,0  
Fol. Salviae conc. 15,0  
Fr. Carvi cont. 5,0  
M. f. Species.

DS. მოიხარშოს 2 კიქა წყალში,  
იღულოს 10 წუთს, გაცივდეს,  
გაიწუროს და დაილიოს ნახევარი ჩაის კიქა  
15—20 წუთით ადრე ქამის წინ (ნაღ-  
ლის ნაკრები.

### ხვია—Humulus Lupulus L.

სვია ეკუთვნის (Cannabinaeae-ს) ბოტანიკურ ოჯახს. იგი წარ-  
მოადგენს მრავალწლოვან მხვიარა მცენარეს მხოხავი ფესვურათი.  
მისი ოთხკუთხა ღერო შემოსილია გრძელყუნწიანი სამ-ხუთ ნაწი-  
ლაკიანი ფოთლებით, რომლებიც კენწეროზე ზოგჯერ მთლიანი და  
მრგვალი ან ოვალური მოყვანილობისაა; დორზალურ მხარეზე  
ფოთლები პრიალა და სადაა, ხოლო ვენტრალურზე—ბუსუსიანი.  
სვია ივითარებს პატარა, მოყვითალო მწვანე ფერის ორსახლიან  
ყვავილებს. მამრობითი ყვავილს, ხუთი ყვავილსაფარი და 5 მტვრი-  
ანა აქვს, ხოლო დედრობითი ყვავილები კი ყუნწიანებია და  
თითოეული თავაკის კილის ილღიაში ორ-ორად ზის. ნაყოფობის  
პერიოდში სვიის თავაკები, რომლებსაც ხშირად სვიის „გირჩას“  
უწოდებენ, 3—7 სმ სიგრძეს აღწევს. სვია ყვავილობს ივლისში  
და აგვისტოში და კაკლუკა ნაყოფს ისხამს სექტემბრის პირველ  
რიცხვებიდან ნოემბრის ბოლომდე. სვია გვხვდება ჩვეულებრივ ტყის  
პირას, ბუჩქებს შორის, ქალის ტყეებში, ცოცხალ ლობებზე და  
დაწყებული ვაკე ადგილებიდან მთის შუა სარტყლამდე.

ქართულ ხალხურ მედიცინაში სვიის ნაყოფის ნახარში  
უხსოვარ დროიდანაა ცნობილი, როგორც საუკეთესო საშუალება  
ხმის დაკარგვის შემთხვევებში, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სუსტი  
მოკმედების დროს, შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებათა  
წინააღმდეგ, განსაკუთრებით სიფილისის დროს; მას იყენებენ  
საფენებისათვის და ავთვისებიანი სიმსივნის (კიბოს) წინააღმდეგ,  
ხმარობენ აგრეთვე ლუდის დასაყენებლადაც. მეცნიერულ მედი-  
ცინაში სვიას ხმარობენ როგორც მატონიზირებელ საშუალებას,  
მსგავსად მწარესი და Sedativa-სი. სვია მოხსენებულია მხოლოდ

ბრაზილიის ფარმაკოპეაში, სადაც დღესაც იყენებენ სვიის გირჩებს (*Strobili Lupuli*) და ჯირკვლებს (*Glandulae Lupuli*). გირჩების ქიმიური შემცველობა ასეთია: 6—17%-დე წყალი, 0,1—0,5% ეთერზეთები, 7,6—26% ფისი, 0,9—11% მთრიმლავი ნივთიერება, 10,5—17,8% აზოტოვანი ნივთიერება, 10—18% უხეში ბოჭკოები, 5,8—11% ნაცარი, შაქარი, ქოლინი, ასპარაგინი, 2—6% ჰუმულონ-ლუპულინმეავა და 8—12% ლუპულონი. მზა მასალაში არ უნდა ერიოს 2% მეტი გარეშე მინარევეები, ხოლო მეავაში უხსნადი ნაცარი არ უნდა აღემატებოდეს 5%, ჩვეულებრივი ნაცარი კი 8%-ს. სვიის ჯირკვლები ქიმიურად შეიცავს 1—2,3% ეთერზეთებს, 7,5—25% ფისს, მწარე ნივთიერება ლუპულიტს, ა—ლუპულინმეავას, 2—6% ჰუმულონს, 8—12% ლუპულონს და ცვილს. ამ ცვილისაგან მიიღება *Oleum Lupuli*, რომელიც ქიმიურად შეიცავს 0,15—0,4% დაუმუშავებელ ნივთიერებას, 30—50% მირცენს, 15—20% ჰუმულენს, 20—40% მიროცენოლის ესტერს, კეტონ ლუპარონს, ფენილეთერ ლუპარონს, სესქუიუტერპენ ალკოჰოლ ლუპარენს. მისი ფარმაკოლოგიური პრეპარატებია: *Glandulae Lupuli seu Lupulium*, *Strobili Lupuli seu Amenta Humuli* (რომლიდანაც ამზადებენ *Extractum Lupuli*), *Tinctura Lupuli Strobiliorum*, *Tinctura Lupulini*, *Oleo-resina Lupuli*, *Species ad Fomentum resolvens*, *Extractum Lupulini fluidum* და *Pulvis sedativus*, რომელიც შეიცავს *Camphora monobromata*, *Glandulae Lupuli*  $\frac{aa}{aa}$  0,5 D. tal. dos. N XII ad chart. cerat. ჩვენში სვიის გირჩები და ჯირკვლები შეიძლება შეგროვდეს 8,5 ტონის რაოდენობით. აქედან იმერეთში 1 ტ., გურიაში 0,5 ტ., აქარაში 0,5 ტ., სამეგრელოში 0,7 ტ., აფხაზეთში 0,8 ტ., სვანეთში 0,5 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 1 ტ., სამხრეთ-ოსეთში 0,5 ტ., ფშავ-ხევსურეთში 0,2 ტ., ქართლში 1 ტ., კახეთში 1,3 ტ., ხოლო მთა-თუშეთში 0,5 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: *Humuli Lupuli*

Rad. *Valerianae* conc.  $\frac{aa}{aa}$  10,0

Fol. *Menthae*

Fol. *Trifolii*  $\frac{aa}{aa}$  20,0

MDS. 2. სუფრის კოვზი ამ ნაკრებისა მოიხარშოს 2 ჰიქა წყალში, გაგრილდეს და მიღებულ იქნეს დილა-სალამოს ნახევარი ჩაის ჰიქის რაოდენობით.



## ლენცოფა—*Hyoscyamus niger* L.

ეს რუდერალური ერთ ან ორწლოვანი, 30—100 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარე ეკუთვნის ძალღუფრძენასებრთა (*Solanaceae*) ოჯახს; მისი ღერო და ფოთლები შებუსხვილია. მოგრძო ან კვერცხისებურ, ამოღრღნილ ფოთლებს ვენტრალურ მხარეზე კარგად ემჩნევა მთავარი ძარღვი; ქვედა ფოთლები ყუნწიანებია, ზედა კი—მჯდომარენი. მკრთალი, ქუქყიანი ყვითელი ფერის ყვავილები მეტწილად კენწრულია და ხშირად მტევან ყვავილეღშია შეკრებილი. გვხვდება ლენცოფას ისეთი ეგზემპლარები, რომლებსაც ყვავილობის დროს განვითარებული აქვთ ნაყოფი. ლენცოფას ნაყოფი წარმოადგენს მოგრძო კოლოფს, რომელსაც გარედან ხუთკბილიანი ჯამი აქვს შემოხვეული და მომწიფების დროს იხსნება სახურავით, საიდანაც უამრავი შავი ფერის თესლი ცვივა. ამ მცენარეს ვხვდებით უფრო ხშირად ნანებვარ ადგილებზე, აგრეთვე გზის პირას, ბოსტნებში, საძოვრებზე, განსაკუთრებით ბინების ირგვლივ, და სხვ., როგორც ვაკე ადგილებში. ისე მთის ზედა სარტყელშიც (სურ. 20).

საქართველოში ლენცოფა უხსოვარ დროიდანაა ცნობილი, როგორც შხამიანი და ამავე დროს სამკურნალო მცენარე. სამხრეთ-ოსეთში ამ მცენარეს თიბავენ ყვავილობის პერიოდში, რადგან ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, თუ ფუტკარმა ნექტარი ლენცოფას ყვავილებიდან ამოიღო, ასეთი თაფლი შხამიანია და გამაბრუებელი. ზემო სვანეთში ლენცოფას თესლს დღესაც იყენებენ კბილის ტკივილის გასაყუჩებლად, რისთვისაც დასრესილ მწიფე თესლს ურევენ თაფლის სანთელში და იღებენ კარიეზულ კბილში. შემდეგ იღებენ გრძელ ისლის ღეროს, რომლის ერთ ბოლოს მიაღებენ კბილში ჩადებულ წამლის ნაზავს, ხოლო მეორეს მოუკიდებენ ცეცხლს; ბოლი ისლის ღეროში მიედინება, ალღობს სანთელს და, ამგვარად, გასრესილი თესლი თანაბრად ნაწილდება მტკივნეულ კბილში, რის შემდეგ ტკივილი ყუჩდება. ჩვენი ხალხური მედიცინა იყენებს ლენცოფას, როგორც ტკივილის დამაყუჩებელ, ცოფის, ავი ზნისა და კრუნჩხვითი ტკივილების საწინააღმდეგო საშუალებას. ქანანელი თავის უსწორო კარაბადინში გვირჩევს ბასრულ-ბანჯს, ანუ ლენცოფას თესლს აგრეთვე თავის ტკივილის დროსაც. მეცნიერულ მედიცინაში



სურ. 20. ლენცოდა (*Hyoscyamus niger* L.).

ლენცოფას იყენებენ როგორც ანტისპაზმურ საშუალებას, გარედან ჩასახელად რევმატიზმული ანთების დროს, საზოგადოდ ატროპინის მსგავსად. ის მოხსენებულია როგორც ჩვენს სახელმწიფო ფარმაცოპეაში, ასევე თითქმის ყველა საზღვარგარეთულ ფარმაცოპეაში. მისი შხამიანობის გამო იგი მოთავსებულია „ბ“ სიაში; მისი გამონაწვლილის შიგ მისაღები ერთდროული დოზა 0,06 გრ. არ აღემატება, სადღელამისო კი—0,3 გრ; ხოლო ფხვნილებში უდიდესი დოზა ერთ მიღებაზე 0,4 უდრის და სადღელამისო 1.2. იყენებენ მის ფოთლებს Folium Hyoscyami (საბჭოთა კავშირში), Folia Hyoscyami, Hyoscyamus, Hyoscyami folium, Meimendo, josquiame noire, რომლებიც შეიცავს 0,05—0,07% ან 0,1—1% ჰიოსციამინს, თავისუფალ სკოპოლამინს (Scopolaminum, ანუ Hyoscyinum), რომელიც წარმოადგენს კოკაინის იზომერს, ატროპინს, გლუკოზიდურ მწარე ნივთიერებას ჰიოსციპიკრინს, ცხიმზეთებს, მინარევების სახით ეთერზეთებს, ცილოვან ნივთიერებებს, ფისს, შაქარს, მინერალურ მარილებს და 18—23% ნაცარს. აღსანიშნავია, რომ ველური ლენცოფას ფოთლები უფრო მეტ ალკალოიდებს შეიცავს, ვიდრე კულტურული, და ფოთლის ყუნწებში ისინი უფრო ძლიერადაა გამოხატული, ვიდრე ფოთლის ფირფიტაში. უნგრეთის მასალაში ალკალოიდების შემცველობა 0,11%, 22,1% ნაცარია და 7,4% სილა. ლენცოფას საექიმო ფორმებიდან აღსანიშნავია: Extractum Hyoscyami (ჩვენი ფარმაცოპეას მე-7 გამოცემა), Oleum Hyoscyami (ჩვენი ფარმაცოპეას მე-7 გამოცემა), Solutio Extracti Hyoscyami, Extractum Hyoscyami spissum, Extractum Hyoscyami fluidum, Extractum Hyoscyami liquidum, Oleum Hyoscyami compositum seu Infusum Hyoscyami oleosum compositum (ეს პრეპარატი შეიცავს: Ol. Hyoscyami 996,0, Ol. Rosmarini, Oleum Thymi, Oleum Lavandulae, Oleum Menthae piperitae  $\overline{aa}$  1,0, ხოლო ზოგან კი შეიცავს: Oleum Hyoscyami 596 ccm, Oleum Belladonnae 200 ccm., Oleum Stramonii 200 ccm., Oleum Rosmarini, Oleum Thymi, Oleum Lavandulae, Oleum Menthae piperitae  $\overline{aa}$  1 ccm). შემდეგია: Pilulae Hyoscyami et Valerianae compositae (შეიცავს Extractum Hyoscyami, ExsTRACTum Valerianae, Zincum oxydatum ხუთ-ხუთი გრამი 100 აბისათვის), Sirupus Hyoscyami (შეიცავს Tinctura Hyoscyami 50 ccm, Sirupus simplex ad 1000 ccm., Tinctura Hyoscyami ex Herba recente, Pulvis alkalinus cum Hyoscyamo, Extractum Hyoscyami 30,0, Sacharum Lactis

30,0, Natrium Bicarbonicum 470,0, Magnesium carbonicum 470,0).  
 ლენცოფა შედის აგრეთვე Species narcoticae-ს შემადგენლობაში,  
 მისგან ამზადებენ Unguentum Hyoscyami-ს და სხვ. შვეიცარია-  
 ში იყენებენ ლენცოფას სხვა სახეობებსაც, სახელდობრ Hyos-  
 cyamus muticus L. და Hyoscyamus scopolia-ს. ჩვენში აღწერილი  
 სახეობა საკმაო რაოდენობით მოიპოვება და ვარაუდით შეიძლება  
 შეგროვდეს იმერეთში 0,7 ტ., გურიაში 0,5 ტ., აქარაში 0,3 ტ.,  
 სამეგრელოში 0,5 ტ., აფხაზეთში 0,7 ტ., სვანეთში 0,3 ტ., რა-  
 ქა-ლეჩხუმში 0,6 ტ., სამხრეთ-ოსეთში 0,4 ტ., მთათუშეთში  
 0,2 ტ., კახეთში 0,5 ტ., ქართლში 0,3 ტ., ჯავახეთში კი 0,3 ტონა.  
 მთლიანად საქართველოში 5,3 ტონა ნედლი მასა ყოველწლიურად.

რეცეპტები:

- Rp.: Ol. Hyoscyami  
 Chloroformii  $\overline{\text{aa}}$  15,0  
 MDS. გარედან ჩასახვლად.
- Rp.: Methyli salicylici 5,0  
 Ol. Hyoscyami  
 Ol. Terebinthinae  
 Cloroformii  $\overline{\text{aa}}$  10,0  
 MDS. გარედან ჩასახვლად.
- Rp.: Extr. Hyoscyami 0,015  
 Natrii bicarbonici 0,3  
 M. f. pulv. D. t. d. N 6  
 S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.
- Rp.: Extr. Hyoscyami 0,02  
 Saloli 0,3  
 M. f. pulv. D. t. d. N 6  
 S. თითო ფხვნილი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: Bismuti subnitrici 0,3  
 Magnesiae ustae 0,5  
 Extr. Hyoscyami 0,01  
 M. f. pulv. D. t. d. N 6  
 S. თითო ფხვნილი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Extr. Hyoscyami 0,02  
Butyri Cacao q. s.  
M. f. Suppositorii  
D. t. dos. N 6  
S. თითო სანთელი დღეში 2-ჯერ.

Rp.: Jchthyoli 0,25  
Extr. Hyoscyami 0,015  
Butyri Cacao q. s.  
M. f. Suppositorii  
D. t. dos. N 6  
S. თითო სანთელი დღეში 2-ჯერ.

Rp.: Fol. Stramonii  
Fol. Belladonnae  
Fol. Hyoscyami  
Herbae Lobeliae  $\frac{m}{aa}$  20,0  
Miscel adde solutionis Kali-nitrici 10% q. s.  
DS. ბრონქიალური ასტმის დროს მოსაწვევი  
ასტმატოლის შესაბამისი ნაკრები.

### კრაზანა—Hypericum perforatum L.

კრაზანა ეკუთვნის კრაზანასებრთა (Guttiferae) ბოტანიკურ ოჯახს, წარმოადგენს მრავალწლოვან მცენარეს, დამახასიათებელი ოთხკუთხა დატოტიანებული ღეროთი, ივითარებს ბლავც, განიერ და ოვალურ ფოთლებს ხშირი გამკვირვალე წერტილებით, თუმცა ზოგჯერ ამ უკანასკნელებს მოკლებულია. ყვითელი ფერის ყვავილები შეკრებილია ფარ ყვავილედში, ნაყოფი წარმოადგენს კოლოფს. კრაზანა ყვავილობს ივნისიდან ივლისამდე, გავრცელებულია მდებარეობებზე. ბალახოვან ფერდობებზე, ტყის პირას და ბუჩქებს შორის, დაწყებული ვაკე ადგილებიდან მთის მაღალ სარტყლამდე (სურ. 21).

ქართულ ხალხურ მედიცინაში ამ მცენარეს იყენებენ როგორც საუკეთესო საშუალებას სისხლიანი ნახველის წინააღმდეგ—ტუბერკულოზის დროს, კრილობების შესახორცებლად და სხვ. ნაკლებ ეფექტიურობის გამო ჩვენი სახელმწიფო ფარმაცოპეას მე-7 გამოცემაში ეს მცენარე მოხსენებული არ არის, მაგრამ იუგოსლავიის და ბრაზილიის ფარმაცოპეაში ის შეტანილია, როგორც შემკვრელი ან არომატული საშუალება. მეცნიერული მედიცინის



სურ 21. კრაზანა (*Hypericum perforatum* L.).

მიზნებისათვის აგროვებენ ყვავილობის პერიოდში მყოფი მცენარის ტოტებსა და ყუნწებს, რომლებიც შეიცავს ორ საღებავ ნივთიერებას, 0,11% ეთერზეთს, ცერილაკოპოლს, ფიტოსტერინს, ინვერტულ შაქარს, მთრიმლავ ნივთიერებას, პექტინისებურ ნახშირჰიდრატს, მწარე ნივთიერებას, ცხიმებს, საპონინებს, ქოლინს, ფლობაუნს და 8—10% ნაცარს. კრაზანას საექიმო ფორმებიდან აღსანიშნავია *Extractum Hyperici laxiusculi fluidum* და *Oleum Hyperici*. გარდა აღნიშნული სახეობისა, ბრაზილიაში იყენებენ კრაზანას სხვა სახეობებსაც, როგორცაა: *Hypericum laxiusculum Saint-Hilaire*-ს (*Alecrim bravo*, *Herva santa*, *Rio Grande do Sul*-ის სახელწოდებით) და *Hypericum pulchrum L.* რომლების ქიმიური შემცველობა და გამოყენება იგივეა, რაც აღწერილი სახეობისა. საქართველოში კრაზანა შეიძლება დამზადდეს დაახლოებით შემდეგი რაოდენობით: იმერეთში 0,3 ტ., სვანეთში 0,1 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 0,3 ტ., ქართლში 0,2 ტ., მარნეულში 0,3 ტ.; მთლიანად 1,2 ტონა.

### კულმუხო — *Inula Helenium L.*

კულმუხო ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (*Compositae*) ბოტანიკურ ოჯახს; ეს მაღალი, მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა; დამახასიათებელი მსხვილი ფესვურათი და სწორმდგომი, მსხვილი, დაღარული, 1—2 მ ღეროთი, რომელიც წვრილი ბუხუსითაა დაფარული და კენწეროსაკენ მცირედ დატოტიანებულია. კულმუხოს დიდი, სწორად დაკბილული ფოთლები, ვენტრალურ მხარეზე ნაცრისფერია, ხოლო დორზალურზე მწვანე და ნორკლიანი. ქვედა ფესვთანი ფოთლები გრძელყუნწებიანია, უფრო დიდი და მოგრძო. ღეროზე ფოთლები მორიგეობით ახედან, უფრო მოკლე ყუნწიანებაა და მოგრძო კვერცხნაირი მოყვანილობა აქვთ, ხოლო ზედა ფოთლები მჯდომარეა და გულის მსგავსი მოყვანილობის. ყვითელი ფერის ყვავილები შეკრებილია პაკმაოდ დიდი ზომის, თითქმის 3 სმ სიგანის კალათა ყვავილედში. კალათები ღეროს კენწერზე არც ისე დიდი რაოდენობით ეთარდება და იკრიბება მტევანში ანდა იშვიათად საგველაში. კალათას ნაპირა ყვავილები თავაკიანებია და ივითარებს ვიწრო და გრძელ ენაკებს, ხოლო ცენტრალური ყვავილები კი მიღნაიონებია. კულმუხო გავრცელებულია ნესტიან ადგილებში, მდინარეთა და გუბეთა ნაპირებზე, ბუჩქებს შორის, ტყის პირასა და მხე-, დაწყებული ვაკე ადგილებიდან მთის შუა სარტყლამდე.

ქართველები იყენებენ კულმუხოს კუქ-ნაწლავის აშლილობის დროს. როგორც შემკვერელ საშუალებას, რისთვისაც მის სუფთა, წვრილად დაჭრილ ფესვურას აყენებენ ღვინოზე. კულმუხოს მიმართავენ აგრეთვე წყალმანკის დროსაც (სურ. 22). ამჟამად ჩვენს მეცნიერულ მედიცინაში კულმუხოს არ იყენებენ და ამიტომ ია შეტანილი არ არის სახელმწიფო ფარმაცოპეას მე-7 გამოცემაში. მაგრამ წინათ მას ჩვენში იყენებდნენ. ხოლო საზღვარგარეთ იყენებენ ღღესაც, როგორც ამოსახველებელ საშუალებას, სასუნთქავი ვზების ზედა ნაწილების დაავადების დროს, ზოგჯერ დიაბეტის დროსაც და გარედან, როგორც antisepticum-ს. აგროვებენ კულმუხოს ფესვურასა და ფესვებს (Radix et Rhizoma Inulae), რომლებიც ჩიმიურად შეიცავს 1—2% ეთერზეთებს, ალანტოლაქტონს, ინულინს. ალანტოლის მჟავას, ალანტოლს (Alantolum), ალანტოლის ქაფურს, ალანტოლის მჟავა ანჰიდრიდს, ჰელიანთენინს, სინანოლინს. ლევულოზას და სხვ. პოლისახარიდებს, 44% სახამებელს. ჰელენინის ზეთს, ჰელენინს, ჰექტინოვან ნივთიერებას, ფისის მსგავს ნივთიერებას და 6—7% ნაცარს. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია: Rhizoma et Radix Helenii, Extractum Helenii, Tinctura Helenii, Vinum Helenii, Inulinum, Alantolum, Heliantholum. Decoctum radix Inulae, Extractum Inulae fluidum, Inulen. კულმუხოს დამზადების შესაძლებლობა ჩვენში საკმაოდ დიდია, ვარაუდით იმერეთში შეიძლება დამზადდეს 2,5 ტონა, გურიაში 1,5 ტ., აფხაზეთში 2 ტ., სვანეთში 1 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 2,5 ტ., სამხრეთ-ოსეთში 1 ტ., ფშავ-ხევსურეთში 1,5 ტ., მარნეულის რაიონში 1,5 ტ., ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში 1,5 ტონა, სულ საქართველოში 15 ტონა მასალა.

### რეცეპტები:

Rp.: D-ti rad. Inulae 20,0 : 200,0

Sir. Liquiritiae 10,0

(Seu sir. simpl.)

MDS. სუფრის კოვზით ღლეში 3—4-ჯერ.

Rp.: Extr. Inulae fl. 30,0

DS. 20—40 წვეთი ღლეში 3-ჯერ.

Rp.: T-rae Inulae Helenii 20,0

DS. 20—30 წვეთი ღლეში 3-ჯერ.






სურ. 22 კულზუბო (*Inula Helenium*: L.).

## ღვია—*Juniperus communis* L.

ღვია ეკუთვნის კვიპაროსისებრთა (*Cupressaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, ხასიათდება სწორმდგომი ღეროთი და გვხვდება მოზრდილი ბუჩქების სახით. მისი ქერქი მუქი ნაცრისფერია; ღეროზე ჩხროდ განლაგებულია ნემსისებური და მჩხვლეტავე წიწვები, ზემოდან თეთრი ზოლით ან მსხვილი ნერვით, ხოლო ქვემოდან ბლაგვი ქედით. მამრობითი ცრუმქადა ოვალურ-სფერულია ან ოვალურ-მოკრძო, თითქმის მჯდომარე, წერილი და ფოთლებთან შედარებით 3—4-ჯერ უფრო მოკლე, ყვავილის კილი განიერი—კვერცხისებურია, მოკეითალო ფერისა და ოდნავ გრძლადწაწვეტებული; სფერული, მოშავო იისფერი ნაყოფი დამახასიათებელი მტრედისფერი ფიფქით ილღიაში მოკლე ყუნწზე ზის. გვუფად შეკრებილია და 2—3 ჯერ უფრო პატარა ზომისაა, ვიდრე ფოთლები. ღვია მშრალი ქსეროფიტული ადგილსამყოფელის მცენარეა, ჩვენში მას ვხვდებით განსაკუთრებით მთის სამხრეთ კალთებზე, ნათელ ტყეებში, დაწყებული ზღვის სანაპიროდან მაღალი მთის ტყეთა საზღვრამდე, როგორც მთავარ, ისე მცირე კავკასიონის ქედზე (სურ. 23). მთავარ კავკასიონზე მას ხშირად ნახავთ დაღესტნის ქსეროფიტთა შორის, ხოლო გარეჯის უდაბნოში კი ის წარმოდგენილია ნათელი ტყის ბუჩქთა ერთ-ერთ კომპონენტად. მაღალ მთებში გვხვდება კეწერასთან (*Empetrum nigrum* L.) ერთად ან ხშირად მას ერევა ისეთი ქონდარა ბუჩქები, როგორიცაა: *Vaccinium vitis idaea* L. და *Vaccinium Myrtillus* L. ზოგჯერ *Rosa Svanetica* Crep.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ღვიის ნაყოფს ხმარობენ შარდასქესო გზების დაავადებათა დროს, სიფილისისა და რევმატიზმული ანთების დროს, აგრეთვე როგორც შარდსადენ და ჩირქოვანი კრილობების შემხორცებელ საშუალებას, დავით ბატონიშვილი იყენებს ღვიას მინარევის სახით თედოსა და წელის ტკივილების დროს—„ვინცა ესევ ჯორის ძუა დაქეკოს და ღვიის წყლითა მოადულოს, გაწუროს, და თბილ თბილის ან წყლითა ოყნა ქნას, თედოსა და წელის ტკივილისა და ძველს ქარსა; ყუელას გაუგდებს“. როგორც ქართულ ხალხურ მედიცინაში, ასევე მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ღვიის სხვა სახეობებსაც, როგორიცაა *Juniperus oxycedrus* L., *Juniperus Sabina* L. და *Juniperus excelsa* Bieb. აღწერილი სახეობა მოხსენებულია ჩენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში, როგორც შარდსადენი საშუალება. ღვია მოხსენებულია აგრეთვე იუგოსლავიის, შვეიცარიის, გერმანიის,



სურ. 23. ჯვინი (*Juniperus communis* L.).

საფრანგეთის, იტალიის, ბრიტანეთის, ამერიკის, ბრაზილიის, ბოსნიის, უნგრეთის, ბელგიის და სხვა ფარმაკოპეაში და საექიმო წიგნებში. იყენებენ ღვიის ნაყოფს (*Fructus Juniperi*), რომელშიაც ჰედის 0,3 – 1,2% ეთერზეთი; ეს ეთერზეთი წარმოადგენს პინენის, კადინენისა და ღვიის ქაფურის ნაზავს. მცირე დოზებში ეს ეთერზეთი იწვევს პულსის გახშირებას და შარდის გამოყოფის გაძლიერებას, ხოლო დიდ დოზებში კი შეიძლება თირკმლების დაავადება და სისხლიანი შარდი გამოიწვიოს. ვფიქრობთ, რომ ცხოველთა ჰემატურია, რომლის გამომწვევი მიზეზი ჩვენი ვეტერინარებისათვის ჯერ კიდევ გამოუცნობი და სადავოა, ამ მცენარით გამოწვეული უნდა იყოს. ამას გვიდასტურებს როგორც ღვიის ეთერზეთის მოქმედება, ასევე ამ დაავადების ლოკალიზაცია რაიონის მიხედვით. როგორც ვიცით, ჰემატურიით ავადდება მსხვილი რქოსანი საქონელი, განსაკუთრებით ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში და ნაწილობრივ იმერეთში, ხოლო ღვიის ეს სახეობაც ყველაზე უფრო ხშირად სწორედ მცირე კავკასიონზე (ბორჯომ-ბაკურიანში) და იმერეთში (შორაპანსა და რაქაში) გვხვდება, როგორც ტყეში, ასევე საძოვრებზე. მცირე დოზებში ღვიის ეთერზეთი მოქმედებს როგორც ტკივილის გამაყუჩებელი საშუალება, ხოლო დიდ დოზებში ის იწვევს კანის გაღიზიანებას, გაწითლებას და ხშირად დაბუშტუკებასაც. გარდა ეთერზეთისა; ღვია შეიცავს 7% ინვერტულ შაქარს (გამშრალ მასალაში ის თითქმის 30% აღწევს), 0,6% ცვილისებურ ცხიმს, ფისს, 0,7% პექტინს, მთრმლავ გლუკოზიდ იუნიპერინს, 1,9% კიანქველის მჟავას, 1% ძმარ-ჰეავას, 0,2% ვაშლის მჟავას, ინოზიტს, პენტოზანებს, წებოს, საღებავ ნივთიერებას, მინერალურ შარბილებს და სხვ. ეთერზეთის შემცველობა ღვიის ნაყოფში იტალიელთა მონაცემებით 1–2,6%, უდრის, გერმანიის მონაცემებით 0,5–0,9%, საფრანგეთის და ბოსნიის მონაცემებით კი – 2% და სხვ. ღვიის ფისში შოიპოვება მირიცილესტერი, ცეროტინი და პალმიტინის მჟავა. ღვიის ფარმაკევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Fructus* (*Seu Baccae seu Globuli*), *Juniperi*, *Oleum Juniperi bacc.*, *Oleum Juniperi empyreumaticum*, *Pix Juniperi*, *Oleum Cadium*, *Extractum Juniperi fluidum*, *Species amarae* (რომელშიც შედის *Fructus Juniperi crasse contus*, *Fol. Menianthis crasse concis.* და *Flos. Sennae crasse concis.* თანაბარი რაოდენობით), *Species diureticae* (რომელშიც შედის 5 წილი *Fructus Anisi contus.*, 20 წილი *Fructus Juniperi contus.*, 5 წილი *Fructus Petroselini contus.*, 10 წილი *Herba Violae tricolor*, 20–30 წი-

ლი Rad. Levistici, Rad. Liquiritiae, Rad. Ononidis concis.. Spiritus Juniperi, Succus Juniperi inspissatus, Unguentum Juniperi, Vinum diureticum, Infusum bacc. Juniperi და სხვ. საქართველოში ღვინის ამ სახეობის ნაყოფის შეგროვება ყოველწლიურად დაახლოებით 5 ტონის რაოდენობით შეიძლება; აქედან: აფხაზეთში შეიძლება შეგროვდეს 0,5 ტ., სვანეთში 0,5 ტ., რაქა-ლენჩხუმში 0,7 ტ., სამხრეთ-ოსეთში 0,3 ტ., ფშავ-ხევსურეთში 0,3 ტ., მთათუშეთში 0,2 ტ., ბორჯომ-ბაკურიანში 1,5 ტ., ხოლო იმერეთში 1,0 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: Bacc. Juniperi

Fol. Betulae

Rad. Taraxaci  $\frac{1}{2}$  25,0

M. f. Species

DS. 1 ჩაის კოვზი ამ ნაკრებისა მოიხარშოს ერთ კიკა წყალში და დაღეულ იქნეს სუფრის კოვზით ღლეში 3-ჯერ.

Rp.: Inf. Bacc. Juniperi 15,0 — 20,0: 200,0

DS. ექიმის დანიშნულისამებრ.

Rp.: Inf. bacc. Juniperi 10%—200,0

Liq. Kalii acetici 10,0—15,0

MDS. სუფრის კოვზით ყოველ 3 საათში.

Rp.: Bacc. Juniperi 100,0

DS. 1 სუფრის კოვზი მსხვილად დაჭრილი ნაყოფი მოიხარშოს 1 კიკა წყალში, დაღეულ იქნეს სუფრის კოვზით ღლეში 3-ჯერ.

**ზისკარი** — *Lactuca georgica* Grossh. (= *L. virosa* auct. fl. cauc. non L.)

ამ მცენარის ზოგიერთ სახეობებს იმერეთსა და ლენჩხუმში ღინჯას ეძახიან. ზისკარი ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ზოთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახიდან, დამახასიათებელი ვრცელი თითისტარა ფესვით და სწორმდგომი კენწეროსაკენ დატოტიანებული და ოღნაკ შებუსვილი ან შიშველი ღეროთი, რომელიც გადაჭეხისას გამოყოფს რძისმაგვარ თეთრ სითხეს.

ღერო შეშოსილია მორიგეობით განლაგებული, მოგრძო, ამოღრღნილნაპირებიანი ფოთლებით და მოყვითალო ნაცრისფერი ყვავილების კალათებით, რომლებიც შეკრებილია საგველა ყვავილედში და სხედან ცილრინდრული ფორმის წვრილ და ერთი მილიმეტრი სიგრძის შეუფოთლავ ყუნწებზე. კალათას ფოთოლაკები მიშველია, ხოლო გარეთა ფოთოლაკები პატარა და მოკლეებია. ნაყოფი წარმოადგენს შავ მოგრძო თესლურას, რომელსაც აქვს საფრენი აპარატი. ზისვარი ყვავილობს იენისიდან ივლისის ბოლომდე, ხოლო ნაყოფს ივლისიდან სექტემბრის ბოლომდე ისხამს. უფრო ხშირად ზისვარი გვხვდება ტყის ნაპირებზე და ბუჩქებს შორის, ძირითადად მთის შუა სარტყელში. ჩვენი ხალხი დიდი დანია იყენებს ამ მცენარეს, როგორც ჭრილობის შემხორცებელ საშუალებას, რისთვისაც ყეყავენ და კეპავენ მის ახალ ფოთლებს და ადებენ ჭრილობას. ზოგჯერ მის ფოთლებს ღეროიანად ახმოპენ ზამთრისათვის, შემდეგ ფხვნიან და ისე მოაყრიან ხოლმე ჭრილობას, რომელსაც ის მართლაც საკმაოდ კარგად ახორცებს. ვარდა ამისა, ზოგჯერ მის რძე-წვენს აშრობენ ჯამებში და ისე იყენებენ, კრისტალებს კი ხმარობენ ხველების წინააღმდეგ. ჩვენს მეცნიერულ მედიცინაში ეს მცენარე გამოყენებული არ არის, რადგან ჩვენ სხვა უკეთესი საშუალებანი მოგვეპოვება, მაგრამ ბრაზილიასა და ამერიკაში ის დღესაც ხმარებაშია და შეტანილია მათ ფარმაკოპეაში. აგროვებენ ყვავილობაში მყოფ მთლიან მცენარეს (*Herba lactucae virosae*); ქიმიურად ის შეიცავს ესთერ ლაქტუტერინს, რომელშიც შედის ლაქტუტეროლი, 9% ნაცარი და ლაქტუკარიუმი; ხოლო ეს უკანასკნელი შედგება ორი ერთმანეთთან ახლო მდგომი ნივთიერებისაგან: კრისტალური მწარე ნივთიერება ლაქტუცინისაგან (ლლობის ტემპერატურა 237,5) და ლაქტუკოპიოინისაგან (ლლობის ტემპერატურა 152,5). ამ უკანასკნელი ორი ნივთიერების ნაზავისაგან მიღებულია პრეპარატი ლატუცილი (*Lactuyl*), რომელიც ხასიათდება თერაპიული მოქმედებით შემაწუხებელი და გამაღიზიანებელი ხველების დროს. ზისვარის სხვა პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Sirupus Lactucarii*, *Sirupus Lactucarii cum Opio* და *Tinctura Lactucarii*. ამ მცენარის სხვა სახეობა *Lactuca sativa L.*, რომელსაც ჩვენში სალათა უწოდებენ, საუკეთესო საკვები მცენარეა, რომელიც ქიმიურადაც შეიცავს ერთ ვაშლმჟავას. ოქალმჟავას, ეოერზეტს, მწარე ნივთიერებას, ცვიტამინს (რძე-წვენში ლაქტუცეროლია), ინოზიტს, რედუცირებულ შაქარს, მწარე ნივთიერებას და სხვ.

## დაფნა—*Laurus nobilis* L.

დაფნა დაფნასებრთა (*Lauraceae*) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი, 5—8 მეტრის სიმაღლის მარადმწვანე ხე-მცენარეა, ტუავისებური მოგრძო ან ლანცეტა, მეტად სურნელოვანი ვენტრალურ მხარეზე მკრთალი ფერის ფოთლებით. მას ახასიათებს ერთსქესიანი და ორსახლიანი თეთრი ფერის ყვავილები. რომლებიც მოკლე ყლორტებზე სხედან ქოლგისებურად. მათი ყვავილსათარი ოთხ ფოთოლაკიანია და ცვენია. მამრობით ყვავილებს 8—12 მტვრიანა აქვს. ელიფსური მოყვანილობის შავი ნაყოფი ერთთესლიანი და ხორციანია. დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) კირქვიან ნიადაგზე დაფნა ველურად გვხვდება. ხოლო საქართველოს სხვა კუთხეში ის მოყავთ როგორც კულტურული მცენარე, განსაკუთრებით საკულინარო მიზნებით. ჩვენში ეს მცენარე შეიძლება ბერძნების ან რომაელების მიერ შემოიანილი იყოს, მაგრამ ეს ხმელთაშუა ზღვის ელემენტი ჩვენს მიწა-წყალს ისე შეგუებია, რომ ადგილობრივი წარმოშობის მცენარეს გვაგონებს. ბუნებაში მისი გავრცელების არეალი ჩვენს სინამდვილეში უფრო ქსეროფილურ შთაბეჭდილებას ტოვებს და ცენოზის ფლორისტიკული შემადგენლობაც მშრალი ადგილსამყოფელოს ელემენტებისაგან შედგება. დაფნის მერქანი საკმაოდ მკვრივია, გამძლე და მაგარი, მისი წონაკუთრი 0,688—0,750-ს უდრის, ხოლო დამახასიათებელ სუნს ის ძალიან დიდხანს ინარჩუნებს. მის ფოთლებს, კულინარიის გარდა, იყენებდნენ ბალნომირების საქმეში, ქაფურის ხის ფოთლების და სხვა ზეთები. მინარევებთან ერთად; მკურნალობის საქმეში მთავარი როლი ეკუთვნის დაფნის ნაყოფისაგან მიღებულ ზეთს, რომელსაც დავით ბატონიშვილი ზეთის ხილის ზეთთან, ნიგვზის ზეთთან, პილპილთან, საკმელთან და ფარფიონთან ერთად ურჩევს, როგორც ჩასახელ საშუალებას სახსრების ტკივილების დროს. ქართულ ხალხურ მედიცინაში დაუნის ნაყოფს იყენებენ სიმსივნის, ქაენას. ვაძნელებული მენსტრუაციის, რევმატიზმული ანთებების დროს და აგრეთვე ვაძნელებული ხველებისა და დამბლის შემთხვევებში. ხმარობენ მას ბუხების წინააღმდეგაც. მეცნიერულ მედიცინაში დაფნის ნაყოფს *Fructus Lauri*-ის იყენებენ, საიდანაცღებულობენ ზეთს (*Oleum Laurinum*) და ამზადებენ მალამოს ნერვების დასამშვიდებლად (*Unguentum nervinum*), ხოლო მის ეთეროვან ზეთს (*Oleum Lauri aethereum*) იყენებენ პარფუმერიაში. გარდა ამისა. მისი მწვანე ზეთი (*Oleum Lauri*) გამოყენებულია როგორც კანის გამაღიზიანებელი საშუალება (*Carminativum*-ი და *emmenagogum*).

აღსანიშნავია, რომ ეს საშუალება დღეს მივიწყებულია და, გარდა ზოგიერთ სახელმწიფოს ფარმაკოპიისა, ის არ პოულობს გამოყენებას და უმრავლეს მათგანში შეტანილი არ არის. დაფნის ნაყოფის (*Fructus Lauri*) ქიმიური შემადგენლობა ასეთია: ცხიმზეთი 30%, 2,5% ეთერზეთი, 0,25% ლაურინი, 26% სახამებელი, ქლოროფილი, 3% ნაცარი, რომელიც ფოთლებში 5% აღწევს; ლორწო, შაქარი. მთრიმლავი ნივთიერება, მინერალური მარილები, გლიცერიდი (ცხიმოვანი მჟავების ნარევი, რომელიც შედგება 41,3% მყარი მჟავებისაგან, 30,2%, მყარი ლაურინმჟავასა, 11,1% პალმიტინმჟავასა და 58,7% თხევადი მჟავებისაგან. მისი ეთერზეთი წარმოადგენს პინენის, ცინეოლის და მარცხნივმხრელ სესქვიტერპენის ნაზავს. ზოგჯერ მის შემადგენლობაში მცირე რაოდენობით დაფნის მჟავებიც შედის. რაც შეეხება დაფნის ცხიმზეთს, ის შედგება უმთავრესად ლაურინის, ანუ ლაუროსტერინისაგან, რომელიც წარმოადგენს ლაურინის მჟავას გლიცერიდს და შეიცავს, გარდა ამისა, ტრიოლენის, ტრისტეარინის, ტრიპალმიტინის, ეთერზეთს, ტრიმირიტინს, დაფნის ქაფურს და სხვ. დაფნის ფოთლები უმთავრესად შეიცავს ეთერზეთებს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებას. დაფნის ფარმაკეუტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Fructus (seu Baccae) Lauri*, *Folia Lauri*, *Oleum Lauri foliorum* (მას ბელგიაში იყენებენ და *Laurifolii essentia*-ს უწოდებენ); *Oleum Lauri expressum*, *Unguentum Sulfuratum compositum (seu Unguentum contra scabiem Jasseri)*; *Oleum Lauri aethereum* და სხვ. საქართველოში დაფნის ფოთლებისა და ნაყოფის დამზადება ვარაუდით შემდეგი რაოდენობით განისაზღვრება: იმერეთში 5 ტონა, გურიაში 3 ტონა, სამეგრელოში 10 ტონა, აფხაზეთში 15 ტონა. სულ 33 ტონა.

### ხელი—*Linum usitatissimum* L.

სელი ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც ეკუთვნის ისლისებრთა (*Linaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. ის ოდესღაც დიდი რაოდენობით იზრდებოდა ჩვენში ველურად, ახლა კი უფრო იშვიათად გვხვდება, სამაგიეროდ ფართოდაა გადატანილი კულტურაში. მისი სწორმდგომი ღერო კენწეროსაკენ ფაშარადაა გატოტვილი, და შემოსილია ხშირ ხაზურა ან ლანცეტა—მეტად წვრილი და ბასრწვეტიანი ფოთლებით, რომელთა მთავარი ძარღვი უზრალო თვალით აშკარად დაინახება. საშუალო ზომის.



მტრედისფერი, ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედში და გრძელ ყუნწებზე სხედან. ყვავილის ჯამიცა და გვირგვინიც ხუთფოთოლაკიანია, მტვრიანაც ხუთი აქვს, სამტვერეები მტრედისფრად შეფერილია. მისი ნაყოფი მრგვალი ფორმის კოლოფია, რომლის შიგნით ხუთი სრული და ხუთი არასრული სატიხარია და თითოეულ ბუდეში თითო თესლია; კოლოფი იხსნება ხუთი საგდულით და იქიდან ცვივა თესლი. ველურად სელი უფრო დასარველიანებულ და ნაგვიან ადგილებში გვხვდება, განსაკუთრებით მოლოქასთან *Malva silvestris* ან *Malva neglecta* ერთად, ზოგჯერ მის ახლოს იზრდება ქინკარი (*Urtica dioica* L.), ლენცოფა (*Hyoscyamus niger* L.), სხვადასხვა ლაშქარა *Symphytum*-ი და სხვ. ქართულ ხალხურ მედიცინაში სელის ზეთს უხსოვარ დროიდან იყენებენ დაბევილ, შესიებულ და დამწვარ ადგილში ჩასახელად. სელის დაფქვილ თესლებს ხევესურეთში დღესაც რძეში ადუღებენ, მანამ არ ჩასქელდება და ცომივით არ გახდება და შემდეგ შემოადებენ ყელის არეში ყელის ტკივილის დროს ან კარბუნკულის, ფურუნკულის და სხვა მუწუკის გამოსარწყავად. დავით ბატონიშვილი ურჩევს სელის ზეთს კბილის ტკივილის დროსაც: „ვინცა ქიაყელა დახოცოს და სელის ზეთშიგა მოხარშოს, და თუ კაცსა კბილი მარჯუენით სტკიოდეს, მარცხენა ყურშიგა ჩააწურეთ, და თუ კბილი მარცხენით სტკიოდეს, მარჯვენასა ყურშიგა ჩააწურეთ და კბილის ტკივილსა უსათუოდ უშველის და გაამთელებს“. ის უნიშნავს სელის ზეთს აგრეთვე კუკუხოებისა და წელის ტკივილის დროს ჩასახელად. მისივე გადმოცემით სელის ზეთი შედის ცოფიანი ძაღლის და საერთოდ ნაკბენის საწინააღმდეგო მალამოს შემადგენლობაში, რომელიც ამავე დროს გველისა და მორიელის ნაკბენის საწინააღმდეგო მალამოსაც წარმოადგენს. მეცნიერულ მედიცინაში სელის ზეთი გამოყენებულია როგორც საფაღარათო საშუალება, კატარის დროს, აგრეთვე სიღამწვრის, ეგზემურ გამონაყარის შემთხვევებში და სხვ. გარდა ამისა. სელის ზეთი პოვებს გამოყენებას ტექნიკაშიც, განსაკუთრებით ლაქის ფაბრიკაციის საქმეში, ტოპოგრაფიული მელნების დასამზადებლად, მწვანე საპნის წარმოებაში, სამღებრო საქმეში და სხვ. მკურნალობის მიზნით აგროვებენ მის თესლს, რომელიც ინახება, როგორც საათთაქო საქონელი. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. მისი ქიმიური შემადგენლობა ასეთია: 6—20% ლორწო, 35—43% ცხიმზეთი, 21% სუფთა ცილა, პროტეინი, ედესტინი, კრისტალური გლობულინი, ალბუმინი, 0,9% ლეციტინი, ენზიმები—ლინაზა, ლიპაზა, აროტეაზა, დიასტაზა—დიჰიდ-

როსიტოსტერინი, რომლისგანაც მიიღება ყვითელი მჟავე გლუკოზიდი—ლინამარინი (ფაზეოლუნატინი), 2—2,5% შაქარი (მეტწილად გლუკოზა), 4—5% ნაცარი; ყვავილობის პერიოდში მცენარეში კარბობს გლუკოზიდი ლინამარინი, ანუ იგივე ფაზეოლუნატინი და ენზიმი ლინაზი. სელის პლაცენ ჯა (*Placenta seminis Lini*) შეიცავს: 10% ცხიმს, 8% ლორწოს, ლინამარინს, გლობულინს, 0,03% ლურჯმჟავას, 6—7% ნაცარს, 13% წყალს და სხვ. სელის ფარმაცევტულ პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Semina Lini*, *Farina Lini*, *Placenta Seminum Lini*, *Mucilago Seminum Lini*, *Oleum Lini* (რომლისგანაც ამზადებენ კირნარეე მალამოს *Linimentum calcarii* სილამწვრის დროს წასასმელად), *Oleum Lini sulfuratum seu Balsamum Sulfuris*, *Oleum Lini lotum*, *Oleum Lini sulfuraterebintlinatum seu Oleum Harlemense*. ჩენი საკავშირო ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში სელი მოსენებულია როგორც ნაზი საფალარათო საშუალება ნაწლავების გალიზიანების შემთხვევებში. ის აგრეთვე იხმარება ფხენილის სახით მოსაფრქვევად, ხოლო სელის ახალი ზეთი გამოყენებულია საფალარათო მიზნებისათვის. ჩენში სელის თესლის დამზადება ველურად ძალიან მცირე რაოდენობით შეიძლება, ხოლო მისი კულტურაში დანერგვის შესაძლებლობა კი საკმაოდ დიდია. სელის რეცეპტთა ნიმუშებიდან აღსანიშნავია:


- Rp.: D-ti Sem. Lini 200,0  
 DS. სუფრის კოვზით ყოველ ორ საათში.
- Rp.: Ol. Lini 100,0  
 DS. სუფრის კოვზით დღეში 4-ჯერ.
- Rp.: Sem. Lini pulv. 200,0  
 DS. სათენებისათვის.

#### გველის ხავსი—*Lycopodium clavatum L.*

მცენარე გველის ხავსი ხშირად გვხვდება ჩვენს ტყეებში, ხოლო მისი მეორე სახეობა — *Lycopodium selago L.* — გავრცელებულია საქართველოს მაღალმთიან რაიონებში და გვხვდება მეტად დიდი რაოდენობით ზემო სვანეთში ლემკურ მურყვამის ჩრდილო ფერდობზე. ორივე ეს სახეობა ერთნაირად გამოყენებულია სამედიცინო მიზნებით, ამიტომ მათ ცალ-ცალკე აღწერას აღარ შეუძლებით და ორივეს ერთად განვიხილავთ. ეს მცენარეები გაერთიანებულია *Lycopodiaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახში და ხასიათდება დიქო-

ტომიურად დატოტიანებული ღეროთი, რომელზეც ჩვეულებრივი პორიგეობით განლაგებული ფოთლები სხედან, თუმცა ზოგჯერ ისინი ერთიმეორეს მოპირისპირედაც გვხვდებიან. *Lycopodium clavatum*-ის ფოთლები უფრო წვრილია და უფრო დიდი რაოდენობით აღმამდგომ ღეროებზე სხედან, ვიდრე გართხმულებზე. ხალო *Lycopodium selago*-ს კი უფრო დიდი ზომის და უფრო ხშირი ფოთლები აბია და ამავე დროს მით ღერო მთელ სიკრძეზეა დაჯარული. გასამრავლებლად ეს მცენარე ივითარებს თიარკმლისებურ მოყვანილობის სპორანგიუმს, რომელიც, ჩვეულებრივ, ფოთლის ძირში ან სახეცვლილ ფოთოლზე თავსდება, იხსნება ზურგის მხრიდან მთელ სიკრძეზე, საიდანაც სპორები ცვივა (სურ. 24).

ხალხურ მედიცინაში ჩვენში მას იყენებენ ფალარათობისა და შარდის ბუშტის კატარის დროს. გველის ხავსს ხმარობენ აგრეთვე სცენაზე ხელოვნური ელვის წარმოსაშობად; გარდა ამისა, პის სპორებს ისევამენ ხელებზე, რის შემდეგ ხელი აღარ სველდება უყალბი. წმენციერულ მედიცინაში მას ხმარობენ აბების დიხხანს შესანახად, ბაქტერიისათვის მოსაფრქვევად გამოყველილ ადგილებში ან წმინდა სახით, ანდა ტალკთან, მაგნეზიასთან და სხვ. ერთად. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში ეს მცენარე მოხსენებულია, აგროვებენ მის სპორებს მთლიან მცენარესთან ერთად, რომელსაც შემდეგ საცერში ატარებენ. მთლიან ბალახში (*Herba Lycopodii*) ნაცარი 4% არ უნდა აღემატებოდეს. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: 47—50% მოყვეითალო მწვანე ცხიმზეთი 28% მაძლარი და 72% არამაძლარი ცხიმმჟავათი, არამშრადი ზეთით, რომელიც შედგება გლიცერიდებისაგან, ოლეინის, არაქინის, სტეარინის, პალმიტინის, მირისტინის და იზოპროპილაკრილის მჟავებით. მასში შედის აგრეთვე ლიკოპოდმჟავა; რომელიც წარმოადგენს დიოქსისტეარინის იზომერს, ფიტოკტეარინი და მქროლადი ალკალოიდის კვალი; ამ მცენარეში ნახულია აგრეთვე ცილოვანი ნივთიერება, 2—3% შაქარი, მინერალური მარილები, საკმაო რაოდენობით ძმარმჟავა ალუმინი. დიოქსისტეარინი, ჰიდროკოფეინი ციტრონენის მჟავათი. ვაშლის მჟავა, ფისი, წებო და სხვ. მისი ნაცარი მდიდარია ალუმინის კავშირით. გველის ხავსის ფარმაკევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Herba Lycopodii* (Seu *Herba Musci clavati*), რომლისაგანაც ამზადებენ (1:5) სპირტიან ნაყენს — *Tinctura Lycopodii e Herba*; მისი სპორები *Lycopodium* (Sen *Sporae Lycopodii*), გველის ხავსის სპორების მინარევი 1% ხალიცილის მჟავასთან *Lycopodium salicylatum*, სპირტიანი ნაყენი



სურ. 24. ლიკობაღიუმი, ციკული (*Lycopodium clavatum* L.).

*Tinctura Lycopodii* და სხვ. ჩვენში მთლიანი ბალახი შეიძლება დამზადდეს მალალ მთებში 1,5 ტონის რაოდენობით.

### რეცეპტები:

Rp.: *Lycopodii* 20,0  
DS. ბავშვის მოსაფრქვევი.

Rp.: *Lycopodii*  
*Amyli Oryzae*  $\frac{10}{aa}$  10,0  
MDS. ბავშვის მოსაფრქვევი.

### მაქალო—*Malus communis* Desf.

მაქალოს საქართველოში გარეული ვაშლის, პანტა ვაშლის, კვიპიქას და სხვა სახელწოდებებით იცნობენ.

იგი ვარდისებრთა (*Rosaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის და წარმოადგენს ხე-მცენარეს, რომლის ლეროზე მორიგეობით განწყობილია ყუნწიანი, უფრო ხშირად კვერცხნაირი ფორმის, ქვედა მხარეზე შებუსხილი ფოთლები ხერხებილა ნაპირებით. დიდი. თეთრი ან გარედან რამდენადმე მოვარდისფრო ყვავილები მოკლე, თეთრად შებუსხილ (ძატულისებური შებუსხვა) ყუნწებზე სხედან. ჯაპი და გვირგვინი შედგება ხუთი ფურცლისაგან. მტერიანა მრავალი აქვს, ნასკვი ქვედა, ფუძესთან შეზრდილი სვეტებით. მაქალო ივითარებს მრგვალ ან ოვალურ ცრუ ნაყოფს. რომლის ფუძე და ზედა მხარე ჩაღრმავებულია. წინათ გარეული ვაშლი დიდი მასივებით იზრდებოდა ჩვენში. მაგრამ ვინაიდან ხალხი ძველთაგანვე ამყნობდა ხოლმე ვაშლის ველურ ფორმებს, ამიტომ დღეს ველურ მაქალოს ადგილას საუკეთესო ჯიშების ვაშლის ნარგაობაა გაშენებული; მიუხედავად ამისა, მაქალო ჩვენში მაინც მეტად გავრცელებული და მრავალნაირია. ამიტომ ის ბოტანიკურად უფრო დეტალურ შესწავლას მოითხოვს. ვანსაკუთრებით საინტერესოა მისი ნაყოფი ჩვენს წითლის და სუბალპურ ტყეთა ზონაში.


ვაშლს და კერძოდ მაქალოს ჩვენი ხალხი იყენებს უხსოვარ დროიდან, როგორც სამკურნალო საშუალებას, ჩირის, ვაშლის წვენის. ვაშლის ფოთლის წყალის, ვაშლის შარბათის და ვაშლის მურაბის სახით. ვაშლის სამკურნალო თვისებები ჩვენში ძველთაგანვე ცნობილია და ხალხური თქმულებით „დილის ვაშლი გულის ვარდი, დილის მსხალი გულის ძმარია“ო. ვაშლის შარ-

ბათს, რომელსაც ამზადებენ ვაშლის ნაყოფის ნახარშში შაქრის ან თაფლის მიმატებით, იყენებდნენ ცხელების დროს, სიცხიან ავადმყოფისათვის პირის გემოსა და მადის მოსაგვრელად. უმეტი ვაშლს ხმარობენ საკმელად, როგორც სისხლის მომპარებელ საშუალებას და კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს შემკვრელად; ვაშლს აკმევენენ ძუძუთა ან ძუძუგაშვებულ ბავშვებს ზაფხულის პერიოდში კუჭ-ნაწლავის აშლილობის წინააღმდეგ ან პროფილაქტიკური მიზნით. მეცნიერულ მედიცინაში ვაშლს არც დღეს დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ის თითქმის იგივე მიზნებს ემსახურება, რასაც ხალხურ მედიცინაში. მისი ცრუ ნაყოფი დიეტური მნიშვნელობისაა; ჩქოროხის შემთხვევებში იხმარება ვაშლმეფავა რკინის ექსტრაქტი (*Extractum Ferri pomatum*) და მისივე ნაყენი (*Tinctura Ferri pomata*). ვაშლმეფავა რკინის ექსტრაქტის მოსამზადებლად იყენებენ მქავე ვაშლს. ვაშლის ნაყოფს დღესაც იყენებენ მეცნიერულ მედიცინაში ქრონიკული ფალარათობის წინააღმდეგ და როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილების მწვავე ენტერიტის სამკურნალოდ. კუჭ-ნაწლავის არანორმალური მოქმედების შემთხვევებში ხშირად უნიშნავენ ვაშლის ღვინოს. ვაშლის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Extractum Ferri pomatum* და *Tinctura Ferri pomata*. ვაშლი A, B და C ვიტამინს უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე კობლეარია (*Cochlearia officinalis L.*) (სურ. 25). საქართველოში მაქალოს ნაყოფი შეიძლება შეგროვდეს ყოველწლიურად დაახლოებით 80 ტონის რაოდენობით, აქედან იმერეთში 10 ტ., გურიაში 5 ტ., აჭარაში 5 ტ., სამეგრელოში 8 ტ., აფხაზეთში 7 ტ., სვანეთში 10 ტ., რაჭასა და ლეჩხუმში 20 ტ., სამხრეთ-ოსეთში 5 ტ., ფშავ-ხევსურეთში 3 ტ., ქართლში 3 ტ. და კახეთში 4 ტონა.

### მალოქა—*Malva silvestris L.*

მალოქა ცნობილია საქართველოში აგრეთვე ბალბას, ჩიტ-პურას, ხინკალას და სხვ. სახელწოდებით.

ის ერთ ან მრავალწლოვანი მცენარეა, ცოტად თუ ბევრად შებუსხილი სხეულით და წამოწეული ღეროთი და ბალბასებრთა (*Malvaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. ღერო სწორი აქვს და დატოტიანებული, სიმაღლით 30—100 სმ აღწევს; გრძელყუნწიანი, მრგვალი ან გულის მოყვანილობის ფოთლები მორიგეობითაა განწყობილი. გრძელყუნწიანი ყვავილები ფოთლის ილიებში სხედან; ყვავილის ჯამი ორმაგია: გარეთა შედგება ხაში მოგრძო ფოთოლაკისაგან, ხოლო შიგნითა ძაბრისებურ 10. საქართველოს სამკურნალო მცენარეები.



სურ. 25. კობლეარია (*Cochlearia officinalis* L.).

რია. ვარდისფერი, ხუთფოთოლაკიანი, წვეროზე ამოღრღნილი გვირგვინი 3—4-ჯერ უფრო გრძელია, ვიდრე ჯამი. მრავალრიცხოვანი მტვრიანა ძაფებით მილისებურად შეზრდილია ერთმანეთთან; მრგვალი ნაყოფი ჯამზე რჩება, და მომწიფების შემდეგ იბნევა. მოლოქა ყვავილობს აპრილიდან იენისამდე, ნაყოფი კი გამოაქვს მაისიდან მოყოლებული აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე. გარდა ამ სახეობისი საქართველოში გვხვდება მოლოქას მეორე სახეობაც — *Malva neglecta* Wallr., რომელიც იგივე გამოყენებას პოვებს მედიცინაში, როგორც პირველი. მოლოქა გავრცელებულია ჩვენში, როგორც დაბლობ, ისე მთიან ზონაში მთის შუა სარტყლამდე, განსაკუთრებით ნაგვიან ადგილებში, ბაღებსა და ბოსტნებში, გზის ნაპირას, საცხოვრებელი ბინების ახლოს და სხვ.

საქართველოში მოლოქა საკმაოდ გავრცელებულია როგორც საკვები მცენარე და სამკურნალწამლო საშუალება. ქანანელი ამბობს თავის უსწორო კარაბადინში, რომ მისი ქამა ყოველთვის არ ვარგა: „აგვისტოსა მალოქს ნუ სქამ, წყალს შესვამდე“-ო. სოფლის დედაკაცები წინათ იყენებდნენ მის ძირებს ხელოვნური აბორტის გამოწვევის მიზნით. ხევსურეთში რძეში მოხარშული მოლოქათი მკურნალობენ წითელ ქარს. გარდა ამისა, მოლოქას იყენებენ ყელის დაავადებისას. ცნობილია, რომ ძველად მოლოქას ყვავილს ქინკრის ყვავილთან და არყის ფოთლებთან ერთად იყენებდნენ სიფილისის სამკურნალოდ, ხოლო მისი ნახარშიდან რძეში აკეთებდნენ ფაფას და ხმარობდნენ კუჭ-ნაწლავის ქვლების წინააღმდეგ. მას იყენებდნენ აგრეთვე სასუნთქავი გზების ყოველგვარი დაავადებების დროს, რაც აიხსნება იმით, რომ ის შეიცავს დიდი რაოდენობით ლორწოს. მეცნიერულ მედიცინაში მას დღესაც იყენებენ ყელში გამოსავლებად (*Species ad gargarisma*) ყელის დაავადების დროს, ტკივილების შესამსუბუქებლად (*Species emollientes*) სხვადასხვა ჩაის სახით, ფლავონოიდების დროს ოყნებისათვის და სხვ. ამ მიზნით აგროვებენ მოლოქას ყვავილებს (*Flores Malvae silvestris*), მისი ვარგისიანობის გამოსარკვევად მიმართავენ ქიმიურ რეაქციებს. თუ მის წყლიან ხსნარზე მოქმედებენ ტუტეებით ( $\text{KOH}$ ,  $\text{NaOH}$  ან  $\text{NH}_4\text{OH}$ ), ის ფერს იცვლის და მწვანედ იღებება. მოლოქას გამხმარი გვირგვინი იისფერია; თუ მასზე სიმეჩავეებით ვიმოქმედებთ, ის წითელი ფერის ხდება და თუ მწვანე ამიაკით — ლურჯდება. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ როგორც აღნიშნულ სახეობას, ისე მეორე სახეობასაც — *Malva neglecta* Wallr. მოლოქის ყვავილი (*Flores*



**Malvae**), რომელშიაც ხშირად ერევათ მცენარე—*Lavatera sylvestris*, ქიმიურად შემდეგნაირი შემცველობისაა: ლორწო, მთრიმლავი ნივთიერება, საღებავი ნივთიერება, გლუკოზიდი მალვინი ქლორიდის სახით, მალვინი (ქლორიდი) და 2 გლუკოზიდი, მალვინ-დელფინინდინდემთილეთერი, სირინგინი, ნაცარი 12—15%. მისი ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Flores Malvae seu Flores Malvae silvestris seu vulgaris*; ის შედის ნაკრებთა შემადგენლობაში *Species ad gargarisma* და *Species emollientes*. საქართველოში მოლოქას ყვავილი შეიძლება შეგროვდეს 3 ტონის რაოდენობით, აქედან იმერეთში 0,5 ტ., გურიაში და აქარაში 0,5 ტ., სამეგრელოში 0,3 ტ., აფხაზეთში 0,3 ტ., ჯავახეთში 0,2 ტ., ქართლში 0,5 ტ., კახეთში 0,5 ტ., სამხრეთ ოსეთში კი—0,2 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: Fol. *Salviae* pulv.

*Flores Malvae silvestris*  $\frac{aa}{aa}$  40,0

*Natrii chlorati* 20,0


C. C. M. f. spec.

D. in sacc. chartaceo.

S. ერთი სუფრის კოვზი ერთ ჭიქა წყალზე  
(ყელში გამოსავლებად).

### ხაფთიაქო გვირილა—*Matricaria Chamomilla* L.

ხაფთიაქო გვირილა წარმოადგენს 20--40 სმ სიმაღლის ერთწლოვან ბალახოვან მცენარეს, რომელიც ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (*Compositae*) ბოტანიკურ ოჯახს. მისი ვიწრო ხაზურა ფოთლები ბასრად დაბოლოებული ნაპირებით ორმაგ ფრთად განკვეთილებია, ხოლო ყვავილები შეკრებილია კალათა ყვავილედში. გვერდითი თეთრი ყვავილები ენაკიანებია და ორჯერ უფრო გრძელია, ვიდრე საბურველი. კალათები ზომით 6—8 მმ სიგანისაა; შიგნითა მხარეზე ოდნავ მოხრილი, 5-წახნაგოვანი თესლურები ზემოდან დაფარულია ჯირკვლოვანი წერტილებით. ეს მცენარე ძალიან ჰგავს მცენარე *Anthemis cotula*-ს, რომელშიაც ის ხშირად ერევათ. ხაფთიაქო გვირილა ჩვეულებრივ ნაკელიან ადგილებზე იზრდება (სურ. 26).



სურ. 26. ბაბუნა, საფთიაკო გვირილა (*Matricaria chamomilla* L.).

სააფთიაქო გვირილას, რომელსაც დასავლეთ საქართველოში ქამენიას უწოდებენ, ხალხურ მედიცინაში კრუნჩხვების წინააღმდეგ იყენებენ განსაკუთრებით შარდსასქესო გზების კრუნჩხვითი ან ნერვული შეტევების შემთხვევებში, ქვლების, რევმატიზმების, გაცივების, ლიმფური ჯირკვლების შესიების დროს და აგრეთვე ვეტერინარის პრაქტიკაში—მადის მომგვრელად. Vმეცნიერულ მედიცინაში სააფთიაქო გვირილას ხმარობენ როგორც ოფლის მომგვრელს, ნაწლავების ქვალითი ტკივილების დროს, აგრეთვე როგორც ნერვული სისტემის დამამშვიდებელ საშუალებას და სხვ. ზოგიერთ ქვეყნებში (იტალია, გალიცია, ბრაზილია, ბელგია) სააფთიაქო გვირილას შემცვლელ მცენარედ იყენებენ *Anthemis nobilis* L. ყვავილებს, რომელსაც *Flores Chamomillae romanae*-ს უწოდებენ. ამავე მიზნებისათვის ხმარობენ მყრალას (*Anthemis*) სახეობებს, როგორცაა *Anthemis cotula* L., *Anthemis fuscata* Brot. და *Anthemis repanda* L. სააფთიაქო გვირილას (*Matricaria Chamomilla* L., ყვავილებს (*Flores Chamomillae vulgaris*) შეგროვებისთანავე ჩრდილში ფენენ გასაშრობად და ხშირად აბრუნებენ. სააფთიაქო გვირილას კალათებში 0,6—0,9% ეთერზეთებია სესქუიტერპენითა და ნახშირწყლოვანი ნივთიერებით აზულენით; მის ყვავილში შედის აგრეთვე უმბელიფერინი, აპიგენინი, სალიცილის მჟავა, ფისი, ფიტოსტერინი; მთლიანი მცენარე შეიცავს 3% გლუკოზიდს და აგრეთვე ფისის მსგავს ნივთიერებას; მასში არ არის არცერთი საპონინი, ხოლო ნაცარი 8—10% არ აღემატება, თუმცა ზოგიერთ ფარმაკოპეათი ის 12—14% აღწევს (სურ. 27). რაც შეეხება *Anthemis nobilis* L. ყვავილებს (*Flores Chamomillae romanae*-ს), მათი შემცველობა ასეთია: 0,25—1% ეთერზეთები, 11% აზოტოვანი ნივთიერება, მწარე ნივთიერება, ქოლინი,—ინოზიტი, შაქარი, 3,4% ლიოქსიმიჟავა, აპიგენინ გლუკოზიდი, ფისი—კრისტალური ტარაქსასტერინით, ტრიაკონტანი, სიტოსტერინ-გლუკოზიდი, სტიგმასტერინ-გლუკოზიდი, ცხიმოვანი მჟავები, ესტერმჟავა, ანგელიკამჟავა და ტიგლინმჟავა, 6—8% ნაცარი და სხვ. *Anthemis*-ის სამკურნალო ფორმებია: *Aqua Chamomillae*, *Extractum Chamomillae*, *Extractum Chamomillae fluidum*, *Oleum Chamomillae*, *Oleum Anthemidis*, *Oleum Anthemidis camphoratum*, *Oleum Chamomillae camphoratum*, *Species carminative*, *Species deflaurantes* (რომელშიც შედის: *Flores Chamomillae* 30,0, *Folia Menthae piperitae* 30,0, *Radix Valerianae* 30,0, *Fructus Carvi* 10,0), *Species emollientes*, *Spiritus Chamomillae*, *Suppositoria Chamomillae* (რომელიც შეიცავს: *Flores Chamomillae pulverati* 0,5,

Balsamum peruvianum 0,1, Oleum Cacao 1,5), Tinctura Chamomillae Matricariae, Tinctura Chamomillae Romanae; შიხან აშხა-



სურ. 27. ირაგა, კამენია, მურალა (*Anthemis iberica* M. B.).

დებენ აგრეთვე Gargarisma Chamomillae compositum რომელშიც შედის: Extractum Chamomillae fluidum, Extractum Salviae fluidum (აა 15,0), Pasta antiphlogistica (რომელშიც შედის: Acidum boricum, Oleum Chamomillae aethereum აა 0,4, Bolus alba 120,0, Aqua destillata 40,0, glycerinum 200,0), Satio antiphlogistica (შეიცავს:

Zincum oxydatum crudum 15,0, Extractum Chamomillae fluidum 15,0, Mucilago Tylose Stada ad 50,0), Species deflatulantes (შეიცავს: Flores Chamomillae, Folia Menthae piperitae, Radix Valerianae  $\overline{aa}$  30,0, Fructus Carvi cont. 10,0), დაბოლოს Unguentum antiphlogistin-ი (შეიცავს: Extractum Chamomillae fluidum, Aqua destillata  $\overline{aa}$  10,0, Adeps Lanae anhydricus ad 50,0). სააფთიაქო გვირილას ყვავილისა (Flores Chamomillae) და მურალას (Anthemis) გვარის წარმომადგენელთა გამოყენების მსგავსება გვიკარნახებს ჩვენში გავრცელებული მურალას გვარის მცენარეთა შესწავლის აუცილებლობას. მით უმეტეს, რომ სააფთიაქო გვირილა ჩვენში არც თუ ისე ძალიან გავრცელებულია. საქართველოში სააფთიაქო გვირილას შეგროვება შეიძლება ვივარაუდოთ სულ 1,5 ტონის რაოდენობით, აქედან ქვემო იმერეთში 0,5 ტ., აჭარაში 0,5 ტ., აფხაზეთში კი—0,5 ტონა.


### რეცეპტები:

- Rp.: Flor. Chamomillae 10,0  
 Fol. Menthae 10,0  
 Fr. Foeniculi 5,0  
 Fr. Carvi 5,0  
 Rad. Valerianae 10,0  
 M. f. Species  
 DS. მოიხარშოს ორ კიქა წყალში და დაილიოს ორ მიღებაზე დილა-საღამოს.
- Rp.: Fr. Carvi 50,0  
 Fol. Chamomillae 30,0  
 Rad. Valerianae 20,0  
 M. f. species  
 DS. მოიხარშოს 2 ჩაის კიქა წყალში და დაილიოს ორ მიღებაზე.
- Rp.: Inf. flor. Chamomillae 10%—200,0  
 Natrii biborici 4,0  
 MDS. გამოსავლებად.
- Rp.: Inf. flor. Chamomillae 20,0 ÷ 200,0  
 DS. ნაწლავების კვლების დროს.
- Rp.: Flor. Chamomillae 30,0—50,0  
 DS. მოიხარშოს ჩაის მსგავსად.

ძიძო—*Melilotus officinalis* (L.) Desr.

ძიძო საკმაოდ გავრცელებული, 1—1½ მ. სიმაღლის ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც ეკუთვნის პარკოსანთა (Leguminosae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს; მის დატოტიანებულ, შეუბუსავ ღეროზე მორიგეობით ასხია ყუნწიანი ფოთლები. ფოთლებს სადგისისებური ფოთოლთანები აქვს; შუა ფოთოლაკი შედარებით ორ დანარჩენთან უფრო გრძელ ყუნწზეა, ხოლო ფოთოლაკთა კიდეები ხერხებილია. მეტად პატარა და სურნელოვანი ყვავილები შტკრებილია მტევან ყვავილედში; ყვავილის ჯამი ხუთწევრიანია, გვირგვინი 4—5 მმ სიგრძისაა; ათი მტერიანიდან ცხრა ძაფისებურ მილადაა შეზრდილი. ნაყოფი წარმოადგენს შიშველ ოვალურ პარკს ერთი ან ორი თესლით. ძიძო ყვავილობს ივნისიდან აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე, ზოგჯერ სექტემბრამდეც. ნაყოფი გამოაქვს, დაწყებული ივლისიდან ზოგჯერ ნოემბრამდე. ეს მცენარე გვხვდება თითქმის ყველგან, როგორც სარეველა, ბაღებსა და ბახჩებში, მდინარეთა ნაპირებზე, ნაჩხატებში, ტყის პირას, ბუჩქნარებში და სხვ., როგორც ბარში, ისე მთაში მთის მაღალ სარტყლამდე. ქართულ ხალხურ მედიცინაში ძიძოს იყენებენ როგორც კრილობისა და წყლულის საუკეთესო შემხორცებელ საშუალებას. ლეჩხუმში ძიძოს ყლორტს მოთუშავენ და კრილობას მოაყრიან ან პირდაპირ დაადებენ. ხოლო თუ კრილობა ძველია და არ ხორცდება, კრილობის თავს წინასწარ მოფხვენ. სვანეთში მას ხმარობენ ძირითადად წყლულების შესახორცებლად, რისთვისაც ძიძოს ყლორტებს ნაყავენ და კვერცხის ცილაში ურევენ. გარდა ამისა, საქართველოში ძიძოს ხმარობენ ცხენების საკვებად და ის ქერის შემცველად ითვლება. მეცნიერულ მედიცინაში ძიძოს ყლორტებიდან ამზადებენ მწვანე სალბუნს, რომელსაც ადებენ დაზიანებულ ადგილებზე, როგორც გამომწოვ საშუალებას. ჩვენი სახელმწიფო ფარმაცოპეას მე-7 გამოცემაში ძიძო მოხსენებულია (სურ. 28). საქართველოში მოიპოვება ძიძოს მეორე სახეობაც, რომელსაც თეთრი ყვავილი აქვს და ადვილად განიჩევა პირველისაგან. სამკურნალო მიზნებით აგროვებენ კენწრულ ყლორტებს ღეროთი, ფოთლებითა და ყვავილით; შეგროვებას იწყებენ ივლისიდან. აღსანიშნავია, რომ ძიძოს გამშრალი ნაწილები ქიმიურად შეიცავს განსაკუთრებით არომატულ და სასიამოვნო სუნის ნივთიერებას, ე. წ. კუმარინს (Cumarinum), რომლის რაოდენობა მთლიან ბალახში (*Herba Meliloti*) 0,4%-დე აღწევს. ეს ნივთიერება პირველად აღმოაჩინეს მცენარე ტონკას (*Fabae Tonko*)

თესლში, რომელიც ხარობს გვინეაში (*Dipteris odorata* Willd).  
 დიდ დოზებში (2,5—4,0) კუმარინი შხამიანია. კუმარინის თავისე-  
 ბურ სუნს უახლოვდება მელილოტინი. ძიძო შეიცავს აგრეთვე



სურ. 28. ძიძო (*Melilotus officinalis* (L.) Desr.).

მელილოტმევა კუმარინს, მელილოტისმევას, რომელიც თავისუფალი სახითაა. ის შეიცავს მელილოტის ზეთს, ე. წ. მელილოტოლ-ს, რომელიც აგრეთვე თავისებური სასიამოვნო სუნით ხასიათდება. ძიძოს ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Herba Meliloti*, *Emplastrum Meliloti* და ნაქრები *Species emollientes*, რომელშიც ის შედის.

საქართველოში ძიძო შეიძლება შეგროვდეს დაახლოებით 5 ტონა ხმელი მასის რაოდენობით.

### წყლის პიტნა—*Mentha aquatica* L.

მკურნალობაში იყენებენ პიტნის რამდენიმე სახეობას, რომელთა უმრავლესობა ჩვენში მოიპოვება და შეიძლება საკმაოდ ბლომად შეგროვდეს. პიტნა ეკუთვნის ტუჩოსანთა (*Labiatae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. წყლის პიტნა სიმაღლით ერთ მეტრს აღწევს და მისი ოთხკუთხა ღერო დატოტიანებულია და ოდნავ შებუსხილი. განიერი კვერცხისებური, ქვედა მხარეზე შებუსხილი ფოთლები რთიმეორის მოპირისპირედ სხედან; იისფერი ყვავილები, რომლებიც ღეროსა და ტოტების კენწეროებზე სხედან, მოგრძო, თავთავისებურ ყვავილედში არიან შეკრებილი. ჩვენში ეს მცენარე წარმოადგენს მდინარის პირის, რიყის და ზოგჯერ ქალის ტიპის ტყეთა ერთ-ერთ ბალახეულ კომპონენტს, რომელიც წყალდიდობის დროს ხშირად წაილეკება ხოლმე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკურნალობაში იყენებენ პიტნის სხვა სახეობასაც, როგორცაა *Mentha arvensis* L. და *Mentha piperita* L. წყლის პიტნის (*Mentha aquatica*) გაშვრალი ფოთლები: *Folia Menthae aquaticae* (*Folia Balsami palustris*) შეიცავს 0,3—0,8% ეთერზეთებს. მინდვრის პიტნის (*Mentha arvensis*) ფოთლები (*Folia Menthae arvensis*) შეიცავს 0,2% ეთერზეთებს და აგრეთვე ზეთს პულეგონით (სტატიური მენტოლი), კულტურული პიტნის (*Mentha piperita* L.) ფოთლებში (*Folia Menthae piperitae*) 0,7—1,5% ეთერზეთებია, 7—11% მთრიმლავი ნივთიერება და მწარეები. ზეთის შემცველობა ყვავილებში და კერძოდ იაპონურ პიტნაში მეტად თავისებურია, რაც შემჩნეული იქნა მკვლევარების Duncan-ისა და Short-ის მიერ. აღმოჩნდა, რომ ის შეიცავს 1% ლიმონენ-პინენ, კარიოფილენს. მზა საქონელში ღეროებისა და სხვა მინარევთა რაოდენობა 2% არ უნდა აღემატებოდეს. არ უნდა შეგროვდეს პიტნის ისეთი ფოთლები, რომლებზედაც აღმოჩნდება სოკოვანი დაავადება *Puccinia Menthae*, ვინაიდან ასეთი ფოთლები შეიცავენ მეტად დიდი რაოდენობით კარკონს და პულეგინს. ნაცრის შემცველობა მათ ფოთლებში 12% არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო მარილმევაში უხსნადი ნაცარი კი 1% მეტი არ



უნდა იყოს. პიტნა უნდა შეგროვდეს ყვავილობის პერიოდში, როდესაც მათში ეთერზეთების დიდი რაოდენობაა და დაახლოებით 30—60% მარცხნივ მხრელი კარვონი და მარცხნივ მხრელი ტერპენები: ლიმონენი და პინენია. პიტნის იმ სახეობებში, რომლებიც იზრდება ჩვენში, ბევრია ლინალოლი, ცინეოლი და ლიმონენი. კულტურულ პიტნაში ტერპენთა დიდი ნაზავია, მისი ფორმულა ზუსტად დადგენილი არ არის. პიტნაში არის აგრეთვე მენტონი და მასში მხსნელი მენტოლი (*Mentholum*), რომელსაც სხვაგვარად პიტნის ქაფურს უწოდებენ. პიტნის ეს სახეობა საქართველოში გამოყენებულია კულინარიაშიც, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც პიტნით აზავებენ ყველსა და ნადულს, ხოლო მისი ფოთლებისაგან გამოხარშულ ჩაის ხმარობენ გაცივების დროს. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში ეს მცენარე მოხსენებულია და მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებულია როგორც გულისრევისა და სპაზმების საწინააღმდეგო საშუალება, საღებინფექციო და ტკივილების გამაყუჩებელი საშუალება, განსაკუთრებით, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების შემთხვევებში და ნაღვლის გზების არანორმალური მოქმედებისას. პიტნის ფოთლები. შედის ნაკრებთა შემადგენლობაში; მას ხმარობენ აგრეთვე გემოს გასაუმჯობესებლად, უმთავრესად *Oleum Menthae*-ს სახით. მისი ფარმაკეცტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Folia Menthae piperitae*, *Species aromatica*, *Vinum aromaticum*, *Sirupus Menthae piperitae*, *Tinctura Menthae piperitae*, *Oleum Menthae piperitae*, *Aqua Menthae piperitae*, *Elaeosacharum Menthae piperitae*, *Trochisci Menthae piperitae*, *Elixir amarum*, *Mentholum*, *Menthemum*, *Menthol—Jodolum*, *Mentholum benzoatum*, *Mentholum carbonicum*, *Mentholum Valerianicum*, *Menthophenolum* და *Oleum Poho*. სხვადასხვა დამატებითი პრეპარატები მოხსენებულია სხვა სახელმწიფოთა ფარმაკოპეაში: *Oleum Menthae piperitae*, რომელშიც შეკრებილი მენტოლი 2%-ის რაოდენობით უნდა იყოს. ეთერები და მენტოლაცეტატი უნდა იყოს არა უმეტეს 5%-სა, ხოლო თავისუფალი მენტოლი არა უმეტეს 46%; *Aqua Menthae piperitae*, იგივე *Aqua aromatica*, *Aqua Menthae piperitae concentrata*, *Extractum Menthae piperitae fluidum*, *Sirupus Menthae piperitae*, *Species cholagogae*, (რომელშიც შედის: *Folia Menthae piperitae* 100,0, *Herba Absinthii* 100,0, *Herba Millifolii* 100,0, *Radix Taraxaci* 100,0, *Rhizoma Zedoariae* 100,0), *Sirupus Menthae piperitae*, *Spiritus Menthae piperitae*, *Spiritus Menthae viridis*, *Compressi Tablettae (Folii Menthae)*, რომელიც შეიცავს:

**Folia Menthae piperitae** (pulv. v.) 50,0, **Saccharin** 1,0 (*Sirupus simplex* q. s.), **Mixtura antidysmenorrhoeica B** (შეიცავს: **Aminophenazonium** 3,0, **Extractum Millefolii fluidum** 15,0, **Sirup. Menthae piperitae** 20,0, **Aqua destillata** ad 200,0). გარდა ამისა, პიტნა შედის *Species nervinae*-ს შემადგენლობაშიც შემდეგი პროპორციით: **Folia Menthae piperitae** (Concis II), **Folia Aurantii** (II), **Folia Menyanthidis** (II), **Radix Valerianae** (II) თანაბარი რაოდენობით. პიტნას იყენებენ აგრეთვე კბილის ფხვნილისა და პასტის დასამზადებლადაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ხმარობენ განსაკუთრებული სახეობის *Mentha Spicata Hudson var. Crispata Briquet* ფოთლებს (**Folia Menthae crispae**), რომელშიც ეთერზეთების რაოდენობა 1% არ აღემატება, ხოლო ნაც-რისა 12%. ამ პიტნისაგან ამზადებენ **Oleum Menthae crispae**-ს. მის ეთერზეთში მთავარი შემცველი კარენია, რომელიც თითქმის 50%-ს შეადგენს. მისი პრეპარატებია: **Aqua menthae crispae**, რომელიც შეიცავს თითქმის 94% **Mentholum C<sub>10</sub>H<sub>19</sub>OH** (მოლექ. წონა 156,2). გარდა ბუნებრივი მენტოლისა ღებულობენ ხელოვნურ სინთეზურ მენტოლსაც **Mentholum syntheticum**, აგრეთვე აქედანვე იღებენ **Mentholum Valerianicum**-ს, რომელიც იგივე ვალიდოლია, ანუ იზოვალერიან მჟავა—მეთილესთერი. ამ უკანასკნელის საექიმო ფორმებიდან აღსანიშნავია **Liquor antidonalgicus** (**Menthol** 40,0, **Phenol** 40,0, **Eugenol** 20,0), **Menthyl Valerianae cum Camphora** (10 წილი ქაფური, 90 ნაწილი მენტოლვალერიანატში), **Oleum Mentholi compositum** (**Camphora** 5,0, **Mentholum** 6,0, **Oleum Eucalypti** 6,0, **Chlorbutolum** 10,0, **Parafinum liquidum tenue** 973,0). **Pulvis Mentholi compositus albus**, **Tablettae Menthae** (შეიცავს: **Menthae piperitae** 3,0, **Sacchar. pulv.** 1000,0, **Mucilago Tragacanthae** q. s. ერთგრამიან ტაბლეტებში). **Unguentum Mentholi compositum**-ის მოსამზადებლად იღებენ: **Mentholum** 10,0, **Camphora** 10,0, **Methylum Salicylicum** 25,0, **Cera flava** 18,0, **Adeps Lanae** 37,0. პიტნის ყველა ჩამოთვლილ სახეობათა შეგროვება ჩვენში შეიძლება 7 ტონის რაოდენობით. აქედან იმერეთში 1,5 ტ., გურიაში 1,0 ტ., აჭარაში 0,5 ტ., სამეგრელოში 1,0 ტ., აფხაზეთში 1,0 ტ., ქართლში 1,0 ტ., კახეთში 1,0 ტონა.

## რეცეპტები:

- Rp.: Fol. Menthae pip. 100,0  
DS. ერთი სუფრის კოვზი მოიხარ-  
შოს ერთ კიქა წყალში და მიღებულ იქნეს  
დილა-სალამოს ნახევარ-ნახევარი კიქის  
რაოდენობით.
- Rp.: T-rae Menthae pip.  
T-rae Valerianae  $\overline{aa}$  10,0  
MDS. 25 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.
- Rp.: Gutt. Inosemzovi 20,0  
DS. 20 წვეთი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: Pulv. rad. Rhei 0,25  
Eleosacchari Menthae pip. 0,3  
M. f. pulv. D. t. dos. N 5  
S. თითო ფხენილი 3-ჯერ დღეში.
- Rp.: Cort. Frangulae 30,0  
Fol. Menthae pip. 20,0  
Fol. Urticae 30,0  
Rad. Calami 10,0  
Rad. Valerianae 10,0  
M. f. Species  
DS. 2 სუფრის კოვზი მოიხარშოს 2 კიქა  
წყალში, იღულოს 10 წუთს, მიღებულ იქნეს  
თითო კიქა დილა-სალამოს.
- Rp.: Inf. fol. Menthae pip.  
15,0—180,0  
DS. სუფრის კოვზით დღეში 3—4-ჯერ.
- Rp.: T-rae Menthae pip. 15,0  
DS. 10 წვეთი ხველების დროს.
- Rp.: T-rae Strychni 4,0  
T-rae Menthae 5,0  
T-rae Opii simpl. 3,0  
T-rae Valerianae 10,0  
MDS. 20 წვეთი დღეში 2—3-ჯერ.

Rp.: Fol. Menthae pip.  
 Sem. Carvi  
 Sem. Foeniculi  
 Rad. Valerianae  $\overline{aa}$  15,0  
 M. f. species  
 DS. 2 სუფრის კოვზი მოიხარშოს  
 წყალში და დალეული იქნეს  
 დილა-სალამოს.


Rp.: Fol. Menthae pip.  
 Flor. Sambuci  
 Flor. Tiliae  $\overline{aa}$  30,0  
 M. f. Species  
 DS. ოფლის მომგვრელი ჩაი.

Rp.: Kalii chlorici 4,0  
 Aq. Menthae pip. 200,0  
 MDS. პირში გამოსავლები.

### წყლის სამყურა—Menyanthes trifoliata L.

ეს შორეული ჩრდილოეთის (არქტიკის) მცენარე, რომელიც შემორჩენია ჩვენ ფლორას საკოკავეისა და ფოთის ქაობებში გამყინვარების პერიოდიდან, ეკუთვნის (Gentianaceae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. ის ივითარებს ქაობებსა და წყლებში გრძელსა და მსხვილ მხოხავ ფესვურებს, რომელზედაც კარგადაა გამოსახული უკვე გამხმარი და ჩამოცვენილი ფოთლების კვალი, რომელიც რკალისებრივ შემოხვეული აქვს ფესვურას. ამ წმრავალწლოვან ბალახოვან, შიშველი მცენარის ფესვურას უფითარდება წაშოწეულ კენწერზე გრძელყუნწიანი და ვაგინიანი ფოთლები, რომლებიც ფუძესთან განიერდება. ცალკეული ფოთოლაკი მოგრძო—უკუკვერცხნაირია. სწერო კენწრულია, უფოთლო და ბოლოვდება მოგრძო მტევან-ყვავილედით. ყვავილედში შეკრებილი ყვავილის ნაწილები: ჯამი, გვირგვინი და მტვრიანა—ხუთ-ხუთია. გვირგვინი ძაბრისებურია, მკრთალი წითელი ფერისა და გრძელფოჩიანი. ნასკვი ზედაა დამახასიათებელი გრძელი სვეტებიო; ნაყოფი წარმოადგენს ორსაგდულიან კოლოფს. წყლის სამყურა ყვავილობს ზაისსა და ივნისში, ნაყოფს კი ივლისში და აგვისტოში ისხამს (სურ. 29). ტბათა მცენარეულობას შორის ის მოქცეულია მეორე

ზოლში; პირველ-ზოლს. ძირითადად ავსებს *Ranunculus* sp. div  
და *Carex* sp. diverse-ს მცენარეული გვარები სხვა მარცვლოვანებ-



სურ. 29. წყლისსამყურა (*Menyanthes trifoliata* L.).

თან ერთად, ხოლო მეორე ზოლში მოქცეულია ჩაყურყუმელაგვ-  
ბული *Menyanthes trifoliata* L., *Alisma plantago* L., *Lythrum*  
*Salicaria* L., *Spharganium ramosum* Huds. და სხვა მცენარეები.  
საკოქავეის ტბაზე წყლის სამყურა ხშირად წმინდა დაჯგუფებასაც  
ჭქმნის და სხვა მცენარეს არ ახარებს. სამკურნალო მიზნებით  
იყენებენ ამ მცენარის ფოთლებს (*Folia Trifolii fibrinis* s., *Folia*  
*Menyanthii*), რომლებსაც ყვავილობის პერიოდში აგროვებენ,  
ჩვეულებრივი წესით ამრობენ და ინახავენ მშრალ ადგილას თავ-  
მოკერილ ტომრებში. ჩვენი საკავშირო ფარმაკოპეას №-7 გამო-  
ცემაში ეს მცენარე მოხსენებულია და მეცნიერულ მედიცინაში  
გამოყენებულია როგორც მწარე, მადის მომგვრელი საშუალება:  
ის შედის აგრეთვე სამკურნალო ჩაის ნაკრებში. ამ მცენარის  
ფოთლის ქიმიური შემცველობა ასეთია: მთავარი მოქმედი მწარე  
გლუკოზიდი მენიანთინი, რომელიც სიმკვავეში განჯავებით იშლება  
ეთერზეთ მენიანთოლად და შაქრად, თითქმის 1% გლუკოზიდი  
მენიანთინი, ინვერტინი, ემულსინი, 3% ყავისებური მთრიმლავი  
ნივთიერება. ცხიმზეთები, ქოლინი, ფისი, საპონინი, C ვიტამინი.  
ნაცარი არა უმეტეს 9—11% და სხვ. მისი ფარმაკევტული პრე-  
პარატებიდან აღსანიშნავია: *Folia Menyanthis seu Folia Trifolii*  
*ibrini seu aquatici*, *Extractum Menyanthis seu Trifolii fibrini*,  
*Elixir amarum*, *Elixir Aurantiorum compositum*, *Extractum ama-*  
*rurn*, *Extractum Trifolii*, *Tinctura Trifolii*, *Tinctura amara*.  
*Species amarae* და სხვ. ამ მცენარის შეგროვება ჩვენში შეიძლე-  
ბა ყოველწლიურად, დაახლოებით 1 ტონის რაოდენობით. ისიც  
ძირითადად ფოთის ქაობებში. რადგან ფატუჯისა და საკოქავეის  
ტბებში შეგროვებული მასა 200 კგ არ აღემატება.

### რ ე ც ე პ ტ ე ბ ი :

Rp.: Fol. Trifolii

Fol. (herbae) Absinthii  $\overline{aa}$  15,0  
MDS. მოიხარშოს როგორც ჩაი  
და მიღებული იქნეს საკმლის მილე-  
ბის წინ სუფრის კოვზით.

Rp.: T-rae Absinthii

T-rae Trifolii  $\overline{aa}$  10,0  
MDS. 20—25 წვეთი საკმლის მიღების წინ.

Rp.: T-rae Trifolii 20,0

DS. 20 წვეთი 3-ჯერ დღეში.

Rp.: *Herbae Absinthii*

Fol. *Trifolii*

Rhiz. *Calami*

Fr. *Carvi*  $\overline{\text{aa}}$  15,0

MDS. ერთი სუფრის კოვში მოიხარშოს ერთ  
ქიქა წყალში და მიღებულ იქნეს ნახევარ-  
ნახევარი ჩაის ქიქა საქმლის მიღების წინ  
20 წუთით ადრე (მადის მომგვრელი ჩაი).

### ჯადვარი—*Orchis latifolius* L.

ჯადვარი, რომელიც ეკუთვნის ჯადვარისებრთა (*Orchidacee*)  
ბოტანიკურ ოჯახს, ცნობილია ჩვენში აგრეთვე გუგულის კაბის,  
კაციითას და უშვილობის წამლის სახელწოდებით. *Gymnadenia*  
*conopsea* (L) R. Br. ძალიან ჰგავს მას. მცენარის ტუბერაკები  
შართლაც ადამიანის თითებს მოგაგონებთ. ჯადვართა გვარის მცე-  
ნარეების სქელი, შიშველი და კიდემთლიანი ბრწყინვალე ფოთ-  
ლები ხასიათდება განიერი, მოგრძო ან ელიფსური, ვიწრო ლან-  
კეტა და ხშირად ხაზურა მოყვანილობით. ჯადვარის არც თუ ისე  
მაღალი, სწორმდგომი და წვნიანი ღეროს კენწერი დაშშვენებუ-  
ლია მოგრძო ან ც-ლინდრული ფორმის მტევან ყვავილედით, რო-  
მელშიაც შეკრებილია, ჩვეულებრივ, მოწითალო იისფერი ან შრო-  
შანი ყვავილები. ფუძესთან ღერო ივითარებს მიწაში ტუბერაკებს,  
რომლებთან ერთი გასული წლისაა და შავი ფერი აქვს, ხოლო  
ორი ახალი ტუბერაკი ღია ფერისაა და ხორციანი. ძველი,  
მეტად რბილი კონსისტენციის გამოფიტული ტუბერაკი თითქოს  
მოხარშულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ტუბერაკთა მოყვანილობა  
მეტად უცნაურია: ზოგი მათგანი მრგვალია, ზოგი კი თათისებუ-  
რად და დაყოფილი და ხშირად ადამიანის თითებს მოგაგონებთ,  
რის გამო მას სამართლიანად კაციითას უწოდებენ. სამკურნა-  
ლო მიზნებისათვის საუკეთესო ხარისხად მრგვალი ტუბერაკები  
ითვლება. ამ ტუბერაკებში ჯადვარი იმარაგებს საზრდო მასალას  
მეორე სავეგეტაციო წლისათვის, რის გამო გასული წლის ტუ-  
ბერაკი გამოფიტულია და რბილი, ხოლო ახალი ტუბერაკი კი  
მდიდარია საზრდო მასალითა და სასარგებლო ნივთიერებებით;  
ამიტომ სამკურნალო მიზნით აგროვებენ ახალ ტუბერაკებს ვე-  
გეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე ან ვეგეტაციის დასრუ-



სურ. 30. ჯადგარი (*Orchis maculata* L.).



ლების შემდეგ გვიან შემოდგომაზე. შეგროვებულ ტუბერაკებს ძაფზე აცმევენ და ადუღებულ წყალში ავლებენ, რის შემდეგ აშრობენ და ინახავენ. ჩვენში იზრდება ჯადვარის 45 მეტი სხვადასხვა სახეობა, რომლებიდანაც აღსანიშნავია: *Orchis carthaliniae* Klinge, *Orchis latifolia* L., *Orchis mascula* L., *Orchis purpurea* Huds., *Orchis palustris* Jack., *Orchis georgica* Klinge, *Orchis iberica* M. B. და სხვა. *Platanthera chlorontha* Cust., *Gymnadenia conopsea* (L.) R. Br., *Anacamptis pyramidalis* (L.) C. Rich. და სხვ. უმრავლესობა მათგანი სამკურნალო მიზნებისათვის გამოსადეგია. საქართველოს ტყეები და მდელოები მეტად მდიდარია ჯადვარის სხვადასხვა სახეობებით. მას უხვად ნახავთ ბარშიც და მთაშიც, თითქმის მარადი თოვლის ზონაშიც, სადაც შემდნარი თოვლის ფუძესთან ხშირად ნახავთ გაღვიძებულ ღვინასა და ჯადვარს. მას შეხვდებით წიფლნარ ტყეებშიც, განსაკუთრებით იქ, სადაც ძლიერადაა გამოხატული გვიმრების, მარცვლოვნების ან რომელიმე სხვა მაღალბალახოვანი მცენარეების ბალახეული საფარი.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ჯადვარს დიდი ხანია იყენებენ, განსაკუთრებით სიმსივნეებისა და მოშხამულ კრილობათა სამკურნალოდ, როგორც სასქესო ორგანოთა აღმგზნებ საშუალებას, ასევე კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს, სისხლიანი ფაღარათობის შემთხვევაში და სხვ. ხმარობენ მას აგრეთვე როგორც საკვებს. მეცნიერულ მედიცინაში მას ხმარობენ მძიმე მოწამელის შემთხვევებში შიგნით მისაღებად, როგორც შემომვლებ საშუალებას, კერძოდ კუჭ-ნაწლავის კატარისა და სისხლიანი ფაღარათობის დროს, განსაკუთრებით ბავშვთათვის. ჯადვარის ტუბერაკები (*Tubera Salep*, *Radix Salep*) შეიცავს 40—50% ლორწოს (არაბინითა და დექსტრინით), სადაც მთავარ მოქმედ საწყისად ბასორინი ითვლება. 30% სახამებელს, 5—6% ცილოვან ნივთიერებას, 4% შაქარს და ნაცარს არა უმეტეს 3%-სა. მზა მასალაში სინესტე 14% არ უნდა აღემატებოდეს. ჯადვარის ფარმაცევტული პრეპარატებია: *Tubera Salep*, *Mucilago Salep seu Decoctum Salep*. საქართველოს სუბალპურ მდელოებზე და ტყეებში ჯადვალი შეიძლება შეგროვდეს 4,5 ტონის რაოდენობით, აქედან აფხაზეთში 0,3 ტ., სვანეთში 0,5 ტ., რაქა-ლეჩხუმში 0,2 ტ., სამხრეთ-ოსეთში 0,7 ტ., ფშავ-ხევსურეთსა და ხევში 1 ტონა, მთა-თუშეთში 0,3 ტ., იმერეთში 0,5 ტ., გურიაში 0,3 ტ., სამეგრელოში 0,2 ტ., ბორჯომ-ბაკურიანში 0,2 ტ., ქართლსა და კახეთში 0,3 ტონა.



სურ. 31. ჯადვალი (*Orchis iberica* M. B.).

## რეცეპტები:

Rp.: Mucilago Salep 100,0

Ds. თითო ჩაის ან დესერტის  
კოვზი დღეში 2—3-ჯერ.

**თავშავა** (*Origanum vulgare* L.).

თავშავა ტუჩოსანთა (*Labiatae*) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მხოზავი ფესურათი და მოკლე ბუსუსით დაფარული ღეროთი. მისი სწორმდგომი ოთხკუთხა და დატოტიანებული ღერო 30—60 სმ სიმაღლეს აღწევს. მოკლეყუნწიანი, მოგრძო კვერცხისებური, კიდემთლიანი ფოთლები ერთი მეორის პირდაპირ სხედან. სინათლეზე გახედვისას ფოთლებში მოჩანს ზეთის ჯირკვლები. პატარა მოვარდისფრო ყვავილები თავთავისებურად შეკრებილია ფარაკ ყვავილედში ღეროსა და ტოტების კენწეროებზე; მისი ყვავილთანები იისფერებია და კვერცხისებური, ყვავილის ჯამი 5 კბილა ზარისებურია, მილისებრი გვირგვინი ზედა და ქვედა ტუჩებით 4—5 სმ სიგრძისაა. გვირგვინიდან მოჩანს ოცი მტვრიანა. სწორსვეტიანი ნასკვი ზედაა და 4-წილაკიანი; მას ახასიათებს ოთხი კაკლუქად მხსნელი ნაყოფი. თავშავა ყვავილობს იენისიდან აგვისტოს ბოლომდე, ნაყოფს ისხამს ივლისიდან ოქტომბრის ბოლომდე. ჩვენში ეს მცენარე ფართოდაა გავრცელებული, დაწყებული დაბლობებიდან სუბალპური სარტყლის უმაღლეს საზღვრამდე; იზრდება ტყის პირას, ველზე, ბუჩქნარში, მდელოებზე და მთის მაღალბალახოვან კალთებზე, განსაკუთრებით მშრალ ადგილებზე.

ქართულ ხალხურ მედიცინაში თავშავას ბალახს (*Herba Origanum vulgare*) იყენებენ ყვავილობის პერიოდში, როგორც ანტი-სპაზმურ საშუალებას, შეკავებული მენსტრუაციის დროს, კუჭნაწლავის დაავადებათა წინააღმდეგ, ნერვულ ნიადაგზე თავის ტკივილების დროს, სხეულის ქვედა ნაწილებში სისხლის შეჩერების შეათხვევებში, ქვალისა და ქოშინის წინააღმდეგ; მას ხმარობენ აგრეთვე როგორც მშრალი, ისე სველი საფენებისათვის, არომატული აბაზანებისათვის; მას ხმარობენ კულინარიაში, შალეულის და თმის შესაღებავად, აგრეთვე თმის ცვენის წინააღმდეგ; წარმატებით იყენებენ როგორც კბილის ტკივილის დამაყუჩებელ საშუალებას, აგრეთვე უძილობის წინააღმდეგ და სხვ. თავყვითელას ყვავილებთან ერთად მას ურევენ ფარცმანდუკის (*Achillea tomentosa* L.) ყვავილებს, და მათი ნაღვეებიდან მზადდება თხიერი მალამო, რომელსაც იყენებენ ეგზემის წინააღმდეგ. თავშავას


ყვავილებს ყრიან ტანსაცმლის კარადაში ჩრჩილის წინააღმდეგ-მეცნიერულ მედიცინაში ჩვენში თავშავას ნაკლებად იყენებენ, მაგრამ საზღვარგარეთ მას დღესაც ხმარობენ როგორც *Stomachicum*, *antispasmodicum*, *emmenagogum*, კომპრესებისათვის და კბილის დაავადებათა პრაქტიკაში; ის შედის აგრეთვე არომატულ ნაკრებთა შემადგენლობაში. ქიმიურად თავშავა შეიცავს 0,15—1% ეთერზეთებს, 8% მთრიმლავ ნივთიერებას, მწარეებს, 8—10% ნა-ცარს, 60% ფენოლს—კარვაკროლს და სხვ.

თავშავას ფარმაკევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Herba Origani*, *Species aromatica*, *Oleum Origani vulgaris* და სხვ. თავშავას ზეთს ჩვენში იყენებენ პარფუმერიაში. საქართველოში თავშავა შეიძლება შეგროვდეს როგორც მთაში, ისე ბარში, დაახლოებით 10-ტონა მშრალი მასალის რაოდენობით ყოველწლიურად.

### ანისული—*Pimpinella major* (L.) Huds.

ანისული ჩვენში საკმაოდ გავრცელებული ეროვნოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც ძალიან ადრე იწყებს ვეგეტაციას და გვიან შემოდგომამდე ინარჩუნებს მწვანე ფერს. ის ეკუთვნის ქოლგოსანთა (*Umbelliferae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და სიმაღლით 40—100 სმ აღწევს. მისი ოთხკუთხა ღერო ძირიდანვე დატოტიანებულია და შიშველი. ფოთლები შედგება დაღრღნილ-დაკბილული ფოთოლაკებისაგან. ყვავილობის პერიოდში სვეტი ნასკვზე მოკლეა. ნაყოფი 3 მმ სიგრძისაა. ანისული გავრცელებულია ჩვენში აფხაზეთში, იმერეთსა და ქართლში. ის კარგად უძლებს სიცივესა და სიმშრალეს; მას ეტანებიან ცხოველები, რადგან მისი ეთერზეთი მადის მომგვრელად მოქმედებს; ამიტომ ის საუკეთესო საშუალებაა წველადობის გასადიდებლად. ხალხი ხმარობს მას კულინარიაშიც და მისი ფოთლებიდან სალათას ამზადებს. ანისულს იყენებენ ყელის დაავადებათა პროფილაქტიკურ მიზნითაც. ჩვენში იზრდება ანისულის რამდენიმე სახეობა, რომლებიც სამკურნალოდ გამოყენების თვალსაზრისით შესწავლას მოითხოვს. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში ეს მცენარე მოხსენებული არ არის, მაგრამ სხვა სახელმწიფოებში გამოყენებულია. ჩვენი ფარმაკოპეას მიხედვით იყენებენ მცენარე *Pimpinella anisum* L., რომელიც ჩვენში, კერძოდ უკრაინაში, კულტურაში მოყავთ. როგორც ამ უკანასკნელს, ისე ჩვენს მიერ აღწერილ მცენარეს იყენებენ მეცნიერულ მედიცინაში, როგორც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის

აღმგზნებ, ნაღვლის მომგვრელ, ამოსახველებელ საშუალებას და ზოგჯერ ზოკიერთი მადის მომგვრელი წაპლეულის შეპცველად. აღწერილი მცენარის მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება ანისულის ზეთი, რომელიც შეიცავს 1,5—5% ანეთოლს. ანისულის ზე-



სურ. 32. ანისული (*Pimpinella major* (L.) Huds.).

თი ყველაზე მეტად მის თესლებშია. მსგავსად ჩვენ ფარმაკოპეაში აღწერილი მცენარისა, ანისულიც შეიცავს აგრეთვე ცილოვან ნივთიერებას, რომელიც სამკურნალო საშუალებად არ ითვლება. შეე-

ქარიის ფარმაკოპეის თანახმად იყენებენ ამ მცენარის ფესვებს (*Radix Pimpinellae*). ამპრეპარატის მზრალ სააფთიაქო საქონელში ხშირადაა შერეული სხვა მცენარეთა ფესვები, როგორცაა *Heraclium sphenodylium* და *Pastinaca sativa*. ჩვენ მიერ აღწერილი ანისულის ფესვების შემცველობა ქიმიურად ასეთია: პიმპინელინი ლაქტონი, რომელიც ეკუთვნის კუმარინის კლასს და იზოპიმპინელინი (პირველი იზომერი), იზომერგაპტენი, 1,1% რაინ-საპონინი, მთრამლავი ნივთიერება და სხვ. საექიმო ფორმებიდან აღსანიშნავია: *Radix Pimpinellae*, *Tinctura Pimpinellae* და *Tinctura Pimpinellae composita*. ის შედის *Elixir contra Tussim*-ში (*Kalium iodatum* 0,5, *Tinctura Pimpinellae*, *Elixir e succo Liquiritiae* à à 20,0) და აგრეთვე *Pilulae expectorantes*-ის შემადგენლობაში (*Ferpinum hydratum*, *Sirotol* à à 3,0, *Extract. Pimpinellae* 2,0 M. f. pill. Nr XXX). ჩვენ ფარმაკოპეაში გამოყენებული მცენარის პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Species laxantes*, *Species pectorales*, *Species St. germain*, *Liquor Ammonii anisatis*, *Elixir pectoralis*, *Tinctura Opii benzoica*, *Eleosaccharum Anisi*. ჩვენში დიდი შესაქლებლობაა ანისულის როგორც ველურად, შეგროვების; ისე კულტურაში მოყვანის.

#### რეცეპტები:

- Rp.:  $\overline{\text{Liq. Ammonii anis.}}$  10,0  
 DS. 5—10 წვეთი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: *Tincturae Opii benzoicae* 10,0  
 DS. 10—15 წვეთი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: *Elixir pectoralis* 15,0  
 DS. 30—40 წვეთი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: *Rhiz. Rhei pulv.* 0,5  
*Eleosacchari Anisi* 0,3  
 M. f. pulv. D. t. d. № 6  
 S. თითო ფხენილი დღეში 3-ჯერ
- Rp.: *Specierum St. Germain* 200,0  
 DS. ხარშავენ როგორც ჩაის და ექიმის დანიშნულებიდან გამომდინარე ღებულობენ.
- Rp.: *Specierum pectoralium* 200,0  
 DS. ურევენ 2 ჩაის კიჭა წყალში და სვამენ ყოველ ორ საათში ნახევარი ჩაის კიჭის რაოდენობით.

ფიქვის ამ სახეობას აქარაში კატარი ჰქვია, ხოლო სამხრეთ-ოსეთში მას ნაყის უწოდებენ. ის ეკუთვნის ფიქვისებრთა (*Pinaceae*-ის) ოჯახს. მაღალი ტანის ხეა ზევითკენ აღმართული ტოტებით და მორუხო-მურა ფერის ქერქით. ორ-ორი, იშვიათად სამ სამი ლეგა ფერის მჩხვლეტავი წიწვი ოდნავ ხერხები-ლა კიდევით სიგრძით 6 (8) სმ აღწევს, ხოლო სიგანით 1,5—2 მმ-ს უდრის. ფიქვის უამრავი მამრობითი გირჩები მოგრძო ცილინდრული მოყვანილობისაა, ხოლო მდედრობითი კვერცხისებური მოყვანილობის გირჩები თითო-თითოდ სხედან. მწიფე გირჩები ძირამდე იხსნება. მათში ვითარდება უკუკვერცხისებური, მურა ფერის წაწვეტებული თესლი. ფიქვის ეს სახეობა ძირითადად მთის ტყეების ზონაშია მოქცეული, თუმცა ზოგჯერ ზევით ან ქვევით აღის და გვხვდება სუფთა ფიქვნარის ან ფიქვ-ნაძვნარ-სოკვნარის სახით; ნახავთ მას ფოთლოვან ხემცენარეებთან ერთადაც.

ფიქვის ეს სახეობა გავრცელებულია საქართველოში ზღვის დონედან დაწყებული ტყის ზედა საზღვრამდე—აქარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთში, რაქა-ლეჩხუმში, სამხრეთ-ოსეთში. მთიულეთში, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, ქართლში, კახეთში, ბორჯომ-ბაკურიანში, ჯავახეთსა და მესხეთში. ფიქვს ჩვენში დიდი ხანია იყენებენ ტუბერკულოზის, სიფილისისა და ციების წინააღმდეგ, წყლულებისა და კრილობის შესახორცებლად, აგრეთვე როგორც ანტისკორბუტულ საშუალებას, ფრჩხილებისა და კანის დაავადებათა წინააღმდეგ და სხვ. დავით ბატონიშვილი იყენებს ფიქვის ნაღობს, გამონაყონ წებოს (ფისს), ფიქვის კვეს ანუ წებოს და ფიქვის ხის ნორჩ ახალ ყლორტებს.—„ვინცა ფიქვის კვეი წამხდარსა ფრჩხილზედა დაიდვას და შეიხვიოს, იმ ფრჩხილსა წააგდებს და სხვა კაი ფრჩხილსა ამოიყუანს“-ო. გარდა ამისა, რძეში არეულ „ანდუზის ძირებსა, ფიქვის ხის ნორჩებსა“ და სხვა შინარეებს ის ურჩევს ქავანას წინააღმდეგ. ფიქვისა და აბზინთას ნახარშს სვანეთში ღღესაც იყენებენ ტუბერკულოზის წინააღმდეგ; ხევსურეთში ფიქვის ფისს სამყურას გამხმარ ფოთლებთან ერთად ხმარობენ კრილობათა შესახორცებლად, ხოლო მარტო სამყურას გამხმარი ფოთლების ფხვნილით მკურნალობენ სახის კრილობებს მათი უნაწიბუროდ შეხორცების მიზნით. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ფიქვის კვირტებს (*Gemmae Pini*), ფიქვის წიწვებს (*Folia Pini*), ყლორტებს (*Turiones Pini seu Latex Pini*), ფიქვის ფისს, მტვერსა და მის მერქანს. ფიქვის ყლორტები შეიცავს ცვილსა და იუნი-

პერმეაჟას, წიწვიანი ყლორტები—0,045—0,12% ეთერზეთს (სკიპიდარს), 50%—1 პინენს, 20%—1 პინენინს, 12% დიპენტენს, 8%—ბორნეოლს, ფურფუროლის კვალს, 3% ნაცარს, ფისს, სახამებელს, მწარე ნივთიერებას—პინიკრინს (Pinicrinum), მთრიმლაჟ ნივთიერებას, მინერალურ მარილსა და მცირე რაოდენობით ფისოვან ნივთიერებას—ბოლორეტინს (Boloretinum), რომელიც—75°  
 ლღვება. ფიქვის წიწვში ზამთრის პერიოდში მეტწილად მჟავებია; მათ შორის აღსანიშნავია ცეროპინის, პინიტანის და ოქსიპინიტანის მჟავა. გაზაფხულზე ამ მჟავების ნაცვლად ვპოულობთ ტანოპინის მჟავას; გარდა აღნიშნულისა, წიწვში მოიპოვება ეთერზეთი, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე ტერპენთა (პინენის, სილვესტრენის, დიპენტენის) ნაზავს ფორმულით  $C_{10}H_{16}$ , ზოგჯერ წიწვში შედის კალნენიცი და 3,5% ბორნილის ძმარეთერი. ჩვეულებრივი ტერპენტიანი შედგება 15—30% ეთერზეთის (სკიპიდარი), 60—80% ფისის და 5—10% წყლისაგან; გარდა ამისა, წიწვი საგრძნობი რაოდენობით შეიცავს ჰიანტველასა და ქარვის მჟავას. ფიქვის ფისი შეიცავს 3—5% სკიპიდარს, 5—10% წყალს, ხოლო დანარჩენს კი შეადგენს კანიფოლი, რომელიც შედგება მჟავეთაგან; ამ მჟავეთა რაოდენობა და სახე დაკავშირებულია ფიქვის სახეობასთან; მაგალითად, ჩვენს მიერ აღწერილ ჩვეულებრივ ფიქვში ქარბობს უმთავრესად სილვინისა და აბიეტინის მჟავა—ზღვისპირული ფიქვის ფისებში ქარბობს პიმარის მჟავა, რომელიც წარმოადგენს სამ იზომერულ მჟავას ნაზავს. კანიფოლი შედგება იგივე სიმჟავეთაგან, რომელიც მოიპოვება ფისში. კანიფოლის ფერი კი დამოკიდებულია ბრენცკატექინისა და პროტოკატექინის მჟავების მონაწილეობისაგან. ფიქვის ფისისა და კანიფოლის მშრალი გამოხდით ვღებულობთ დაშლის მრავალფეროვან პროდუქტებს: ოლეფინებისა და არომატული რიგის ნახშირწყლოვან პარაფინს, მცირე რაოდენობით მეთილის ალკოჰოლს, ძმარს, კაპრონს, ვალერიანას და სხვა მჟავებს. ხის უბრალო ძმარი უმთავრესად შეიცავს წყალს, მეთილის ალკოჰოლს, 6% ძმარმჟავას და მცირე რაოდენობით ცხიმის, ვალერიანას, კაპრონის, პროპიონის მჟავებს, აცეტონს, ფურფუოლს, მეთილის ეთერს, პიროლორწომევენებს, ფენოლის მსგავს და მწველ ნივთიერებას. ფიქვის კუპრი თავისი შემადგენლობით ჰგავს წითლის კუპრს, მაგრამ შემადგენელი ნაწილების რაოდენობით ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან: ფიქვის კუპრი ძლიერ მდიდარია ფისოვანი ნივთიერებებით და მხოლოდ მცირე რაოდენობით შეიცავს კრეოზოტს-წიფელის კუპრი კი, პირიქით, მდიდარია ფენოლებით (კრეოზო-



ტითა და სხვ.) და ღარიბია ფისოვანი ნივთიერებით. მსგავსად სკიპ-ღარისა, ფიქვი შეიცავს ტერპენსაც, რომელიც შედგება რამდენიმე ტერპენისაგან; მათ შორის უმთავრესია დიპენტენი და ტერპინენი. ტერპენოლი წარმოადგენს ტერპინეოლისა, ტერპინენისა და სხვა ტერპენტა ნაზავს. მეცნიერულ მედიცინაში ძირითად გამოყენებას პოულობს ფიქვის სახეობა *Pinus silvestris L.*, რომლისგანაც ამზადებენ მთელ რიგ პრეპარატებს; მაგრამ ასეთივე პრეპარატების მიღება შეიძლება ჩვენს მიერ აწერილ სახეობიდანაც. მეცნიერულ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება ფიქვის კვირტები (*Gemmae Pini*), რომლის ეთერზეთებს, ფისსა და მწარე ნივთიერებას პინიკრინს იყენებენ როგორც შარდსადენ საშუალებას. კვირტებს აგროვებენ ადრე გაზაფხულზე გაშლამდე. ფიქვის ახალი წიწვის გამოხდით ღებულობენ ფიქვის ზეთს (*Oleum Pini foliorum*), რომელშიაც ტერპენების გარდა მოიპოვება 3—5% ძმროვანი ეთერი ბორნეოლი. ფიქვის ზეთის სპირტხსნარს აფრქვევენ პულვერიზატორით ჰაერში მისი გასუფთავების მიზნით. ფიქვის ნაყენებისა და გამონაცემის აბაზანებს იყენებენ როგორც გამლიზიანებელსა და ადგილობრივი ჰიპერემიის გამომწვევეს. არა ნაკლებ გამოყენებას პოვენს სკიპიდარი, რომელიც მოქმედებს მთელ რიგ ორგანოებზე, ქსოვილებზე და მიკროორგანიზმებზე და იხმარება როგორც ამოსახველებელი, შარდსადენი, გამლიზიანებელი, საღებინ-ფექციო. ნაღვლის მომგვრელი და სისხლის ღენის შემჩერებელი საშუალება. მას იყენებენ სასუნთქავი გზების და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების, რევმატიზმის, ნევრალგიებისა და სხვა დაავადებათა დროს, ხოლო გარედან—მალამოებისა და ლინიმენტების სახით. მალამოების სახით ხმარობენ კუპრსაც, სახელდობრ ქავანას წინააღმდეგ, ხოლო კანიფოლი და ტერპენტინი კი იხმარება სალბუნის სახით. სკიპიდარიდან ღებულობენ არომატულ ტერპენოლს, რომელსაც ხმარობენ პარფიუმერიაში; მისგან ამზადებენ სინთეზურ ქაფურსა და კაუჩუკს; იყენებენ ლაქებისა და ზეთოვანი საღებავების დასამზადებლად, ხოლო კანიფოლს კი საპნის წარმოებასა და ქალაღლის წებოს დამზადებისათვის. ფიქვის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია ჩვენში: *Gemmae Pini*, *Decoctum gemmarum*, *Oleum Pini foliorum*, *Terpinum hydratum*, *Oleum Terebinthinae rectificatum*, *Colophonium*, *Terebinthina communis*, *Unguentum Terebinthinae*, *Linimentum Saponis rubefaciens* და მთელი რიგი სხვა ნაკრებები. სხვა ქვეყნებში: *Aqua Turionum (gemmae) Pini*, *Extractum Turionis Pini fluidum*, *Extractum Pini (Extractum Abietinae)*, *Sirupus Turionis*

Pini, Sirupus Pini albae compositus (შეიცავს: Cortex Pini albae 85,0, Cortex Pruni virginianae 85,0, Rhizoma Araliae 10,0, Gemmae Populi 10,0, Rhizoma Sanguinariae 8,0, Lignum Sassafras 10,0, Persio (Cudbear) 1,0, Chlorophormium 6,0 ccm, Glycerinum 100,0, Saccharum 625,0, Alkohol (95%), Aqua destillata q. s. ad 1000,0), Sirupus Pini albae compositus cum Morphina (შეიცავს: Morphinum sulfuricum 0,4, Aqua destillata 10 ccm, Sirupus Pini albae compositus ad 1000 ccm), Terebinthina, Terebinthina venata, Oleum Terebinthinae (0,2—0,6 ccm-დან 8—16 ccm-დე ხმარობენ, როგორც ქიის დამდენ საშუალებას), Oleum Terebinthinae rectificatum, საიდანაც ამზადებენ Guttas Durante-ს (Oleum Terebinthinae rectificatum 5,0, Spiritus aethereus 5,0). რაც შეეხება Unguentum granulans-ს ანზადებენ ასე, იღებენ: (Oleum jocosus Aselli 10,0, Terebinthina laricina 25,0, vaselinum flavum q. s.) და Mel terebinthinatum-ს (Oleum Terebinthinae 100,0, Mel depuratum—900,0); ფიქვის შემდეგი პრეპარატი: Spiritus adhäsivus resinosus (Terebinthina 7,5, Colophonium 18,5, Spiritus. 90% (74,0%), Unguentum „Terebinthinae 335 ნაწ., Terpentiu 335 ნაწ., ყვითელი ვაზელინი 330 ნაწ., Terpentinöl), Unguentum Terebinthinae resinosum (Terebinthina 10,0, Cera flava 15,0, Colophonium 15,0, Sebum 15,0, Oleum Olivae 45,0), Unguentum Terebinthinae simplex, შეიცავს: (Oleum Olivarum 3,0, Terebinthina 2,0, Cera flava 2,0), Linimentum acético—terebinthinatum (Oleum camphoratum 10,0, Acidum Aceticum 98%—15,0, Vitel Ovi 20,0, Oleum Terebinthinae crudum 75,0, Aqua destillata 80,0), Linimentum terebinthinatum. Linimentum Olei Terebinthinae (Oleum Terebinthinae 300,0, Acidum aceticum 50,0, Tragacantha pulv. 5,0, Ova Nr 4, Aqua communis ad 1000,0).

გარდა ამისა, აღსანიშნავია ორი ახალი პრეპარატი ამჟღელეში: Febridesin-ი, რომლებსაც ხმარობენ თერაპიაში, როგორც არასპეციფიკურ გამაღიზიანებელ საშუალებას ანგინისა და ციების დროს და Olobintin-ი. გარდა ამისა, Oleum Pini pumilionis, რომელიც შეიცავს ესტერბორნილაცეტატს, შედის შემდეგი პრეპარატების შემადგენლობაში: Inhalatio composita (Oleum Menthae piperitae 1,0, Oleum Pini Pumilionis, Eucalyptolum  $\frac{1}{2}$  ad 10,0), Inhalatio rhodanta (Oleum Pini Pumilionis 2,0, Spiritus Menthae piperitae 10,0, Formaldehyd solutus, Kalium rhodantum  $\frac{1}{2}$  1,5), და Oleum nasale (Aether Iodatus gutt. II, Menthol.

synth. 0,05, Oleum Pini Pumilionis 0,5, Paraffinum liquidum ad 20,0). აღსანიშნავია აგრეთვე Oleum Pini silvestris, Oleum Pini sibiricum, როჲელიც შეიცავს ესთერ ბორნილაცეტატს, Resina Pini burgundica, Colophonium და სხვ. ჩვენში ფიჭვის ამ სახეობის ყლორტების, კვირტების, მტვერისა და ფისის შეგროვების დიდი შესაძლებლობაა, განსაკუთრებით ჩვენი შუა სარტყლის ტყეებში.

### რეცეპტები

Rp.: Gemmarum Pini 200,0—250,0  
DS. აბაზანებისათვის.

RP.: D-ti gemmarum Pini 10<sup>0</sup>/<sub>0</sub>—200,0  
Succ. Liquiritiae 5,0  
MDS. სუფრის კოვზით ყოველ 2 საათში.

Rp.: Fol. Salviae  
Sem. Anisi  
Gemmarum Pini  $\overline{aa}$  10,0  
Rad. Althaeae  
Rad. Liquiritiae  $\overline{aa}$  20,0  
M. f. Species

DS. ერთი სუფრის კოვზი ნაკრები უმოიხარშოს 1 ჭიქა წყალში და მიღებულ იქნეს ერთ ღლეში.

Rp.: Flor. Verbasci 10,0  
Fol. Salviae 15,0  
Fr. Anisi vulg. conc. 20,0  
Gemmarum Pini conc. 20,0  
Rad. Althaeae conc. 20,0  
Rad. Liquiritiae conc. 15,0  
M. f. species


DS. 2 ჩაის კოვზი ამ ნაზავისა მოიხარშოს 1 ჭიქა წყალში, გაცივდეს და მიღებულ იქნეს ნახევარი ჩაის ჭიქის რაოდენობით ღლეში 3-ჯერ ჭამის შემდეგ.

## დვალურა—*Polygonum carneum* C. Koch.

ეს მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე მუქი-წაბლისფერი, ორად მოხრილი ფესვურათი და სწორმდგომი, დაუტოტავი, შეფოთილი ღეროთი ეკუთვნის (*Polygonaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. შეუბუსავი ფესვთან მოგრძო წვრილფრთიანია, ქვემოდან ნაცრისფერი ფოთლები უფრო დიდები და ყუნწიანი, ხოლო ღეროს ფოთლები კი მჯდომარეა, კენწრისაკენ თანდათან ვიწროვდებიან და ლანცეტა ხაზური ფორმის ხდებიან. კენწვრზე დვალურა ივითარებს თავთავ ყვავილედში შეკრებილ ჰატარა ვარდისფერ ყვავილებს. ნაყოფი სამწახნაგოვანი თესლურაა. ყვავილობს ის ივნისში და ივლისში, ხოლო ნაყოფს ისხამს დაწყებული აგვისტოდან სექტემბრის ბოლომდე. დვალურა გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მთის მაღალ სუბალპურ და ალპურ სარტყლის მდელოებზე, გვხვდება დეკიანებშიც.

ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ მის ფესვურათა ნახარშებს და ფხენილებს, ძირითადად ფალარათობის, დიზენტერიის და გადაქარბებული მენსტრუაციის დროს. ხმარობენ მას აგრეთვე სიმსიენეთა წინააღმდეგაც. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ მის სახეობას (*Polygonum Bistorta* L.), რომელიც ჩვენში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ ჩვენს მიერ აღწერილი სახეობა ეხლა უკვე მის სინონიმად ითვლება და მას თავისუფლად შეუძლია შესცვალოს ჩვენს ფარმაკოპეაში შეტანილი სახეობა. დვალურას ხმარობენ როგორც ძლიერ შემკვრელ საშუალებას, აგრეთვე ღრძილებისა და პირის ღრუს დაავადებების დროს. ეს მცენარე მოხსენებულია როგორც ჩვენი სახელმწიფო ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში, ასევე საზღვარგარეთაც; გამოყენებულია მისი ფესვურები (*Rhizoma Bistortae*). მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: მთრიმლავი ნივთიერება 15—25%, სახამებელი 30%, გალუს მჟავები, გლუკოზი, ნალღის მჟავა, ტანინი, 20% ნაცარი და საღებავი ნივთიერება. ძველ მეცნიერულ მედიცინაში დვალურას ფესვურებს იყენებდნენ როგორც სისხლის დენის საუკეთესო შემაჩერებელ საშუალებას, სისხლიანი ხველებისა და სისხლიანი ფალარათობის შემთხვევებში, აგრეთვე როგორც მატონიზირებელს. იყენებდნენ მას გარედან სახმარადაც წყლულების და ჩირქოვანი კრილობების შესახორცებლად, ქავანასა და ქეცის წინააღმდეგ, აგრეთვე ცოფიანი ცხოველის ნაკბენის სამკურნალოდაც. საბჭოთა კავშირის ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში მოცემულია დვალურას

შემდეგი ფარმაცევტული პრეპარატები: Decoctum radix Bistortae, Extractum Bistortae fluidum, Tinctura Bistortae. საზღვარგარეთ; Extractum Bistortae, Sirupus Bistortae, Rhizoma Bistortae.



სურ. 33. დ. ხეხილი, ხეხილი (Polygonum carneum C. Koch).

და Extractum Bistortae fluidum. ვარაუდით, ჩვენს სუბალპურ და ალპურ მდელოებზე დვალურა შეიძლება შეგროვდეს სულ ცოტა 16 ტონის რაოდენობით, აქედან აუბაზეთში 1,0 ტ., სვანეთში 2,5 ტონა, რაჭა-ლეჩხუმში 2 ტ., საქართველოსეთში 2,5 ტ., ხევში 1,5 ტ., ფშავ-ხევსურეთში 2 ტ., მთათუშეთში 1,5 ტ., ხოლო ნებსხეთჯავახეთში 3 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: Decocti rad. Bistortae 10%—200,0  
DS. პირში გამოსავლებად.

Rp.: Tincturae Bistortae 30,0  
DS. 15—20 წვეთი ერთ კიჭა წყალზე პირში გამოსავლებად.

Rp.: Extr. Bistortae fl. 30,0  
DS. ღრძილებზე წასასმელად.

Rp.: Tincturae Bistortae  
Tincturae Iodi 5%  $\frac{1}{2}$  10,0  
MDS. 15—20 წვეთი ერთ კიჭა წყალზე პირში გამოსავლებად

Rp.: Tincturae Bistortae  
Tincturae Tormentillae  $\frac{1}{2}$  10,0  
MDS. ღრძილებში ჩასახელად.

### წყლის მატიტელა—Polygonum Hydropiper L.

წყლას მატიტელა ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც (Polygonaceae-ეს) ბოტანიკურ იჯახს ეკუთვნის. მის სწორმდგომ ღეროს გამოხედილ მუხლებზე მიღისებურად შემოვლებული აქვს ფოთლის ყუნწთა ნარჩენი მოწითალო ფერის ზოლები; მოგრძო ან ვიწრო, ლანცეტა, ყუნწიანი ფოთლები წამახვილებული წვერით მორიგეობით სხედან ღეროზე. მეტად ძატარა მწვანე ფერის ყვავილები კენწერში მტევან ყვავილედშია შეკრებილი. ძატარა, სამწახნაგოვან შავ ნაყოფს ირგვლივ შემოვლებული აქვს ყვავილის მწვანე საფარველი. წყლის მატიტელა ყვავილობს ივნისიდან დაწყებული სექტემბრამდე. ეს მცენარე თანახმად მასი სახელწოდებისა, იზრდება წყლიან და ნესტიან ადგილებში. ადგილად გაიჩნევა შავი ლაქებითა და მწველი გემოთი მატიტელას სხვა სახეობებისაგან. მუქი წერტილოვანა ლაქები ემჩნევა 12. საქართველოს სამკურნალო მცენარეები.

მის ყვავილებსაც, ხოლო ჯირკვლების დანახვა მხოლოდ ლუპის  
 საშუალებით შეიძლება. ის გვხვდება საქართველოს ვაკე ადგი-  
 ლებში, განსაკუთრებით კაობებში, მდინარეებისა და დამღვარი  
 კუბების სანაპიროებზე.



სურ. 34. წალიკა, წყლის მათიტელა (*Polygonum hydropiper* L.).

ქართულ ხალხურ მედიცინაში წყლის მათიტელას ფოთლებს იყენებენ გაუვალობის, სიყვითლის, წითელასა და კანის დაავადებათა წინააღმდეგ, აგრეთვე წყალმანკისა და გაძნელებული შარდვის შემთხვევებშიც, ხოლო მეცნიერულ მედიცინაში მას იყენებენ ააშილოსნოდან სისხლის ღენის შემთხვევებში; ამ მიზნისათვის აგროვებენ ყვავილობის პერიოდში მყოფი მცენარის მთლიან ბალახს (*Herba Polygoni Hydropiper*), რომელიც შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, ერთ გლუკოზიდს, რომელიც უფრო ასკორბინის მჟავას ეთანაბრება. მისი რაოდენობა ამ მცენარეში 0,2% შეადგენს. ფოთლებში შედის 0,2% C ვიტამინი, მწარეები, პოლიფონუმები, რომელიც შედგება მცირეოდენი ნალღის მჟავა და თრიმლმჟავასაგან, მცირეოდენი ეთერზეთები, ლორწო, ქიანჭველას, ძმრისა და ვალერიანის მჟავა, მცირეოდენი ნალღისა და ეაშლის მჟავა, გლუკოზი, ფრუქტოზი. წყლის მათიტელას ფესვებში ოქსიმეთილანთრახინონია. ამ სახეობის შემცველად იყენებენ სხვა სახეობებსაც, როგორცაა: *Polygonum maritimum* L., *Polygonum glandulosum* Poir. და სხვ. წყლის მათიტელა მოხსენებულია როგორც ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში, ისე საზღვარგარეთაც. ჩვენს ფარმაკოპეაში შეტანილია წყლის მათიტელას შემდეგი ფარმაკევტული პრეპარატები: *Infusum herbae Polygoni hydropiperis*, *Extractum Polygoni hydropiperis fluidum*. წყლის მათიტელა წარმოადგენს ყვითელძირას (*Hydrastis canadensis* L.) საუკეთესო შემცველს. შვეიცარიის ფარმაკოპეათი იყენებენ *Polygonum aviculare* L., რომელიც შედის ნაკრების (*Species saliciferae*) შემადგენლობაში, შემდეგი პროპორციით: *Herba Polygoni avicularis* 55 ნაწ., *Herba Equiseti* 25 ნაწ., *Herba Galeopsidis* 20 ნაწ. საქართველოში ამ მცენარის შეგროვება შეიძლება დაახლოებით 12 ტონის რაოდენობით ყოველწლიურად, აქედან იმერეთში 2 ტ., გურიაში 1,5 ტ., აქარაში 1,5 ტ., სამეგრელოში 2 ტ., აფხაზეთში 2 ტ., ქართლში 1 ტ., კახეთში 1 ტ., ხოლო მარნეულში 1 ტონა.

#### რეცეპტები:

Rp.: Inf. herbae Polygoni hydropiperis 20,0 : 200,0  
 Sir. Simpl. (s. Liquiritiae) 20,0  
 M.D.S. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ.



Rp.: Extr. Polygoni hydropiperis fl. 30,0  
D.S. 30—40 წვეთი დღეში 3—4-ჯერ.

Rp.: Extr. Polygoni hydropiperis fl.  
Extr. Viburni opuli fl.  $\frac{aa}{15}$  15,0  
MDS. 30 წვეთი დღეში 3-ჯერ.

### ღვედეცი—*Periploca graeca* L.

ღვედეცი წარმოადგენს ლიანა მცენარეს და (Asclepiadaceae-ეს) ზოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. მისი მოკლე ყუნწიანი, შიშველი, ვიწრო და მოგრძო ფოთლები ერთიმეორას პირდაპირ სხედან. ქვედა ტოტებზე ისინი ბლაგვებია, ზედაზე კი წაწვეტებული. მღვრიე მწვანე ფერის მეტად პატარა ყვავილი, ხუთწვერიანი ჯამით, გვირგვინით და მტვრიანათი შეკრებილია ქოლგის მსგავს ყვავილედში. გრძელი, წვერისაყენ წამახვილებული, 10—13 სმ სიგრძის ნაყოფი წყვილ-წყვილად ასხია ყლორტებზე, იხსნება ნაკერით სიგრძეზე და ივითარებს უამრავ თესლებს, თეთრი ფერის საფრენით თავზე. ღვედეცი ყვავილობს მაისსა და ივნისში, ხოლო ნაყოფს ივლისიდან ოქტომბრამდე ისხამს. ღვედეცი გვხვდება განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში კოლხური ტიპის ტყეებში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ის ყველაზე მეტად ალაზნის სანაპირო ტყეებში იზრდება.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ღვედეცი გამოყენებულია როგორც გულის გასამაგრებელი საშუალება. საქართველოს ფარმაცოქიმიური ინსტიტუტის დირექტორმა, პროფ. ი. ქუთათელაძემ. მიიღო ამ მცენარიდან პრეპარატი პერიპლოცინი (*Periplocinum*), რომელიც თავისი დინამიკით დიგიტალისს მოგვაგონებს. წინათ მას უნიშნავდნენ ფუტკარას პრეპარატების შემცველად და უშხაპუნებდნენ *Solutum Periplocini*-ის სახით. ის ითვლება სტროფანტის შემცველადაც. ღვედეცის ქერქის ბიოლოგიური აქტივობა 3.5—4,0-ჯერ ნაკლებია, ვიდრე სტროფანტის თესლებისა. მოქმედი საწყისები ღვედეცის ფოთლებში 30—35-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ქერქში. პერიპლოცინის აგლუკონი პერიპლოცინინი საინტერესოა სტროფანტინის სინთეზისათვის. ღვედეცის ქერქის შეგროვება ხდება ზაფხულში და გამშრალი ქერქი (*Cortex Periplocae*) ინახება მშრალ ადგილას დახურულ ყუთებში. მთავარი მოქმედი გლუკოზიდი არის პერიპლოცინი, რომელიც დიგიტოქსინის მსგავსად ანელებს გულის რიტმს, აღიდებს იუდ-

რებს, ახშირებს სისხლის მიმოქცევას, ამცირებს ვენოზურ შეგუბებას; მას უნიშნავენ იმავე შემთხვევებში, როგორც ფუტკარას. ღვედ-  
 კეცის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: Tinctura  
 Periplocae (ერთ მიღებაზე 10—15 წვეთი), Periplocinum (0,001)  
 per os და კანქვეშ 0,25—0,3 სმ<sup>3</sup>., ხსნარი 1:1000 (გლუკოზის ან  
 ნატრიუმ ქლორის იზოტონურ ხსნართან ერთად). საქართველოში  
 ღვედკეცის ქერქის შეგროვება შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი  
 რაოდენობით: იმერეთში 0,3 ტ., გურიაში 0,3 ტ., აქარაში  
 0,2 ტ., სამეგრელოში 0,5 ტ., აფხაზეთში 0,5 ტ., სვანეთში  
 0,2 ტ., რაჭა ლეჩხუმში 0,3 ტ., სამხრეთ ოსეთში და ქართლში  
 0,1 ტ., კახეთში კი 0,2 ტონა., სულ 2,6 ტონა.

### ფურისულა (დიდჯამა)—*Primula macrocalyx* Bge.

ფურისულა, ანუ ვაშლისულა, ეკუთვნის ფურისულასებრთა  
 (Primulaceae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. მრავალწლოვანი ბალახოვანი  
 მცენარეა კვერცხისებური მოყვანილობის ფესვთანი ფოთლებით.  
 ღერო სიმაღლით 10—25 სმ აღწევს. ფოთლები ქვედა მხარეზე  
 დაფარულია ხშირი ნაზი ბუსუსით. განიერი, გაბერილი ჯამი არ  
 ეხება გვირგვინის სამკუთხა მახვილკბილებიან მილს. გვირგვინი  
 კვითელი ფერისაა და შედარებით მილთან საკმაოდ მოკლეა. სა-  
 ქართველოში ფურისულას ეს სახეობა იზრდება თითქმის ყველგან,  
 განსაკუთრებით მდელოზე და ტყის პირას ვიდრე სუბალპურ ზო-  
 ნამდე. მკურნალობის საქმეში იყენებენ სახეობას *Primula officina-*  
*lis*, მაგრამ ჩვენს მიერ აღწერილი ციმბირული ფურისულას ძი-  
 რები მიღებულია საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის სამინისტროს  
 ფარმაცოლოგიური კომიტეტის მიერ, როგორც საუკეთესო ამოსა-  
 ნელებელი საშუალება. საქართველოში ეს მცენარე იზრდება საკ-  
 მაოდ დიდი რაოდენობით.

ჩვენში აგროვებენ მხოლოდ ფურისულას ფესვებს (*Radix Primulae*),  
 საზღვარგარეთ კი ყვავილებსაც (*Flores Primulae sine Calycibus*).  
 რომელშიაც ნაცრის შემცველობა 6—8% უარის. ფესვებში  
 (*Radix Primulae*) 8—10% საპონინია, კრისტალური საპონინი—  
 პრიმულამჟავა, მცირეოდენი ეთერზეთი 0,08% და ამორფული  
 საპონინი. მკვლევარმა ბ რ ი დ ე ლ მ ა აღმოაჩინა ფურისულას ეთერ-  
 ზეთში ერთი კრისტალი. რომელშიც შედის აგრეთვე გლუკოზიდი  
 პრიმეერინი (პრიმფეროზიდი), პრიმულავერინი (პრიმულავეროზი-  
 დი) და ენზიმი პრიმფეროზიდაზი; მკვლევარი კოფლერის მიხედვით  
 ფურისულას ფესვი და მთლიანი მცენარე შეიცავს ელასტიორ-

მევაეს (საპონინი), ელაციოგენინს (საპოგენინი) და 10% ნაცარს. ფურისულას ფოთლები შეიცავს 2% საპონინს, გლუკოზიდებს და მსგავსად ფესვებისა ენზიმებს, ხოლო ყვავილი—საპონინების კვალს. გლუკოზიდ პრიმვერინს და პრიმულავერინს (ყვითელი საღებავი ნივთიერება). იყენებენ ამ მცენარის სხვა სახეობის—*Primula veris* როგორც ძირებს. ისე მთლიან ბალანს, რომლის შემცველობა ათიქმის იგივეა. საბჭოთა ფარმაცოლოგიური კომიტეტის მიერ პილგებულია ფურისულას ორი პრეპარატი: *Extractum Primulae fluidum* და *Decoctum rad. Primulae*, ხოლო საზღვარგარეთ კი: *Decoctum Primulae*, შეიცავს: (*Decoctum radiceis Primulae* 4 ან 5:175,0, *Elixir e Succo liquiritiae ad* 200,0, *Mixtura Primulae fortis Codeinum phosphoricum* 0,2, *Extractum Primulae fluidum* 5,0, *Elixir e Succo Liquiritiae* 20,0, *Aqua destillata ad* 200,0), *Guttae contra Tussim II* (*Tinctura Aconiti* 4,0, *Sirotol* 2,0, *Stafatrat Primulae ad* 20,0), *Mixtura primulae* (*Extractum Primulae fluidum* 6,0, *Liquor Ammonii anisatis* 5,0, *Sirupus simplex* 20,0, *Aqua destillata* 200,0), *Species broncho astmaticae* (*Fructus Anisi contus*, *Cortex Quebracho aa* 10,0, *Folia Farfarae*, *Radix Primulae*, *Folia Salviae*, *Herba Plantaginis aa* 20,0). ვენაში ფურისულასაგან დაამზადეს პრეპარატი პრიმულსტაბილი, რომელსაც იყენებენ ხველების წინააღმდეგ, სეროფების, წვეთების და ტაბლეტების სახით. მეორე პრეპარატი ტუსსი-პექტი (*Tussipect*), მიიღეს ჰამბურგში; ის წარმოადგენს ფურისულას *Expectorans*, რომელიც მოქმედებს ისევე, როგორც პრიმულასპონინის ამონიუმის მარილი: მას იყენებენ სეროფების ან წვეთების სახით ეფენდრინთან ან ანესთეზინთან ერთად ტაბლეტების სახით. საქართველოში ფურისულას ფესვები ვარაუდით შეიძლება დამზადდეს ყოველწლიურად 5 ტონის რაოდენობით, აქედან იმერეთში 2 ტ., გურიასა და აჭარაში 1 ტ., სამეგრელოში 0,5 ტ., აფხაზეთში 0,8 ტ., სვანეთში 0,7 ტ., ხოლო რაჭა-ლეჩხუმში 1 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: D-ti rad. Primulae 8,0—10,0:200,0  
 Sir. Liquiritiae 20,0  
 MDS. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ.

Rp.: Decocti rad. Primulae 8,0:100,0  
 Decocti herbae Violae tricoloris 6,0:100,0  
 Sir. Liquiritiae 20,0  
 MDS. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ.

## წითელი გვირილა—*Pyrethrum roseum* M. B.

წითელ გვირილას უწოდებენ რწყილიკალიას, სარწყილე გვირილას ან სარწყილე ბალახს, მყრალას და სხვ.

წითელი გვირილა ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (*Compositae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება მთავარღერძიანი, დატოტიანებული ფესვით ან მხოხავი ფესურებით. სიმალით ეს მცენარე 30—50 სმ აღწევს. მისი ფოთლები ორმაგ ფრთადგანკვეთილია, 2—3-ჯერ ბასრად დანაკეთული ნაპირებით; კენწეროს ფოთლების სეგმენტები ვიწრო სწორხაზოვანია. წითელი ფერის ყვავილი შეკრებილია კალათა ყვავილედში. კალათა განიერი პრილა საბურველით სიგანით 15 მმ-ს აღწევს და ირგვლივ შემოვლებული აქვს შავი არშია. წითელი გვირილა მრავალწლოვანი ბალახია, იზრდება ზღვის დონიდან 800 მ სიმაღლის ზევით 3.000 მ სიმაღლემდე, განსაკუთრებით მთის სამხრეთ კალთებზე და თიხაკირიან ნიადაგებზე (სურ. 35). ქართულ ხალხურ მედიცინაში წითელი, ხორცისფერი გვირილას (*Pyrethrum carneum* M. B.) და ჩვეულებრივ გვირილას (*Tanacetum vulgare* L.) გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენი ხალხი იყენებს მათ ყელის დაავადების პრაქტიკაში, გაძნელებული მენსტრუაციის დროს, ქიის დამდენად და სხვ. იადიგარ-დაუდის ავტორი დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს: „გვირილები, აწე ყუითელისა გვირილასა ხავარნი ჰქუიან, საქწყილესა გვირილასა ბაბუნაჯრ ჰქუიან და თეთრსა გვირილასა ბაბათია ჰქუიან. და ესე სამი გუარი გვირილები სამნივ მხურვალი და ხმელია, და ყოელს გრილის სენისა და ქირისათვის სამნივ წამალი არის, რომე ან მისი შარბათი ასეას, ან დანაყონ, ტლედ ქნან და სადაც სტკიოდეს და ან უსივდეს იქ შემოსდვან, ყოელსა ქარსა დაღეწს და გააყენებს და ყოელისა გრილსა სენსა არგებს და წამალი არის: ცივებისა, სისხისა, გრილის ხაფაყანისა, ასოსა ძულის და სახსრების ტკივილებისათვის, თავისა და წელის ტკივილებისათვის და ყოელისა ბალდამის წამალია“ (სურ. 35). გვირილას ხმარობენ აგრეთვე საყოფაცხოვრებო პარაზიტების წინააღმდეგ და აგრეთვე ცხოველთა გარეგანი პარაზიტების მოსასპობად. მეცნიერულ მედიცინაში წითელი და ხორცისფერი გვირილას კალათებისაგან დამზადებულ პრეპარატებს იყენებენ როგორც ინსექტოციდურ საშუალებას სხვადასხვა მწერების (ბუზების, ბაღლინჯოების, ტილების, კოლოების და სხვ.) წინააღმდეგ. მათ მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება რთული ეთერი: პირეთრინ I და პირეთრინ II; აქედან უფრო


ქლიერი პირეთრინია, რომელიც მოქმედებს მომაკვდინებლად ცივ-  
 აისხლიანებზე, ხოლო თბილისხლიანებისათვის კი ის უვნებელია.



სურ. 35. წითელი გვირილა (*Pyrethrum roseum* M. B.).

გვირილას ფარმაკოლოგიური პრეპარატებია: პირეთრინი, ფლიციდი  
 და Extr. *Pyrethri rosei florum*. საქართველოში ორივე ამ სახეო-  
 ლის შეგროვება ვარაუდით შესაძლებელია 12 ტონის რაოდენო-  
 ვით. აქედან ბაკურიანში, ახალციხეში, ახალქალაქში 2 ტ.

აკარა-იმერეთის ქედზე 0,5 ტ., სამეგრელოში 0.5 ტ., აფხაზეთში 1,5 ტ., სვანეთში 1,5 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 1 ტ., სამხრეთ ოსეთში 1,5 ტ., ხევში 1 ტ., ფშავ-ხევსურეთში 0,5 ტ., მთათუშეთში 0.5 ტ., თიანეთის, წალკის და თეთრი წყაროს რაიონებში 2 ტონა.



სურ. 36. გვირილა (*Tanacetum vulgare* L.).

## ბროწეული — *Punica granatum L.*

ბროწეული დატოვიანებული ბუჩქოვანი მცენარეა, ეკუთვნის *Punicaceae*-ეს ბოტანიკურ ოჯახს, მისი მოკლევუნწიანი, მოგრძო ან ლანცეტა, კიდეშლიანი, ტყავისებური ფოთლები ერთიმეორეს პირდაპირ ჯგუფ-ჯგუფად ასხია ტოტებს. მოზრდილი ღია წითელი ფერის ყვავილები თითო-თითოდ ან სამსამად სხედან კენწერზე ყვავილსაჯდომთან ერთად; მუქი წითელი ფიალასმაგვარი ჯამი 5—7 სამკუთხოვანი ნაკვითით და მრავალი მტკრიანათი მსხვილია; ტყავისებური ვირგვინი შედგება 5—7 განიერი ფოთოლაკისაგან. მრგვალ ნაყოფზე ჯამის ნაწილებია შემორჩენილი; ნაყოფის შიგნით სატხრებია და მრავალრიცხოვანი წითელი, წვნიანი, წახნაგოვანი თესლი. საქართველოში ბროწეული იზრდება როგორც ვეუზად, ისე კულტურული მცენარის სახით. ბროწეულის ველური მასივები ნახულია ჩვენს მიერ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, სადაც მისი სუფთა მასივებიც ვხვდებოდა. ქართულ ხალხურ მედიცინაში დიდი ხანია იყენებენ ბროწეულის ყვავილს (*Flores Granati*). ბროწეულის მარცვალს ან გულს, ბროწეულის ქერქს (*Cortex Granati*). ბროწეულის ფესვს (*Radix Granati*), ბროწეულის წვენს (*Sucus Granati*), ბროწეულის ძირის ერობს, ანუ ზეთს, ბროწეულის რუბს (*Extractum aquosum cort. rad. Granati*), ბროწეულის შარბათს და სხვ. ყელის ტკივილის წინააღმდეგ, სისხლის დენის შესაჩერებლად. მადის მომგვრელად, შემკვრელად, გაძნელებული მენსტრუაციის ღროს და სხვა დაავადებითა წინააღმდეგ. მეცნიერულ მედიცინაში დღეს ბროწეულის ქერქს აყენებენ როგორც ქიის დამდენ საშუალებას. განსაკუთრებით ლენტისებური ქიის *Taenia soleum*-ის წინააღმდეგ; მაგრამ მას აქვს საწინააღმდეგო ჩვენებაც: მაღალი არტერიული წნევის შემთავებაში მან შეიძლება მიღების ათერომატოზი ან ანევრიზმა გამოიწვიოს. სამკურნალო მიზნით აგროვებენ ბროწეულის ფესვებს, ღეროსა და ტოტების ქერქს (*Cortex Granati*). ბროწეულის ქერქის ქიმიური შემადგენლობა ასეთია: 10—28% ბროწეულ მარიმლავი ნივთიერება გალის მჟავა, სახამებელი, ფისი, ცვილი. შაქარი, გუმფისი, მანიტი, მინერალური მარილები და ალკალოიდები, რომელთა პროცენტული შემცველობა 0,4—1,1% აღწევს; მათ შორის აღსანიშნავია პელეტეირინი ანუ პუნიცინი (*Pelletierium seu Punicinum*), იზოპელეტეირინი (*Isopelletierinum*), მეთილპელეტეირინი (*Methylpelletierinum*), იზომეთილპელეტეირინი (*Isomethylpelletierinum*), ფსევდოპელეტეირინი

(*Pseudopelletierinum*) და სხვ. ჩამოთვლილი ალკალოიდები შხამიანებია და მათ ვერატრინის მსგავსი მოქმედების უნარი აქვთ. პელეტეირინის 0,01% ხსნარი ათი წუთის შემდეგ მოქმედებს ლენტისებურ ქიბზე. აღსანიშნავია, რომ პელეტეირინი მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზეც და საკმაოდ ადიდებს არტერიულ წნევას; მას შეუძლია გამოიწვიოს პირღებინება, ფლარათობა, კვლები, პულსის დაქვეითება, გულის წასვლა, ძლიერი ოფლის დენა, კრუნჩხვები და ზოგჯერ სიბრმავეც. ყველაზე მეტ ალკალოიდებს შეიცავს ბროწეულის სახეობა *Punica Granatum* fl. ანხი, სადაც ალკალოიდთა რაოდენობა 2% აღწევს. ხოლო ჩვენს მიერ აღწერილ სახეობაში ალკალოიდთა რაოდენობა სხვადასხვა ფარმაცოპეის მონაცემებით მერყეობს 0,25%, 0.5%-მდე. გარდა ალკალოიდებისა, ბროწეული შეიცავს ფსეუდოპელეტეირინს — მეთილ გრანატონინს, ბროწეულ თოიმლმეავას, ნაღვლის მეავას, რომლებიც წარმოადგენენ ხებულის მეავას პროდუქტებს, ოქსალატს, მალატს, ყვითელ საღებავ ნივთიერებას, 14,4—16,7% ნაცარს. ბროწეულის ნაყოფი (*Cortex granati fructum*) შეიცავს: 28%-დე მთრიმლავ ნივთიერებას გლუკოზიდური თრიმლმეავათი, 34% ლორწოს და მცირეოდენ ფისს. მოუმწიფებელ ნაყოფში მოიპოვება გრანატინი (გრანატინი მანიტთან ერთად ქერქშიც მოიპოვება). 21,8% ექსტრაქტულ ნივთიერებას, 34,2% გუმუისს და გალისმეავას კვალს, საღებავ ნივთიერებას, მთრიმლავ ნივთიერებას. ბროწეულის ყვავილები შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებას. ბროწეულის ქიმიური და სამედიცინო თვისებების შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ფარმაცევტულ ინსტიტუტს. ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემის მიხედვით ბროწეულის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Decoctum cort. Granati* და *Extr. Granat. fluidum*. საზღვარგარეთ: *Cortex Granati seu Cortex radices Granati*. *Extractum Granati corticis*, *Extractum fluidum Granati corticis*. *Cortex Fructus Granati*, *Flores Granati*, *Pelletierinum*, *Pell. sulfuricum*, *Pell. tannicum*, *Pell. hydrochloricum*, *Pell. nitricum*. *Decoctum Corticis Punicae*, *Extractum Granati*, *Extractum Granati fluidum* და სხვა. ჩვენში ბროწეულის როგორც ფესვის, ასევე ნაყოფის ქერქის შეგროვება საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიძლება; იმერეთში შეიძლება შეგროვდეს ფესვის ქერქი 1 ტ., ნაყოფის ქერქი 2 ტ., ლეჩხუმში ფესვის ქერქი 1,5 ტ., ნაყოფის ქერქი 3 ტ., სვანეთში ფესვის ქერქი 0,5 ტ., ნაყოფის ქერქი 1,5 ტ., ქართლში ფესვის ქერქი 0,5 ტ., ნაყოფის ქერქი 1,0 ტ.: გარდა ამისა, საქართველოს ბაღებში თითქმის ყველგან მოჰყავთ ბრო-



წელი, საიდანაც აგრეთვე შეიძლება დამზადდეს ნედლეული: 1,5 ტ. ფესვის ქერქი და 4 ტ. ნაყოფის ქერქი. ამგვარად, საქართველოში შეიძლება შეგროვდეს 5 ტ. ფესვის ქერქი და 11,5 ტ. ნაყოფის ქერქი.

### რეცეპტები:

Rp.: Cort. Granati 30,0

Aq. frigidae 300,0

M. Macera pes horas XII. Coque ad Colaturam 250,0

DS. მიღებულ იქნას ორჯერ ნახევარი საათის შუალედით.

Rp.: Extr. Granati fl. 50,0

DS. 30—40 წვეთი დღეში 3—4-ჯერ.

### შედგაბი—*Pulsatilla Georgica* Rupr.

ეს მრავალწლოვანი მცენარე ეკუთვნის ბაიასებრთა (*Ranunculaceae*-ის) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება მრავალი ნაყოფის ფოთლებით. მეტად ვიწრო და ბასრი ფოთლები თიანჭმის სადგისისებური ნაკვთებისაგან შედგება. ნათელი შროშანის ფერი ან ხშირად მოვარდისფრო ყვავილი მრავალი მტვრიანათი თითოთითოდ ვითარდება მცენარეზე; მისი ნაკვთები 22—28 მმ სიგრძისაა. ეს მცენარე გვხვდება საქართველოში განსაკუთრებით უხვად მთის შუა სარტყლის ზონაში, უფრო ხშირად კლდიან და ღორღიან ადგილებზე; მდელოებზე და საძოვრებზე ხშირად გვხვდება ამ მცენარის სხვა სახეობებიც, სახელდობრ: *Pulsatilla lutea* Rupr., *Pulsatilla violacea* Rupr., რომლებსაც წინათ იყენებდნენ მეცნიერულ მედიცინაში, მაგრამ დღესდღეობით აღარ ხმარობენ. ზოგი ქვეყნის მეცნიერულ მედიცინაში ხმარობენ ამ მცენარის შემდეგ სახეობებს *Pulsatilla pratensis* Mill. და *Pulsatilla vulgaris* Mill, რომლებიც ჩვენში არ გვხვდება, მაგრამ ჩვენ მიერ აღწერილი ახეობა, რომელიც პროფ. თ. მამაიაშვილმა გამოსცადა კურდღლებზე საქ. ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, თავისი მოქმედების ინტენსივობითა და ალკალოიდთა შემცველობით არ ჩამოუვარდება მათ. მეცნიერულ მედიცინაში ხმარობენ ამ მცენარის ნაყენს წყალზე და ღვინოზე, აგრეთვე აკეთებენ ფხვნილებსა და აბებს,

როგორც უებარ საშუალებას ბრონქიტის, ასტმისა და ყვიანახველის დროს. იყენებენ მას აგრეთვე როგორც საშვილოსნოს კუმშვითი უნარის გამაძლიერებელ და ნერვული სისტემის დამამშვიდებელ საშუალებას. გარედან მას ხმარობენ საფენებისათვის თვალის დაავადების პრაქტიკაში, სახსრების დაავადების დროს, რევმატიზმული ანთების წინააღმდეგ, კბილის ტკივილის შემთხვევებში და აგრეთვე კანის გამაღიზიანებლად. გარედან ის ხშირად სილამწურის მსგავსად ბუშტუკებსაც აჩენს კანზე, ამიტომ მისი ხმარების დროს სიფრთხილეა საჭირო.

მედგარი ყვავილობს მაისსა და ივლისში, და ამავე დროს ხდება მისი მიწისზედა ნაწილების, განსაკუთრებით ფოთლებისა და ყვავილების შეგროვებაც. ქიმიურად ის შეიცავს ანემონქაფურს ანუ ანემონოლს (*Anemonolum*), რომელიც წარმოადგენს ძლიერ მოქმედ ნივთიერებას და იწვევს კანის ადგილობრივი ანთებით პროცესს და ბუშტუკებს. დიდ დოზებში ის იწვევს საკმლის მომწივლებელი გზებისა და თირკმლების ანთებას, გულის მოქმედების დაქვეითებას, ხოლო შხამის შეწოვის შედეგად კრუნჩხვებსა და დამბლას; მოქმედებს ზურგის ტვინის ცენტრებზე და გულის კუნთზე. ანემონოლი იშლება უცვლელ პროდუქტებად—ანემონინად, ანემონმეჟავად, იზოანემონმეჟავად და ანემონინმეჟავად, რომლებიც არაერთაზრ ანთებით პროცესებს არ იწვევენ, მაგრამ დიდ დოზებში იწვევენ გულისა და სასუნთქი ცენტრების დამბლას. მედგარის ფესვურებში საპონინია, ხოლო გამშრალ ბალახში 2% ნაცარია. მისი ფარმაკევტული პრეპარატებია: *Herba Pulsatillae nigrae*, *Herba Pulsatillae* (ერთ მილებზე 0,1, დღელამეში 0,4), *Extractum Pulsatillae*, *Anemoninum*. *Jnfusum herbae Pulsatillae* 10% ხსნარი, *Tinctura Pulsatillae* (ერთ მილებზე 10—30 წვეთი, არა უმეტეს 3,0) და *Extractum herbae Pulsatillae* (ერთ მილებზე 0,2 გრ).

საქართველოში ეს მცენარე შეიძლება შეგროვდეს დიდი რაოდენობით: აფხაზეთში 1 ტონა, სვანეთში 1 ტონა, რაქასა და ლეჩხუმში 0,8 ტ., სამხრეთ-ოსეთში 1,0 ტ., ფშავ-ხევსურეთსა და ხევში 1,5 ტ., მთათუშეთში 0,2 ტ.; სამხრეთ საქართველოში (ჯაფახეთში) 1,0 ტონა. მთლიანად 6,5 ტ. ნედლი მასალა.

### ქართული მუხა—*Quercus iberica* Stev.

მუხა ეკუთვნის წიფლისებრთა (*Fagaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. ეს მოზრდილი ტანის ხე შემოსილია ფრთად-განკვეთილი 6—10 (12) სმ სიგრძის ფოთლებით, რომლებიც ქვემოდან ცოტად თუ ბევრად

შებუსვილია. მათი ბუსუსი ხშირად ნერვების გასწვრივ თავსდება. პამრობითი ყვავილები შეკრებილია მკადა ყვავილედში, ნაყოფი ჰჯდომარეა ან მოკლე ყუნწზე ზის. ქართული მუხა გავრცელებულია თითქმის მთელ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით მთის შუა სარტყლის ტყეებში. მუხის ეს სახეობა წიფელთან შედარებით უფრო სიმშრალის ამტანია. მაგრამ სინეს ჟესაც არ გაურბის.

მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ზაფხულის მუხისა (*Quercus robur* L.-*Q. pedunculata* Ehrh.) და ზამთრის მუხის (*Quercus sessiliflora* Salisb.) ღეროსა და ყლორტის ქერქს. აღწერილი ქართული მუხა (*Quercus iberica* Stev.) არაფრით ჩამოუვარდება სამკურნალო საქმეში გამოყენებულ მუხებს, როგორც შემცველობით, ისე მოქმედების უნარით. ქართული მუხის მსგავსად სამკურნალო მიზნებისათვის თავისუფლად შეიძლება გამოდგეს ჩვენში გავრცელებული გრძელყუნწიანი მუხა (*Quercus longipes* Stev.) და მაღალი მთის მუხაც (*Quercus macranthera* F. et M.). მუხის ქერქს (*Cortex Quercus*) აგროვებენ ჩვეულებრივ მაშინ. როდესაც მცენარეში წვენების მოძრაობა ეს ეს არის დაიწყო. მეცნიერულ მედიცინაში მუხის ქერქს იყენებენ როგორც კუჭის შემკვრელ საშუალებას, აგრეთვე ხშირად უნიშნავენ ნახარშის სახით ყელში გამოსაელებად; მისი ნაყოფიდან დამზადებულ ყავას ხმარობენ ბავშვთა პრაქტიკაში როგორც შემკვრელ საშუალებას. მუხის ქერქი ფართოდ გამოიყენება ტექნიკაშიც როგორც მთრიმლავი ნივთიერება. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში მოხსენებულია *Quercus robur* L. უცხოეთის ფარმაკოპეაში იყენებენ: *Quercus robur* L., *Quercus sessiliflora* Salisbury, *Quercus pedunculata* Ehrhart, *Quercus racemosa* Lmk. და სხვ. მუხის ქერქი ქიმიურად შეიცავს 7—20% მთრიმლავ ნივთიერებას (იგივე მუხის ქერქის თრიმლმეავე). ამავე სახეობის მუხის ქერქის თრიმლმეავე შეიცავს 74% კატეჟინ მთრიმლავ ნივთიერებას; მთრიმლავ ნივთიერებათა რაოდენობა ქერქში 5—8%-დან 10%-დე მერყეობს, ხოლო ქერქის სარკისებურ ნაწილში ხშირად 20% ადის. მუხის თრიმლმეავე გოგირდმეავეს განზავებულ ხსნართან დუღილით იშლება მუხისებურ სიწითლედ, შაქრად, აგრეთვე ვალის მეავედ, განსაკუთრებით შაქრად—ქვერციტად, ნახშირწყალ ლეველენად; შეიცავს 4—6% ნაცარს. მთლიან ქერქში 71,5% უჯრედანაა, მისში შედის 13% წყალი, 5,5% ხსნადი არამთრიმლავი ნივთიერება და 2,6% ლერწმის შაქრის შემცველი ნივთიერება; ახალ ქერქში. რომელიც ცნობილია მედიცინაში *Quercus corticaria*-ის სახელწოდებით, ახალი ტოტების ქერქში (*Quercus e*

glandibus) და თესლებში (Semen Quercus tostum) მოიპოვება აგრეთვე კოლაკატეჰინიც. მუხის რკო შეიცავს ცილოვან ნივთიერებას, ცხიმზეთებს, სახამებელს, ქვერციტს, მთრიმლავ ნივთიერებას და 3% ნაცარს. მუხის ფარმაკევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია Cortex Quercus, Decoctum Quercus Aluminatum. Semina (seu Glandes) Quercus tosta, Semina (Glandes) Quercus. საიდანაც მზადდება წყალი—Aqua Fructuum Quercus Rademacheri, Cataplasma ad decubitum (seu Plumbum tannicum pultiforme). ჩვენი ფარმაკოპეას მიხედვით ცნობილია Decoctum Quercus და Decoctum Quercus Aluminatum. ჩვენში როგორც ქართული მუხის, ისე მაღალმთისა და გრძელყლორტიანი მუხის ქერქი ვარაუდით შეიძლება შეგროვდეს შემდეგი რაოდენობათ: იმერეთში 2 ტ., გურიაში 0,5 ტ., აფხაზეთში 1,5 ტ., სვანეთში 1 ტ., რაქა-ლეჩხუმში 0,5 ტ., სამხრეთ-ოსეთში 0,5 ტ., ხევში 0,5 ტ., ფშავ-ხევსურეთში 0,3 ტ., მთათუშეთში და კახეთში 0,5 ტ., ქართლში 0,2 ტ., სამხრეთ საქართველოში კი 2 ტ., მთლიანად 9,5 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: Decocti cort. Querci 20,0 : 200,0

DS. პირში გამოსაველებად.

Rp.: Decti Querci Aluminati 200,0

DS. პირში გამოსაველებად.

Rp.: Cort. Querci 50,0

DS. მსხვილად დაფხვილ ქერქს დაასხამენ ერთ ჰიქა წყალს და აღუღებენ 10 წუთს, შემდეგ აციებენ და ხმარობენ პირში გამოსაველებად.

### ხეშავი—Rhamnus cathartica L.

ხეშავი საკმაოდ მოზრდილი, დატოტიანებული, მოკლე გახევებულეკლიანი ბუჩქია, რომელიც ეკუთვნის (Rhamnaceae) ბოტანიკურ ოჯახს. ახალგაზრდა ყლორტები სუსტად შებუსვილია. უნწიანი მომრგვალო ბლაგვი ან ოდნავ წამახვილებული, ხერხკბილა ნაპირებიანი ფოთლები ქვედა მხარეზე ხშირად შებუსვილია. პატარა მოყვითალო მწვანე ერთსქესიანი ყვავილები ჯგუფ-ჯგუფად სხედან მოკლე ყუნწებზე ან წლიურ ყლორტებზე. ყვავილის ჯამი

და გვირგვინი ოთხნაწილაკიანია. მამრობით ყვავილებში ოთხი ზტვრიანაა, მღედრობითში კი ნასკვი გაყოფილია ოთხ ნაწილად. მომრგვალო მზრწყინავი, შავი ფერის წვნიან ნაყოფში ოთხი კურკაა. ხეშ ვი ყვავილობს მაისსა და ივნისში, ნაყოფი კი აგვისტოდან სექტემბრის ბოლომდე გამოაქვს. ხეშავი გავრცელებულია ჰთავარ და მცირე კავკასიონზე. დაბლობ ადგილებიდან დაწყებული მთის შუა სარტყლამდე, როგორც ტყეში, ისე ბუჩქნარში, უითქმის ყველა ნიადაგზე. თუმცა ხშირად ის უფრო ნესტიანს ეტანება. ჩვენში ხარობს ამ მცენარის სახეობის ორი ტიპი: ა) *typica Maxim* და ბ) *caucasica Kusnez*, რომელიც ერთიჰეორეში თავისუფლად და შეუმჩნევლად გადადის.

მეცნიერულ მედიცინაში ეს მცენარე გამოყენებული იყო წინათ როგორც ნაზი საფ ღარათო გაუვალობისა და კუჭის შეკრულობის შემთხვევაში, მაგრამ ჩენი ფარმაკოპეას მე 7 გამოცემაში ის მოხსენებული არ არის. ხალხურ მედიცინაში ხეშავის ნაყოფი დღესაც დიდ გამოყენებას პოულობს როგორც ნაზი საუღარათო და საზოგადოდ კუჭის დაავადებათა საწინააღმდეგო საშუალება. ამ მიზნით მის ნაყოფს 200 გრამის რაოდენობით ხარშავენ ერთ ლიტრ წყალში, სანამ სამ ჩაის ჰიქაზე არ დადგება, შემდეგ ურევენ ნახევარ ჩაის ჰიქა არაყს, აყენებენ ერთი დღე-ღამის განმავლობაში და სვამენ თითო სირჩას ჰამის შემდეგ. მის ნაყოფს აგროვებენ შემოდგომაზე სექტემბერსა და ოქტომბერში, ახზობენ 2—3 საათის განმავლობაში ლუმელში და ინახავენ მზა მასალას დახურულ ყუთებში. მისი მზა, მშრალი ნაყოფი (*Fructus Rhamni catharticae* ან *Fructus Rhamni catharticae immaturi*), რომელიც იყიდება ჩვენს აფთიაქებში, შეიცავს გლუკოზს, გალაქტოზს, რამნოზს, ჰარვის მჟავას (ყველა მისი მჟავები თავისუფალია კალციუმის მარილებისაგან), ფისს, ცხიმზეთებს, ენზიმებს, C ვიტამინს; ის შეიცავს აგრეთვე პექტინს, პიგმენტებს, მწარე ნივთიერებას, რომელიც ეკუთვნის ოქსიმეთილანთრახინონის ჯგუფს, სახელდობრ რამნოემოდინს (*Rhamno-Emodinum*), რომელიც სუსტი საფაღარათო თვისებისაა, გლუკოზიდებს, რომლებიდანაც მოქმედი საწყისი ანტრაქინონის (ანტრაგლუკოზიდების) ნაწარმია. ნაცრის რაოდენობა მასში 3% არ აღემატება. მკვახე ნაყოფში მოიპოვება აგრეთვე საპონინებიც. საზღვარგარეთ იყენებენ როგორც აღწერილი სახეობის ნაყოფს, ისე სახეობა *Rhamnus Purshiana D. C.* ქერქსაც. ამ უკანასკნელის ქერქში შედის ემოდინი და იზომერ კრისტალთა კავშირი, აგრეთვე გლუკოზი, ცვილი, 2% ცხიმი, ალ-

კოპოლი და რამნოლი. გამშრალ ქერქში 1,4—2% ოქსიმეთილ-ანთრაქინონია; ის ერთ წელიწადს ინახება და ცნობილია Cascara sagrada-ს სახელწოდებით. მისი საექიმო ფორმებიდან აღსანიშნავია: Elixir Cascarae sagradae (Rhamni purshianae), Elixir (Rhamni purshianae) compositum, Extractum Cascarae sagradae (Rhamni purshianae) siccum, Extractum Cascarae sagradae (Rhamni purshianae) fluidum, Extractum (Rhamni purshianae) fluidum aromaticum, Extractum Cascarae sagradae examaratum fluidum, Pilulae Cascarae sagradae, Pilulae cascarae compositae, Tinctura Rhamni purshianae, Vinum Rhamni Purshianae და სხვ. რაც შეეხება Rhamnus cathartica L. ფარმაცევტულ პრეპარატებს, მათგან აღსანიშნავია: Decoctum Spinae cervinae, Extractum Spinae cervinae fluidum, Sirupus Rhamni catharticae seu Sirupus Spinae cervinae seu sirupus domesticus, Species Laxantes. საქართველოში, ძირითადად ქართლსა და კახეთში და ნაწილობრივ სამხრეთისაკენაც, ხეშავის ნაყოფის ხმელი მასალა შეიძლება შეგროვდეს ყოველწლიურად 1 ტონის რაოდენობით, მთავარ კავკასიონზე კი—0,5 ტონა.


### რეცეპტები:

- Rp.: Decocti Spinae cervinae 10<sup>0</sup>/<sub>6</sub>—200,0  
DS. ნახევარი სუფრის კოვზი დოლა-სალამოს.
- Rp.: D-ti Rhamni catharticae 30,0—200,0  
Sir. Thei (s. simpl.) 20,0  
MDS. სუფრის კოვზით დღეში 3—4-ჯერ.
- Rp.: Extr. Rhamni catharticae fl. 50,0  
DS. ნახევარი ჩაის კოვზი საღამოობით.
- Rp.: Bacc. Spinae cervinae  
Cort. Frangulae  $\frac{aa}{a1}$  20,0  
Fol. Sennae 30,0  
Sem. Anisi  
Rad. Liquiritiae conc.  $\frac{aa}{aa}$  10,0  
MDS. ერთი სუფრის კოვზი ჩაი დაესხას ჭიქა წყალს და იღულოს 10 წუთს. მიღებულ იქნეს ღამით  $\frac{1}{2}$ —1 ჭიქა (Species Laxantes ანუ საფალარათო ჩაი).

**ხეკრელი—Frangula alnus Mill., Rhamnus  
Frangula L.**

ხეკრელი ცუთენის (Rhamnaceae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. ეს საკმაოდ მაღალი ბღჩქია სადა ღეროთი და ტოტებით. წლიური ყლორტები მას მთლიანად დაფარული აქვს ფიფქისებრი ნადებით, რომელიც ზოგჯერ ფოთლების ყუნწებზეც ვრცელდება. ჯამისა და გვირგვინის ნარჩენები ყლორტებზე რჩება ფოთლის კვალთან ერთად. კვირტები ხშირი-ბუსუსიანია. კიდემთლიანი, მოგრძო, ყუნწიანი ფოთლები შიშვლებია და მბრწყინავი. პატარა, არაგამკვირვალე, ყუნწიანი ყვავილები თითო-თითოდ ან მცირე გროვებად სხედან ფოთლის ილიაში. გვირგვინი შიგნით თეთრია, ხოლო გარედან მწვანე. ნაყოფი 2—3 კურკიანი ბურთისებური კენკრაა, ჯერ მწვანე, შემდეგ წითელი, ხოლო დამწიფების შემდეგ კი იმბრწყინავი შავი ფერისა. ხეკრელი ყვავილობს ივნისსა და ივლისში, ნაყოფი კი აგვისტოდან ოქტომბრამდე გამოაქვს. გვხვდება ტყეებში, ტყის პირას, ბუჩქებ შორის, უპირატესად დაბლობ ადგილებში და იშვიათად ტყის შუა სარტყელშიც.

ხეკრელი გამოყენებულია მეცნიერულ მედიცინაში და შეტანილია ჩვენი ფარმაცოპეას მე-7 გამოცემაში როგორც საფლავითო საშუალება. ის ნაკლებად აღზიანებს ნაწლავებს და ამიტომ მას ხმარობენ ქრონიკული შეკრულობას დროს. მის ქერქს (Cortex Frangulae) აგროვებენ, ჩვეულებრივ, ადრე გაზაფხულზე, ღეროს კი წვენთა მოძრაობის დაწყებამდე. ჩრდილში გამშრალ ქერქს ინახავენ ქურქელში ისე, რომ ის არ დაობდეს და არ ღანესტიანდეს. ხეკრელის ქერქის მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება ანტირაგლუკოზიდი, რომლის რაოდენობა ქერქში 3-დან 5% შეადგენს; როგორც თავისუფალი, ისე ნაერთების სახით. მათ შორის უმთავრესი ფრანგულინია. ხეკრელის ახალ ქერქში მოიპოვება აგრეთვე მონეზამეელი ცილოვანი ნივთიერება, რომელიც ცნობილია რამნუსტოქსინის სახელწოდებით. ის იწვევს მოწამვლასა და პირღებინებას. ერთი წლის შემდეგ რამნუსტოქსინი სრულიად ქრება გამშრალ ქერქში და ამ მხრივ ის სავსებით უვნებელი ხდება. თავისი საფლავითო მოქმედებით ხეკრელის ქერქი სენეგასა და ალექსანდრიის ფოთოლს არაფრით ჩამოუვარდება. ამბოლო ხანებში მისგან დაამზადეს ახალი გალენური პრეპარატი ფრანგულინი. ხეკრელისებური მოქმედება ახასიათებს იმერულ ხეკრელსაც (Rhamnus imeretina K. Schum), რომელიც დამუშავებულია საქართველოს ფარმაცოქიმიური ინსტიტუტის მიერ.



სურ. 37. ხეჭრული—*Frangula alnus* Mill. (*Rhamnus Frangula* L.)



ბეკრელის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: Decoctum cort. Frangulae, Extractum Frangulae fl. (ფარმაკოპეა მე-7), Extractum Frangulae, Species laxantes, Frangulen და სხვ. როგორც პირველი, ისე მეორე სახეობა უხვად მოიპოვება საქართველოს ტყეებში და ორივე სახეობის ქერქი ადვილად დამზადდება ჩვენში დაახლოებით 5 ტონის რაოდენობით, აქედან იმერეთში 1,5 ტ., გურიაში 1 ტ., აქარაში და სამეგრელოში 1 ტ., აფხაზეთში 1 ტ., რაქა-ლეჩხუმში კი 0,5 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: D-ti cort. Frangulae 20,0—200,0  
 Sir. Simpl. 20,0  
 MDS.  $\frac{1}{4}$  კიქა დილით და საღამოთი.

Rp.: Extr. Frangulae fl. 50,0  
 DS. 30—40 წვეთი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Extr. Frangulae sicc. 4,0  
 Pulv. rad. Althaeae q. s.  
 Ut. f. pil. N 30  
 DS. 1—2 აბი საღამოთი.

Rp.: Extr. Frangulae fl.  
 Sir. Rhei  $\frac{1}{2}$  25,0  
 MDS.  $\frac{1}{2}$  ჩაის კოვზი ღამით.

### ასკილი—Rosa canina L.

ასკილი, რომელიც ეკუთვნის ვარდნაირთა (Rosaceae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს, წარმოადგენს სამი მეტრის სიმაღლის ეკლიან, მეტწილად ფოთოლცვენია ბუჩქს, მისი მაგარი ნამგლისებური ეკალი ეპიდერმისის სახეცვლილებათ. მისი ღერო დატოტიანებულია. პორიგეობით მჯდომარე კვირტები რამდენიმე ქერქითაა დაფარული, ხოლო ფოთლები რთულია და კენტფრთართული. მას ახასიათებს ყუნწთან შეზრდილი ვარდისფერი ორსქესიანი ყვავილები მრავალრიცხოვანი მტვრიანათი. ყვავილის ჯამი ქოთნისებურად შეზრდილია და ისევე, როგორც გვირგვინი, შედგება ხუთი ფოთლისაგან. ყვავილსაჯდომი სევეითაა წამოწეული, ისევე როგორც გვირგვინი. ნაყოფი ერთი ან მრავალი დაკიდებული თესლით შებუსხილი და ხორციანია. საქართველოში ასკილი უხვადაა როგორც მთაში, ისე ბარში და ღებულობს მონაწილეობას მრავალფეროვან დაჯგუფებაში.

ასკილის ფოთლებისა და ნაყოფის ნახარშს საქართველოში უხსოვარ დროიდან იყენებენ ხველისა და მუცლის კვლების წინააღმდეგ და საერთოდ ორგანიზმის გამასუფთაებელ საშუალებად. კულტურული ფორმების გვირგვინის ფურცლებს ხმარობენ მურაბისათვის, ხოლო ამ ფურცლებზე დაყენებული ჩაი ოფლის მომგვრელ საშუალებად ითვლება. ასკილის გვირგვინის ფურცლებიდან ამზადებენ თაფლს და ძმარს. დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ჩიქდევ ძველის ხველისათვის, ზიყ ნაფასისათვის და მუცლის ქულისათვის ესე ლუყი ასკილი მწოვედ და მწოვედისაგან უზრო კარგი და მრავალჯერ დაცილი არის და ესე ლუყი ასკილი გვამისა და სტომაქიდაღმან, ბაყლსა და ბალღამსა და ვასა ხილთსა, ყუელისა გამოიღებს, მოხეთქს და დაალურჯევენებს. და ესე ასკილი რომე შესევა და ან მოხარშო და მერმე მოიტანე ესე ასკილი სამი დირჰამი, ლურჯის, შინაურის იის ძირი ორი დირჰამი და ფალასიონი და ზუფა თვითო თვითო დირჰამი ქენ, ესე წამლები ყუელა წმინდად დანაყონ და გაცრან და ქაფმოხდილსა თაფლშიგა ამოზილონ და როდისცა კაცსა უნდოდეს და ან ეჭირებოდეს, ამა ლუყისაგან სამსა დირჰამსა სკამდენ, ზიყნაფასისა და ხუელისათვის და ბალღმის გაქარვევისათვის ამისთანა წამალი და ამა სენებისათვის ამისთანა აქივი არ იქნების და ბევრჯულ დაცილი არის“. მეცნიერულ მედიცინაში და ტექნიკაში ასკილის როგორც გარეულ, ისე კულტურულ სახეობას ამჟამად დიდი გამოყენება აქვს; კულტურული ფორმის ასკილის გვირგვინის ფურცლებიდან ხდიან ეთერზეთს, რომელიც შეიცავს გერანიოლსა და მთრიმლაგ ნივთიერებას, ხოლო მისი ნაყოფი საოკეთესო საშუალებად ითვლება ავიტამინოზურ დაავადებათა წინააღმდეგ. ასკილის გვირგვინის ფურცლებს ხმარობენ პარფიუმერიაშიც, განსაკუთრებით პომადის წარმოებაში და აგრეთვე ლიკიორების წარმოებაში; ასკილთა ღეროზე მწერების მიერ გაღიზიანებულ ადგილას ხშირად წარმოიშვება ე. წ. *Cynips rosea* ან ჩნდება წანაზარდები: *Fungus Bedeguar* და ე. წ. ვარდის ტუჩები (*Spongia rosae*), რაც სრულიადარ აზიანებს მის ნაყოფს. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ სხვადასხვა სახის ასკილის ნაყოფს, სახელდობრ: *Rosa gallica L.*, *Rosa centifolia L.*, *Rosa canina L.* და სხვ. მისი ნაყოფი ცნობილია *Cynosbata*, ანუ უფრო სწორად *Fructus Cynosbati cum semine* და *Fructus Cynosbati sine semine* სახელწოდებით; ის შეიცავს 4—5% ნაცაბს, მთრიმლაგ ნივთიერებას და C ვიტამინს. ასკილის გვირგვინის ფურცლებში შედის ეთერზეთები, ცხიმი, მთრიმლაგი ნივთიერება, გალის ნიჟია, კვრციტრინი, შაქარი, ცი-

ლოვანი ნივთიერება, უჯრედანა, საღებავი ნივთიერება და მინერალური მარილები. ნიპი ზეთი შეიცავს თხევად ელეოპტენს და პარაფინის რიგის მკერვი ნახშირწყალბადს—სტეაროპტენს. ვაზდის ზეთის სურნელოვნება განისაზღვრება ელეოპტენით და გერანიოლით (Geraniol), რომელიც მასში 70 % აღწევს. ელეოპტენი შედგება შემდეგი სპირტებისაგან: როდინოლი (Rhodinol), როზეოლი (Roseol). მარცხნივხრელი ციტრონელოლი (Limonellol). ასკილის ფარმაცეპტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: Flores seu Petala Rosae Gallicae, Mel Rosatum, Flores Rosae centifoliae, Oleum Rosae, Aqua Rosae, Unguentum Rosatum. საზღვარგარეთ მისი პრეპარატებიდან გავრცელებულია: Conserva Rosae, Extractum Rosae fluidum, Mel Rosatum cum Bezae, Sirupus Rosae, Unguentum Rosatum და სხვ. ასკილის ნაყოფი უნდა შეგროვდეს გვიან შემოდგომაზე და უეპეღად ღუმელში გაწრეს. ჩვენში გაეული ასკილის ნაყოფი დიდი რაოდენობით შეიძლება შეგროვდეს. იმერეთში დამზადდება 5 ტ., გურიაში 3 ტ., აფხაზეთში 3 ტ., სვანეთში 5 ტ., რაკა-ლეჩხუმში 5 ტ., სამხრეთ ოსეთში 5 ტ., ხეცა და ფშავ-ხეცურეთში 7 ტ., კახეთში 3 ტ., ქართლში 3 ტ., სამაზეთ საქართველოში 15 ტონა. ამრიგად, სულ საქართველოში შეიძლება 54 ტონა მასალა დამზადდეს.

### რეცეპტები:

Rp: Fr. Cynosbati 100,0

D.S. 1 ჭიქა მდულარე წყალში იხარშოს 5 წუთს; იხარება პირში გამოსავლებად.

Rp.: Extr. Cynosbati 30,0—50,0

D.S. ნახევარი ჩაის კოვზი ღლეში 2-ჯერ ან 3-ჯერ.

**ჟოლო**—*Rubus Idaeus* L.

ჟოლო, რომელიც ჩვენს სუბალპებში უხვად იზრდება, ვარდნაირთა (Rosaceae) ზოტახეცური ოჯახის წარმომადგენელია. ეს 1 მეტრის სიმაღლის ბუჩქია, რომლის ყლორტებზე მუქი ფერის ეკლებია განვითარებული. ფოთლები ძაუნაირი ფოთოლთანებით ხასიათდება; ქვედა ფოთლები შედგება 5—7. ხილო ზედა სამი ფოთოლაკისაგან, არათანაბარი ხერხებილა ნაპირებათ. ფოთოლი ზემოდან მწვანეა, ქვემოდან კი დაფარულია თეთრი ქეჩისებური

ბუსუსით. ყვავილები ან თითო-თითოდ სხედან ან შეკრებილია მტევან, ფარ ყვავილედში. ჯამი და გვირგვინი ხუთ-ხუთი ფოთოლაკისაგან შედგება. ჯამი ხშირად ნაყოფს გარედან ეხვევა. და წვეროები ქვევით აქვს დახრილი. გვირგვინის ფურცლები თეთრია. მტვრიანა და ბუტკო მრავალია. ყოლოს ნაყოფი რთულია და შედგება პატარ-პატარა ხორკიანი, წითელი ფერის წიკ-წებისაგან. ყვავის ის ივნისში, ნაყოფს კი ივლისსა და აგვისტოში იბამს. ყოლო გავრცელებულია როგორც ზედა, ისე სუბალპურ სარტყელში, იწვიათად ძთის შუა სარტყელშიც. გვხვდება, განსაკუთრებით ტყეებში, მაღალბალაოვან მდელოებზე, ხეებში, კლდოვან, ღორღიან და ტყიან ადგილებში.

ყოლოს ნაყოფიდან დაზადებულ ჩაის ჩვენში ოფლის მონგვრელად ხმარობენ; ამზადებენ აგრეთვე გამაგრილებელ სასმელებსა და მურაბას. მაღალი მთის მცხოვრებთ ყოლო ესე, როგორც მოცივი და სელშავი, საუკეთესო ხილად მიიჩნიათ. სენები ყოლოს ვენახს უწოდებენ. მეცნიერულ მედიცინაში ყოლოს ხმარობენ როგორც ოფლის მონგვრელს და აგრეთვე როგორც სიროფს, მწარე წამლეულ ნივთიერებათა დასატკობად. ყოლო მოხსენებულა ჩვენი ფარმაცოპეას მე-7 გამოცემაში. ყოლოს ნაყოფი (*Frustrus Rubi idaei seu Frustrus Rubi idaei siccati*) შეიცავს უმთავრესად ციტრონენ შუას. მცირეოდენ 1% ვაშლის მჟავას, კიანქველას მჟავას, 7% შაქარს. ლევულოზასა და დექსტროზას, საღებავ ნივთიერებას და პექტინს; მთლიანი მცენარე (*Herba Rubi idaei*) და მისი ფოთლები (*Folia Rubi idaei*) შეიცავენ Mg და Ca ლაქტატს, მცირეოდენ ქარვისმჟავას და ჯანერთო მჟავებს, 1% რძის მჟავას, ცვიტამინს; ნაცრის რაოდენობა მასში 8% არ აღემატება. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ყოლოს სხვა საეოპებთან, სახელდობრ *Rubus fruticosus* L. რომლის ნაყოფი ცნობილია (*Frustrus Rubi fruticosi*-ის, ხოლო ფოთლები *Folium Rubi fruticosi*-ის სახელწოდებით და *Rubus rosaeifolius* Smith. (*Frustrus Rubi rosaeifolii*) და *Rubus ulmitolius* L. (*Frustrus Rubi morae*), პრეელის ნაყოფი კიბურად შეიცავს 0,8—1,1% ციტრონენის მჟავას, 1% ვაშლმჟავას, ქარვისმჟავას, ოქსალმჟავას, რძისმჟავას, საღებავ ნივთიერებას, წებოს, პექტინს, მცირეოდენ ცხიმს, დექსტროზს, ლევულოზას და მცირეოდენ სახაროზს; მის თესლში 13% ცხიმია, მის ფოთლებში კი ვაშლის მჟავა, აგრეთვე ქარვის მჟავა, ოქსალმჟავა, რძემჟავამარული, მთრიმლაფი ნივთიერებანი, ინოზიტი და ვიტამინი C. ჩვენი ფარმაცოპეას მიხედვით მის პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Sirupus Rubi Idaei* და ოფლის მონგვრელი ჩაის ნაკრებები. ჩვენში

წლოს შეგროვება შეიძლება განსაკუთრებით მთავარ კავკასიონზე. აფხაზეთში შეიქლება დამზადდეს 2 ტონა, სვანეთში 3 ტ., რაქალეჩხუმში 1,5 ტ., სამხრეთ-ოსეთში 2 ტ., ხევში 1 ტ., ფშავ-ხევსურეთში 1,5 ტ., მთა-თუშეთში 0.5 ტ., სამხრეთ საქართველოს რაიონებში კი 3 ტონა. მთლიანად 14,5 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: Bacc. Rubi idaei 100,0

DS. აყენებენ ჩაის მსგავსად.

### ტირიფი—*Salix alba* L.

ტირიფი ეკუთვნის ტირიფისებრთა (*Salicaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და წარმოდგენილია ჩვენში რამდენიმე სახეობით, როგორცაა: ძეწნა, წნორი, მტირალა ტირიფი, მდგნალი და სხვ. ის წარმოდგენს ხეს ან ბუჩქს მჯდომარე კვირტებით და ქუდივით ჩამოცმული ქერცლით. მისი მარტივი კიდემთლიანი, ფრთანერვიანი ფოთლები ცვენია ფოთოლთანებით მორიგეობით სხედან ყლორტებზე. ორსქესიანი ყვავილები შეკრებილია მქადა ყვავილედში; ყვავილსაუარის მაგივრად მათ განვითარებული აქვთ მარტივი ან ორმაგი ჯირკველი. მამრობით ყვავილში მოთავსებულია ორი, იშვიათად 3—5 შტერიანა, რომელთა სამტვრე ძაფები თავისუფალია ან შეზრდილი; სამტვრეები ორბუდიანია. მდებრობითი ყვავილი ერთბუდიანი ნასკვითაა წარმოქმნილი; სვეტი გრძელია ან სრულებით არა აქვს; დინგი ორი აქვს. მთლიანი ან ორად გაყოფილი. ნაყოფი ერთბუდიანი კოლოფია მრავალი თესლებითა და ორი საგდულით. თესლები ბუსუსებიანია და ფრენია. მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებული ტირიფის სახეობებიდან აღსანიშნავია *Salix purpurea* L., *Salix caprea* L. და *Salix alba* L. სამივე სახეობა და განსაკუთრებით *Salix caprea* L. და *Salix alba* L. კარგად ხარობს ჩვენში, ხოლო უკანასკნელი უხვადაა წარმოდგენილი ქალის ტიხის ტყეებში. ქართულ ხალხურ მედიცინაში ტირიფის ქერქი იხმარება მალარიის წინააღმდეგ მსგავსად იასამნის ფოთლისა. მეცნიერულ მედიცინაში კი მას იყენებენ როგორც მალარიის წინააღმდეგ, ისე შემკვრელის სახითაც. ის შედის აგრეთვე ოფლის ნომგვრელ ჩაის ნაკრებთა შემადგენლობაშიც. ჩვენი ფარმაცოპიას მე-7 გამოცემაში ტირიფის ქერქი მოხსენებული არ არის, მაგრამ მისი ქმედითი უნარიანობა როგორც კარგი სამკურნალწამლო საშუალებისა, დადასტურებულია საბჭოთა კავშირის ჯანმრთელო-

ბის სამინისტროსთან არსებული ფარმაკოლოგთა კომიტეტისა და სამედიცინო საბჭოს მიერ. ტირიფის ქერქის შეგროვება ადრე გაზაფხულზე ხდება, იმ დროს როდესაც მკენარეში წვენი მოძრაობა იწყება. შეგროვებული მასალა ჩვეულებრივი წესით ჩრდილში უნდა გაშრეს. მისი ქერქი (*Cortex Salicis*) შეიცავს ცვილს, წებოს, ფისს, ოქსალატს, ენზიმ სალიკაზს, რომელიც იშლება სალიცინად, სალიგენინად, დექსტროზად და გლუკოზიდ სალიპუროზიდად, რომელიც იგივე სალიპუროლია და გლუკოზის ნაერთი. სახეობაში *Salix nigra* Marsch. მოიპოვება გლუკოზიდი პიტეოზიდი (პიტეინი), რომელიც იშლება ამელიაროლ-ოქსიაცეტოფენონად (1,4) და დექსტროზად; ნაცრის რაოდენობა ტირიფის ქერქში 8% არ აღემატება. ჩვენში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქალის ტიპის ტყეებში ტირიფის ქერქი შეიძლება დიდი რაოდენობით შეგროვდეს.

### რეცეპტები:

Rp.: Cort. Salici

Fol. Farfarae

Flor. Tiliae

Sem. Anisi

Bacc. Rubi idaei  $\frac{1}{2}$  15,0

MDS. 1 სუფრის კოვზი ამ ნაკრებისა მოიხარშოს 2 ჭიქა წყალში, იხარშოს 10 წუთის განმავლობაში და დაილიოს როგორც ჩაი.

Rp.: D-ti rad. Salicis 10,0—15,0:200,0

DS. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ.

Rp.: D-ti rad. Salicis 10,0:200,0

Natrii salicylicum 6,0

MDS. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ.


### დიდგულა—*Sambucus nigra* L.

დიდგულა, რომელსაც ეძახიან აგრეთვე ხე-ღრუას, ეკუთვნის (*Caprifoliaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. ეს დატოტიანებული ხეა ფრთართული, ხეჩქბილა ნაპირებიანი და ქვემოდან შებუსვილი ფოთლებით. პატარა, თეთრი, სურნელოვანი ყვავილები ხუთ-ხუთი

მტკრიანათი შეკრებილია ქოლგის მსგავს საველა ყვავილედში, რომელსაც ხოთი მთავარი ტოტი აქვს. ყვავილები მჯდომარეები და უწიწიანებია, ჯამი და გვირგვინი შედგება ხუთი ფოთლისაგან. ნაყოფი პატარაა, შავი ფერის, კენკრას მსგავსი, სამი ქურკით. დიდგულა ყვავის მაისიდან ივლისის ბოლომდე, ნაყოფს კი ივნისიდან აგვისტომდე ისხამა. საქართველოში ის გვხვდება როგორც დაბლობ, ისე მთის ზედა სარტყლის ტყეებში და ზოგჯერ ბაღებშიც.

ხალხურ მედიცინაში მის ნაყოფს შარდსადენ საშუალებად ხმარობენ, ხოლო მედიცინულ მედიცინაში კი მისი ყვავილი (*Flores Sambuci*) გამოყენებულია როგორც გარსშემომვლენი და ოფლის მომგვრელი საშუალება. ყვავილების შეგროვება იწყება მაშინ როდესაც იქონი კოკრობის პერიოდში არიან და გაშლას იწყებენ. ახლად შეგროვებულ ყვავილში 0,0037% ეთერზეთია; გამშრალში არის 0,025% ქოლინი; გარდა ამისა, ყვავილეში მოიპოვება საპონინი, ვალერიანი მჟავა, ძმარმჟავა, ფისი, შაქარი, 7-10% ნაცარი, ლორწო, მთრიმლავე ნივთიერება, ვაშლისა და სხვა მჟავათა მარილები, ცილა და სხვ. ყვავილებს ზოგჯერ ფოთლებთან ერთად ხმარობენ (*Sambucus e floribus*), ხმარობენ აგრეთვე ახალგაზრდა ულორტებსა და ქერქს, განაკურთვებთ შიგნითა ახალ ქერქს (*Sambucus e cortice*). დიდგულას ნაყოფში შედის ვაშლის, ძირის, ღვინისა და ვალერიანას მჟავა, აგრეთვე ეთერზეთი, შაქარი, ფისი, ცვილი, წითელი პიგმენტი და მთრიმლავე ნივთიერება. ქერქი შეიცავს მთრიმლავე ნივთიერებას და ვალერიანას მჟავას, აგრეთვე გაურკვეველ ალკალოიდ სამბუსინს (*Sambucinum*). ფოთლებში და მომწიკვებელ ნაყოფში, აგრეთვე ქერქშიც ნაპოვნია გლუკოზიდი სამბუნეგრინი (*Sambunigrinum*), რომელიც ამაგდალინსა და ალკალოიდ კონიინს ემსგავსება. ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია დიდგულას მცირე სახეობაც—ანწლი (*Sambucus ebulus* L.). მის ფოთლებს ხმარობენ სიცხიანი ავადმყოფის შესახვევად სიცხის დაწვერს მიზნით, აგრეთვე ოფლის მომგვრელად. მისი ნაყოფიდან სღრან არ.ყს და იყენებენ ქარებისა და რკინა უიზმული ანთების დროს აგრეთვე ციების წინააღმდეგ. მისი ფოთლები (*Folia Ebuli*) შეიცავს გმულსინს, მწარეებს, სახაროზს, ეთერზეთს და ერთ ციანოგენურ გლუკოზიდს, ფესვები (*Radix Ebuli*) შეიცავს ეთერზეთთა კვალს, მთრიმლავე ნივთიერებას, ფისს, საპონინს, მწარეს, სახაროზს, ლურჯმჟავას, რომელიც იშლება ენზიმად და სხვ. ნაცარის რაოდენობა 6% არ აღემატება. მის მწიფე ნაყოფში ვალერიანამჟავა, აგრეთვე ვაშლის მჟავა, ღვინის მჟავა, მთრიმლავე

ნივთიერება, მწარე, შაქარი და ანთოციანი, ხოლო მის თესლში ცხინზეთებია. იყენებენ აკრეუვე სახეობას *Sambucus canadensis* L. ახალ ფოთლებსა და ყვავილებსა თანაბარი რაოდენობით. დიდგუ-



სურ. 28. დიდგულა (*Sambucus nigra* L.)



ლას ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: Flores Sambuci, რომელიც შედის ყელში გამოსავლებ და სენეგემენის ნაკრებთა შემადგენლობაში Species ad Gargarisma et Species laxantes, St. Germain, Aqua Sambuci, Sirupus Sambuci, Species diaphoreticae, Fructus Sambuci seu Grana Acetas, Succus Sambuci inspissatus seu Roob Sambuci. Cortex Sambuci, Extractum fluidum Corticis Sambuci, Infusum flores Sambuci. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში დიდგულა მოხსენებულია. აგროვებენ მეტწილად მის ყვავილედს, გაშრობის შემდეგ აცლიან ყვავილედის გამხმარ ნაწილებს ანდა ატარებენ საცერში და ინახავენ მშრალ ადგილას ისე, რომ სინესტე არ მოხვდეს. საქართველოს მთა-ბარში ველური დიდგულას ყვავილი ნედლი მასალის სახით წინასწარი ვარაუდით შეიძლება 9,5 ტონა დამზადდეს, აქედან იმერეთში 1 ტ., გურიაში 0,5 ტ., აქარაში 0,5 ტ., სამეგრელოში 0,5 ტ., აფხაზეთში 1 ტ., სვანეთში 1,2 ტონა, რაქა-ლეჩხუმში 1,5 ტ., სამხრეთ-ოსეთში 0,5 ტ., ფშავ-ხევსურეთში 0,3 ტ., მთა-თუშეთში 0,3 ტ., კახეთში 0,5 ტ., ქარაღში 0,2 ტ., სამხრეთ საქართველოში კი 1,4 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: Flor. Sambuci 30,0

DS. მოიხარშოს ერთ ჭიქა წყალში და დაილიოს დღეში 5—5-ჯერ 2—2-რი სუფრის კოვზი.

Rp.: Inf. flor. Sambuci 20,0:200,0

DS. ორი სუფრის კოვზი ყოველ ორ საათში.

Rp.: Fol. Salviae

Flor. Malvae silvestris

Flor. Sambuci  $\frac{1}{2}$  25,0

M. f. species

DS. მოიხარშოს მთლიანი ნაკრები ერთ ჭიქა ადუღებულ წყალში (ყელში გამოსავლებად).

Rp.: Specierum laxantium St. Germain 200,0

DS. მიღებულ იქნეს ზემოაღნიშნული ნაკრების მსგავსად.

Rp.: Fol. Sennae 16,0  
 Flor. Sambuci 10,0  
 Flor. Foeniculi cont.  
 Fr. Anisi vulg. cont. ᶫᶫ 5,0  
 Natrio-Kalii tartarici cont. 3,0  
 M. f. Species


DS. ერთი სუფრის კოვზი ნაკრებისა მოიხარშოს 1 ჭიქა ადუღებულ წყალში, და დაილიოს დილით ან ღ.მით, განსაკუთრებით გაუვალობის შემთხვევაში.

**საგუგა—Senecio platyphyllos (M.B.) D.C.**

საგუგა ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (Compositae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და Senecioneae-ს ქვეოჯახს. ხეცსურეთის ზოგიერთ კუთხეში საგუგას უწოდებენ Rumex-ის გვარის წარმომადგენლებსაც. საგუგა წმინდა კოლხური ელემენტია, რომელიც გვხვდება საქართველოს მაღალი მთის ტყეებსა და ქვედა სუბალპურ ზონაში ის წარმოადგენს სუბალპების მაღალბალახეულობის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს. საგუგა იზრდება მერჩო მეტრნახევარი სიმაღლის მცენარედ და იშვიათად ორ მეტრსაც აღწევს. მას ახასიათებს დიდი ღონიერი 20—30 სმ სიგრძის ფესურა და შეტად განიერი ფოთლის ფირფიტა საკმაოდ გრძელი ყუნწით; ყუნწის ხაოიანობა ან შებუსვან უბრალო თვალთ შეუმჩნეველია. მის კენწერზე ვითარდება რამდენიმე ყუითელი კალათა ყვავილედ, რომლებიც რთულ ფარად იკრიბებიან; კალათა თითქმის 2 მმ სიგანისაა, ხოლო საბურველი 5—7 მმ სიგრძის. საგუგა გვხვდება ფიქვნარ, ნაძვნარ და წიფლნარ ტყეებში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში საგუგას ფესურების ნახარშს იყენებენ კანის დაავადებათა პრაქტიკაში, განსაკუთრებით ქავანას (მუნის) წინააღმდეგ, ყელის წყლულების დროს და ოფლის მომგვრელ საშუალებად.

დიდი ხანი არ არის რაც საგუგას ხმარობენ მეცნიერულ მედიცინაში ატროპინის შემცველად, განსაკუთრებით თვალის სადიაგნოსტიკო პრაქტიკაში, როგორც თვალის გუგის გამაფართოებელ და ტკივილების დამაყუჩებელ საშუალებას. გარდა აღნიშნული სახეობისა იყენებენ მეორე სახეობასაც Senecio platyphylloides S. et L., რომელშიაც ალკალოიდ პლატიფილინის შემცველობა შედარებით მცირეა; მაგრამ დამუშავების მხრივ ის უფრო ხელსაყრელია. ალკალოიდ პლატიფილინის გარდა საგუგა შეიცავს სენეციფილინს, რომლის რაოდენობა მთლიან მცენარეში



სურ. 39. საგჯა (Senecio platyphyllos (M. B.) D.C.).

1%-დან 2—3% არ აღემატება. შედარებით მცირე რაოდენობით ის მოიპოვება როგორც ფესვურებში, ისე ღეროსა და ფოთლებში ზოგჯერ დასამუშავებლად მაინც ხელსაყრელია. პლატიფილინი მარცხნივ მხრელი ფუძეა, რომელიც ჰიდროლიზის შემდეგ პლატინეცინად და უაზოტო პლატინეცინის მკავედ იშლება. სამკურნალწამლო მიზნებით იყენებენ ალკალოიდ პლატიფილინის მკავედ ღვინისმკავეა მარილს პლატიფილინის ბიტარტარატს, რომელიც წარმოადგენს თეთრ, კრისტალურ, ცივ წყალში ადვილად მხსნად ფხვნილს. საგუგას პრეპარატებიდან აღანიშნავია: *Platyphyllum* და *Platyphyllum bitartaricum*. საქართველოში საგუგას შეგროვება შეიძლება ველურად, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ნაწილობრივ სამხრეთშიც (ბორჯომ-ბაკურიანის ხეობა). მისი შეგროვების შესაძლებლობა ვარაუდით 31 ტონით განისაზღვრება. აქედან იმერეთში 3 ტ., აქარაში 5 ტ., აფხაზეთში 1,5 ტ., სვანეთში 5 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 5 ტ., სამხრეთ-ოსეთში 3 ტ., ხევში 1,5 ტ., ფშაკ-ხევსურეთში 2 ტ., მთათუშეთში 3 ტ., ბორჯომ-ბაკურიანში 2 ტონა.

### რეცეპტები:

- Rp.: *Platyphyllini bitartarici* 0,002  
*Sacchari albi* 0,2  
*M. f. pulv. D. t. d. N 6*  
*S. თითო ფაენილი დღეში 3-ჯერ.*
- Rp.: *Sol. Platyphyllini bitartarici* 2,0:1000,0  
*in ampulis* 1,0  
*D. t. dos. N 10.*  
*S. საინექციოდ.*
- Rp.: *Platyphyllini bitartarici* 0,04  
*Aq. destill.* 20,0  
*MDS. 10 წვეთი დღეში 3-ჯერ კამის წინ.*
- Rp.: *Platyphyllini bitartarici* 0,0015—0,003  
*Buf. Cacao* 1,5  
*M. f. Suppos. D. t. d. N 10*  
*S. თითო სანთელი დღეში 2-ჯერ.*

## ბაბუაწვერა — *Taraxacum officinale* vigg.

ის ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (Compositae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და წარმოადგენს მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს, რომელიც სიმაღლით 12—30 სმ აღწევს. მისი ფოთლები ფესვთანებია და დაღრღნილები, მათ შუა აღმართულია საყვავილე ღერო, რომლის კენწერი დამშვენებულია ოქროსფერი კალათა ყვავილედით. ფესვი მთავარღერძიანია, მსხვილი, გარედან ყომრალი ფერის; მოგრძო, განიერი ან წვრილი სამკუთხა ნაწილებიანი ფოთლის ყუნწი ქვედა მხარეზე ხშირად იისფერია. ყვავილები ენაკიანებია. ნაყოფი წვრილი თესლურაა გრძელი ვიწრო ცხვირით, რომელიც ბეწვიან საბურველს ატარებს. ამ მცენარეს ახასიათებს მწარე გემოს რძისმაგვარი წვენი, რომელიც გამოიყოფა მის გადატეხისას. ბაბუაწვერა ყვავილობს მაისსა და ივნისში, ნაყოფს კი ივლისში იხსამს. ბაბუაწვერა უხვად გვხვდება როგორც მთაში, ისე პარში, ტყეებში, მინდვრებზე, ბუჩქებს შორის, მდელოებზე, ბაღებში, გზის, მდინარეებისა და გუბეების პირას (სურ. 40). საქართველოში მის ფესვებს იყენებენ როგორც შარდსადენ საშუალებას, ხოლო მეცნიერულ მედიცინაში კი, როგორც მწარეს, და საქმლის მომწიფებელი ჯირკვლების ფუნქციის მატონიზირებელს. ხმარობენ მას აგრეთვე აბების დამზადების საქმეში, ზოგჯერ სუსტ საფალარათო საშუალებადაც (რაც დამოკიდებულია მასში არსებულ ორგანულ ჰეავათა რაოდენობაზე) ქრონიკული შერკულობის შემთხვევაში და სხვ. მის ექსტრაქტს (*Extractum Taraxaci*) ხმარობენ როგორც მადის მომგვრელ საშუალებას. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში ბაბუაწვერა მოხსენებულია და მის ფესვებს (*Radix Taraxaci*) აგროვებენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში. მისი ფესვები შეიცავს ინულინს, რომლის რაოდენობაც მშრალ ფესვებში შემოდგომაზე 40% აღწევს, ზაფხულში 15—24%, შეადგენს, ხოლო გაზაფხულზე კი სრულებით არ არის, მასში მოიპოვება 18,7% ლევეულანი, არაკრისტალური შაქარი 17%, კიროზინაზი და ლაქტოცეროლი (ლაქტოცეროლი—ტარაქსას-ტერინი), ვიტამინი C, ნაცარი 4—10%, მთრიმლავ ნივთიერებათა კვალი, მანიტი, ლორწო, მწარე ნივთიერება ტარაქსაცინი, უცილი (ტარაქსაცერინი), ცილა, კალიუმისა და კირის მარილები. ნთლიან ბალახში ბევრია ლორწო, გუმფისი, შაქარი, ფისი (ლეონტოლინი); ფოთლებსა და საყვავილე ღეროებში ყველა ამ ჩამოთვლილ ნივთიერებების გარდა მოიპოვება განსაკუთრებული შაქარი-ინოზიტი. ბაბუაწვერას ფარმაკოლოგიური პრეპარატები-



სურ. 40. ბურბუშელა. ბაბუაწვერა (*Taraxacum vulgare* Lam.).

დან აღსანიშნავია: Radix Taraxaci cum herba, Extractum Taraxaci, Elixir Taraxaci compositum, Fluidextractum Taraxaci; Extractum Taraxaci liquidum seu mellago Taraxaci, Pulvis Radicis Taraxaci. საქართველოში, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში და სუბალპურ მდელოებზე, დამზადდება ამ მცენარიდან დაახლოებით 8 ტონა მასალა, აქედან იმერეთში 1 ტ., გურიაში 0,5 ტ., აჭარაში 0,5 ტ., სამეგრელოში 0,5 ტ., აფხაზეთში 0,7 ტ., სვანეთში 1,3 ტონა, რაჭა-ლეჩხუმში 1 ტონა, სამხრეთ ოსეთში 0,5 ტონა ფშავესურეთში 0,5 ტონა, მთათუშეთში 0,5 ტონა, კახეთში 0,5 ტონა ქართლსა და სამხრეთ საქართველოში 0,5 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: Ferri lactici 4,0  
 Ac. arsenicosi 0,05  
 Extr. et pulv. Taraxaci  
 q. s. ut f. pill. N 60.  
 DS. თითო აბი დღეში 2—3-ჯერ.

### ბეგქონდარა—Thymus serpyllum L.

ბეგქონდარას საქართველოში მთის ჭკონდარს, ურცხა და ზოგ-ჯერ მწყემსის საკმაზს უწოდებენ; ეს უკანასკნელი სახელწოდება დაკავშირებულია მის საკულინარო საქმეში გამოყენებასთან, ვინა-იდან ქიზიყელი მწყემსები მთაში ხშირად ხმარობენ მას ცხვრის ხორცის შესაკაზად. ბეგქონდარა წარმოადგენს 19—25 სმ აიმაღლის პატარა ბუჩქს და ეკუთვნის ტუჩოსანთა (Labiatae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. მისი ახალი ღეროები შებუსვლია და თით-ქოს ბალახოვანი მცენარის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოკლე ყუნ-წიანი, პატარა, მოგრძო ფოთლები მკვრივი, გამკვირვალე წერტი-ლებით (ზეთის შემცველი ჯირკვლები) ერთიმეორის პირისპირ ასხია. პატარა მოლურჯო მოვარდისფრო ყვავილები შეკრებილია ზვირ თაყ-ყვავილეღში ღეროს კენწერზე. ჯამი ხასიათდება სამი მოკლე განიერი სამკუთხა და ორი გრძელი ვიწრო კბილით. გვირ-ველი ორტუჩაა, ორი მოკლე და ორი უფრო გრძელი მტკრიანათი. თესლები ოთხ-ოთხად მოთავსებულია ჯამის ძირში (სურ. 41). მთლიანი მცენარე ხასიათდება ძლიერი არომატული სუნით. ბეგქონდარა ყვავის ივნისიდან აგვისტომდე, ნაყოფი კი ივლისი-დან სექტემბრის ბოლომდე განოაქვს. საქართველოში ბეგქონ-

ღარა გავრცელებულია მთის როგორც ქვედა, ისე ზედა სარტყელში, განსაკუთრებით მშრალ ბალახიან და ქვიან ადგილებზე, აგრეთვე ღორღიან და კლდოვან სუბსტრატზე. ხშირად მას სუბალპურ ნესტიან მდელოებზეც ნახავენ, მაგრამ თუ კარგად დაუ-



სურ. 41. ბეჭონდარა (*Thymus serpyllum* L.).


კვირდებით მის ადგილსამყოფელს, შეამჩნევთ, რომ ის მდელოს ამოზურცულ ნაწილზე, ქიანქველას ბუდეებზე ან ქვიან ადგილებზე



ზეა განვითარებული. ჩვენს მიერ ეს მცენარე მეტად მრავალფეროვან დაჯგუფებაშია ნახილი.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ბეგქონდარას ხმარობენ ჩაის ნაცვლად, როგორც ოკლის მომგვრელ საშუალებას, აგრეთვე აბაზანებისათვის, კერძოდ ქვლების დროს. მეცნიერულ მედიცინაში კი იყენებენ ბეგქონდარას რამდენიმე სახეობას. მათგან აღსანიშნავია *Thymus serpyllum* L., *Thymus vulgaris* L. და სხვ. ჩვენი ფარმაცოპეას ძე-7 გამოცემაში მოხსენებულია *Thymus serpyllum* L., რომელიც იხმარება მეცნიერულ მედიცინაში როგორც არომატული საშუალება აბაზანებისათვის, აგრეთვე როგორც ამოსახველებელი და ქიის დამდენი საშუალება. ამ მიზნით აგროვებენ იენისსა და ივლისში მცენარეს მთლიანად (*Herba serpylli*): ფესვების გარეშე. გამშრალ მასალას ასუფთავებენ ღერობისაგან, შემდეგ ფხვნიან და ინახავენ მშრალ ადგილას. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: ეთერზეთები, მთრიმლავი ნივთიერება, მწაოე და ცილოვანი ნივთიერება, ფისი და ცვილი, ცხიმები, განსაკუთრებული პიგმენტი და მინერალური მარილები. ეთერზეთის ოაოდენობა მასში 1% შეადგენს, მათ შორის უმთავრესი ციმოლია, თუმცა ის ხშირად კარვაკროლითა და თიმოლის ნარევითაა მასში. ბეგქონდარას მეორე სახეობის *Thymus vulgaris* L. მცენარე (*Herba Thymi* ან *Tolium Thymi*) შეიცავს 0,4 - 1,7% ეთერზეთებს, 10% მთრიმლავ ნივთიერებას, ფისს, პენტოზანებს, 0,2% მჟავე საპონინს, 0,18% გლუკოზიდს, 12% ნაცარს. მისი ეთერზეთები წარმოადგენენ ციმოლის, მარცხენა პინენის თიმოლის, კარვაკროლის, ლინალოლის და ბორნეოლის ნაზავს. ბეგქონდარას ზეთებს შორის უმთავრესია სუფთა თიმოლი, რომლის რაოდენობა კარგ ზეთში 50% აღწევს. მისი პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Elixirum Thymi compositum*, *Extractum Thymi fluidum*, *Liquor Thymi concentratus*, *Sirupus Thymi*, *Sirupus Thymi compositus*, *Gutte contra Tussim*, რომელიც შედგება: *Ammonium jodatatum* 3,0, *Stadtrat Thymi ad* 20,0. ბერლინში რ. შერინგის მიერ მიღებულ იქნა პრეპარატი ალეაპექტი (*Aleapect*), რომელიც წარმოადგენს ბეგქონდარას ჩაისებურ ექსტრაქტს, შერეულს თიმოლ სულფომჟავე ტრიეთანოლამინთან. უნიშნავენ *Expectorans 1* კუბ სმ გახსნილს თბილ წყალში. ბერლინ-მარიენფელდში არსებული ქიმიური ქარხნის მიერ მიღებულ იქნა პრეპარატი ჰელმოფიქსი (*Helmofix*), რომელიც წარმოადგენს ციმოლისა და თიმოლის ნარევეს კამალასთან და საფაღარათო ზეთთან (*p-Cymol*, *Thymol*, *Kamala et Oleum Ricini*). ის ეძლევა ბაჭ-

ვებს, როგორც ყველა სახის ქვის დამდენი საშუალება. აღსანიშნავია აგრეთვე: Herba Thymi, Species aromaticae, Oleum Thymi, Acetum aromaticum, Linimentum saponato camphoratum liquidum, Mixtura oleoso-balsamica seu Balsamum vitae Hoffmani, Aristolum seu Thymotolum seu Thymolum bijodatum და სხვ. ჩვენს



სურ. 42. მთის კონდარი, ურცი (*Thymus vulgaris* L.).

ფარმაკოპეაში მოხსენებული ბეგქონდარას სახეობის *Thymus Serpyllum* L. ფარმაკეპტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Herba Serpylli*, *Species aromatica* pro *Balneo*, *Oleum Serpylli*, *Spiritus Serpylli*, *Infusum herbae Serpylli* 10%. საქართველოში ბეგქონდარა შეიძლება შეგროვდეს ყოველწლიურად დაახლოებით 7 ტონა ნედლი მასალის რაოდენობით, აქედან იმერეთში 0,5 ტ., ჩესხეთ-ჯავახეთში 1,5 ტ., გურიაში 0,3 ტ., აფხაზეთში 0,7 ტ., სვანეთში 0,5 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 1 ტ., სამხრეთ-ოსეთში 0,5 ტ., აჭარა-ხევსურეთში 0,5 ტ., ხევში 0,3 ტ., მთათუშეთში 0,2 ტ., ახეთში 0,3 ტ. და ქართლშიც 0,7 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: *Herba Serpylli* 25,0

DS. ერთი სუფრის კოვზი მოიხარშოს ერთ კიკა წყალში და მთელი დღის განმავლობაში შეისვას.

Rp.: *Inf. herbae Serpylli* 10%—200,0

Sir. *Althaeae*

(s. Sir. *Liquiritiae*) 20,0


MDS. თითო სუფრის კოვზი დღეში 3—5-ჯერ.

### ცაცხვი—*Tilia caucasica* Rupr.

ცაცხვი, რომელიც ცაცხვისებრთა (*Tiliaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის, წარმოდგენილია ჩვენში რამდენიმე სახეობით. მათ შორის აღსანიშნავია: *Tilia cordata* Mill. (*Tilia parvifolia* Ehrh.), რომელიც ყველაზე უფრო მეტად იხმარება მედიცინაში. შემდეგ *Tilia pseudorubra* C. Schn., *Tilia platyphyllos* Scop., *Tilia Makaschviliana* Grossh. et Wagner და სხვ. კავკასიური ცაცხვი (*Tilia caucasica* Rupr.) წარმოდგენს ფოთოლცვენია ხეს, რომელიც განსხვავდება სხვებისაგან უფრო დიდი და საკმაოდ ასიმეტრიული ფოთლებით. ფოთლები ქვემოდან მკრთალი იწვანე ფერისაა, ფოთლის კიდეები დიდი ზომის კბილებითაა დაკბილული და წვეროც წამახვილებული ბოლოთი თავდება; მას აბასიათებს აგრეთვე უფრო დიდი ზომის ფრენია ნაყოფი, 10 მმ სიგრძის კაკლუქათი. ცაცხვის ეს სახეობა გვხვდება საქართველოს

უველა კუთხეში, დაწყებული მთის ძირიდან შუა სარტყლამდე, განსაკუთრებით მთის ტყეებში ცალკეული ხეების ან პატარა კოლონიების სახით.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ხმარობენ ცაცხვის ყვავილს. როგორც ოფლის მომგვრელ საშუალებას; მეცნიერულ მედიცინაში აგრეთვე იყენებენ მისი ყვავილის ნაყენს, როგორც ოფლის მომ-



სურ. 43. კავკასიური ცაცხვი (*Tilia caucasica* Rupr.).

გვრელ საშუალებას, მაგრამ აგროვებენ ცაცხვის სხვა სახეობასაც. სახელდობრ: *Tilia cordata* Miller (*T. ulmifolia* Scop., *T. sylvestris* Desf. *T. parvifolia* Ehrh.), *Tilia platyphyllos* Scop. (*Tilia grandifolia* Ehrh.), *Tilia vulgaris* Hayn., *Tilia mexicana* Benth., *Tilia euro-*

მათი ყვავილს. უმრავლესობა ამათგანი ხარობს ჩვენშიც, მაგრამ ჩვენში ყველაზე მეტად გავრცელებულია კავკასიური ცაცხვი, რომელიც ჩვენი ხალხი წარმატებით იყენებს როგორც ოფლის მომგვრელს; ვარდა ამისა, მისი მერქნის ნახშირს ხმარობენ კბილის ფხვნილის დასამზადებლად და აგრეთვე ნაწლავების გაბერილობის დროს. რადგან მისი ნახშირი ხასიათდება ყველაზე მეტი ადსორბციის უნარით. ამიტომ ვფიქრობთ, რომ კავკასიური ცაცხვის ყვავილი შეიძლება გამოვიყენოთ მეცნიერულ მედიცინაშიც. ცაცხვის ყვავილი (*Flores Tiliae*) შეიცავს დიდი რაოდენობით ლორწოს, საპონინს, რომელიც ჰიდროლიზით იშლება საპოგენინად და ლეუპინად, 5—8% ნაცარს, ცილას, უჯრედანას, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებას, ყვითელ პიგმენტს, შაქარს, ცვილს. გარდა ამისა. მის ყვავილში 0,05% სასიამოვნო სუნის ეთერზეთია. ცაცხვის ჯარმა(ივეტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Flores Tiliae (Cum bracteis)*, *Aqua Tiliae concentrata*, *Aqua Tiliae* და *Carbo Tiliae*. ჩვენს მაღალმთიან რაიონებში, კერძოდ მთავარ კავკასიონზე, მისი ყვავილი თავისუფლად შეიძლება შეგროვდეს 3 ტონის რაოდენობით, კახეთში 1,5 ტ., ქართლში 0,5 ტ., ასე რომ, საქართველოში 5 ტონა ცაცხვის ყვავილი თავისუფლად შეგროვდება ყოველწლიურად.

### რეცეპტები:

Rp.: *Flor. Tiliae* 50,0  
 DS. ჩაის ნაცვლად დასალევად.

Rp.: *Flor. Tiliae*  
*Bacc. Rubi Idaei*  
*Fol. Farfarae*  
*Cort. Salicis*  
*Fr. Anisi* àà 10,0.


MDS. ერთი სუჯრის კოვზი ამ ჩაისა მოიხარშოს 2 კიკა წყალში და შემდეგ დაილიოს.

Rp.: *Flor. Tiliae*  
*Bacc. Rubi Idaei* àà 25,0.

MDS. ორი სუჯრის კოვზი მოიხარშოს 5 წუთის განმავლობაში 2 კიკა ადულებულ წყალში და დაილიოს.

## გირიბტერფა—*Tussilago farfara* L.

ის ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (Compositae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და წარმოადგენს მოავალწლოვან ბალახოვან მცენარეს მხოდავი ფესვურათი და შებუსული ღეროთი, რომელიც დაფარულია პატარა ქერქლისებური მუქი იისფერი ფოთლებით; ღერო ბოლოვდება დიდი ზომის კალათა ყვავილედით. რომელიც შედგება პატარა ყვავილებისაგან; კალათას საჟაფრევი ფოთოლაკები, რომლებიც ყვავილობის შემდეგ ქვემოთ იხრება, ჩვეულებრივ, ყომრალია; ნაპირა ყვავილები ენაკანია, ხოლო შუა კი ძილისებური. წვრილ თესლურა ნაყოფს განვითარებული აქვს საჟურენი აპარატი. ზაფხულში დაყვავილების შემდეგ მას უვითარდება დიდი გრძელკუნწიანი და ბასრკბილა ნაპირებიანი, ზემოდან სადა, მუქი მწვანე, ხოლო ქვემოდან თეთრი ქეჩისებრი ფესვთანი ფოთლები. ვიოისტეოფა ყვავის მარტიდან აპარლის ბოლომდე. ნაყოფს ისხამს აპრილიდან მაისს ბოლომდე. საქართველოში ის გავრცელებულია როგორც დაბლობ, ისე მთიან ადგილებში, კლდიათ, ღორღიან და თიხნარ ნიადაგზე; ხაზობს, ჩამონახვევებზე ან მიწაყრილებზე, ზოგჯერ მდინარეთა მიერ ხატოვებულ შლამიან ადგილებზე. სადაც ის ხაზობს, იქ სხვა მცენარე იშვიათად თუ გახარებს. ამასთან ის მეტად მამბეზარა სარეველაა, რის გამო მოხენის დროს მის ფესვურებს ნიადაგის ღრმა ფენებიდან აცლიან და წვეკონ (სურ. № 44). ქართულ ხალხურ მედიცინაში ვირისტერფას ხმარობენ თავისტივილის წინააღმდეგ და სიცხის დამწეკ საშუალებად, რიათკისაც მის ფოთლებს ქვემო მხრიდან ავადმყოფს შუბლზე ადებენ. მეცნიერულ მედიცინაში ვირისტერფას ხმარობენ სასუნთქავი გზების დაავადების დროს, როგორც ამოსახველებელ საშუალებას. ზოგჯერ მას ურჩევენ საყმაწვილოს დროსაც. ჩვენი ფარმაკოპიას მე-7 გამოცემაში მოხსენებულია მისი ფოთლები (*Folia Farfarae*), რომლებსაც აგროვებენ მაისსა და ივნისში ყვავილობის შემდეგ და აშრობენ ისი, რომ არ გაშაფდეს. სამკურნალო მიზნით შეგროვებული ფოთლები ეანგარას ლაქებითა და წერტილებით დაავადებული არ უნდა იყოს. იყენებენ ვირისტერფას ყვავილებსაც *Flores Farfarae* ან *Flos Farfarae*. ვირისტერფას ყვავილი შიიცავს ტარაქსანთინს ესთერის სახით, მკიჩეოდენ ვიოლაქსანთინს. ორ ჰეიჯოსტერინს ფარადიოლს და 1—ფიტოსტერინს, ძირიმლაე ნიეთიერებას და 8% ნაცარს. მის ფოთლებში მოიპოვება ინსულინი, ქოლინი, საპონინი (?), ლორწო, მთრიმლაევი ნიეთიერება, დექსტრინი და ძლიერ მწარე გლუკოზიდური ნიეთიერება, რის გამო



სურ. 44. ვირსტერდა (*Tussilago farfara* L.).

მას ცხოველები არ ეკარებიან. გარდა ამისა, ფოთლები შეიცავს აგრეთვე შაქარს, მწარე ნივთიერებას, ერთ ფიტოსტერინს, რომელიც შედგება სტერილისაგან და სიტოსტერინისაგან და ნაცარს. რომლის რაოდენობაც სხვადასხვა მონაცემებით 9—22%-მდე ჰერყობს. ვირისტერფას ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: Folia Farfarae, Flores Farfarae, Decoctum fol. Farfarae, Species pectorales. ვირისტერფას ფოთოლი ჩვენში შეიძლება დამზადდეს საკმაოდ დიდი რაოდენობით: იმერეთში 5 ტ., გურიაში 3 ტ., აქარაში 1 ტ., სამეგრელოში 2 ტ., აფხაზეთში 4 ტ., სვანეთში 3 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 5 ტ., სამხრეთ-ოსეთში 3 ტ., ხევში 2 ტ., ფშავ-ხევსურეთში 3 ტ., მთათუშეთში 2 ტ., კახეთში 3 ტ., ქართლში 3 ტ., სამხრეთ საქართველოში 5 ტ., რაც შეადგენს 44 ტონა ნედლ მასას.

### რეცეპტები:

Rp.: D-ti fol. Farfarae 10%—200,0

DS. სუფრის კოვზი დღეში 3—4-ჯერ.

Rp.: Fol. Farfarae

Cort. Salici

Sem. Anisi vulg.

Flor. Tiliae

Fr. Rubi Idaei  $\frac{11}{22}$  15,0

M. f. Species

DS. 2 სუფრის კოვზი ამ ნაკრებისა მოიხარშოს 2 ჰიქა წყალში და დაილიოს როგორც ჩაი.

Rp.: Flor. Verbasci 20,0

Fol. Farfarae 40,0

Fr. Anisi vulg. 20,0

Rad. Althaeae 80,0

Rad. Liquiritiae 30,0

Rad. Iridis 10,0

M. f. Species

DS. 1 სუფრის კოვზი ამ ნაკრებისა მოიხარშოს 1 ჰიქა წყალში, გაცივდეს და მიღებულ იქნეს დღეში 3-ჯერ ნახევარი ჩაის ჰიქის რაოდენობით ჰამის შემდეგ.



Rp.: Fol. Farfarae 25,0—50,0

DS. მოიხარშოს როგორც ჩაი (1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა ადუღებულ წყალზე) გაცივდეს და მიღებულ იქნეს სუფრის კოვზით დღეში 3—5-ჯერ.

### ჭინჭარი—*Urtica dioica* L.

ჭინჭარი ეკუთვნის ჭინჭარისებრთა (*Urticaceae*) ბოტანიკურ ოჯახს.

ჭინჭარი მრავალწლოვანი ორსახლიანი მცენარეა, დაახლოებით 2 მტ. სიმაღლის სწორმდგომი ღეროთი, რომელიც დაფარულია მსუსხავი ბუსუსით და ღრმად დაკბილულ ნაპირებიანი, ასევე მსუსხავი ბუსუსით დაფარული ფოთლებით. ბუსუსის ძირში მდებარე ჯირკვლებიდან გამოიყოფა ქიანჭველას მჟავა. ფოთლები კვერცხნაირ-გულნაირებია, ღრმად დაკბილული ნაპირებით. მისი ყვავილედო გრძელია, დატოტვილი და აგრეთვე მსუსხავი ბუსუსითაა დაფარული. საქა-თველოს მთასა და ბარში ჭინჭარი საყოველთაოდ ცნობილი მცენარეა და წარმოადგენს ძირითადად რუდერალურ მცენარეს, რომელიც ეჯანება ჰუმუსიან და შლამიან ადგილებს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ჭინჭარს მრავალფეროვანი გამოყენება აქვს. მის ნახარშს ასმევენ ავიტამინოზურ ბავშვებს. რომლებსაც ხშირად „ჭირიან“ ბავშვებს უწოდებენ.

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

ჭინჭარი ჭირის ჭირია,

სატაცური ბალამია,

სვინჯრი მოდის მოიძახის

მე ვარ ყველას წამლია.

ჭინჭარი ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდას და მოხარშული ჭინჭრით ასუქებენ პატარა იხვება ან ქუეყებს. „ვინცა ჭინჭრის ფოთოლი დანაყოს და ან ასურდოს, და ორივე ცხვირი გამოიტენოს, ცხვირსა სისხლი დასწყუიტოს. და თუ ეს ჭინჭარი მარილითა მოხარშოთ, და თბილი მსიყანსა ალაგზედა დაიდვან უსათუოდ სიმსივნეს უშველის და დააცხრობს“ წერს დავით ბატონიშვილი. ჭინჭარს ანარობენ რევმატიზმული ანთების დროს და ჭრ ლობია შენობორცხვად. ხოლო მის თესლს—სქესობრივი უძლურების შემთხვევებში. ამასთან ის წარმოადგენს საუკეთესო საკვებ მხალიულს და მწვანე ან მფარველობითი ფერის საღებავის მომცემს. მეცნიერულ მედიცინაში მას იყენებენ როგორც ც ვიტამინის შემცველ საშუალებას ჰიპოვიტამინოზის დროს, აგრეთვე როგორც ადგილობრივი ჰიპერემიის მომგვრელს და გამღიზიანებელს. სამკურნალწამლო მიზნებისათვის

ხმარობენ მის ფოთლებს (*Foliae Urticae*), რომლებსაც აგროვებენ ზაფხულში, ასუფთავებენ ღეროს მინაწვევებისაგან და ამრობენ ჩვეულებრივი წესით. მთლიანი ბალახი (*Herbae Urticae*) შეიცავს: გალუს მჟავას, ფისს, მთრიმლავ ნივთიერებას, ცილებს, მინერალურ მარილებს, ქიანქველას მჟავას, ჯერ კიდევ შეუსწავლელ გლუკოზიდს და აგრეთვე უცნობ ტოქსინს, რომელიც ქიანქველას მჟავასთან ერთად მონაწილეობას იღებს სხეულის დ სუსხვაში. ქინქარი შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინს რომელიც, ფიზიოლოგი ლ. ჯაფარიძის მონაცემებით, დედრობითი ეგზემპლარებში უფრო მეტია, ვიდრე მამრობითში. ნაცრის რაოდენობა მასში 2 % აღწევს. ქინქრის ფესვურები და ფესვები *Radix (Rhizoma) Urticae* შეიცავს 7,8% ნაცარს, 11%—CaO-თი. იყენებენ აგრეთვე ქინქრის მეორე სახეობის *Urtica urens*-ის ყვავილს. მისი ბუსუსები თავისუფალია ქიანქველას მჟავასაგან და შეიცავს ძმარქვეას, ერბომჟავას და ამორკულ, არამქროლად, მონეავო, ფისოვან, ტოქსიკურ N-ისაგან თავისუფალ მსუსხავ ნივთიერებას; მისი პრეპარატია *Urtica ad usum externum*. ქინქრის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Flores Urticae* (რომელიც ვარლიხის მიხედვით არ უნდა აკვეოიოს *Flor. Lamii albi seu Urticae mortuae*-ში), *Herba Urticae*, *Tinctura urticae* (e succo recente), *Folia Urticae*. საქართველოში ქინქარი შეიძლება შეგროვდეს ყოველწლიურად 25 ტონა ნედლი მასის რაოდენობით, აქედან იმერეთში 2 ტ., გურიაში 2 ტ., აჭარაში 0,5 ტ., სამეგრელოში 1 ტ., აფაბზეთში 1,5 ტ., სვანეთში 2 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 2 ტ., სამხრეთ-ოსეთში 2 ტ., ხევში 2 ტ., ფშავ-ხევსურეთში 1,5 ტ., მთათუშეთში 1,5 ტ., კახეთში 2 ტ., ქართლში 2 ტ. და სამხრეთ საქართველოში 3 ტ.

### რეცეპტები:

Rp.: *Herbae Urticae*

Cort. *Frangulae*  $\overline{\text{aa}}$  30,0

Fol. *Menthae pip.* 20,0

Rad. *Calami aromat.*

Rad. *Valerianae*  $\overline{\text{aa}}$  10,0

M. f. *Species*

DS. 1 სუჟრის კოვზი ნაკრები მოიხარშოს

1—ჩაის ქიქა წყალში და შემდეგ მისი ნაყენი დაილიოს საღამოს.

Rp.: Herbae urticae 15,0  
Fr. Ribis nigri 5,0  
Fr. Cynosbati  
Rad. Dauci  $\ddot{a}$  15,0  
M. f. Species

DS. 2 სუჯრის კოვზი ამ ნაკრებისა მოიხარ-  
შოს 2 ქიქა წყალში, იღულოს 5—10 წუთს,  
დაყენდეს და დაილიოს ნახევარი ჩაის ქიქა  
3—4-ჯერ დღეში.

### მთის მოცვი—*Vaccinium Myrtillus* L.

მთის ან ჩრდილის მოცვი ეკუთვნის (Ericaceae-ეს) ბოტანიკურ  
ოჯახს და წარმოადგენს დაბალი, ქონდარა ტანის დატოტიანე-  
ბულ ბუჩქს, რომელიც სიმაღლით 30 სმ არ აღემატება. მისი  
მოკლეყუნწიანი ფოთლები ხერხკბილა ნაპირებით მორიგეობით  
სხედან ღეროზე. ყვავილები თითო-თითოდ მოთავსებულია ფოთ-  
ლის იღლიებში. ჯამი რგოლივით აკრავს ყვავილს. მომწვანო-მო-  
ვარდისფრო 4—5 კბილა გვირგვინი თითქმის სფერულია. მტერი-  
ანა ათია, წყვილი რქისებური დანამატით ზემოდან. ნაყოფი წარ-  
მოადგენს მრგვალ მოლურჯო შავი ფერის, წვნიან მომჟავო-ტკბილ  
მრავალთესლიან კენკრას, რომელზედაც შერჩენილია ჯამი. მთის  
მოცვი ყვავის ივნისსა და ივლისში, ნაყოფობას ივლისის ბოლოს  
იწყებს და აგვისტოში ამთავრებს. საქართველოში მთის მოცვი  
გვხვდება ძირითადად სუბალპურ და ალპურ სარტყელში დაფერ-  
დებულ მდელოებზე როგორც ბუჩქთა შორის, ასევე ქეებს ან გო-  
ბებს შუა.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მოცვის თითქმის ყველა სახე-  
ობის როგორც ნაყოფს, ისე ფოთოლს ხმარობენ ჩაის ნაცვლად და  
აგრეთვე ოფლის მომგვრელ საშუალებად. ქმეციერულ მედიცინა-  
ში იყენებენ მის ნაყოფს (Fructus Myrtilli s. Baccae Myrtilli), რო-  
გორც საუკეთესო საშუალებას მწვავე და ქრონიკული ფაღარათო-  
ბის დროს, განსაკუთრებით ბავშვთა პრაქტიკაში. მთის მოცვი  
შოსენებულია ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში და მისი შეგ-  
ოფებაც წარმოებს. საზღვარგარეთ იმავე მიზნებისათვის იყენე-  
ბენ *Vaccinium oxycoccus* და *Vaccinium Vitis idaea* L. მსგავსად  
მთის მოცვისა, ეს უკანასკნელი სახეობა—სელშავი (*Vaccinium Vi-  
tis idaea* L.), საკმაოდ დიდი რაოდენობით ხარობს ჩვენში, თით-  
ქმის იმავე ადგილებში გვხვდება. სამკურნალწამლო მიზნებისათვის

აგროვებენ მწიფე ნაყოფს და აშრობენ ღუმელში, რის შემდეგაც ის სავსებით შეედება. მთის მოცვის ნაყოფში 7% პიროკატეკინის მჟავას ჯგუფის ნივთიერებაა, რომელიც შემცირებულად მოქმედებს. გარდა ამისა, მასში შედის მირტილინი, 5-20% ლერწმის შაქარი. 7% ლიმონისა და ვაშლის მჟავა, საღებავი ნივთიერება ანთოციანი, პექტინი, ფისი და სხვ. რაც შეეხება მოცვის მეორე სახეობას *Vaccinium oxycoccus* L., რომელიც აგრეთვე გავრცელებულია ჩვენში, მის ნაყოფში (*Fructus oxycocci recens*) შედის არბუტინი. გლუკოზიდი ვაკცინიინი, ინვერტული შაქარი, ვიტამინა პექტინი, რომელიც გამჟავებულია ციტრონენის, ქინაქინის ან სხვა მჟავით. მოცვის მესამე, ჩვენში ფართოდ გავრცელებული სახეობის სელშავის (*Vaccinium Vitis idaea* L.) ფოთლები შეიცავს 5,15% გლუკოზიდ არბუტინს (ვაკცინიინი), თრიმლმჟავა ნაერთით, რომლის დაშლით მიიღება ვაშლის მჟავა, ლეინის მჟავას კვალი და ინვერტული შაქარი. არბუტინი და თრიმლმჟავა აღნიშნული ნაერთით უველაზე მეტად მასში გვიან ზაფხულსა და შემოდგომაზეა. გარდა ამისა, ის შეიცავს C ვიტამინს, ხოლო ნაცრის რაოდენობა მასში 3% არ აღემატება. სელშავის ფოთლებს (*Folia Vitis idaea*) იყენებენ *Folia Uvae ursi*-ს ნაცვლად. მისი ნაყოფი (*Fructus Vitis idaeae*) შეიცავს საშუალოდ 83,7% წყალს, 8,24% შაქართა კრებულს, 0,53% სახაროზს, 4% გლუკოზს, 4,9% ფრუქტოზს, 2% ვაშლის მჟავას, 0,25% თრიმლმჟავას, 0,7% აზოტოვან ნივთიერებას და 0,3% ნაცარს. ყვავილში (*Flores Vitis idaeae*) შედის არბუტინი და ჰიდროქინონი. არც ერთი არომატული მჟავა მასში არ არის. მთის მოცვის ფარმაკევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Fructus Myrtilli seu Baccae Myrtillorum*. ჩვენში მთის მოცვის ნაყოფი შეიძლება დამზადდეს ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონის კალთებზე დაახლოებით 3 ტონის რაოდენობით, ამავე რაოდენობით შეგროვდება სელშავის ნაყოფიც, ხოლო თითოეული მათგანის ფოთოლი შეგროვდება ხუთი ტონის რაოდენობით.

### რეცეპტი:


Rp.: Bacc. Myrtilli 30,0

• DS. მოიხარშოს ერთ ჩაის ქიქა წყალში.

## კატაბალახა—*Valeriana officinalis* L. (*V. nitida* Kr.)

კატაბალახა, რომელსაც იცნ ბენ საქაოთველოში აგრეთვე კატაპარიას და გულბანდის სახელწოდებით, ეკუთვნის *Valerianaceae* ბოტანიკურ ოჯახს და წარმოადგენს მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს მოკლე ფესურათი, რომლისგანაც გამოდის გამსხვილებული ფესვები. მისი ღერო სწორმდგომია და აღწევს 60—120 სმ სიმაღლეს. ფრთადგანკვეთილი ფოთლები, რომლებიც შედგებიან 7—15 წვრილი ლანცეტა, კიდემთლიანი ან დაკბილული ფოთოლაკისაგან. ერთიმეორის მოპირისპირედ სხედან ღეროზე. ფესვთანი ფოთლები გრძელყუნწიანებია, შუა ფოთლები საშუალო სიდიდის უნწებზე სხედან, ხოლო კენწრული მჯდომარეებია. ყვავილენი დიდი ზომსა და საგველად შეკრებილ ფარს წარმოადგენს. პატარა მოთეთრო ან ვარდისფერი სფრნელოვანი ყვავილები სამი პტვიანათი ერთად არიან შეგროვებული ტოტებზე. ყვავილის ვვირჯინი მილისებრ-ძაბრნაირია და 5-ნაწილაკიანი გადანახარი აქვს. პატარა, მოგრძო ერთთესლიანი ნაყოფი ბოლოვდება ქოჩრით. კატაბალახა ყვავის მაისიდან ივლისის ბოლომდე, ნაყოფს იხამს აგვისტოდან სექტემბრის ბოლომდე. კატაბალახა მთის შუა სარტყლამდე აღწევს. იზრდება ძირითადად ნესტიან ნიადაგზე, ტყის პირას, ბუჩქებს შორის, მდელოებზე, ტყით დაფარულ ხეობებში, მდინარეებისა და ნაკადულის ნაპირებზე ჩვენში იზრდება ამ მცენარის მეორე სახეობაც, სახელდობრ კოლხური კატაპარია (*Valeriana colchica* Utkin), რომელსაც მთათუშეთში გულბანდს უწოდებენ (სურ. 45). კატაპარიას, რომელსაც ძველად კატის ძუძუს უწოდებდნენ, როგორც ძველად, ისე ეხლაც ჩვენი ხალხი მრავალმხრივ იყენებს. დავით ბატონიშვილი ურჩევს მას სილამწვრის, ნიკრისის ქარების და სიმსივნის წინააღმდეგ. «ვინცა კატის ძუძუ დანაყოს და დამწვარზედა დაადვას, ან წყალში გამოჰხადოს და ამის წყალი შესცხოს, დამწვარი უშველოს». მთაში (რაქასა და მთათუშეთში) კატაპარია და გულბანდი ღღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს და იხმარება თითქმის ყოველგვარი დაავადების, განსაკუთრებით გულის დაავადებისა და გაცივების წინააღმდეგ; გარდა ამისა, ჩვენში ხმარობენ მის ფესვებს ანკესზე წამოსაცემლად ან ანკესზე წამოსაცემელ ქიებს ყრიან მის ნახარშიში, ვინაიდან მისი სუნით გატენთილი ქიები უკეთ იზიდავენ თევზს.

«ვინცა ესევ ყირმიზი ვარდი და შაბი იამანი ორივ დანაყოს და კატის ძუძუს წვენითა გააყენოს და პირველი ხელი ამაშიგა ჩაყოს და მერმე მღუღარეს შექამადშიგა და ან მღუღარეს წყალში-



სურ. 45. კატაბალაზა (*Valeriana officinalis* L.)

15. საქართველოს სამეურნალო მცენარეები.

გა ხელი ჩაყოს, ხელი აღარ დასწვასო“—მოგვითხრობს ბატონიშვილი. მეცნიერულ მედიცინაში კატაბალახა შემოღებული იყო ხმარებაში ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და თვით მისი სახელწოდება Valeri—Valero—ჯანმრთელობას ნიშავს; ის მოხსენებულხა მსოფლიოს თითქმის ყველა ფარმაცოპეაში, როგორც ანტისეპტიკური და ნერვული სისტემის დამამშვიდებელი საშუალება, რომელსაც უნიშნავენ მრავალი ფუნქციონალური ნერვული დაავადების დროს, ნერვული აგზნების დროს, უძილობის შემთხვევაში, აგრეთვე გულის მოქმედების დაქვეითებისას, როგორც აღმგზნებ საშუალებას და სხვ. მის ფესვურებსა და ფესვებს (*Rhizoma Valerianae cum Radice*) ჩვენში აგროვებენ კელურად, ხოლო უკრაინაში ის კულტურაშიც მოჰყავთ. მისი შეგროვება იწყება გაზაფხულზე, რისთვისაც ფესვურებსა და ფესვებს ღეროს ფესვის ყელიდან 2 სმ დაშორებით აცლიან, ცივი წყლით რეცხავენ და აშრობენ ჩვეულებრივი წესით ან ხელოვნურ საშრობებში, სადაც ტემპერატურა 40° არ უნდა აღემატებოდეს. მზა მასალა ინახება დატურულ სუფთა ყუთებში მშრალ ადგილას.

კატაპარიას ფესვურებისა და ფესვების ქიმიური შემადგენლობა ასეთია: გაზაფხულზე მასში 0,8%, მაისში 1,7%, ხოლო გვიან ივლისში 1% ეთერზეთია, რომელიც შედგება პინენისაგან, კამფენისაგან, მარცხენა ბორნეოლისაგან და ეთერებისაგან ქიანკველას. ძმრის, ერბოსა და ვალერიანას მჟავათი. გარდა ამისა ეს ზეთი შეიცავს მარცხენა ტერპინეოლს, მარცხენა სესკვიტერპენს და ანუკანასკნელის შესაბამის სპირტს. გარდა ეთერზეთისა, კატაპარიას ფესვურებსა და ფესვებში შედის ვალერიანას მჟავა დაახლოებით 0,25—1,4% რაოდენობით, რომელიც შედგება თავისუფალი ან მარილისებური ორი ქაფურთრიმლმჟავისაგან და ენსგავსება ვალერი. ნორიმლმჟავას. ის შეიცავს აგრეთვე ორ მთრიმლაჲ მჟავას, ორ ალკალოიდს ვალერიინსა და ხატიინის, სახამგელს, შაქარს, ფისს, ცვილს ფისოვან ვალერიანინს, გლუკოზიდ ვალერიიდს, ძმრისა და ქიანკველას მჟავას—მარილით. თავისუფალ ვაშლის მჟავას, წებოს, ლიპაზს, ოქარდაზს და 10% მჟავაში უხსნად ნაცარს. გასაყიდ საქონელში ნაცარი 20% მეტი არ უნდა იყოს, სილა და მიწა არ უნდა აღემატებოდეს 10%, ხოლო გარეშე მინარევი 5%. კატაპარიას ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Tinctura Valerianae simplex*. *Tinctura Valerianae aetherea*, *Extractum Valerianae spissum*, *Juf. rad. Valerianae*, *Extractum Valerianae fluidum*, *Species nervinae*. *Alcoholatura Valerianae seu Tinctura Valerianae*, *Aqua Valerianae destillata*, *Extractum Valerianae*, *Extractum Valerianae aethere-*

reum, Infusum Valerianae, Pilulae Extracti Valerianae, Sirupus Valerianae, Tinctura Valerianae, Tinctura Valerianae stabilisata, Tinctura Valerianae ammoniata, Guttae Valerianae camphoratae, Tinctura Valerianae composita და Vinum Valerianae რომელშიც შედის Tinctura Carvi composita, Oleum Carvi 1,5, Tinctura Valerianae aetherea. სხვა პრეპარატები უნდა აღსანიშნავია: Rhizoma (seu Radix) Valerianae, რომელიც შედის ჰეფელანდის საბავშვო ფხვნილის (Pulvis Infantium Hufelandii) შემადგენლობაში და აგრეთვე Spiritus Angelicae compositus-ის შემადგენლობაშიც, Oleum Valerianae, Acidum Valerianicum, Aethylium Valerianicum, Ammonium Valerianicum, Amylium Valerianicum, Antipyrino Chininum Valerianicum, Atropinum Valerianicum, Bismuthum Valerianicum, Cerium Valerianicum, Chininum Valerianicum, Coffeinum Valerianicum, Morphinum Valerianicum, Zincum Valerianicum და სხვ. საქართველოში კატაპარია საკმაოდ აგავრცელებული, მაგრამ მისი ფესვურების არაწესიერი შეგროვების შედეგად ადვილად შესაძლებელია მისი მარაგის შემცირება. უნდა აღინიშნოს, რომ ხიხას მთა რაჟაში წარმოადგენს ველური კატაპარიას, ჯადუარისა და წითელი გვირილას (Pyrethrum roseum M. B.) ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას მასივს, მაგრამ რუსიართო შეგროვებით ამჟამად ეს მასივი საგრძნობლად შემცირებულა და მცენარეები თითქმის გადაშენების გზაზე დამდგარან. ეს ხდება იმიტომ, რომ შეგროვების დროს ნათ თხრიან ისე, რომ მიწაში აღარაფერს ტოვებენ და მცენარე ვერც თესლითა და ვერც ვეგეტატიურად ფესვურებით ვეღარ მრავლდება. ჩვენი აზრით ამ ადვილს დროებით მაინც ესაქიროება შესვენება. კატაპარიას ორივე სახეობის (ფესვები) შეიძლება შეგროვდეს საქართველოში დაახლოებით 3,8 ტონის რაოდენობით, აქედან იმერეთში 0,5 ტ., აფხაზეთში 0,2 ტ., სვანეთში 0,3 ტ., რაჟა-ლეჩხუმში 0,5 ტ., სამხრეთ ოსეთში 0,5 ტ., ხევში 0,3 ტ., ფშავ-ხევსურეთში 0,2 ტ., კახეთში 0,2 ტ., მთათუშეთში 0,1 ტ., ქართლში 0,5 ტ. და სამხრეთ საქართველოში 0,5 ტონა.

რეცეპტები:

Rp.: Inf. rad. Valerianae 8,0—10,0:200,0  
 DS. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ



Rp.: Rad. Valerianae conc.

Fr. Humuli Lupuli  $\overline{aa}$  25,0

Fcl. Trifolii

Fcl. Menthae  $\overline{aa}$  50,0

MDS. ნაკრები : სუფრის კოვზის რაოდენობით  
ზოიხარშოს 2 ჭიქა წყალში, დაყვებდეს 20  
წუთის განმავლობაში და მიღებულ იქნეს  
დღეში 4-ჯერ ნააევარ-ნახევარი ჩაის ჭიქის  
რაოდენობით (Species nervinae დამამშვიდე-  
ბელი ჩაი).

Rp.: Inf. rad. Valerianae 10,0:200,0

Natrii (seu Kalii) bromati 4,0—5,0—6,0

MDS. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ.

Rp.: T-rae Valerianae simpl.

T-rae Convallariae majalis  $\overline{aa}$  10,0

Aq. Amygdalari amarari 8,0

MDS. 30 წვეთი დღეში 3-ჯერ.

Rp.: T-rae Valerianae simpl. 10,0

DS. 20—25 წვეთი დღეში 2—3-ჯერ.

Rp.: T-rae Valerianae 10,0

DS. 20—25 წვეთი დღეში 3-ჯერ.

Rp.: T-rae Valerianae aetherene 10,0

Camphorae tritae 1,0

MDS. 15 წვეთი დღეში 3-ჯერ.

Rp.: T-rae Valerianae simpl.

Aq. Amygdalari amarari  $\overline{aa}$  5,0

MDS. 15 წვეთი ერთ მიღებაზე.

Rp.: Inf. rad. Valerianae

Inf. herbae Adonidis vern.  $\overline{aa}$  5,0:200,0

Natrii (seu Kalii) bromati 5,0—6,0

MDS. სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Natrii bromati

Kalii bromati

Extr. Valerianae spiss.  $\overline{aa}$  4,0

Succ. Liquiritiae, q. s. ut f. pill. № 50

DS. თითო აბი დღეში 3-ჯერ.

Rp.: T—rae Valerianae simpl.

T—rae Adonis vern.  $\dot{\bar{a}}$  10,0

MDS. 15—20 წვეთი ერთ მიღებაზე.

Rp.: Extr. Valerianae fl. 10,0

DS. 10 წვეთი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Rad. Valerianae

Fol. Menthae

Fl. Chamomillae

Fr. Carvi

Fr. Foeniculi  $\dot{\bar{a}}$  30,0


MDS. 2—3 ჩაის კოვზის რაოდენობით მოიხარ-  
შოს 1 ჭიქა წყალში, დადგეს 15 წუთს, და-  
ილიოს თბილი სახით დილითა და საღამო-  
თი ნახევარი ჩაის ჭიქის რაოდენობით (მე-  
ტეორიზმისა და ნაწლავების სპაზმის დროს).

### შხამა—Veratrum Lobelianum Bernh.

შხამა ეკუთვნის შროპანსებრთა (Liliaceae ეს) ბოტანიკურ  
ოჯახს. ის მრავალწლოვანი ძლიერ შხამიანი ბალახოვანი მცენა-  
რება, 150 სმ სიმაღლის მრგვალი, მსხვილი და სწორი ღეროთი და  
პოკლე, მსხვილი, ნივრის სუნისა და სურბათი. რომლიდანაც უამ-  
რავი ძაფისებური ფესვი გამოდის. კიდევით ღიაში დიდი ზომის, მო-  
რიგეობით განლაგებული ფოთლები ყუნწის ქვედა ნაწილით ეხვე-  
ვიან ღეროს; მათი ნარჩენები ღეროს ქვედა ნაწილში ხმება და ახასია-  
თებს რკალური ნეოვაცია. ყუნწის ფოთლები თანდათან  
ვიწროვდება და ლანცეტა მოყვანილობის ხდება. ღეროს ეტყობა  
მცირეოდენი შებუსება; იის კენწერზე ვითარდება პირამიდული  
საგველა ყვავილედის მწვანე ან მოწვანო-მოყვითალო ყვავილე-  
ბით. ყვავილსათარი ნ-ნაწილიანი, გარდან ცოტად თუ ბევრად  
შებუსვილი. ნაყოფი სამ საგდულიანი კლოფთა ფრენია თესლე-  
ბით. შხამა ყვავის ივლი სა და აგვისტოში. შხამა ვრცელდება იქ,  
სადაც საძოვრები გადაჯეროებულია, ახი ზოგადაა დიდი რაოდენო-  
ბით გვხვდება საქართველოს ალპურ და სუბალპურ სარტყლებში,  
განსაკუთრებით ნესტიან მდელოებზე (სორ. 47).

ქართულ ხალხურ რეცეპტებში შხამა ძირის ნახარში გამოყე-  
ნებულია ცხოველების ყაბია პარაზიტების მ-საწორებლად და ადა-  
მიანის ქავანა (მუნის) წინააღმდეგ. ჩენი უკრძალავს მე-7 გამოცე-

მაში წხამას ეს სახეობა მოხსენებულია და მას იყენებენ სავეტერინარო პრაქტიკაში. ჯანმრთელობის საკავშირო სამინისტროსთან არსებუ-



ფურ. 45. ბაბა (Veratrum Lobelianum... ბერი).

ლი ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ წხამას ფესვურების ნაყენის ხმარება დაშვებულია ტრღების (პარაზიტების) წინააღმდეგ. მისი

ფესულების შეგროვება ხდება შემოდგომაზე; მათ ათავისუფლებენ მიწისაგან, რეცხავენ წყლით. კრიან სიგრძეზე და სიგანეზე, რათა სურათად გაშიეს. მისი გაშრობა ღუმელში დაუშვებელია, რადგან შხამას ძირები ძალაან შხამიანია. შენახვ. („ბ“ სიის მიხედვით) მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, მისი ფესვების მტვერი იწვევს ავად-ბუფურ ცხვირის ცემინებას; შხამას ფესურები (*Rhizoma Veratri*) შეიცავს სახამებელს, შაქარს, ფისს, ცვილს, ცხიმებს, საღებავ ნივთიერებას, მინერალურ მარილებს, მთარიძვ მჟავას, გლუკოზიდ ვერატრამინს (*Veratraminum*), ალკალოიდებს: იერვინს (*jervinum*), რუბიერვინს (*Rubijervinum*), ფსეუდოიერვინს (*Pseudojervinum*), პროტოვერატრიდინს (*Protoveratridinum*) და პროტოვერატრინს (*Protoveratrinum*). შხამას ნათავარ მოქმედ საწყისად ითვლება პროტოვერატრინი, რომელიც თავის მოქმედებით, თანახმად ვარლიხის მონაცემებისა, ეთანაბრება საბადილას (*Sabadilla officinarum Brandt., Syn. Schoenocaulon officinale Asa Gray*) თესლის შხამს (საბადილა გექსიკის მცენარეა, რომლის ალკალოიდებიც იწვევს პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემის დაშლას). ალკალოიდი ვერატრინი დაყოვნებული მოქმედებისაა და არ იწვევს განივბოლიანი კუნთების ხანგრძლივ შეკუმშვას; ამავდროს ის ნაკლებ შხამიანია (კობერტი და კრავკოვი). აღსანიშნავია, რომ ალკალოიდები ამ მცენარის ღეროებში მეტია აღრე გახაუხულზე, რის გამო თუ ამ დროს მას მოძოვს ბატკანი, ან რომელიმე სხვა ცხოველი, ის უთუოდ მოიშხამება, რაც გამოიხატება პირიდან ქაუის დენასა და კრუნჩხვაში. გვიან შემოდგომაზე, როცა მცენარეს ოთვილი დაარტყამა, შამები ფესურებში ბრუნდება და ღეროში ძალზე ცოტა რჩება, ისე რომ, მას მომშხამველი უნარი ეკარგება და. პირიქით, ის მაღის მომგვრელია. ამ ბოლო ხანებში შხამას ფესურებიდან გამოჰყვეს კიდეც ორი ალკალოიდი—იერვინი (*jerviu*) და გერმერინი. ნაცრის რაოდენობა მასში 12—14% არ აღემატება, ხოლო მჟავაში უხსნადი ნაცარი 4% შეადგენს. მზა მასალაში 5% მეტი გარეშე მინარეები არ უნდა იყოს. მისი ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Rhizoma Veratri, Tinctura Veratri, Unguentum Veratri sulfuratum, Extractum Veratridis fluidum*. ჩვენში შხამას ფესურათა ყოველწლიური საფარაუდო მარაგი დაახლოებით 33 ტონა ნედლ მასალაში გამოიხატება. აქედან აფხაზეთში შეიძლება დაგროვდეს 3 ტ., სვანეთში 5 ტ., რაჭა-ლეჩხუმში 4 ტ., სამხრეთ ოსეთში 5 ტ., ხევში 5 ტ., ფშავ-ხევისურეთში 3 ტ., მთათუშეთში 3 ტ., და სამხრეთ საქართველოში 5 ტონა.

Rp.: T-rae Veratri 30,0

DS. ჩაზეილ იქნას სხეულის თმიან ადგილებში, რის შემდეგ საჭიროა ხელების საბნით დაბანა (პარაზიტების საწინააღმდეგო საშუალება).

Rp.: T-rae Veratri

Ac. acetici 80% ო 25,0

Aq. destill. 100,0

MDS. ექიმის დანიშნულებისამებრ.  
(Acetum Veratri)

ჭერიფქლა—Verbascum nigrum L.

ჭერიფქლა ეკუთვნის (Verbasularia seie-ის) ბოტანიკურ ოჯახს, წარმოადგენს 1,5—2 მეტრი სიმაღლის ორწლოვან მცენარეს. ქველი, ხაოიანი ბუსუსით შემოსილი, სწორმდგომი ღეროთა. ვესვთან მას უვითარდება განიერი ფოთლები; ქვედა ფოთლები გრძელ ყუნწიანებია, შუა და კეწრისა—მჯდომარე; ღეროს კენწეოი შემკულია პაჩარა, ყვითელი ფერის ყვავილებით, რომლებიც თავთავისებურ ყვავილეღში არიან შეკრებილი. ჯამი და გვირგვინი 5—5 წვერიანია, გვირგვინი ნათელი ყვითელი ფერისაა, მტვრიანები ძაფებზე სხედან და გვირგვინის ფუძეზე არიან მიწაგრებული; 3 მტვრიანა თეთრი (ან ჯგელიანი ძაფებითაა დაფარული, ხოლო ორი შიშველია. მისი ნაყოფი წარმოადგენს ოვალურ, ორსაგდულიან კოლოვს უაძრავი თესლით. ყვავის ჭერიფქლა იენისიდან აგვისტომდე. ნაყოფი გამოაქვს აგვისტოდან ოქტომბრამდე. ჭერიფქლას მეორე სახეობა Verbascum thapsiforme Schrad. თითქმის იგივე აგებულებისაა, როგორც უკვე აღწერილი სახეობა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ Verbascum thapsiforme Schrad. ის ღერო არასოდეს დაჯოჯილი არ არის და როგორც ღერო, ისე ფოთლები მოკეთაღა ფერისა, შებუსვილი და ბანჯვლიანია. საქართველოში გავრცელებული სახეობა Verbascum phlomoides L. უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული, განსაკუთრებით აბოხსავლეთ და ცენტრალურ კავკასიონზე (ძირითადად სამარჯეთ ოსეთში). ხოლო Verbascum thapsiforme Schrad. - დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ბათუმსა



სურ. 47. ჭერ-იუკლა (*Verbascum phlomoides* L.)

და ქუთაისში. ორივე ამ სახეობის მცენარე გვხვდება მშრალ კლდოვან ადგილსამყოფელზე, როგორც დაბლობ, ისე მთის შუა სარტყელში, რყის პირას, მდინარეთა გასწვრივ, მდელოებზე გზის გაყოლებით, მიწაყრილზე და სხვ. (სურ. 47). ქერიფქლა ჩვენი ფარ-თაქობას მე 7 გამოცემაში მოხსენებულია. მას იუენებენ სასუნთ-ქავი გზების დაავადების დროს, განსაკუთრებით ხველების დროს, როგორც ამოსახველებელ საშუალებას; გარდა ამისა, ის შედის ოფლის მომგვრელი ჩაის შემადგენლობაშიც. აგროვებენ მისი ყვა-ვილის გვირგვინის ფურცლებს (*Flores Verbasci*) ისე, რომ მათ ჯამის ფოთოლაკები არ შეჰყვეს. შეგროვებას იწყებენ მაშინ, რო-ღესაც ყვავილები სრულიად გაშლილია. შეგროვებულ მასალას ჩვეულებრივი წესით ამრობენ, მაგრამ მისი გაშრობა მოითხოვს დიდ სიზუსტეს წესების დაცვაში, რადგან ის ადვილად შავდება. მშრალ მასალას თუნოქის ყუთებში ან ქილებში ათავსებენ და მშრალ ადგილას ინახავენ. ქერიფქლას მშრალი გვირგვინის ფურ-ცლები (*Flores Verbasci*) ქიმიურად შეიცავს: ერთ მეავე საპო-ნინს, ერთ საპოგენინს, 11% ინვერტულ შაქარს, მცირეოდენ ლერწმის შაქარს. 2,5—3.5% ლორწოს, გლუკოზიდურ საღებავ ნივთიერებას. ს ლებაე ნივთიერება—კროცეტინს; მიკროქიმიურად მასში არის ჰასპერიდინი, 4—6% ნაცარი, თერზეთის კვალი, ყვი-თელი პიგმენტი. 11% ნახშირწყლები, ძმარმეავე კალიუმი და სხვ.

მთლიანი ბალახი შეიცავს ამოროფულ ნივარე ნივთიერებას. ლორწოვან ნივთიერებას, საპონინს, ფისს, ცვილს და სხვ. ქე-რიფქლას ფარმაკეტიული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Flores Verbasci*, *Species ad infusum pectorale*, *Verbascum ad usum exte-rium*, საქართველოში *Verbascum thapsiforme* Schrad. შეიძლება შეგროვდეს გუზიასა და აქარაში 1.5 ტ., იერეთში 1 ტ., სულ 2,5 ტ., ხოლო სააეობა *Verbascum phlomoides* L. სამხრეთ-ოსეთში 1 ტ., ქართლში 0,5 ტ., სულ 1,5 ტონა. ამრიგად, ქე-რიფქლას ორივე სახეობის ნედლი მასალა შეიძლება შეგროვდეს საქართველოში ყოველწლიურად 4 ტონის რაოდენობით.

რეცეპტები:

Rp.: Flor. Verbasci 10,0

Fol. Salviae 15,0

Fr Anisi vulgaris

Gemm. Pini

Rad. Althaeae  $\overline{aa}$  20,0

Rad. Liquiritiae 15,0

MDS. სუფრის კოვზი ამ ნაკრებისა

მოიხარშოს ერთ ჰიქა წყალში,

გაცივდეს და მიღებულ იქნას

ნახევარი ჩაის ჰიქის რაოდენობით

ჰამის წინ დღეში 2—3-ჯერ.

Rp.: Flor. Althaeae

Flor. Malvae vulg.

Flor. Stoechados

Flor. Verbasci  $\overline{aa}$  10,0

MDS. 2 ჩაის კოვზი ამ ნაკრებისა მოიხარშოს ერთ კიქა წყალში, გაცვივდეს და მიღებულ იქნეს დღეში 3-ჯერ ნახევარი ჩაის კიქით კანის წინ.

Rp.: Flor. Verbasci 20,0

Fol. Farfarae 40,0

Fr. Anisi vulgaris 20,0

Rad. Althaeae 8,0

Rad. Liquiritiae 30,0

Rad. Jridis 10,0

MDS. მოიხარშოს და მიღებულ იქნეს მსგავსად ზემოთ აღწერილისა.

### ძახველი—*Viburnum opulus* L.

ძახველი ეკუთვნის Caprifoliaceae-ს ბოტანიკურ ოჯახს და წარმოადგენს მოზრდილ ბუჩქს ან მცირე ზომის ხეს. რომელიც სიმაღლით 3 მეტრს არ აღემატება. მისი მღვრიე მოყვითალო ან წითელი ნაცრისფერი ყლორტები სუსტად დაკუთხულია, ხოლო გულგული ცოტად თუ ბევრად ექვესკუთხიანი. კვირტები დაფარულია ქუდისებრივი შიშველი, მღვრიე წითელი ფერის, მბრწყინავი ქერქლით. ფოთლებს დაჰყვება ძაფისებური ფოთოლთანები; პირველი, თათისებურად განკვეთილი ფოთოლი შესდგება სამი დაკბილული ნაწილაკისაგან. ფოთლის ფირფიტაზე ორი ჯირკველია, ხოლო ძირში ძაფისებრი ფოთოლთანები. სურნელოვანი აეთრი კენწრული ყვავილები შეკრებილია ქოლგისებურ ფარ-ყვავილედში; შიგნითა ყვავილები პატარა ზარისებურია, ხოლო ნაპირა ყვავილები ძალიან დიდებია, თავთავისებური და უნაყოფო. გამი და გვირგვინი ხუთი ნაწილისაგან შედგება, მტვრიანაც ხუთი აქვს. ნაყოფი წითელი კენკრაა. ძახველი ყვავილობს მაისსა და ივნისში (მაღალ მთებში ივლისშიც), ნაყოფი კი ივლისიდან



უმწიფდება. ძახველი საქართველოში გავრცელებულია როგორც მთაში, ისე ბარში, დაახლოებით მთის შუა სარტყლამდე. განსაკუთრებით ნესტიან და სველ ადგილებზე, ტყეებში და ტყიან ხეებში ბუჩქებს შორის.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ხმარობენ მის ნაყოფს, როგორც ხველების შემჩერებელ, მადის მომგვრელ და ვიტამინების შემცველ საშუალებას, ხოლო მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ მისი ქერქის (*Cortex Viburni Opuli*) ნახარშს და ექსტრაქტს საშვილოსნოდან სისხლის დენის შემთხვევებში (მეტრორაგიის, ავადყოფნის მენსტრუაციის, დისმენორეის დროს). ძახველის ქერქს აგროვებენ ადრე გაზაფხულზე, უპირატესად მარტში და აშრობენ ჩვეულებრივი წესით.

ქიმიურად ძახველის ქერქში შედის გამოურკვეველი გლუკოზიდი, გლუკოზიდი ვიბურნინი, მთრიმლავი ნივთიერება და 2% მჟავაში უხსნადი ნაცარი. არც ერთ ალკალოიდს ძახველის ქერქი არ შეიცავს, მზა მასალაში ხის მინარევები 2—5% არ უნდა აღენატებოდეს. მკურნალობის საქმეში გამოყენებულია ძახველის მეორე სახეობის (*Viburnum prunifolium* L.) ქერქიც (*Cortex Viburni prunifolii*); ის შეიცავს მოქმედ ფისოვან ნივთიერებას, რომელიც იშლება ვალერიანას მჟავად; შეიცავს 7% წყალს, 5,5% სახამებელს, 2,4% პროტეინს, 0,5% დექსტრინს, 23% უხეშ ბოქვებს, 16% პენტოზანებს, 2½ ტანიან, 1,8% ინვერტირებულ შაქარს, 0,3% სახაროზს. ჭიანჭველას მჟავას, ვალერიანას მჟავას, პალიცილის მჟავას კვალს, მჟავე ფისს. ამორფული ალკალოიდის კვალს და 4,6—7,3% ნაცარს. მზა მასალაში ხის ნაწილები არ უნდა შეადგენდეს 7% მეტს, ხოლო გარეშე მცენარეთა მინარევები 2% არ უნდა აღენატებოდეს. მისი ფარმაცევტოლი პრეპარატებია: *Decoctum Cort. Viburni*, *Extractum Viburni fluidum*, *Elixir Viburni Opuli compositum*, *Tinctura Viburni Opuli composita*, *Elixir Viburni prunifolii*, *Extractum Viburni prunifolii*, *Extractum Viburni prunifolii fluidum (Liquifitum)*, *Tinctura Viburni prunifolii*, ზოგჯერ ანზაღებენ *Mixtura dysmenorrhoeica*-ს, რომელშიც შედის: *Aminophenazonum* 3,0, *Extractum Viburni prunifolii fluidum* 10,0, *Sirupus Cinnamomi* 20,0, *Aqua destillata ad* 200,0. საქართველოში ძახველი შეიძლება დამზადდეს ყოველწლიურად დაახლოებით 3 ტონა ნედლი მასის რაოდენობით, აქედან აფხაზეთში 0.5 ტ., სვანეთში 1 ტ., რაქალეჩხუმში 1 ტ., ხოლო სამხრეთ ოსეთში 0,5 ტონა.

რეცეპტები:

Rp.: Decocti Viburni 20,0 : 200,0

Sir. Simpl. 20,0

MDS. სუფრის კოეზით დღეში 3-ჯერ.

Rp.: Extr. Viburni Opuli fl. 30,0

DS. 20-30 წვეთი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Extr. Viburni fl.

Extr. Bursae Pastoris fl.  $\frac{aa}{2}$  15,0

MDS. 30 წვეთი დღეში 3-ჯერ.

მინდვრის ია—*Viola Tricolor var. arvensis* Murr.

ია საყოველთაოდ ცნობილი ადრე გაზაჟახულის, ერთწლოვანი, ცოტად თუ ბევრად შებუსხვილი მცენარეა, რომელიც ეკუთვნის იისებრთა (Violaceae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. მისი მარტივი ან დატოტიანებული 8—25 სმ სიმაღლის ღერო სანაწიხნაგოვანია. ფოთლები ყუნწიანებია და ხორკლიანი; ფესვთანი ფოთლები კრძელყუნწიანებია, გულის მსგავსი მოყვანილობისა. ფოთოლთანები საკმაოდ დიდებია და ფრთადგანკვეთილი. კრძელყუნწიანი, კენწეროზე მოხრილი ყვავილები თითო-თითოდ სხედან ილიაში. ჯამი და გვირგვინი ხუთი ფურცლისაგან შედგება. გვირგვინის ორი ზედა ფურცელი უფრო დიდია და იისფერი, გვერდითი ფურცლები ნათელი იისფერია ან მოყვითალო, ხოლო ქვედა მკრთალი ყვითელია, მტვრიანა სამია, ამასთან ორი მათგანი დეზებიანია და გვირგვინის ქვედა ფურცლის ძირზეა დაყრდნობილი. ნასკვი ზედაა, კენწერზე გაბერილი სვეტი. იის ნაყოფი კვერცხნაირი კოლოფი უამრავი თესლით იხსნება სამი თავისებური საგდულით. ია ყვავის და ისხამს ნაყოფს აპრილიდან დაწყებული აგვისტომდე, ერთი და იგივე მცენარეზე ხშირად გვხვდება როგორც ყვავილი, ისე მწიფე ნაყოფი. საქართველოში იის ამ სახეობას ვხვდებით როგორც დაბლობში, ისე მთის შუა სარტყელში, განსაკუთრებით ტყეებში, ბუჩქებში, მდელოებზე, ნაგვიან ადგილებზე, ბაღებში, ბოსტნებში, ნათესებში, გზის პირას, ნაჩხატებში და სხვა (სურ. 48).



სურ. 48. იაფუგუნა, მრნდვრის ია (Viola tricolor L.)

ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია იის თავთავი (Flores Violarum), იის ფოთოლი (Folia Violarum), იის თესლი (Semina Violarum), იის ძირი (Radix Violarum). იის ზეთი (Oleum Violarum), იის წვენი (Succus Violarum), იის წყალი (Aqua Violarum), იის ჯულაბი (Sirupus Violarum), იის მაჯუნი, იის შარბათი და იის ზეთი, როგორც სისუსტის, ცხელების, გულის. კიპის, თვალის დაავადებათა, პირის სიმსივნის და ფილენჯის ქარის საწინააღმდეგო საშუალება. დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს: „გარეული ია, გრილი და ნედლი არის და ესეცა ეთქმის თუ მოკთადილი და შეზავებული არისო. ყოვლის სენისა და კირისა წამალი და აქიმი არისო და მწოედ მარგე ყუაილი არის. ამა იის შარბათი რომე კაცმან სვას, კაცსა ყელსა დაულობს და ხველასა უშველის“-ო. „... აგრეთვე კაცსა რომე სურაჲანდისაგან და ან სხვის სენისაგან თავპირი და თვალეზი გაუსიედეს და ან დაუშუბდეს, მოიტანეთ თეთრს იის თესლი დანაყეთ და ჭველსა ლეინოშიგა გაურიეთ და გაწურეთ, და თავპირ და თვალეზი გასიეებულსა, დაშვებულსა კაცსა ასვით და მწოედ კარგად უზამს, სიმსივნესა და დაშვებებასა ორსავე უშველის“. ჩვენში ცნობილია და ხალხურ მედიცინაში რხმარება იის მეორე სახეობა— *Viola odorata* L. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში არც პირველი და არც მეორე სახეობა აღწერილი არ არის, მაგრამ სხვა სახელმწიფოებში იას იყენებენ ჩვენი ხალხური მედიცინის მსგავსად სასუნთქაჲი გზების დაავადებათა დროს, აგრეთვე, როგორც შარდსადენ საშუალებას. ძირითადად იხმარება იის ფესვები *Radix (Rhizoma) Violae odoratae*. რომლებიც შეიცავს სალიცილმჟავას, ეთეროვან ზეთს, ვიოლაემეტინს (?), ალკალოიდ ვიოლინს (?), რომელიც ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის. მცირე დოზებში ეს ალკალოიდი იწვევს პირღებინებას და ფალარათობას, აგრეთვე კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში კრუნჩხვებსა და სიკვდილს. ნაცრის რაოდენობა მასში 12% განისაზღვრება; მისი პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Radix Violae*, *Flores Violae odoratae*, *Sirupus Violarum* და *Decoctum Violae*, რომელშიც შედის *Decoctum radiceis Violae odoratae* 1:170,0, *Liquor Ammonii anisatis* 5,0 *Sirupus simplex ad* 200,0. გარდა ფესვებისა, იყენება თვით მცენარეც, *Herba Violae tricoloris*, რომელიც შეიცავს გლუკოზიდ გაულთერინს (მიიღება სალიცილმჟავა მეთილ ესთერით დაშლის შედეგად), გლუკოზიდურ ყვითელ საღებავ ნივთიერებას ვიოლაქვერციტრინს. (*Violaquercitrinum*) ანუ იგივე რუტინს, საღებავ

ცვილს ვიოლაქსანთინს, ლურჯ საღებავ ნივთიერებას ვიოლანინს, დელფინიან-რამნოგლუკოზიდს, რომლის დაშლითაც მიიღება დელფინიდინი. გლუკოზი და რამნოზი; ის შეიცავს აგრეთვე ღვინის ქვის მუქავს, თავნებოურ მარილს, სალიცილის მუქავს, 0,29% კიტამინს, ახალ გალენიკურ პრეპარატს ტრივიოლინს (Triviolin) და 12% ნაკარს. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია: Herba Violae tricoloris (seu Herba Jaceae), Infusum Violae tricoloris; გარდა ამისა, ის შედის სხვადასხვა ნაკრებთა შემადგენლობაში. ჩვენში იის ორივე სახეობის მთლიანი ბალახის ყოველწლიური მათაგი დაახლოებით 5 ტონა ნედლ მასალას შეადგენს.

### რეცეპტები:

Rp.: Herbae Violae tricolori 25,0  
 DS. ბოიხარშოს როგორც ჩაი და  
 დაილიოს სუფრის კოვზით  
 დღეში 3—5-ჯერ.

Rp.: Inf. herbae Violae tricolori  
 20,0 : 200,0  
 DS. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ.

Rp.: Herbae Violae tricolori 20,0  
 Fol. herbae Bidentis tripartitae  
 conc. 20,0  
 Stip. Dulcamarae conc. 5,0  
 M. f. Species  
 DS მოიხარშოს ერთ კიქა წყალში და  
 დაილიოს სუფრის კოვზით  
 დღეში 3—4-ჯერ.

### ფითრი—Viscum album L.

ფითრი საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი მარადმწვანე, მრავალწლოვანი პარაზიტი მცენარეა, რომელიც ხეზე (ვაშლზე, მსხალზე, მუხაზე და სხვ.) პარაზიტობს. ის ეკუთვნის (Loran-  
 rhaceae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება სფეროსებრი ქორ-  
 ბუდით; ქორბუდის სიმრგვალე დაკავშირებულია მისი მოყვითა-  
 ლო მწვანე ღეროების ხშირ დიქოტომურ დატოტიანებასთან.

მოგრძო თათისებური კიდემთლიანი ფოთლები ერთიმეორის პირისპირ სხედან და ზამთრობით არ ცვივიან. ფითრი ორსახლიანი მცენარეა. მისი მოყვითალო მწვანე ყვავილები მჯდომარეებია, მამრობითი ყვავილები წარმოდგენილია ოთხნაწილაკიანი ყვავილსაფარით, რომლის შიგნით ოთხი მჯდომარე მტვრიანაა. მდედრობითი ყვავილები ოთხკბილა ყვავილსაფარიანია და ქვედა ნასკვიანი, რომელზედაც დინჯი ზის. ნაყოფი ფითრი, ბურთისებური ერთთესლიანი კეპკაა წებოვანი სირბილით. ფითრი ყვავის მარტიდან დაწყებული მაისის ბოლომდე, ნაყოფობს აგვისტოდან ოქტომბრის ბოლომდე. ქართულ ხალხურ მედიცინაში ფითრი ეპილფსიის საწინააღმდეგო საშუალებად აღიარებული, ხოლო საბჭოთა მეცნიერულ მედიცინაში ფითრისაგან მიიღეს პრეპარატი ვისკულენი (*Visculen*), რომელიც მოწოდებულია როგორც სისხლის დენის შემაჩერებელი და ჰიპერტონიის შემთხვევაში წნევის ნორმაში მომყვანი საშუალება. ფითრის ფოთოლი შეიცავს ოლეანოლმჟავა საპოგენინს, ურზონს, ოლეანოლს, ვისკუმჟავას, ინოზიტს, 0,05% მშრალ ნივთიერებას, შაქარს, ფისს, სახამებელს, ცხიმზეთს, მწარე, მთრიმლავ და ცილოვან ნივთიერებას, მინერალურ მარილებს, წებოვან, ფისოვან ნივთიერებას ვისცინს (*Viscinum*) და 7,8—10,2% ნაცარს. მის კენკრაში მოიპოვება შაქარი—ინოზიტი, ურზონი, ვისცინი, ვისცირგენი, ცვილოვანი ალკოპოლი, ქოლინი, მწარე ნივთიერება, პალმიტინის მჟავა, ნაცარი 4,8—6,2%, ლორწო (ვისცინი, ვისკაუჩინი), რომელშიც კაუჩუკი არ შედის და მხოლოდ ცელულოზის შემცველ ლორწოსაგან შედგება; ფითრის ახალი კენკრები და ფოთლები შეიცავს რძეწვეს, რომელიც შედგება თავისუფალ ძმარმჟავას. მანიტის, მაგნეზიუმლაკტატის და პროპიონილქოლინისაგან (*Mil-Her*). ქართველი პროფესორის ნინო ციციშვილის კვლევათა საფუძველზე ფითრში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით C ვიტამინი. ფითრის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Stipites Viscium Foliis* (seu *Viscum album* seu *Lignum Visci*), *Pulvis anti-epilepticus Baldingeri*, *Pulvis anti-epilepticus Marchionis*, *Oleum Santali*, *Extracti Visci albi fl.*, *Visculen*, *Extracti Visci stabilisati*, *Extractum Visci fluidum*. ყველა ჩამოთვლილ პრეპარატებს იღებენ ფითრის ფოთლებიდან (*Folia visci*), ახალგაზრდა ტოტებიდან—ფოთლებითა და ყვავილებით (*Herba Visci albi*), მისი უფოთლო ღერო და ტოტებიდან (*Stipites Visci* seu *Visci Caulis*). თუ ფითრის ახალი ფოთლების ნაყენს პლენოზოლს—(*Plenozol*) 0,1 ccმ შეეუშხაპუნებთ შინაურ კურდღელს კანქვეშ, ის გამოიწვი-

ვეს კანის ნეკროზს. ამ პრეპარატს იყენებენ ართროზების და ავთვისებიანი სიმსივნეების (კიბოს) წინააღმდეგ. მისი გამოყენება, ჩვენი აზრით, დეტალურ შესწავლას მოითხოვს. ფითრის ფოთლებსა და ლეროებს აგროვებენ გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში და ჩვეულებრივი წესით აშრობენ. საქართველოში ფითრის შეგროვება დაახლოებით 4—5 ტონის რაოდენობით შეიძლება.

### რეცეპტები:

Rp.: Decocti Visci albi  
6,0—8,0 : 200,0  
DS. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ.


Rp.: Visculeni 10,0  
DS. 20 წვეთი დღეში 3-ჯერ.

### გაგეღ უჩაბული მცენარეები

კოთხოჯი—*Acorus calamus* L.

ლამბერტის მონაცემებით ამ მცენარეს ქართველები ნარგიზ-საც უწოდებენ. სიმაღლით ეს მცენარე დაახლოებით 60 სმ და იშვიათად ერთ მეტრს აღწევს; იგი ნიუკასებრთა (*Araceae*-ეს) ოჯახს ეკუთვნის, ხასიათდება ჩაღრმავებული საყვავილე ლეროთი. წვრილი შუბისებური ან ვიწრო ხაზურა ფოთლებით, მხოხავი ფესვურებითა და მომწვანო-მოყვითალო ფერის ტარო ყვავილედით. კოთხოჯი წარმოადგენს აღმოსავლეთ-აზიურ სუბტროპიკულ გეოგრაფიულ ტიპს, რომელიც გვხვდება კოლხეთის ქაობებში, სახელდობრ ფოთის (პალიასტომი) და აქარის (ციხის ძირი) ტბასა და ქაობებში, სადაც ის წმინდა დაჯგუფებას ჰქმნის ანდა შერეულია ქაობის ან ტბის სხვა მცენარეებთან.

სამეგრელოში კოთხოჯი დიდი ხანია ითვლება საუკეთესო საშუალებად სისხლის დენის შესაჩერებლად და კრილობათა შესახორცებლად, რის გამო მის გამშრალ ფესვურებს, თანახმად ლამბერტის გადმოცემისა, მეგრელები ქისით ატარებდნენ და საჭიროებისამებრ იყენებდნენ. დღეს კი მეცნიერულ მედიცინაში მას იყენებენ მხოლოდ როგორც მადას მომგვრელ საშუალებას. ის შესულია საბჭოთა კავშირის ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში, გვხვდება შვეიცარიის, გერმანიის, იტალიის, იუგოსლავიის, ნორ-



სურ. 49 კობოჯი (*Acorus calamus* L.).



ვეგის, ბოსნიის, ნიდერლანდების და ბრაზილიის ფარმაკოპეა-შიც. კოთხოჯის ფესვურები უნდა შეგროვდეს შემოდგომაზე, განთავისუფლდეს მიწისზედა ნაწილებისაგან, ცივი წყლით გაირეცხოს და გაშრეს უმზეო ადგილას. მისი მარაგი საქართველოში მშრალ წონაში 0,5 ტონით განისაზღვრება, რაც საჭიროებს მისი ფესვურების 1,5 ტონა ნედლ მათას. კოთხოჯის მშრალი ფესვურები კიმიურად შეიცავს ტრიმეთილამინს, დიმეთილამინს, მეთილამინს, დექსტროზს 0,8%, ეთერზეთებს 2,5% და ნაცარს 3—5%. მისი ფარმაკეპტული პრეპარატებია: Oleum calami, Spiritus Calami, Tinctura Calami.

კოთხოჯის ფესვურები (Rhizoma Calami) ზოგჯერ გადახლართულია ქაობის სხვა მცენარეთა ფესვურებთან, რაც აძნელებს მათ შეგროვებას; ამიტომ უმჯობესია კოთხოჯის უფრო სუფთა მასივებს (დაჯგუფების) შერჩევა.

რეცეპტები:

- Rp.: T-rae Calami 10,0  
 DS. 15 წვეთი 3-ჯერ დღეში  
 საქმლის მიღების წინ 15  
 წუთით აღრე.
- Rp.: T-rae Calami  
 T-rae amarae  $\frac{10}{10}$  10,0  
 MDS. 15—20 წვეთი დღეში  
 სამჯერ საქმლის მიღების  
 წინ 15 წუთით აღრე.
- Rp.: Rhiz. Calami  
 Cort. Rhamni Frangulae  $\frac{30}{30}$  30,0  
 Fol. Menthae pip. . . . . 20,0  
 Fol. Urticae . . . . . 30,0  
 Rad. Taraxaci  
 Rad. Valerianae . . . .  $\frac{10}{10}$  10,0  
 M. f. Species  
 DS. 2 სუფრის კოვზი ამ ნარევისა უნდა მოიხარ-  
 შოს 2 ჩაის კიკა წყალში. 10 წუთის დუღი-  
 ლის შემდეგ უნდა გაცივდეს და მიღებულ  
 იქნეს დილით ან საღამოთი ნახევარი ჩაის  
 კიკის ოდენობით გაუვალობისა და გაზების  
 დაგროვების (მეტეორიზმის) დროს.

**მურალა—*Ailanthus altissima* (Mill.) Swingle-A.  
globulus Dsf.**

ეს გაველურებული მცენარე ერთადერთი წარმომადგენელია (Simarubaceae-ს) ბოტანიკური ოჯახისა, რომელიც იზრდება ჩვენში და ხშირად 20—25 მეტრის სიმაღლეს აღწევს. მურალა, ანუ გველის ხე, ხასიათდება ქრელი ღეროთი და კენტგრთართული ფოთლებით, რომელთა ფოთოლაკები ყუნწის ფუძესთან გულნაირია ან ლანცეტისმაგვარი. მომწვანო თეთრი ყვავილები, რომლებსაც არასასიამოვნო სუნი აქვთ, საგველა ყვავილედშია შეკრებილი. მურალას სამშობლო ჩინეთია, საიდანაც ის შემოიტანეს ჩვენში როგორც სადეკორაციო მცენარე. ის სავსებით შეეგუა საქართველოს პირობებს და მოკლე ხანში გაველურდა კიდევ. ის გვხვდება როგორც კლდიან, მშრალ, ქსეროფიტულ, ისე ნესტიან ნიადაგზე მცენარეთა მრავალფეროვან ცენოზში. ჩვენში ამ მცენარეს სამედიცინო გამოყენება არა აქვს და ჩვენს ფარმაცოპიაში ის მოხსენებული არ არის, მაგრამ თავის სამშობლოში მას იყენებენ როგორც მწარეს, ქიის დაძღენ და დიზენტერიის საწინააღმდეგო საშუალებას. ეს მცენარე შეიცავს კვასიინს (Quassin), ანუ აილანთინს (Ailanthin), ფოთლებში 12% მთრიმლავი ნივთიერებაა. ქერქი შეიცავს მწარე ნივთიერებას, მთრიმლავ ნივთიერებას და ფლონაფენს. მკურნალობის მიზნით აგროვებენ მის ქერქს ადრე გაზაფხულზე, კვირტების გაშლამდე. ჩვენში მისი ყოველწლიური მარაკი 2—3 ტონით განისაზღვრება.

**ნუში—*Amygdalus communis* L. (*Prunus Amygdalus*  
Stok.)**

ეს კულტურული, ხშირად გაველურებული მცენარე წარმომადგენს საშუალო ტანის ხეს, რომელიც ვარდნაირთა (Rosaceae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის და ხასიათდება ღეროზე მორიგეობით განლაგებული ლანკეტა, ყუნწიანი, შიშველი ფოთლებით წვრილკბილა კიდევებით. რომლებიც ზოგჯერ ჯგუფურად სხედან მოკლე ყლორტებზე. თეთრი ან ნათელი წითელი ფერის ყვავილები თითო-თითოდ სხედან ყუნწებზე; ჯამი და გვირგვინი შესდგება 5 ფოთოლაკისაგან, მტვრიანა მრავალია. მას ახასიათებს ორი ვარიაციის კურკიანი ნაყოფი: ტკბილი ნუში (*Amygdalus communis* var. *dulcis*) და მწარე ნუში (*Amygdalus communis* var. *amara*), რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ქიმიური

შენცველობით, მაგრამ სამედიცინო მიზნებისათვის ორივე სახეობა ვარგა. ქიმიური შემცველობის სათანადოდ შესწავლის შემდეგ მკურნალობის საქმეში შეიძლება გამოვიყენოთ ქართული ქონდარა ნუშიც (*Amygdalus georgica* Desf.), რომელიც ჩვენში ველურად ხარობს ნუში უფრო ნესტიან ადგილებს ეტანება, მაგრამ კარგად ეგუება მშრალ პირობებსაც. ჩვენში ის ყვავის თებერვლის შუა რიცხვიდან. ქართულ ხალხურ მედიცინაში ნუშს იცოდავითვე დიდი გამოყენება ჰქონდა, ამიტომაც, რომ მისი ხმარების წესები ყველაზე უფრო ვრცელადაა მოყვანილი ყველა ქართულ კარაბადინებსა და სააქიმო წიგნებში. მეცნიერულ მედიცინაში ის პოეებს გამოყენებას. როგორც გარშემომელები საშუალება. ნაზი საფალარათო, ტკივილების დაძაყუჩებელი და მატონიზირებელი. ნუში შეტანილია მსოფლიოს თითქმის ყველა ფარმაკოპეიაში. მკურნალობის საქმეში გამოყენებას პოეებს ოოგორც მწარე, ისე ტკბილი ნუშის თესლი (*Semen Amygdali amarae et Semen Amygdali dulcis*), რომლის ქიმიური შენცველობა ასეთია: ცხიმზეთი 50—62% (დამუშავებული ცხიმზეთის რაოდენობა 35—38% უდრის). 2,5—3,5% მწარე გლუკოზიდი ამიგდალინი, 2,8—4% არათავისუფალი ლილისფერი მჟავა (რომელშიაც ენზირი ემულსინი გლიკობიოზთან ანუ გენციობიოზთან არის), ნუშის მჟავა ნიტრილი, ნუშის ნიტრილგლუკოზიდი და გლუკოზი (ნუშის ცხიმზეთის ენზიმამიგდალაზის საბოლოო პროდუქტი არის ბენზალდეჰიდი და გლუკოზი). ნუშის გული შეიცავს 0,25%—HCN-ს. მისი პრეპარატებია: Aqua Amygdalarum amararum, Sirupus Amygdalarum, Solutio Benzaldehyd cyanhydrini, Spiritus Amygdalae amarae, Amygdalae dulces, რომელშიც შედის 45—67% (უფრო ხშირად 45—65%) ცხიმზეთი, მცირეოდენი გლუკოზი, 2—3% სახაროზი, 3,1—3,8% ბენტოზანი, გლუკოზიდი და ენზიმებიდან: ემულსინი, ცელულაზი, ლაქტაზი, ნიფთიერებანი—ქოლესტერინი, ასპარაგინი, პროტეიდ ამანდინი; გარდა ამისა, ნუშის გულში შედის კონგლუტინი, ლეგუმინი, ფიტულინი, პექტონი და ალბუმოზები, რომელთა რაოდენობა ერთად 0,25% უდრის, 0,1% ამიგდალინი, 2,5—3,5% ნაცარი (*Oleum Amygdalarum, Acidum Amygdalarum*), ნუშის, ანუ ფენილგლიკოლის, მჟავა. გარდა ამისა, ნასში შედის *Calcii Amygdalas* (იგივე ნუშის მჟავა კალციფენი). გერმანიაში ნუშის თესლიდან დამზადებულ იქნა პრეპარატი ასტა (*Mandelata „Asta“*), რომელიც წარმოადგენს ნუშის-მჟავა მარილს და მსგავსად ნუშისმჟავასი საშარდე გზების, კოლი-ინფექციების დროს იხმარება დასასრულ, ვენის ფარმაკოქიმიურმა ქარხანამ გამოუშვა ამჟღებში პრეპარატი მანდიცილი

(Mandicid), რომელსაც იყენებენ საშარდე გზების ინფექციების (Pyelitis, Cystitis) დროს და თირკმლების ტკივილების შემთხვევაში. იყენებენ მას ნადღებების სახითაც. ჩვენში, განსაკუთრებით ქართლში (თბილისის მიდამოების ჩათვლით) და ნაწილობრივ კახეთში ნუშის თესლის დამზადება ყოველწლიურად 1 ტონამდე შეიძლება, ხოლო ნუშის მოშენებისათვის საქართველოში ყოველგვარი შესაძლებლობაა.

### რეცეპტები:

- Rp.: Emuls. Amygdalari dulc. 200,0  
DS. თითო სუფრის კოვნი 3-ჯერ დღეში.
- Rp.: Emuls. Amygdalari dulc. 200,0  
Amygdalini 0,2  
MDS. თითო სუფრის კოვნი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: Emuls. Ol. Amygdalari dulc. 200,0  
DS. თითო სუფრის კოვნი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: Aq. Amygdalar. amar. 5,0  
T-rae Valerianae 10,0  
Natrii bromati 5,0  
MDS. 15 წვეთი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: Inf. Valerianae 6,0:200,0  
Aq. Amygdalari amarari 3,0  
MDS. თითო სუფრის კოვნი დღეში სამჯერ.
- Rp.: Aq. Amygdalari amarari  
T-rae Convallariae majalis  $\frac{1}{2}$  10,0  
MDS. 15 წვეთი დღეში 3-ჯერ.

კამა—Anethum graveolens L.

კამა, ერთ ნეტრამდე სიმაღლის მცენარე, გაერთიანებულია ქოლგოსანთა (Umbelliferae-ეს) ბოტანიკურ ოჯახში. მისი სამმაგ ფრთადგანკვეთილი ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული ღეროზე და მიმაგრების ადგილას ვაგინით ბოლოვდება. პატარა ყვითელი ყვავილები შეკრებილია რთულ ქოლგა ყვავილედში. 3—7 მმ სიგრძის ნაყოფი ხასიათდება არო-

მატული სუნით, სასიამოვნო გემოთი და ბოლოს მწველ შეგრძნებას ტოვებს. ეს მკენარე ჩვენში წმინდა საბოსტნე კულტურაა, მაგრამ ხშირად გაველურებულიც გვხვდება.

უძველეს ქართულ ხალხურ მედიცინაში კამა ცნობილია შიბითისა და რაზიანას სახელწოდებით; რაზიანას ძირი (*Radix Anethi*), რაზიანას წვენი (*Succus Anethi*), რაზიანას თესლი (*Semina Anethi*) და რაზიანას ძირის ქერქი იხმარებოდა თვალის დაავადებათა პრაქტიკაში, აგრეთვე როგორც შარდსადენი და სარძევე ჯირკვლებში რძის ჩაშენებელი საშუალება. დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს რაზიანას მრავალნაირ მკურნალობით თვისებებზე: „რაზიანას თესლი, შიბითიც ამასვე ჰქუიან, ვითამცა და ცერეცო, მხურვალი და ხმელი არის, კაცისა და სტომაქსა და მუცელშიგა რაც ქარია ყუელას დაღეწს და გაუგდებს და ესე რაზიანა რომე კაცმან დანაყოს, წყალი გამოჰხადოს და გაციებულსა კაცსა ასეან ზაშინვე ციებას უშველის, ვინც ესე ცერეცო ჰამოს, და ან ამისი წვენი სვას, შარდზედა გახსნის, თუ ღედაკაცმან ჰამოს ბევრი რძე ჩაუყენოს“.

„კაცსა რომე სიგრილისა და სიცივისაგან თავი სტკიოდეს და ამა ცერეცოს წვენი გაათბოს და შეიცხოს, თავის ტკივილი უშველოს“.

„ვინცა რაზიანას წვენი თვალშიგა გამოიელოს, თვალთა სინათლისათვის კარგი არის, და თვალშიგა დამალიდაღმან შავსა წყალსა აღარ ჩამოუშვებს და აქიმთა და მეცნიერთა კაცთა ასრეცა უთქუამს: გაზაფხულის პირზედა, ზთვარიანსა ღამეა, გველი ველარასფერს ვერა დაინახავსო და თვალთა დაუბნელდების და თვალნი აუქრელდებისო, მერმე ამა ცერეცოსა თვალზედა მიისვამს მოისვამსო და მასუკან როგორც ღლისივ ისრევე ღამით დაინახავსო. ცერეცოს ამდენი ხასიათი აქუს და თვალთა ამდენსა სინათლესა მატებს და ყოვლისა ბალღაქისა და გრილის სენის წამალი და აქიმი არისო“.

ღღესღღეობით ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში ის მოხსენებული არ არის, მაგრამ ზოგიერთ სხვა ფარმაკოპეაში ის მოყვანილია როგორც შარდსადენი და ბუასილის საწინააღმდეგო საშუალება. კამის ნაყოფის (*Fructus Anethi*) ქიმიური შემცველობა ასეთია: ეთერზეთი 8%, ცხიბზეთი 18%, 15,5% ცილოვანი ნივთიერებანი და 11% ნაცარი. ძირითადად იხმარება მცენარის ახალი წვენი და *Aqua Anethi concentrata*, *Aqua Anethi destillata*.

საქართველოში კამას მთლიანი მცენარე და თესლი ადვილად დამზადდება აფხაზეთში, ქუთაისსა და თბილისში.


**პირშუშხა**—*Armoracia lapathifolia* Gilib. (*Cochlearia armoracia* L., *Nasturtium armoracia* (L.) F. Schultz.)

პირშუშხა ჯვაროსანთა (*Cruciferae*-ეს) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია და გვხვდება საქართველოში როგორც კულტურაში, ისე გაველურებული, განსაკუთრებით აფხაზეთსა და რაქაში. პირშუშხა 50—150 სმ სიმაღლის დატოტიანებული მცენარეა, დიდი და გრძელი, ფუძესთან გულნაირი ფესვთანი ფოთლებით. ღეროზე ქვედა ფოთლები ფრთადგანკვეთილებია ან ფრთადაყოფილი, ხოლო ზედა ფოთლები კი ხაზურაა. ყვავილის გვირგვინი 6 მმ-ის სიგრძისაა, კოტაკებიც 5—6 მმ სიგრძეს აღწევს. ჩვენი ხალხი ხმარობს პირშუშხას მადის მომგვრელად და ზოგჯერ მდოგვის ნაცვლად გარედან კანის გაღიზიანების მიზნით. საბჭოთა ფარმაცოპეას მე-7 გამოცემაში ეს მცენარე მოხსენებული არ არის. მაგრამ ზოგიერთ სხვა ფარმაცოპეაში მას იყენებენ როგორც *Antiscorbutica*, *diuretica*, *astma pituitosum*, *expectorantia* და სხვა საშუალებას. იხმარება ყვავილობის პერიოდში მყოფი მცენარე *Herba Cochleariae recens*, *Radix Armoraciae recens* და *Succus recens Armoraciae*. ქიმიურად მასში შედის ზენფოლი (რომელიც ცხვირისა და თვალების გამაღიზიანებლად ითვლება), მროზინი, გლუკოზიდი, გლიკოკოხლეარინი (რომლიდანაც მიიღება—ბუტილზენფოლი), სახაროზი, ასპარაგინი, გლუტამინი, არგინინი, ალოქსურბაზენი, ფისი, მთრიმლავი ნივთიერება, მინერალური ნივთიერება—ლიმონენი, C ვიტამინი, ოქსიდაზი, ორგანული გოგირდნაერთები, როდნაკავშირები და 10% ნაცარი. მისი ფესვები მდიდარია ვიტამინებით, ალიზენფოლით (0,15—0,20%). ფენილეთილზენფოლითა და ფენილპროპილზენფოლით. პირშუშხას საექიმო ფორმებიდან აღსანიშნავია: *Sirupus Armoraciae compositus* (*Sirupus antiscorbuticus*), *Sirupus Armoraciae iodatis* და *Unguentum Armoraciae*. მისი მეორე სახეობიდან *Cochlearia officinalis* მიღებულია პრეპარატები: *Spiritus Cochleariae* და *Alcoholatum Cochleariae compositum*. ჩვენში პირშუშხას მოშენება აღვილია, რადგან ჩვენს კლიმატურ პირობებს ის შესანიშნავად ეკუთება. ხოლო ველურად მისი შეგროვება 0,5 ტონის რაოდენობით შეიძლება.

ცერეცო—*Foeniculum vulgare* Mill. (*Foeniculum officinale*  
All., *Foeniculum capillaceum* Gilib.)

ამ მცენარეს საქართველოს ყველა კუთხეში თითქმის ყველგან ერთი და იგივე სახელწოდებით იცნობენ. ცერეცო მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა დამახასიათებელი ვაგინიანი, მრავალჯერ ფრთადგანკვეთილი, გრძელი, ზოგჯერ ძაფისებური ფოთლებით. რომელიც ეკუთვნის ქოლგოსანთა (*Umbelliferae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება ზოგჯერ ორ მეტრამდე სიმაღლის სწომღდგომი, ცილინდრული და შეუბუსავი ღეროთი. ის ივითარებს რთულ ქოლგა ყვავილედს, რომელშიც შეკრებილია პატარა ყვითელი ყვავილები, ხუთფურცლიანი გვირგვინით და ხუთი მტკრიანათი, ქვედა ნასკვით. ნაყოფი წარმოადგენს ორ მოგრძო. 5—7 მმ სიგრძის თესლურას. ცერეცო ყვავის ივნისიდან აგვისტომდე. ზოლო ნაყოფი სექტემბერსა და ოქტომბერში გამოაქვს. ის ხარობს ნესტიან, სილნარ ნიადაგზე, განსაკუთრებით მდინარის ნაპირებზე. დასავლეთ საქართველოში ამ მცენარეს ნახავთ როგორც რუდერალური სახით, ისე გავლურებულსაც, მაგრამ მეტწილად ის წაინც ბოსტნებში მოჰყავთ.

საქართველოში ცერეცოს კამის მსგავსად იყენებენ და ხშირად ისინი ერთიმეორეში ერევათ კიდევ. უფრო ხშირად მას ზველების დროს და გაცივებულობისას ხარშავენ და სვამენ. მეცნიერულ მედიცინაში ეს მცენარე თითქმის ყველგან გამოყენებული და მოხსენებულია ჩვენი სახელმწიფო ფარმაცოპეას მე-7 გამოცემაშიც, როგორც საქმლის მომწელებელი სისტემის მომწესრიგებელი და ამოსახველებელი საშუალება. გარდა ამისა, ის შედის გალენური პრეპარატების შემადგენლობაშიც; იხმარება ამ მცენარის ნაყოფი (*Fructus Foeniculi*), რომლის ქიმიური შემცველობა ასეთია: 4—6% ეთერზეთი, რომელშიც 50—60% ანეთოლია, 15% ცხიმზეთი, ორგანული მჟავები, ცილოვანი ნივთიერება, შაქარი, 1,5—5,5% ტკბილი ფენიკული, 3,2—4,8% მწარეები, 8—12% ნაცარი, 1,5% მჟავაში უხსნადი ნაცარი. ცერეცოს ზეთი შედგება ეტონისაგან, რომელსაც მარჯვენა ფენხონს უწოდებენ და ტერეპენისაგან, რომელსაც მარჯვენა ფელანდრენი ეწოდება. გარდა აღნიშნულისა, ამ მცენარის ზეთი შეიცავს უმნიშვნელო რაოდენობით ტერპენებსაც: მარჯვენა პინენს და დიპენტენს. ამ მცენარეს აშირად უნიშნავენ სარძევე ჯირკვლებში რძის მომატების მიზნით და აგრეთვე სხვა წამლებისათვის გემოს მისაცემად. ცერეცოს პრეპარატიდან აღსანიშნავია: *Pulvis Liquiritiae compositae*.



სურ. 50. ღიღი კაზა, ცერეცო (*Foeniculum vulgare* Mill.).



Pulvis Magnesiae cum Rheo, Aqua Foeniculi, Eleosaccharum Foeniculi. საზღვარგარეთ იყენებენ როგორც თესლს, აგრეთვე მთლიან ბალახსაც (Herba Foeniculi) და მათგან ამზადებენ შემდეგ პრეპარატებს: Oleum Foeniculi (aethercum), Mel Foeniculi Sirupus Foeniculi, Species carminativae, Tinctura Foeniculi. ამ მცენარის მარაგი საქართველოში დაახლოებით ასე შეიძლება გამოიხატოს: იმერეთი 0,3 ტ., გურია 0,3 ტ., აქარა 0,2 ტ., საბეგრელო 0,3, ტ., აფხაზეთი კი 0,4 ტ., მთლიანად 1,5 ტონა.

### რეცეპტები:

Rp.: Sem. Foeniculi  
Fol. Menthae  
Rad. Valerianae  $\overline{aa}$  25,0

MDS. ორი სუფრის კოვზის რაოდენობა მოიხარშოს 1 ჭიქა წყალში და დაილიოს დილასალამოს თითო ჭიქა.

Rp.: Magnesiae carbon. 50,0  
Rad. Rhei pulv. 15,0  
Eleosacchari Foeniculi 35,0

MDS. მცირეოდენი რაოდენობა, დანის წვერით, რაც აიღება დილა-სალამოს. ისევე იხმარება, როგორც Pulvis Magnesia cum Rheo.

Rp.: Aq. Foeniculi 200,0  
DS. ბავშვებისათვის თითო ჩაის კოვზით კვების დაწყებამდე.

Rp.: Sem. Foeniculi  
Sem. Carvi  $\overline{aa}$  10,0  
Flor. Chamomillae  
Fol. Menthae  
Rad. Valerianae  $\overline{aa}$  20,0

MDS. 2 ჩაის კოვზის რაოდენობით მოიხარშოს მსგავსად ჩაისა ერთ ჭიქა წყალში და თბილი სახით დაილიოს თითო ჭიქა დილა-სალამოს.

ეს კულტურული მცენარე, რომელსაც უწოდებენ აგრეთვე ნიგოზს, ველურად ხარობს საქართველოს ტყეებში და დღესაც საკმაოდ დიდ მასივებს იძლევა, თუმცა წინათ მისი მასივები გაცილებით უკრო დიდი ყოფილა. კაკალს ხის განადგურებას ხელი შეუწყო მისი მერქანის, როგორც საუკეთესო ავეჯის მასალის, მაღალმა ღირებამ. თემურ ლენგმა საქართველოში ვენახებთან ერთად კაკლის ტყეების გაჩეხვაც ბრძანა. კაკალი მაღალი მსხვილი ხეა, მეტად გაშლილი ქორბუდით. ის ეკუთვნის კაკლისებრთა (*Juglandaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება მსხვილი რთული ფოთლით. რომელიც შედგება 3—5 წყვილი მოგრძო, კვერცხნაირი, თითქმის კიდემთლიანი ფოთოლაკისაგან; მას უფითარდება პატარა, მწვანე. ერთსქესიანი და ერთსახლიანი ყვავილები 6 წილაკიანი ყვავილსაფარით. მამრობითი მქადა ყვავილები 12—18 მტვრიანათი ვითარდებიან წარსული წლის ყლორტებზე. მდედრობითი ყვავილები ქვედა ნასკვიანებია და ორი დიდი განიერი დანგიით ხასიათდება; ისინი თითო-თითოდაა მოთავსებული იმავე წლის გაზაფხულის ყლორტებზე და იშვიათად იკრიბებიან ყვავილედში. ნაყოფი წარმოადგენს მსხვილ კაკალს, რომელიც გარედან დაფარულია მწვანე, მაგარი, ხორციანი პერიკარპიუმით. კაკლის ხე ყვავის მაისის პირველ რიცხვებიდან ივნისის ბოლომდე და ნაყოფობს სექტემბერში. ჩვენში ეს მცენარე კულტურაში მოჰყავთ, მაგრამ ენგურზე და ალაზნის ველზე ის გავლურებულია და ძალიან დიდ მასივებსა ჰქმნის (აკად. ნ. კეცხოველი). ქართველი ხალხი კაკალს დიდი ხანია იყენებს როგორც საუკეთესო სანელებელს და საკვებ საშუალებას, რაც აიხსნება მისი ნაყოფის დიდი ცხიმინობით. გარდა ამისა, ჩვენი ხალხი აწერს კაკალს სიცოცხლის გახანგრძლივების უნარს—ვინც ხშირად ჭამს კაკალს თმა გვიანამდე არ უთეთრდება და სახის კანი გვიანამდე არ უნაოქდებაო. ერეკლე მეფე ურჩევდა საბრძოლველად მომზადებულ ლაშქარს კაკლის ჩურჩხელას გვიანობამდე გამოზოგვას, ვინაიდან ის მეტად ყუათიანი საკვები და ამასთან კრილობის შემხორცებელი საშუალებაა. თავისი ყუათიანობით კაკლის ჩურჩხელა არაფრით ჩამოუვარდება შოკოლადს და ზოგჯერ სჯობია კიდევ მას. ის შეიცავს ადამიანის არსებობისათვის და მუშაობისათვის აუცილებელ ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს. ნახშირწყლებიდან ჩურჩხელაში ყველაზე მეტია გლუკოზი, რომელიც აუცილებელია ჩვენი კუნთების მუშაობისათვის; ცხიმები დიდი რაოდენობით მოიპოვება თვით კაკალში, ხო-

ლო ცილები კი იმ პურის ფქვილის თათარაშია, რომელშიც ავლებენ ჩურჩხელას. ჩენი ხალხი იყენებს კაკლის წენგოს მალარიის დროს, ამძალებულ ნაყოფისაგან ამზადებენ მძალეს, რომელსაც ამარობენ კუქის წყლულის წინააღმდეგ, ხოლო სიყვითლის (Jeterus) შემთავებებში იღებენ კიტრა ვაშლს და კაკლის ხის ფულუროში ჩამდგარ წყალს ან მტვერს თანაბარი რაოდენობით, ურევვენ სამ ლიტრ ღვინოში, აღუღებენ უხმარ ქოთანში, სანამ ერთ ლიტრაზე არ დადგება, აცივებენ და შემდეგ ასმევენ ავადმყოფს ღღეში 3-ჯერ თითო ჩაის კიქას. როგორც სოფლის მკურნალები. ისე ზოგიერთი ექიმები ამტკიცებენ, რომ ამ წამლით სიყვითლიანი ავადმყოფი 2—3 ღღეში იკურნებაო. კაკლის წენგოდან კეთდება საღებავი და მაღალი ღირსების მურაბა. კაკლის სამკურნალო თვისებები მოხსენებული აქვს როგორც დავით ბატონიშვილს. ისე ქანანელს. დავით ბატონიშვილი კაკლის ზეთს და ნაყოფს ურჩევს ფილენჯის დროს, ხოლო ფილტვების დაავადების დროს ის უნიშნავს კაკლის ფოთოლს საყნოსველად. გულის რევმისა და ლებინების წინააღმდეგ დავით ბატონიშვილი ასეთ დარიგებას გვაძლევს: „აწე თუ რწყევა მწოველ მისქირდეს და ველარამ ფეო მან სხვამ წამალმან რწყევა ველარ დაუქიროს, მოიტანე ნიგუზის წენგო, დანაყე და წვენი გამოჰხადე და ამისი წვენი პირშიგა იმგვიბონ და მაშინვე რწყევას მოჰკვეთს და უკუუგდებს“. ქანანელი უნიშნავს კაკლის ზეთს გულის დაავადებათა წინააღმდეგ: „თუ გულის ტკივილი სიგრილისაგან იყოს ესე წამალიცა აქამეთ სადაფისა ფურცელი, ნიგუზისა ზეთი და ცოტა თაფლი გაურიონ და შეაკამონ და მუჟარეხი მაჯუნითა შეაკამონ, რომე გული გაუნხიარულოს“.

წინანდელ ჩვენს ფარმაკოპეაში ეს მცენარე მოხსენებული იყო, მაგრამ სახელმწიფო ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში ის შეტანილი არ არის. სხვა სახელმწიფოების მეცნიერულ მედიცინაში და საექიმო წიგნებში კაკალი დღესაც გამოყენებულია როგორც ნაყენების სახით რახიტისა და ექსუდაციური დიათეზის დროს. ისე აბაზანებისა და საფენების სახით; იხმარება ის საყმაწვილოს დროსაც და შემკვრელადაც. აგროვებენ (აღრე გაზაფხულზე) ამ ნიკნარის ფოთლებს (Folia Juglandis), უპირატესად კენტ ფოთოლაკებს, ვინაიდან სხვა ფოთოლაკებში და ძველ ფოთლებში იუგლონი არ მოიპოვება. აგროვებენ აგრეთვე კაკლის წენგოსაც, რომელიც ახალი და მწვანე ფერის უნდა იყოს (Cortex Juglandis, Fructus et Folia Juglandis). მისი მშრალი ფოთლები ქიმიურად

შეიცავს ადვილად ცვალებად ალკალოიდ იუგლანდინს (*Juglandinum*) და 0,3% ინოზიტს (*Inositum*), რომელსაც სხვაგვარად თავის შაქარს უწოდებენ; მის ახალ ფოთლებში შედის 0,3% ეთერზეთი. მთრიმლავი ნივთიერება, ცილები და 10—11% ნაცარი. პერიკარპიუმი (*Cortex nucum Juglandis*) შეიცავს მთრიალავ ნივთიერებას ნუციტანინს (*Nucitaninum*), საღებავ ნივთიერებას იუგლონს (*Juglonum*) და სხვ. კაკლის ზეთში (*Mulderij*) ლინოლეინის გლიცერიდებია მირისტინისა და ლაურინის მკავევებით. კაკლის ქერქში მოიპოვება იუგლანდინი. კაკლის ხის ფარმაკევტული პრეპარატებია: *Folia Juglandis*, *Extractum Foliorum Juglandis*, *Cortex Fructus (seu Nucum) Juglandis*, *Extractum Corticis Nucum Juglandis (seu Roob Juglandis)*, *Oleum Juglandis regiae*, *Cortex Radici Juglandis cinereae*, *Oleum Juglandis* და *Extractum Juglandis fluidum*. ჩვენში კაკლის, როგორც ფოთლების, ისე წენგოს, შეგროვება ძალიან დიდი რაოდენობით შეიძლება.

### ზეთის ხილი—*Olea europaea* L.

ეს მარადმწვანე ხე ან ბუჩქი წარმოადგენს კულტურულ მცენარეს, რომელსაც აშენებენ უპირატესად დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სანაპიროებზე. იგი (*Oleaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის და ხასიათდება ტყავისებური. ზემოდან მწვანე, ხოლო ქვემოდან ნაცრისფერი, კიდემთლიანი ლანცეტა ფოთლებით, რომლებიც ერთიმეორის პირისპირ სხედან ღეროზე. თეთრი ყვავილები ოთხკბილა ზარისებური ჯამით და ორი მტვრიანათი შეკრებილია მტევან ყვავილედში. ვარსკვლავისებური გვირგვინი შედგება ოთხი ფოთოლაკისაგან. ნაყოფი ელიფსური, მუქი იისფერი, გულიანი კურკიანაა; მის ხორციან ნაწილში ცხიმზეთი შეადგენს 70%, თესლში კი—30%. ზეთის ხილის ზეთი, რომელიც ჩვენში ზეთუნის ზეთადაა ცნობილი, წარმოადგენს თხიერი გლიცერიდების ნაზავს, სადაც 75% ტრიოლეინზე (ოლეინზე) მოდის, დანარჩენი 25% კი მაგარი გლიცერიდებია—ტრიპალმიტინი, ტრიარახინი და მცირე რაოდენობით სტეარინი. გარდა აღნიშნულისა, ის შეიცავს ფიტოსტერინსაც ( $C_{26}H_{44}O + H_2O$ ). გარდა ამისა, მასში არის ცილოვანი ნივთიერება, ქლოროფილი, მწარე ნივთიერება ოლივიტი და სხვ. დავით ბატონიშვილის რჩევით ზეთის ხილი გამოიყე-

ნება კბილის დაავადებათა პრაქტიკაში, სახსრების ტკივილების დროს, მადის მომგვრელად და სხვ. „ზეთის ხილი, რომელიცა მომკუხო არის, გრილი და ხმელი არის, და რომელიცა მწოდ მწიფე არის, მხურვალე და ხმელი არის. კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხსნის და საკმელსა მოანდომებს, სტომაქსა გააძაღიანებს... მაგრა მწოდ მძიმე არის და თვალთა აზიანებს კაცსა თავსა აატკივებს და სევდას მოუმატებს და უძილობას აუგდებს. აწე ასრე უნდა, ესე ზეთის ხილი კაცმა შუაკამაშიგან ქამოს“. „ვინცა მარილიანი ზეთის ხილი წყლით მოადულოთ და პირშიგა იმგვიბოს კბილის ტკივილი ეშველოს“-ო. მეცნიერულ მედიცინაში დღეს-დღეობით ზეთის ხილის ზეთი იხმარება როგორც შემოსავლები საშუალება და ნაზი საფადართო. აგრეთვე კანში ჩასაზღვლად, მალამოებისათვის, ოყნებისათვის და სხვ. წინათ მას ხმარობდნენ აგრეთვე ქვლებისა და ნალვლის გუბებში კენჭების გაჩენის შემთხვევაშიაც. სუჟთა ზეთი დიდ დოზებში (100—200 გრამი დღეში) ზოგჯერ იწვევს პირღებინებას, რის გამოც მას, ჩვეულებრივ, უმატებენ ცოტაოდენ კონიაკს, მენტოლს და სხვ. ზეთის ხილის ზეთი იხმარება ვეტერინარულ პრაქტიკაშიც. მისი ფარმაკევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Oleum Olivarum commune (seu viride)*, *Oleum Olivarum Provinciale*, *Unguentum basilicum*, *Emplasrtum Cerusse*, *Emplastrum Meliloti*, *Emplastrum Plumbi simplex*, *Unguentum diachylon Dr. Herba*, *Emplastrum adhaesivum*, *Emplastrum Plumbi compositum*, *Emplastrum saponatum*, *Linimentum ammoniatum*, *Oleum cantharidatum*, *Unguentum cantharidatum*, *Emplastrum saponatum*, *Sapo Hispanicus albus*, *Sapo terebinthinatus*, *Sapo medicatus*, *Sapo jalapinus*. *Spiritus saponatus*, *Unguentum cereum*, *Unguentum plumbi acetici*, *Unguentum Plumbi taunici*, *Unguentum Cetacei*, *Acidum Oleinicum*, როგორც სუფთა (*purum*), ასევე გაუსუფთავებელი (*Venale ან crudum*). საქართველოს კლიმატურ პირობებს ზეთის ხილის ხე კარგად ეგუება და მისი პლანტაციების გაშენებისათვის ჩვენში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, დიდი შესაძლებლობა არსებობს.

## კულტურული მცენარეები

### ნიორი—*Allium sativum* L.

ნიორი მრავალწლოვანი კულტურული მცენარეა, რომელიც ეკუთვნის შროშანისებრთა (*Liliaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება მომრგვალო 6—10 კბილა ბოლქვებით. ბოლქვზე ვითარდება მიწის ზევით ერთ მეტრამდე სიმაღლას ლერო. რომლიც კენწერი დაშვენიებულია თეთრი ყვავილებისაგან შემდგარი ქოლგა ყვავილედით. ლეროზე განლაგებულია ბრტყელი ხახურა ფოთლები. საქართველოში ნიორი მოჰყავთ ყველა კუთხეში. გარდა მაღალი მთიანი მხარეებისა, ის იხმარება კულინარიაში, როგორც საუკეთესო სანელებელი. ჩვენს ხალხში ეს მცენარე გამოყენებულია უხსოვარი დროიდან როგორც შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალება ამა თუ იმ გადამდები სენისაგან თავის დასაცავად. ამ მიზნით კვირაში ორჯერ მაინც უმდნენ უზმოზე თითო თავ ნიორს, რასაც ხშირად ჰიის დადენა მოყვებოდა და ამიტომ მას ამ მხრივაც ძვირფას თვისებებს აწერდნენ. გარდა ამისა, დანაყილ ნიორს იდებდნენ ცოფიანი ძაღლის ნაკბენზეც. ჩვენს კარაბადიხებში ნიორი ხშირადაა მოხსენებული. მაგალითად: „წიგნი სააქიმოი“-ში ის მოხსენებულია სხვა საქმელთან ერთად, როგორც მაჯის აჩქარების მიზეზი—„და მაჯასი ფიცხელი იყოს და ფიცხლად ფეთქდეს, და ესეთი მანკი მით შეექნების რომელ წუალი და კალიაი და თაფლიანი და ნიორი და პილპილი, და სარფი ღვინოი და ტკბილი დია ექამოს“-ო. ის ლიდი ხანი მიღებულია როგორც სისხლის მიმოქცევის მომწესრიგებელი და აგრეთვე ცხვირის დაავადებათა საწინააღმდეგო საშუალება, რის შესახებაც დავით ბატონიშვილი წერს თავის „იადგარ დაუდ“-ში: „ვინც ნიორი დანაყოს და წყალი გამოჰხადოს და ესე ნივრის ცხვირშიგა ჩიწვეთოს, რაცა კაცსა ცხვირშიგა ან ბაყლი უთქს, და ან ავი რამე დარჩომია, ყუელასა გამოსწმენდს და გააქარებს“. გარდა ამისა დავით ბატონიშვილი თელის მას სიმსივნეთა საწინააღმდეგო საშუალებადაც: „ვინცა ნიორი ქამოს სიმსივნესათვის მწოვედ კაი და მარგე არის“. 1942 წელს ბ. ტოკინმა აღმოაჩინა ზოგიერთ მცენარეში მქროლადი ბაქტერიოციდული ნივთიერებანი, რომლებიც ცნობილია ფიტონციდების სახელწოდებით. მათ შორის ნიორი ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იკავს. ქიმიური ანალიზებით გამოჩვენებულია, რომ ნიორის ბოლქვი შეიცავს ნიორის ზეთს, გლუკოზიდ ალღინს, ეთერზეთებს და იოდს (ნიორის 1 კგრ 17. საქართველოს სამკურნალო მცენარეები.

ბოლქვებში 0.94 მგ იოლია). მეცნიერულ შედეგებში იყენებენ იენისიდან აგვისტომდე შეგროვებულ ახალ ბოლქვებს (*Bulbus Allii*), რომლის საექიმო ფორმებია: *Sirupus Allii sativi* — არომატული სეროფი შერეულა შაქრის სეროფთან (გერმანული საექიმო წიგნის 1941 წლის მე-6 გამოცემა), *Tinctura Allii* (რომლის მისაღებადაც 200 ნაწილ ახალი ნიორის დაქუცმაცებულ ბოლქვებს აყენებენ 1000 ნაწილ ღვინის სპირტზე ათი დღის განმავლობაში, ისე რომ ნაყენი 60%-იანი გახდეს და დალექვის შეზღვევ ფილტრავენ), *Tinctura Allii sativi* (500 ნაწილ სუფთა ახალი ნიორის დაქუცმაცებულ ბოლქვებს უმატებენ ღვინის სპირტის 1000 ნაწილს, აყენებენ 10 დღეს, რის შემდეგ წნეხვენ და ფილტრავენ). ნიორის პრეპარატებს იყენებენ როგორც სისხლის მიმოქცევის გამაძლიერებელ ანტიჰელმინთურ, ბაქტერიოციდულ და პერისტალტიკის გამაძლიერებელ საშუალებას. ხმარობენ მას აგრეთვე არტერიოსკლეროზის შემთხვევებში სხვადასხვა გამონაცემების სახით. ამისათვის 10 კგ კარგად დაკეპილი ნიორის ბოლქვებს ხარშავენ 20 ლიტრ წყალში 1,5 საათის განმავლობაში ჩასქელებამდე, შემდეგ წნეხვენ და ამ გამოწურულ სითხეს ისევ ადუღებენ და აორთქლებენ ნახევარი საათის განმავლობაში. ნიორის ბოლქვები შეიცავენ გოგირდის შემცველ გლუკოზიდს და ერთ ენზიმ ალლიზინს (*Allisin*); მისგანვე ლებულობენ გოგირდის შემცველ ზეთსაც, რომელიც გერმანიაში აზანტის (*Asant*) სახელწოდებითაა ცნობილი. აზანტი შეიცავს დეზოქსისს, ანუ აპოქოლის მჟავას (იგივე დეზოქსიქოლმჟავა). აზანტი პატენტირებულია გერმანიაში 594,808 ნიშნით. ნიორის ბოლქვებიდან ამზადებენ სხვადასხვა ლიკიორებსაც. *Allium sativum*-დან ნიურბერგში დამზადდა ტაბლეტების სახით (თითო 0,55 გრ) პრეპარატი ალლიზატინი (*Allisatin*), რომელსაც სუნის აცილების მიზნით დამატებული აქვს ნახშირი. ის შეიცავს ყველა იმ ნივთიერებას, რომელიც შედის ნიორში. მას უნიშნავენ ნაწლავების მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული კატარის დროს, აგრეთვე *Diarrhœe*-ს შემთხვევაში, არტერიოსკლეროზულ მოვლენების დროს, შარდში. სიმჟავიანობის გაძლიერების დროს და სხვ. ბერლინ-ბრიტანიაში ნიორიდან მიიღეს კიდევ ერთი პრეპარატი ალლოტონი (*Alloton*), რომელშიც შედის 12% ნიორის ზეთი, ანუ ქიმიურად დიოქსიქოლანი მჟავა + დეზოქსიქოლანის მჟავა; მას იყენებენ არტერიოსკლეროზის დროს, უძღურობისას, როგორც მხეიარა, ისე ბრტყელი და მრგვალი ქიების წინააღმდეგ და სხვ. (0,1 გრ საკმლის დროს ან მის წინ). ჩვენს ფარმაცოპიაში ნიორი მოხსენებული არ არის, მაგრამ მას

მაინც იყენებენ ჩვენში როგორც გამაღიზიანებელ და საღებინ-ფექციო საშუალებას; ის აძლიერებს საკმლის მომნელებელი აპარატის მამოძრავებელ და სეკრეტორულ ფუნქციებს და აქვეითებს ნაწლავებში ლპობისა და დუღილის პროცესებს. მას უნიშნავენ Subacidatas და anacidatas ღრის ნაწლავების გასაუვნებლად. ჩენი პრეპარატებია: Extractum allii sativi fluidum და Allisat-ი. ამერიკელი მკვლევარის კავილეტოსა და სხვათა მიერ 1944—45 წწ. დამტკიცდა, რომ ნიორი ხოცავს როგორც გრამდადებით, ისე გრამუარყოფით ბაქტერიებს. პენიცილინზე აღრე ნიორი იქნა გამოყენებული სტაფილოკოკის, სტრეპტოკოკის, ტიფის ბაცილის, პარატიფული ბაქტერიების, დიზენტერიის ჩიირისა და ხოლერის ვიბრძონის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ამერიკელებმა ეს მოქმედი საწყისები ცალკე პრეპარატში ალიციინში (Allicin) გამოჰყვეს. ამ პრეპარატის განზავება 1 : 85000 და 1 : 125000 იწვევს ყველა ჩამოთვლილი ბაქტერიების ზრდის შეჩერებას იმ ღრის, როდესაც პენიცილინის 1 : 5000 განზავებაც კი არ მოქმედებს Bacillus typhosus-ზე. ი. ტოროპცევა და ი. კამენევა დამუშავეს ნიორიდან ბაქტერიოციდული საწყისის მიღების მეთოდიკა. ამ საწყისს მათ დეფენზონატი უწოდეს. დეფენზონატის ქიმიური ბუნება არაცილოვანია და ის უფრო ახლო დგას გლუკოზიდებთან. ნიორის სპირტიანი ექსტრაქტი, ტ. იანოვიჩის გამოკვლევათა საფუძველზე, კარგად მოქმედებს ბაქტერიალურ ფილტრატებზე. მსგავს მოქმედებას იჩენს წითელი ხახვის წვენი, უფრო ნაკლებად ყვითელი ხახვი და ძალიან მცირედ—თეთრი. ნიორის კულტურის გადიდება საქართველოში ადვილად შესაძლებელია.

### ხახვი — Allium cepa L.

ხახვი შროშანასებრთა (Liliaceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. ეს მრავალწლოვანი მცენარეა, თეთრი, ყვითელი და წითელი ფერის მოგრძო ან ბურთისებური ბოლქვებით და ერთ მეტრამდე სიმაღლის ღეროთი, რომლის კენწერზე მეორე წელიწადს ვითარდება მრავალი ყვავილისაგან შემდგარი, სფერიული ქოლგა-ყვავილელი. ხახვს ახასიათებს ღრუიანი ფოთლები. მსგავსად ნიორისა ხახვი წარმოადგენს საქართველოს ბოსტნებისა და ბალჩების ერთ-ერთ დამახასიათებელ კულტურულ მცენარეს, რომელიც უფრო დიდი რაოდენობით ითესება, რადგან უფრო მეტად იხმარება კულინარიაში. ქართულ ხალხურ მედიცინაში ხახვის ბოლქვებზე არსებულ სახეცვლილ ფოთლებს მოთუშული სახით ხმარობენ ჩირქ-



გროვის გამოსარწყველად და კიის დამდენ საშუალებად. წიგნი სააქიმოს მიხედვით ხახვი ითვლება ბუასილის გამომწვევად: „იციოდე რომელ თუთაი ბევასირი სქელისა სისხლისაგან იქმნების, რომელ დამწუარ იყოს მეტისა საქამადისა მხურვალისა და ფიცხელისა ქამისაგან, ვითა ნიორი და ხახვი, და განდანაი სპრასა და პილპილი, და რაიცა მათი მსგავსი იყოს, მაშინ ესე მანკი გამოჩნდების“. დავით ბატონიშვილი ხახვს კუჭში გამხსნელ საშუალებად თვლის: „ხახვი მხურვალი და ხმელი არის, რაცა კაცი სათვის უცხოხა და აესა წყალსა უწყენია და ან ამისგან სენი ასძურია, ყუელას უშველის და კაცსა გახსნის“, ხოლო ქანანელი თავის უსწორო კარაბადინში მოგვიწოდებს გამოვიყენოთ ხახვი ბუასილის დროს სისხლის გასახსნელად და გამოსაწმენდად. „უჟი ხახვი დანაყე შემოსდევ რომე სისხლი გახსნას და გამოწმინდოს“. მეცნიერულ მედიცინაში ხახვმა პოვა გამოყენება მხოლოდ ბოლო ხანებში, როგორც კარგმა ფიტონციდმა; ძირითადად იხმარება მისი ბოლქვი (*Bulbus Cepae*), რომლის ქიმიურ შემცველობაში შედის სახაროზი, შაქარი, ქვერცეტინი, ლიმონმჟავა, ინულინი, პექტინი, პენტოზი, შეფერილი უგემო დაქანგული კატექინი და პროტოკატექინის მჟავა.

როგორც ფიტონციდი ის გაზაფხულზე უფრო მოქმედებს; გარდა ამისა, ამ პერიოდში ის დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთებს, რომლებშიც შედის გოგირდი; ამავე დროს ის მდიდარია B და C ვიტამინით. ხახვის ყოველწლიური დამზადების შესაძლებლობა საქართველოში საგრძნობლად დიდი იქნება, მით უმეტეს, თუ მისი ნათესების ფართობს კიდევ უფრო გავადიდებთ.

### შვრია—*Avena sativa* L.

შვრია ეკუთვნის მარცვლოვანთა (*Gramineae*-ეს) ოჯახს, და წარმოადგენს 60—100 სმ სიმაღლის მცენარეს შიშველი ვაგინიანი ფოთლებით და თავთავის ღერაკით, რომელზედაც განლაგებულია 20 მმ სიგრძის ყვავილების კილები ორ-ორი პატარა კბილაკით ზემოდან. მისი ყვავილები შეკრებილია თავთავისებურ საგველა ყვავილედში; თავთავი 2 ან 3 ყვავილიანია; ქვედა ყვავილი, ჩვეულებრივ, ფხიანია; ფხები ოდნავ მოხრილია ან სწორი. საქართველოში ეს მცენარე მოყავთ კულტურაში, თუმცა ზოგჯერ ის გაველურებული სახითაც გვხვდება. მეცნიერულ მედიცინაში შვრია გამოყენებულია როგორც დაჰხმარე საშუალება ამა თუ იმ სამკურნალო ნივთიერებათა მომზადების დროს; ჩვენ ის მხოლოდ გერ-

მანულ საექიმო წიგნში ენახეთ. ხმარობენ მთლიან მცენარეს ყვავილობის პერიოდში ანდა მის ზრდადასრულებულ მარცვლებს (*Fructus Avenae*). ყვავილობაში ზყოფი მცენარე შეიცავს დიდი რაოდენობით სახაროზს, სეკალოზს, ფრუქტოზს, გლუკოზს (ყველა ერთად — 3—4%), 2—3% ალბუმინოზას, ვიტამინებს, ვაშლის, ლიმონის, მალონის, აკონიტის და ოქსალის მჟავებს (არა ნაკლებ 0,04%); მთლიანი მცენარის ნაცარში 0,5—0,75%  $\text{SiO}_2$ -ზე მოდის, ხოლო ფოთლების ნაცარში კი ის 70% შეადგენს. ფესვებში გრამინინია, მარცვლებში — ალკალოიდი ავენინი, ტრიგონელინი, და ვანილინგლუკოზიდი. შვრიის ქატოში მოიპოვება ლიგნინი, ენზიმი, ფოსფატები. ფოსფატაზი და საპონინი. მისი ფარმაკევტული პრეპარატია: *Fructus avenae*.

### ჭერამი — *Armeniaca vulgaris* L. (*Prunus armeniaca* L.)

ეს კულტურული მცენარე ვარდნაირთა (*Rosaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის და წარმოადგენს ხეს, რომლის ტოტებზე მორიგეობით განლაგებულია გრძელყუნწიანი, მომრგვალო ან კვერცხნაირი, შიშველი ფოთლები ხერხებილა ნაპირებით და წაწვეტილი წვერით. ქრელ ახალგაზრდა ყლორტებზე ჯერ კიდევ ფოთლების გამოსვლამდე იშლება დიდი ზომის, თეთრი ან მოვარდისფრო, მჯდომარე ყვავილები, მრავალი მტვრიანით. ხუთფურცლიანი ჯამითა და გვირგვინით. ყვავილების განაყოფიერების შემდეგ ჭერამზე ვითარდება მსხვილი, ხორციანი და კურკიანი ყვითელი ფერის ნაყოფი. ჩვენი ფარმაკოპეას მიხედვით დასაშვებია ჭერამის კურკის გამოყენება მწარე ნუშის თესლის ნაცვლად, განსაკუთრებით მწარე ნუშის წყლის მომზადებისას; ჭერამის თესლიდან მიღებული ზეთი იხმარება ნუშის თესლის ზეთის ნაცვლად, რაც აიხსნება იმით, რომ ჭერამის თესლის ქიმიური შემცველობა თითქმის იგივეა, რაც ნუშისა. ჭერამის თესლი შეიცავს იგივე გლუკოზიდ ამიგდალინს, ფერმენტ ემულსინს, 27% შაქარს, განსაკუთრებით სახაროზს, პექტინს, მინერალურ ნივთიერებას, ვაშლისა და ლიმონის მჟავებს, 30—40% ცხიმზეთებს. 25% ცილოვან ნივთიერებას, დიდი რაოდენობით C ვიტამინს და უფრო მცირე რაოდენობით B ვიტამინს. ჭერამის კურკის დაწვით მიიღება შავი საღებავი. ჩვენში ჭერამი საკმაოდ დიდი რაოდენობით მოჰყავთ კულტურაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ

საქართველოში. ის ძალიან კარგად იტანს სიმშრალეს, რაც დასტურდება ზოგიერთ იმ გაველურებული ეგზემპლარებით, რომლებიც გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში. ქერამის თესლის დამზადება მარტო აღმოსავლეთ საქართველოში ვარაუდით შეიძლება 2 ტონის რაოდენობით ყოველწლიურად.

### წიწაკა—*Capsicum annuum* L.

წიწაკა, რომელიც ცნობილია დასავლეთ საქართველოში პიმპილის სახელწოდებით, ეკუთვნის ძალუყურძენასებრთა (*Solanaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. ეს ერთწლოვანი მცენარეა, სწორმდგომი, დატოტიანებული და შიშველი ღეროთი, რომლის სიმაღლე საშუალოდ 50—70 სმ აღწევს. ღეროზე მორიგეობით განლაგებულია წვეტიანი, კვერცხნაირი ან მოგრძო კვერცხნაირი გრძელყუნწიანი ფოთლები. ფოთლის ილღებში და ღეროს განტოტების ადგილებში ვითარდება ერთეული, თეთრი, ყუნწისაკენ დახრილი ყვავილი 5 მტვრიანათი. წითელი ფერის მეტად მწარე გემოსი და ცხარე სუნის ნაყოფი გარედან მეტად სადაა, ხოლო შიგნით 2—3 ბუდიანია და უპარავ მოყვითალო ფერის თესლს შეიცავს. წიწაკა ხარობს საქართველოს ყველა კუთხეში, გარდა მაღალმთიან ადგილებისა. წიწაკა წმინდა საბოსტნე კულტურაა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ჩვენში, რადგან ის ქართული საქმლის აუცილებელი სანელებელია. გარდა ამისა, ჩვენი ხალხი იყენებს წიწაკას, როგორც მადისმომგვრელ საშუალებას. მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებას ჰპოვებს წიწაკას ნაყოფი (*Fructus Capsici*), რომელიც იზმარება, როგორც ადგილობრივი გამაღიზიანებელი საშუალება, განსაკუთრებით კანზე ადგილობრივი ჰიპერემიის გამოწვევის მიზნით; მას იყენებენ აგრეთვე ნაყენების სახით. საქმლის მონელების გასაუმჯობესებლად. მკურნალობის მიზნით შეგროვილი მწიფე ნაყოფი უნდა განცალკევდეს სხვა წამლებისაგან, რადგან მოსალოდნელია მისი სიმწარე და სიცხარე სხვაზეც გადავიდეს. უნდა ვერიდოთ აგრეთვე წიწაკიანი ხელოთ პირის ან თვალების შეხებას და იმ ადგილას ყოფნას, სადაც შენახულია წიწაკას მშრალი ნაყოფი, რადგან მისი მტვერით ღიზიანდება ცხვირის და თვალის ლორწოვანი გარსი. მზა მასალაში გარეშე მინარეგები 3% არ უნდა აღემატებოდეს. პილპილის ნაყოფის (*Fructus Capsici*) ქიმიური შემცველობა ასეთია: 0,2% ალკალოიდის მსგავსი ამიდი კაფუსაიცინი—დეცილენმჟავა ამიდი ვანილინამინით რომელიც ხასიათდება მწვავე

გემოთი და გამალიზიანებელი მოქმედებით, კაფსიკუმროტი-ი (რომელსაც კაროტინიანებური გაპოყენება აქვს),—კაუსანთინი (Capsanthin), კაფსორუბინი, ლუტეინი, C ვიტამინი, პიგმენტები, 7—9% ნაცარი და 1,25% მეავეში უხსნადი ნაცარი. წიწაკას თესლებში 10%-დე ცხიმზეთია. მისი ნაყოფი გამოყენებულია და შეტანილი როგორც ჩვენი ფარმაკოპეას მე-7-ე გამოცემაში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა ფარმაკოპეაში. წიწაკას საექიმო ფორმებია: Tinctura Capsici, Tinctura Capsici composita, Emplastrum Capsici, Linimentum Capsici compositum, Linimentum restitutorium და unguentum Capsici aquosum, რომელშიც შედის Mentholum synth. 0,5, Capsicinum, Oleum Rosmarini  $\overline{aa}$  1,5, Mucilago Tylose Stada 50,0. ჩვენში. წიწაკას დამზადების დიდი შესაძლებლობაა.

### რეცეპტები:

Rp.: T-rae Capsici 100,0  
DS. ჩასაზელად.

Rp.: Linimenti Capsici compositi  
D. Lag. Origin. unam  
S. ჩასაზელად.

### აღუბალი—Cerasus vulgaris Mill. (Prunus Cerasus L.)

აღუბალი კულტურული მცენარეა, რომელიც უხვად მოიპოვება საქართველოს ბაღებში. ის ვარდნაირთა (Rosaceae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის და წარმოადგენს საშუალო ზომის ხეს. რომლის ტოტებზეც მორიგეობით სიედან ყუნწიანი, ფუძესთან ელიფსური, წვეროსაკენ კი უფრო შევიწროებული ფოთლები ხერხებილა ნაპირებით, ზემოდან მუქი-მწვანე პრილა, ხოლო ქვემოდან უფრო ფერმკრთალი და შიშველი ზედაპირით. 2—4 ცალი თეთრი გრძელყუნწიანი ყვავილი მრავალი მტერიანათი და ხუ მის ჯერადი ყვავილსაფარით ქოლგადაა შეკრებილი. აღუბლის ნაყოფი მუქი წითელი ფერისაა. საქართველოში ის კარგად ეგუება თითქმის ყველა პირობებს გარდა მთიანი მხარისა და, თუმცა ძლიერ ნესტს გაუზრბის, მაგრამ განსაკუთრებულ ნიადაგს არ ირჩევს. ფარმაციაში აღუბლის ნაყოფი იხმარება სეროფის სახით

(*Sirupus Caerasi*), როგორც შესაზავებელი საშუალება მწარე წამლების გასაქტობად. მისი ნაყოფის ქიმიური შემცველობა ასეთია: 6—9% შაქარი, 1,5—2% ორგანული მჟავები, რომლებთაგან აღსანიშნავია ვაშლისა და ლიმონის მჟავა, პექტინი, საღებავი ნივთიერება და სხვ. მის თესლში 25—35% ცხიმზეთია დამახასიათებელი ნუშის გემოთი, რაც მასში მწარე გლუკოზიდი ამიგდალინის შემცველობით აიხსნება. მის ფოთლებშიც (*Folia Cerasorum*) ბევრია ლიმონის მჟავა, ქვერცეცხინი, მარიმლავი ნივთიერება, ამიგდალინი, დექსტროზი, სახაროზი, კუმარინი და სხვ. ჩვენს ფარმაცოპეაში ალუბლის ნაყოფი მოხსენებულა. მსგავსად ალუბლისა ამავე მიზნებით პორტუგალიასა და გალიციაში იყენებენ ბალსაც (*Cerasus avium* Mönch.). ჩვენში ალუბლის ნაყოფის შეგროვება მზა მასალის სახით შეიძლება დაახლოებით 5 ტონის რაოდენობით.

### ქინაქინის ხე—*Cinchona succirubra* Pavon.

ქინაქინის, ანუ ქინის ხე, რომელიც (*Rubiaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის, წარმოადგენს ტროპიკული ქვეყნების ხემცენარეს, რომელიც დაკალმების მეთოდის გამოყენებით აკლიმატიზებულია ჩვენში შავი ზღვის სანაპიროზე (აფხაზეთში) ორწლოვანი მცენარის სახით. მისი დიდი, 46—52 სმ სიგრძის და 37—3 სმ სიგანის ნაზი, გრძელყუნწიანი ფოთლები, მოყვანილობით განიერი ელიფსურია ან კვერცხნაირი, ზოგჯერ მრგვალი; ფოთლის კიდეები შეზნექილია და დაძარღვეული, ხოლო ძარღვებს შორის მანძილი კუზის შთაბეჭდილებას ტოვებს; ფოთოლი ზემოდან მუქი ჟვანეა, ხოლო ქვემოდან მკრთალი და ძარღვების გასწვრივ ნახად შებუსვილია; ფოთოლთ-ნები მოგრძოა, ბლავი და შიგნითა მხრიდან ჯირკვლოვანი. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილოვან, განიერ, პირამიდალურ საგველა ყვავილედში. ყვავილების ყუნწები ნაზადაა შებუსვილი; მათ ქვევით განიერი ფოთლებია და საფარისებური ყვავილთანები; ყვავილის წითელი ყანწისებური ჯამი სქლად შებუსვილია მეტად ნაზი ბუსუსით. ჯამის შემდეგ ეარდისფერი, 14—15 მმ სიგრძის გვირგვინია. ყვავილის განაყოფიერების შემდეგ მას უფითარდება კოლოფი ნაყოფი, რომელიც მომწიფებამდე წითელი ფერისაა, ხოლო შემდეგ მუქდება. მის შიგნით ვითარდება თესლი, ოვალური ღია მიხაკისფერი ფრთებით და სუსტად დაკბილული ნაპირებით. ქინაქინის ხის ქერქი ვაჰოიყენება მეცნიერულ მედიცინაში პალარისის პლაზმოლიების

წინააღმდეგ. ის შემოიტანა ევროპაში (მე-17 საუკუნეში) პერუს ვიცე კაროლის მეუღლემ გრაფინია დელ ქინონმა, რომელიც მისი საშუალებით განიკურნა მალარიისაგან ამერიკაში ყოფნის დროს; ამიტომ მას სახელად გრაფინიას გვარი *Cinchona* ეწოდა, რომელიც 1866 წელს დაამტკიცა მსოფლიო ინტერნაციონალურმა ბოტანიკურმა კონგრესმა. ქინის ხის გვარი აერთიანებს რამდენიმე სახის მარადმწვანე ხეს, ან უფრო ხშირად ბუჩქს, მაგრამ ჩვენში დაკალმების მეთოდით აკლიმატიზებულია მხოლოდ ერთი სახეობა, სახელდობრ *Cinchona succirubra* Pavon., რომელსაც ჩვენ ვამრავლებთ კალმებით; მის ფოთლებს ვხმარობთ მოქმედი საწყისის მისაღებად. ქინაქინის ქერქისაგან მიღებული პრეპარატი ქინაქინი წარმოადგენს პროტოპლაზმატურ. შხამს, რომელიც მომავლინებლად მოქმედებს როგორც ცხოველურ, ისე მცენარეულ პროტოპლაზმაზე. შხამის რაოდენობის მიხედვით ის ჯერ უქვეითებს მას სასიცოცხლო მოქმედებას, შემდეგ ადამბლავებს და ბოლოს კლავს. ამის გამო ექიმი დიდი სიფრთხილით უნიშნავს ავადყოფს ქინაქინს და ყოველმხრივ ამოწმებს მის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას (მაგ., ორსულ ქალს ქინაქინი არ ეძლევა, რადგან დიდი რაოდენობით მან შეიძლება აბორტი გამოიწვიოს). ქინაქინის პრეპარატებია: *Cortex Chinae* 0,5—1,0 *pro dosi*. *Extractum Chinae spirituosum* (0,5—2,0) (იხმარება როგორც *tonicum*-ი), *Extractum Chinae aquosum*, *Tinctura Chinae* და *Tinctura Chinae composita* (რომელიც განსხვავდება პირველისაგან იმით, რომ შეიცავს სხვადასხვა არომატულ ნივთიერებას, იხმარება 20—30 წვეთის რაოდენობით, როგორც *Stomachicum*-ი და *tonicum*-ი). *Chininum sulfuricum*, *Chininum bisulfuricum*, *Chininum hydrochloricum*, *Chininum bihydrochloricum*, *Chininum hydrobromicum s. bromatum*, *Chininum tannicum*, *Chininum salicylicum*, *Chininum ferro-citricum*. *Decoctum Chinae* და *Tinctura Chinae simplex*, რომელშიც ვარდა ქინაქინისა მთავარი მოქმედი საწყისია ანალოგიურად მოქმედი იზომერი ქინილინი ანუ კონქინინი. წინათ იყენებდნენ ქინაქინისა და ქინილინის ნაზავს ქინოილინის სახელწოდებით. ქინაქინის ხის ქერქი შეიცავს აგრეთვე ორ ალკალოიდს—ცინქონინსა და ცინქონიდინს, რომლებიც წარმოადგენენ კრუნჩხვის გამოპწვევე შიამებს. ქინაქინას ხის თესლის პირველ ინტროდუქტორად საბჭოთა კავშირში ითვლება აკადემიკოსი ნ. ი. ვავილოვი. საქართველოში შავი ზღვის სანაპიროებზე დღეს უკვე საკმაო რაოდენობითა გვაქვს ორწლოვანი ქინაქინის ხის პლანტაციები, რომლის ფოთლებსა (და არა ქერქს)

ვიყენებთ წაჰლის მისაღებად. ამეამად ჩვენში წარმოებს დიდი სასელექციო მუშაობა ახალი ყინვაგამძლე ეგზემპლარების გამო-საყვანად, მისი ზრდა-განვითარების ფაქტორებისა და ეკოლო-გიური გარემოს ღრმად შესწავლის საშუალებით. ჩვენი ფარმა-კომპეას მიხედვით დასაშვებია, რომ ქინაქინის ხის ქერქი შეიცავ-დეს 6.5% ალკალოიდებს, მათ შორის 2% ქინაქინს. მეცნიერულ მედიცინაში ქინაქინს იყენებენ მალარიის წინააღმდეგ, მატონიზი-რებელ საშუალებად და როგორც მწარეს.

### რეცეპტები:

Rp.: Chinini hydrochlorici 0,5—1,0  
glycerini

Aq. destill.  $\frac{aa}{aa}$  2,0

MDS. წინასწარ გამთბარი კანქვეშ  
შესაშხაპუნებლად.

Rp.: Decocti Chinae acidi 200,0

DS. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ.

Rp.: Tincturae Chinae simpl. 15,0

DS. 15 წვეთი დღეში 3-ჯერ.

Rp.: Chinini hydrochlorici 3,0

Antipyrini 2,0

Aq. destill. q. s. ad 6,0

MDS. კანქვეშ შესაშხაპუნებლად.

Rp.: Jnf. cort. Chinae frigide parati

25,0 : 250,0

MDS. სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ.

Rp.: Pulv. Chinae 0,5—1,0

D. t. d. № 12.


S. თითო ფხვნილი დღეში 3-ჯერ ნახევარი საა-თით აღრე კამის წინ.

ქაფურის ხე—*Cinnamomum camphora* Nees et Eberm.  
(syn. *Laurus camphora* L.)

ქაფურის ხე (*Lauraceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის, სიმაღლით ის ხშირად 40—50 მტ-დე იზრდება, ხოლო სისქით 2,5—3 მტ აღწევს; ხასიათდება დიდი სიციცხლის უნარიანობით და ზოგიერთი მისი ეგზემპლარი 1000 წლამდე ცოცხლობს. მისი ქობული გაშლილი ტოტებით სიგანიტ 20—25 მტ აღწევს, ქერქი ხორკლიანია და მუქი მურა ფერის, ხოლო ახალგაზრდა ტოტები კი სადაა, პრიალა, მომწვანო-ყვითელი ან მოწითალო-მწვანე ფერის. მისი კვერცხნაირი სიგრძით 5—12 სმ და სიგანიტ 3—5 სმ ფოთლებს ტალღისებრი კიდეებით ზემოდან პრიალა მწვანე ფერი აქვთ, ხოლო ქვემოდან მტრედის ფერი; ფოთლის ყველა მხარეზე აღინიშნება სამი მთავარი ძარღვი. მათ ილღებში შეკრებილია ნახევრად ფარისებურ საგველა ყვავილედში პატარა მოყვითალო თეთრი ყვავილები. ქაფურის ხე ყვავის მაის-იუნისში, ხოლო ნაყოფობს ნოემბერ-დეკემბერში. მისი მოლურჯო-მოშავო სფერული ფორმის ნაყოფი მეტად არომატულია და სიღიღით 5—9 სანტიმეტრს აღწევს. ქაფურის ხე საქართველოში ნაყოფობს 10—15 წლის ასაკში და მისი ნაყოფი წარმოადგენს ერთთესლიან წიპწას (კენკრა), რომელიც ზოგჯერ წითლად ან ყვითლად იფერება. ბუნებრივად ეს მცენარე იაპონიაში, ხარობს, ჩენში კი ის წარმოადგენს კულტურულ მცენარეს, რომლის პლანტაციებიც გაშენებულია შავი ზღვის სანაპიროებზე აქარასა და აფხაზეთში. ამ გვარიდან აღსანიშნავია რამდენიმე სახეობა. ცრუქაფურის ხე (*Cinnamomum glanduliferum*), რომელშიც მარტო ქაფურის ზეთია, *Cinnamomum zeylanicum* (ციელონხე) და *Cinnamomum cassia* (ჩინეთში), ეს უკანასკნელი ორი ხე შეიცავს დარიჩინის აღდეჰიდრისა და ევკენოლს, ხოლო მათი ქერქისაგან მიიღება საკულინარო საქმეში ცნობილი დარიჩინი. ცნობილია, რომ ქართულ ხალხურ მედიცინაში ქაფური დიდი ხანია გამოყენებულია, როგორც საგულე საშუალება და უფრო მალა აყენებდნენ, ვიდრე ყვითელი-ცხვირის სატეხელას (*Adonis vernalis* L.) (სურ. 51). დავით ბატონიშვილის მიხედვით ის „ხაფაყანისა და გულისა და სტომაქის ტკივილისა, გულის თრთოლისა და ფეთქისა“ საუკეთესო წამალია, რის გამო ის ურჩევს, რომ „ფიცხლავ მკლავი გაიხსნან და საშუალის ძარღვიდალმან კარგად სისხლით იღინონ, და ქაფურის ყურსი ვაშლის წყლითა გალესონ და ისრე ასეან“. ქაფურის მალამოს წინათ იყენებდნენ სწორი ნაწლავის გამოვარდნილობის დროს,



ხელ-ფეხის კანის დახეთქვის შემთხვევებში, სიღამწერის დროს და აგრეთვე წყულულების წინააღმდეგ. მოიტანე ქარვა, მურდასანგი და უმარული თვითოსაგან ოთხ-ოთხი ღირჰამი, ესე სამივე დანა-



სურ. 51. ყვითელი ცვირის სატებელა (*Adonis vernalis* L.).

ყონ და წმინდად გაცრან და რვა ღირჰამი ყუთთელი ცვილი და თექუსმეტი ღირჰამი ზეთის ხილის ზეთი ამა. ცვილშიგა გაადნონ და მერმე ესე წამლები შიგა ჩაყარონ და კარგად ამოზილონ და ამას უკან ნახევარი ღირჰამი ქაფური და ორის კვერცხის ცილა გაურაონ და ავანშიგა კარგად დანაყონ, და ან კარგად ამოკყლიტონ, რომე მალამად შეიქნას და ქაფურის მალამა იქნების, შეინახონ და როდისცა უნდოდეს დანის პირითა გაქნან და თხლად ძველსა ბანბაზედა გააკრან და დლივ და ღამივ ორჯერ წყლულზედა დაადვან და ჰკურნებს“. — გვირჩევეს დავით ბატონიშვილი. მეცნიერულ მედიცინაში ქაფურს იყენებენ ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების ამგზნებად; თანახმად კრავკოვისა, განსაკუთრებით აიგზნება მოგრძო ტვინის ცენტრები (სისხლის ძარღვების მაჰოდრავებელი, სასუნთქავი და n. vagi), რის გამო სისხლის წნევა მატულობს, პულსი მკვეთრი და სავსე ხდება, სუნთქვა ღრმავდება. ქაფური წარმოადგენს ამგზნებ საშუალებას გულის მოქმედებისა და სუნთქვის დაქვეითების შემთხვევებში, კოლაფსის დროს. ის იხმარება აგრეთვე როგორც სიცხის დამწევი, ანტისეპტიკური საშუალება, წითელი ქარის წინააღმდეგ; სხვადასხვა ნერვული დაავადების დროს, როგორც დამამშვიდებელი საშუალება და antiaphrodisiacum-ი, მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება ქაფური. ქაფურს ზოგჯერ იყენებენ ამოსახველებლადაც და გარედან როგორც გამღიზიანებელს. ქაფურის პრეპარატებია: *Camphora trita*, *Oleum camphoratum* 10%, *Spiritus Camphoratus* 10%, *Camphora monobromata*. *Acidum camphoricum*, *Oxycamphora*, *Amidocamphora* და სხვ. საქართველოში ქაფურის ხე გაშენებულია აქარაში და აფხაზეთში პლანტაციების სახით, რომლებიც საკმაო რაოდენობით გვაძლევს ქაფურს.

### რეცეპტები:

Rp.: *Ol. Camphorae* 10%—20%

in ampulis № 10

DS. თითო ამპული ყოველ 2 საათში.

**ლიმონი—Citrus limonia Osbeck; Citrus limonum  
Risso; (Citrus media ssp. limonum Risso)**


ლიმონი ეკუთვნის ტევანიებრთა (Rutaceae) ბოტანიკურ ოჯახს და წარმოადგენს მარად მწვანე ბუჩქს ან იშვიათად ხესაც, ფრთისებრ ყუნწებზე მორიგეობით განლაგებული, გრძელი ან ოვალური, კიდემთლიანი ან დაკბილული ფოთლებით, რომლებსაც მეტად არომატული სუნის აქვს. რაც აისხნება მათში ეთერზე-თოვანი წერტილოვანი ჯირკვლების არსებობით; ეს ჯირკვლები ადვილი შესამჩნევია უბრალო თვალითაც, თუკი ფოთოლს სინათლეზე გავხედავთ. თეთრი ან მოვარდისფრო, მეტად სურნელოვანი ყვავილები სხედან მოკლე ყვავილსაჯდომებზე თითო-თითოდ ან წყვილ-წყვილად და ხასიათდებიან 3—5 ჯამის ფოთოლაკით და 4—8 გვირგვინის ფურცლით, მრავალი მტვრიანათი და მრავალბუდიანი ნასკვით. ნაყოფი ხორციანია და მდიდარი ეთერზე-თებით. ჩვენში ლიმონი კულტურული მცენარეა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროებზე (გურია, აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი) მსგავსად ფორთოხლისა (Citrus Sinensis Osbeck) და მანდარინისა (Citrus unshiu Marc.) პირდაპირ ნიადაგში ხარობს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ოთახის მცენარეს წარმოადგენს. ლიმონის ნაყოფს საქართველოში დიდი ხანია იყენებენ ხალხურ მედიცინაში მისი წვენის, სეროფის, წყლისა და უშუალოდ ნაყოფის სახით, როგორც სისხლწეტობის საწინააღმდეგო საშუალებას. „აწე თუ კაცსა სისხლი სქარბობდეს, და ესე კაცი სისხლის ფრთე კაცი იყოს, ასრე უნდა ამრიგსა კაცსა გრილი, ცივი და მჟავე სასმელი და საჭმელი ასოთ და მუდმათ სისხლის დამწმენდელი და სისხლის გამქარებელი სასმელ-საჭმელები ასვით აქამოთ, ლიმო, ისრიმო, თუთუბო, კოწახური, მოცხარი, უშუხური, მჟაუნა“, — წერს დავით ბატონიშვილი. ქანანელი კი გვირჩევს მის გამოყენებას სტომაქის ტკივილის, ბოყინის და სლოკინის წინააღმდეგ: „თუ ლუინისა მსმელი იყოს ცოტასა ხანსა ლუინო დასთმოს და ყოველთა დღეთა ლიმოსა შარაბი შეასუით“-ო. მეცნიერულ მედიცინაში დღეს-დღეობით მას ხმარობენ მხოლოდ არომატული ნივთიერების სახით და წამლის გამტკობად. ამზადებენ მისგან არომატულ ძმარსა და გოფმანის ბალზამს. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გამოიჩვენა ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ფოთლების ფიტონციდური თვისებები. ის მოხსენებულა როგორც საბქოთა, ისე სხვა სახელმწიფოების ფარნაკოპეაში. გამოყენებულია უმთავრესად ლიმონის ქერქისაგან გამოწურული ზეთი (Oleum Citri), რომელიც

ქიმიურად შეიცავს ტერპენ ლიმონებს, 4—7% ლიმონის ზეთ აღ-  
დებდს, ციტრალს (Citral), რომლითაც განისაზღვრება ლიმონის  
სასიამოვნო სუნის; ლიმონის წვენი 5,46—7,7% ციტრონის მჟავაა.  
ლიმონის ფარმაცევტული პრეპარატებია: Oleum Citri, Acetum  
aromaticum, Mixtura oleo—balsamica, Oleum Citri, Sirupus Citri  
(Limonis). Sirupus Corticis Citrii, Succus Citri, Tinctura Citri  
Limonis, Fructus Citrei, Semen Citrei, Essentia Citrei. ლიმონის  
ქერქი შეიცავს C ვიტამინს. ჩვენში ლიმონის ქერქის დამზადება  
საკმაო რაოდენობით შეიძლება.

### ქინძი—Coriandrum sativum L.

აღმოსავლეთ საქართველოში ქინძი მეტწილად გარეული სა-  
ხით მოიპოვება, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი მას უფრო  
კულტურაში აშენებენ. ეს ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე ეკუთვ-  
ნის ქოლგოსანთა (Umbelliferae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს; სიმალლით ის  
30—60 სმ აღწევს და ივითარებს მთავარდერძიან, ნაკლებად და-  
ტოტიანებულ ფესვს და მრგვალ, შიშველ, სწორმდგომ და კენწე-  
როსაკენ დატოტიანებულ ღეროს, ნაზი, ოდნავ შესამჩნევი ზო-  
ლებით. ვაგინიანი, შიშველი და დორზალურ მხარეზე პრილა  
ფოთლები მორიგეობითაა განწყობილი ღეროზე. ფესვთანი გრძელ-  
ყუნწიანი ფოთლები 2—3 ნაწილად განკვეთილია და თითოეული  
ფოთოლაკის ხერხებილა ნაპირი ირიბი კვერცხისებურია; ზოგიერ-  
თი მათგანი ფრთად განკვეთილიცაა. შუა ფოთლები მოკლე ყუნ-  
წიანებია, ხოლო ზედა მჯდომარენი, მეტად პატარა თეთრი ყვა-  
ვილები, 3—5 ან ზოგჯერ ექვს სხივიან რთულ ქოლგა ყვავილედ-  
ში არიან შეკრებილი. ცალკეული ქოლგა ზოგჯერ 5-დან 13-მდე  
ყვავილისაგან შედგება. ნაყოფი სუეროსებურია, მოყვითალო  
ან ყომრალი ფერისა და მომწიფების დროს თავისთავად არ ცვი-  
ვა. ყვავილობს ქინძი იენისიდან აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე.  
ეტანება ზოპიერად ნესტიან შავმიწა ნიადაგს, სიმშრალეს უფრო  
იტანს, ვიდრე გადაჭარბებულ სინესტეს (სურ. 52). საქართვე-  
ლოში ქინძს უხსოვარი დროიდან იყენებენ როგორც საუკეთესო  
საკმაზს და აგრეთვე როგორც სამკურნალწამლო საშუალებას. ქინ-  
ძის თესლი (Semina Coriandri), ქინძის წვენი (Succus Coriandri)  
და ქინძის წყალი (Aqua Coriandri) დავით ბატონიშვილს უებარ  
საშუალებად მიაჩნია თავის ტკივილის, სისხლის დენის, გულის  
რევის, მწარე ბოყინისა და ხუნაგის დროს: „კაცსა რომე სიცხისა  
და სიმხურვალისაგან თავი სტკიოდეს და ქინძის თესლი ან ჭამოს

და ან დანაყოს და ძმრითა გააყენოს და თავ მტკიევანმა კაცმან თავ-  
 ზედა შემოიციხოს, თავის ტკივილს მაშინვე უშველის“, „კაცმან  
 რომე ქინძი დანაყოს და ძმრით ტლელ ქნას, და მსივანსა ალაგ-




სურ. 52. ქინძი (*Coriandrum sativum* L.).

ზედა დაიდვას, ყოვლის სიმსივნისათუჲს გამორჩეული წამალი და ყოველს სიმსივნესა გააქარეკებს და ტკივილსა და გატეხასა მაშინვე გაუშვებს“. „კაცსა როჲე ცავარაა სისხლი სდიოდეს ასრე უნდა: ესე ქინძის თესლი დანაქონ და ორივე ცავირი გამოუტუნონ, მაშინვე ცხვირსა სისხლს დასწუუოს“, „კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, ორი დირჩამი გავზაბანის წყალი და ორი დირჩამი ამა ქინძის წვენი ერთგან აურიონ და ასუან მაშინვე სიახლსა დასწყუეტს და ყუანა უშველის“, „ესე ქინძი რომე კაცმან ქამოს, რწყევასა და მწარე ბოყინსა ორსავე უშველის და უკუაგდებს“, „ვინცა ღვინითაც და ან ბაქმაზითა ქინძი გააყენოს და პირშიგა იმგვიბოს, კაცსა ყელსა და ხახასა გაუხსნის და ხუნავს უშველის“-ო. ამასთან დავით ბატონიშვილი მიუთითებს მის შხამიანობაზეც: „კაცმან რომე ორმოცი დირჩამი და უფრო ცოტა ქინძის წვენი სუას, ისი კაცი უსათუოდ უნდა მოკუდეს“. ის იყენებს ქინძს ძვალის დაავადების პრაქტიკაშიც. ჩვენს ხალხურ მედიცინაში ქინძს დღესაც ასეთივე გამოყენება აქვს. არსებობს აზრი, რომ უმი ქინძი ბევრი რაოდენობით ადაძიანს გონებას უჩლუნგებს და მებსიელებას უკარგავსო; ხშირად მიგვითითებენ აგრეთვე ქინძის საფალარათო თვარებებზე. მეცნიერულ მედიცინაში ქინძს იყენებენ როგორც სხვა სამკურნალო საშუალებათა გემოს გაჯაუმჯობესებელს, Carminativum-ს, ხოლო მის ზეთს ხმარობენ მცენარე *Lavandula vera* D. C. Syn. *Lavandula officinalis* Chaix. ზეთის შემცველად (ავერიინის მალამოს მოსაძახადებლად). ჩვენს ფარმაკოპეიაში ქინძი მოხსენებული არ არის, მაგრამ აპერიკასა და ბრაზილიაში დღესაც იყენებენ მისი თესლისაგან მიღებულ ზეთს (*Oleum Coriandri*). საქართველოში ქინძის შეგროვება ველურად შეიძლება დაახლოებით ერთი ტონის რაოდენობით; აქედან კოჯორსა და ოქროჯანის მიდამოებში 0,5 ტონის, მარნეულის რაიონშიც 0,5 ტონის რაოდენობით. გარდა ამისა, ჩვენში დიდი შესაძლებლობაა ქინძის კულტურის გაფართოებისა.

### გოგრა—*Cucurbita Pepo* L.

გოგრა ცნობილია საქართველოში აგრეთვე კვახის სახელწოდებით, ეყუთენის გოგრანაირთა (*Cucurbitaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს და წარმოადგენს საკმაოდ ცნობილ საბოსტნე კულტურას, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მოყავთ სიმინდთან ერთად. მის ხასიათდება მხვიარა, უღვაშებიანი ღეროთი, მთლიანი ან თათნაირი, განიერი ფოთლებით გრძელ ღრუიან ყუნწებზე, 18. საქართველოს სამკურნალო მცენარეები.



სურ. 53. ლავანდი (*Lavandula vera* DC.).

აოგჯერ ხორკლიანი ზედაპირით, რომელსაც თვალთ ან ხელის  
 კადასმით ადვილად შევამჩნევთ. ფოთლის უბეში ვითარდება ცალ-  
 ყული ან ყვავილედში შეკრებილი ყვავილები; იქვე ვითარდება  
 უღვაშიც, რომელიც გვხვდება როგორც დატოტიანებული, ისე  
 ჰოლიანი სახით და სახეცვლილ ყვავილთანს წარმოადგენს. უღვა-  
 მის საშუალებით გოგრა ეკიდება საყრდნობს. ჩვეულებრივ, გოგ-  
 რას უფითარდება ერთსქესიანი და ერთსახლიანი, იშვიათად ორ-  
 სახლიანი ყვავილები ხუთი მტკრიანათი; ზოგჯერ ოთხი მათგანი  
 შეზრდილია, ერთი კი განცალკევებული. მდელრობითი ყვავილი  
 შედგება სამი ნაყოფის ფოთლისაგან და თითოეულ მათგანს უფი-  
 თარდება ხორციანი, ორად გაყოფილი თესლის ტვირთი მრავალი  
 თესლით. გოგრა ერწოთლეული მცენარეა. საქართველოში მის თესლს  
 ხმარობენ როგორც ჰიის დამდენ საშუალებას, ხოლო გოგრის  
 ხორციან ნაწილს კი იყენებენ საკვებად და აგრეთვე როგორც  
 კუჭში შემკვრელ საშუალებას კუჭნაწლავის აშლილობის დროს.  
 ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში გოგრა მოხსენებული არ  
 არის, მაგრამ შვეიცარიისა და ბრაზილიის ფარმაკოპეაში მას  
 დღესაც იყენებენ როგორც საუკეთესო ჰიის დამდენ საშუალებას,  
 განსაკუთრებით ბავშვთა პრაქტიკაში; მას უნიშნავენ ფაფის ან  
 ნაღლევის სახით და ურევენ შაქარს ან თაფლს. გოგრის ხორციანი  
 ნაწილი ქიმიურად შეიცავს კრემენის, ფოსფორის და სხვ. მჟავებს,  
 კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას და 96% წყალს. გოგრის  
 ეს ნაწილი იხმარება როგორც საკვები, მაგრამ დიდი რაოდენო-  
 ბით ის აძლიერებს ღიურებს, რაც იწვევს თირკმლებიდან ქლო-  
 რის გაძლიერებულ გამოყოფას; სწორედ ამ მიზნით მას ხშირად  
 უნიშნავენ ღვიძლისა და თირკმლების დაავადების დროს. გოგრის  
 თესლი (*Semen Cucurbitae* ან *Semina Cucurbitae decorticata*)  
 ქიმიურად შეიცავს 34% ცხიმზეთებს, ფიტოსტერინს (*Phyto-*  
*sterin—Cucurbitol*), გლუკოზიდ ფიტოსტეროლინს, კრისტალურ  
 ცილას, კრისტალურ გლობულინს—ვიტელოზს, ედესტინს,  
 0,4% ლეციტინს, 1,4% ლერწმის შაქარს და აგრეთვე ფიტინს,  
 ფისს ოქსიცეროტინის მჟავით, მცირეოდენ სალიცილის მჟავას,  
 ემულსინს, ლაქტაზს, ურეაზს (ის არ შეიცავს არც ერთ საპო-  
 ნინს), 3,7—5% ნაცარს და სხვ. გოგრის პრეპარატია: *Emulsio*  
*Seminis Cucurbitae*. ჩვენში გოგრის კულტურის დიდი შესაძლებ-  
 ლობაა და მისი დამზადებაც დიდი რაოდენობით შეიძლება.



## რეცეპტები:

Rp.: Emuls. sem. Cucurbitae decort.

30,0:200,0

DS. სუფრის კოვზით ყოველ 3 საათში.

Rp.: Decocti sem. Cucurbitae decort. 10<sup>0</sup>/<sub>0</sub>—200,0

DS. სუფრის კოვზით 3—4-ჯერ დღეში.

Rp.: Sem. Cucurbitae decort. cont. 80,0

Melis depurati—20,0

MDS. ჩაის კოვზით დღეში 3—4-ჯერ.

## კომპო—*Cydonia oblonga* Mill.

კომში, რომელსაც დასავლეთ საქართველოში ბიას ეძახიან, წარმოადგენს ბუჩქს ან ხე-მცენარეს და ვარდნაირთა (*Rosaceae* ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. ჩვენში ის კულტურული მცენარეა, მაგრამ მას გავლურობული სახითაც ვხვდებით. მისი ახალგაზრდა ყლორტები დაფარულია თეთრი ფიფქისებრი ბუსუსით, რომელიც მოგვიანებით შორდება. ღეროზე ვითარდება მოკლეყუნწიანი, კვერცხნაირი, ოვალური ან მრგვალი კიდემთლიანი მორიგეობით განწყობილი ფოთლები; ზრდადასრულებული ფოთლის ზედა ზედაპირი მუქი მწვანე ფერისაა და შიშველი, ხოლო ქვემო კი დაფარულია თეთრი ბუსუსით. მოზრდილი მკრთალი წითელი ფერის ყვავილები მრავალრიცხოვანი მტკვიანათი და ქვედა ხუთსვეტიანი ნასკვით თითო-თითოდ სხედან ყუნწებზე; როგორც ყვავილსაჯდომი, ისე ყუნწი დაფარულია მატყლისებური ბუსუსით. ჯამი და გვირგვინი შედგება ხუთი ფოთოლაკისაგან. მას ღვითარდება მსხვილი, ხორციანი ცრუ ნაყოფი, რომელიც ჯერ მწვანე ფერისაა და ბუსუსითაა დაფარული, დასასრულს ყვითლდება, თითქმის შიშვლდება და არმატული სუნით ხასიათდება. ნაყოფში მრავალი დიკუთხული, მოწითალო-ყომრალი ფერის თესლია, გარედან ნაცრისფერი ნალექით, რომელსაც ლორწოს გემო და თვისებები აქვს. კომში ხარობს როგორც დაბლობ, ისე მთიან ზონაში, ტყის პირას და ბუჩქებს შორის და თავს შესანიშნავად გრძნობს თიხაკირიან ნიადაგებზე (რაქაში). კომშისა და თუთის ახალგაზრდა კვირტიან ყლორტებს ჩვენში თანაბარი რაოდენობით ხარშავენ წყალში (ასი გრამი ორ ჩაის კილა წყალზე), ისე რომ წყალი განახევრდეს და ივლებენ პირში ღრძილებიდან სისხლის დენის ან

მათი სხვა რაიმე დაავადების დროს; ასევე დღემდე ხმარობენ მის თესლსაც ყელში გამოსავლებად ყელის დაავადების დროს. დავით ბატონიშვილი გვიჩვენებს ბიის გულს (*Semina Cydonii*), ბიის ფოთოლს (*Folia Cydonii*), ბიის რუბის (*Sirupus Cydonii*), ბიის წვესს, ბიის მურაბას და ბიის შარბათს, როგორც შექყურელს თავის ტკივილის, პირღებინების და სხვა დაავადებათა საწინააღმდეგო საშუალებას: „და ეს ხილები არის რომე კაცსა შექყურავს: ბია, ვაშლი, სხალი და ბროწეული.“ „და მოიტანე ბიის გული, დანაყეთ და ზომიერი წყალი დაასხით და გამოწურეთ და ლუბათ ქენით, გაწურეთ და შაქრის მყინვართა შარბათად ქენით და თავმტკივანს კაცსა ასვით, მწოვედ კარგად უხამს, საფრას გააქარვებს და თავის ტკივილს უშველის.“ „და თუ წამლის სმასა უკანა კიდევ გულმან ან რევა და ან ზიდება დაუწყოს ან უნაბისა ან ტარხუნისა, ან ბიისა, და ან ვაშლისა ფოთოლი კევსავით აღექონ და ამითი წვენი კი ჩაყლაპონ და გულის რევასა და გულის ზიდებებსა ორსავე უკუაგდებს“ და სხვ. ჩვენი ფარმაცოპიას მე-7 გამოცემაში კომში მოხსენებული არ არის, მაგრამ ზოგიერთი სხვა ქვეყნის ფარმაცოპიაში დღესაც იყენებენ კომშის მწიფე ნაყოფსა და თესლებს (*Fructus Cydoniae et Semina Cydoniae*), როგორც შემომღებ საშუალებას ყელის დაავადებათა პრაქტიკაში. კომშის თესლის ქიმიური შემცველობა ასეთია: ლორწო, მეთოქსიურონ მჟავა, მცირეოდენი არაბინოზი, ურონის მჟავა, დექსტროზი, ქსილოზი, 14—15% ცხიმზეთები, 1,3—5% ნაცარი; თესლის გარსი შეიცავს ლორწოს, მთრიმლავ ნივთიერებას და სხვ.; ლორწოს შემცველობა მასში 20%-ით განისაზღვრება. გარდა ამისა, ის შეიცავს 15% ცხიმზეთს, ცილებს, საღებავ და მინერალურ ნივთიერებას, გლუკოზიდს, ფერმენტ ემულსინს; ნაყოფის რბილში მოიპოვება 10%-დე შაქარი, ვაშლისა და ღვინის მჟავა, მცირეოდენი მთრიმლავი ნივთიერება და სხვ. მეცნიერულ მედიცინაში ზოგჯერ იყენებენ თესლს სუსტ საფადარათო საშუალებადაც. რაც აიხსნება მასში მთრიმლავ ნივთიერებათა არსებობით, რომლებსაც თან ახლავს სახამებელი, პექტინი და ფისი. თესლის შეგროვება უნდა მოხდეს ნაყოფის სრული სიმწიფის პერიოდში. კომშის ფარმაცეპტული პრეპარატებიდან ცნობილია: *Semina Cydoniae*, *Mucilago Seminum Cydoniae*, *Fructus Cydoniae*, *Extractum Ferri Cydoniatum*, *Tinctura Ferri cydoniata* და სხვა. საქართველოში კომშის შეგროვებისა და თესლის დამზადების დიდი შესაძლებლობაა.

## რეცეპტები:

Rp.: Mucilago sem. Cydoniae 200,0

DS. სუფთა მარლით მტკივნეულ  
ადგილზე დასადებად.

## ევკალიპტი — Eucalyptus globulus Labill.

ევკალიპტის სამშობლოდ ითვლება ავსტრალია. ის დიდი რაოდენობით მოიპოვება უელსისა და კუნძულ ტასმანიის სამხრეთ რაიონებში. ჩვენში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე ის იმდენად შეეგუა ადგილობრივ პირობებს, რომ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მცენარე ჩვენებური არ არის. ევკალიპტი ეკუთვნის Myrtaceae-ის ბოტანიკურ ოჯახს და წარმოადგენს გიგანტურ მცენარეს, რომელიც თავის სამშობლოში 110—120 მ სიმაღლეს აღწევს და ახალგაზრდობის პერიოდში ყოველწლიურად 4—6 მ მატულობს. ის იძლევა საუკეთესო ხარისხის მერქანს, საუცხოოდ ასუფთავებს ჰაერს და წარმოადგენს კარგ საშუალებას ქაობების ამოსაშრობად. ახალგაზრდა მცენარის მოგრძო ფოთლები ერთიმეორის პირისპირ მჯდომარეებია. ქვედა მხარეზე მომწვანო ფერის თეთრი იერიით და ეთერზეთების ჯირკვლებით, რომლებიც სინათლეზე წინწყლების სახით ჩანს. მოზრდილი ევკალიპტის ფოთლები ყუნწიანებია, ხაზურა ლანცეტაა და ხშირად ნამგლისებურად მოხრილები მორიგეობით სხედან ყლორტებზე და ფუძესთან განიერდებიან. ფოთოლი ორივე მხარეზე მოლურჯო-მწვანე ფერისაა და მდიდარია ეთერზეთის მომცემი, ხშირი, წინწყლოვანი ჯირკვლებით. ყვავილები ვითარდება ფოთლის ილღიაში თითო-თითოდ ან წყვილ-წყვილად. ჯამი მწვანე ფერისაა და გამერქნებული, ასევეა გვირგვინი, იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი ყვავილის გაშლისთანავე ცვივა. ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია, რომელშიც ვითარდება არასწორი ფორმის, წახნაგოვანი, ყომრალი ფერის თესლები, სიგრძით 2,5 მმ, ხოლო სიგანით 1 მმ. შემოდგომაზე ძველი ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით ეთერზეთებს, რომლებიც გამოყენებულია მეცნიერულ მედიცინაში როგორც საინჰალაციო საშუალება სასუნთქავი გზების კატარის დროს. ევკალიპტის ზეთი შედის ევკალიპტმენტოლისაგან დამზადებული კვერკების შემადგენლობაში, რომელიც იხმარება როგორც ხველების აწინააღმდეგო საშუალება; მის ზეთს იყენებენ აგრეთვე სივა სამკურნალო საშუალებებთან ერთად ჩასახელად. ევკალიპტის ფოთ-

ლებიდან ამზადებენ ევკალიპტის ნაყენს ბრონქიტის წინააღმდეგ. რომელსაც ხმარობენ ქინაქინთან ერთად მალარიის დროს. აგროვებენ ევკალიპტის ძველ ფოთლებს (*Polia Eucalypti*) შემოდგომაზე. მათი ქიმიური შემცველობა ასეთია: 1,5—3% ეთერზეთები ევკალიპტოლი (*Eucalyptolum*), ანუ იგივე ცინეოლი (*Cineol*) და 6% ნაცარი. ევკალიპტი ჰგენს სააელმწიფო ფარმაკოპეას მე-7 განცემასში მოხსენებული არ არის, მაგრამ მისი მოქმედი საწყისი კი ჰგენში გამოყენებულია. ამერიკაში, ბრაზილიაში, ბრიტანეთში, გერმანიაში, ბელგიასა და იტალიაში ამ მცენარეს იყენებენ და ფარმაკოპეაშიც შეტანილი აქვთ. ევკალიპტის პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Tinctura Eucalypti*, *Oleum Eucalypti*, *Oleum Eucalypti aethereum*, *Extractum Eucalypti fluidum*, *Pasta Eucalypti composita*, *Pasta Eucalypti officinalis*, *Sirupus Eucalypti*. საქართველოში ამ კულტურული, მაგრამ ზოგჯერ გავრელებული მცენარის ფოთლების შეგროვება ყოველწლიურად შესაძლებელია დაახლოებით შემდეგ ფარგლებში: აპრილში 2 ტ., აპრილში 3 ტ., სამეგრელოში 2,5 ტ., აფხაზეთში 3 ტ., სამტრედიის რაიონში 0.5 ტონა. სულ 11 ტონა.

### რეცეპტები:

- Rp.: *Tincturae Eucalypti* 15,0  
DS. 20—25 წვეთი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: *Tincturae Eucalypti*  
*Tincturae Trifolii*  
*Tincturae Absinthii*  $\frac{1}{22}$  10,0  
MDS. 30—40 წვეთი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: *Ol. Eucalypti* 10,0  
*Mentholi* 1,0  
MDS. საინჰალიაციოდ.
- Rp.: *Mentholi* 2,0  
*Ol. Eucalypti*  
*Ol. Terebinthinae*  $\frac{1}{22}$  20,0  
MDS. ჩასახლად.
- Rp.: *Ol. Eucalypti* 10,0  
*Ol. Terebinthinae*  
*Methylis salic.*  $\frac{1}{21}$  15,0  
MDS. ჩასახლად.

ბამბა, როქლაუ ეკუთნის ბამბისებრთა (Bombacaceae-ეს) ბოტანიკურ ოჯახს, ველურად წარმოადგენს მრავალწლოვან ბუჩქს, ხოლო კულტურაში კი ერთწლოვანი მცენარეა სწორმდგომი და დატოტიანებული ღეროთი. გოძელყუნწიანი, საკმაოდ დიდი ზომის, 3—5—7 ნაწილად თავისებურად გაკვეთილი ფოთლები მორიგეობით სხედან ღეროზე. ფოთლის უკვეში თითო-თითოდ სხედან საკმაოდ მოგრძო ყუნწიანი და დიდი ზომის ყვავილები, რომლებსაც ახასიათებს 5 ჯამის ფოთოლაკი და 5 გვირგვინის ფურცელი, მრავალი მტვრიანა და ერთმანეთთან მილისებურად შეზრდილი ძაფები. ნაყოფი კერკხის ფორმის ტყავისებური კოლოფია, რომელიც 3—5 საგდულით იხსნება. ნაყოფი შეიცავს მრავალ, წვრილ, შავი ფერს თესოს. რომელიც მეტად ხშირი და გრძელი ბუსუსითაა დაფარული. ჩვენში (მარნეულის რაიონში) ეს მცენარე მოყავთ კულტურაში. ბამბას ჩვენი ხალხი დიდი ხანია იცნობს და იყენებს კანის დაავადების პრაქტიკაში. როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ ბამბას უაღრესად დიდი გამოყენება აქვს, არა მარტო ჰედიციანაში, არამედ ტექნიკაშიც. მეცნიერულ მედიცინაში მას იყენებენ როგორც შესახვევ მასალას, განსაკუთრებით ქირურგიაში ბამბის, მარლის და ბანდის სახით; მისგან ღებულობენ კოლოიდს, რომელსაც უსვამენ კანზე წყლულების. ნაჭდევის წითელი ქარა, ძვირე სახალის დანასა და კანის სხვა დაავადებათა შემთხვევებში. კოლოდუმიდან ეთერის სწრაფი აქროლებით წარმოაშობა კანის თანაღობა. პრადა, მაგრად მიკირული ფირფიტა. იმისათვის, რომ ამ ფირფიტას ელასტიკურება ჰქონდეს, მას უმატებენ გლიცერინს, აბუსალათინის ზეთს ან სკიპიდარს; ბამბის თესლიდან მიღებული ზეთი გამოყენებულია პლასტიკებისა და მალაქოების დასაახლებლად, ხოლო პისი ფესვები დიდ დოზებში, ჩსგავსად ქვეყნის რქიანა, რხმარება საშვილოსნოდან სისხლის დენას შეაჩერებლად; ვინაიდან მცირე დოზებში ეს საშუალება საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა და სისხლის დენას აღიერებს, ამიტომ მას იყენებენ როგორც abortivum ს, haemostaticum, emmenagogum და antispasmodicum-ს. ბამბის თესლის ბუსუსი ქიმიურად შეიცავს უჯრედააა. ანუ იგივე ცელულოზა, ცხიმებს და ცილების კვალს, თინორალურ მარილებს. 1,83%—7% წვალს. ჰიგროსკოპიული ბამბა (Gossypium depuratum s. hygrosopicum) ყველა ამ ნივთიერებისაგან თავისუფალია. შემოდგომაზე შეგროვებული ბამბის ფესვის ქერქი შეიცავს 10% წითელ და ყვითელ

ფის, ციმბრეტებს, ეთერზეთებს, შაქარს, ტანინს, ქლოროფილს და 6% მინერალურ მარილებს, აგრეთვე ბამბის შეავასა და პიგმენტ გოსსიპინს. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში იყენებენ შემდეგ პრეპარატებს ბამბის ფესვის ქერქიდან: *Extractum Gossypii fluidum*, ხოლო საზღვარგარეთ: *Extractum fluidum Gossypii herbacei* და *Extractum Gossypii herbacei spirituosum* (*Spissum* და *siccum*); იყენებენ აგრეთვე სხვადასხვა ნივთიერებებით გაღებულ ბამბასაც: *Gossypium haemostaticum*, *Gossypium ichthyolatum*, *Goss. cum Hydrargyra bichlorato corrosivo*, *Gossypium jodatum*, *Gossypium jodoformatum*, *Goss. salicylatum*, *Goss. thymolatum*, *Goss. benzoicum*, *Goss. boricum*, *Goss. Carbolisatum* და სხვ. ჩვენში ბამბის კულტურის გავრცელების შესაძლებლობა დიდია.

### რეცეპტები:

Rp.: Extr. Gossypii fl. 30.0  
DS. 30 წვეთი დღეში 3-4ჯერ.

Rp.: Extr. Gossypii fl.  
Extr. Aesculi Hippocastani fl.  $\frac{aa}{aa}$  15,0  
MDS. 30 ..40 წვეთი დღეში 3-4ჯერ.

### მზისუმზირა—*Helianthus cultus* Wenzl. (*H. annuus* L.)

ეს ერთწლოელი მცენარე, ორ მეტრამდე სიმაღლის სწორმდგომი ღეროთი, ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (*Compositae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს. მზისუმზირას ღერო და ფოთლები ხაოიანი ბუსუსითაა შემოსილი. საკმაოდ დიდი, გულნაირ-კვერცხნაირი ფოთლები ხეზბილია ნაპირებით ყუნწიანებია და ღეროზე მორიგეობით არიან განწყობილი; ყვითელი ფერის ყვავილები შეკრებილია დიდი ზომის კალათა ყვავილედში, რომლის ნაპირას გრძელი ენაკიანი ყვავილები სხედან, ხოლო შუაში კი მილნაირი; ნაცოფი თესლურაა. ჩვენში ეს მცენარე კულტურაშია გავრცელებული, მ.გ. რამ გვხვდება გავრცელებული სახითაც. მეცნიერულ მედიცინაში ამ მცენარის თესლიდან გამოწნეხილ ზეთს (*Oleum Helianthi*) იყენებენ ისევე, როგორც ლენცოფას ზეთს (*Oleum Hyoscyami*). ის იხმარება აგრეთვე ბევრი სხვა ძვირფასი ზეთის ნაცვლად და გამოყენებულია ფარმაკიაში როგორც დამხმარე საშუალება. ის ნოხსენებულია ჩვენი სახელმწიფო ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში და აგ-

რეთვე საზღვარგარეთაც. ხალხურ მედიცინაში იყენებენ მზისუმბი-  
რას ფოთლებს და ყვავილს (*Flores et Folia Helianthi annui*),  
რომლებსაც აგროვებენ მცენარის ყვავილობის პერიოდში. მზისუმ-  
ბირას ყვავილი შეიცავს კრიბტოქსანთინს, ლუტეინს, ტარაქსან-  
თინს, მცირეოდენ კაროტინს, ქოლინს, ბეტაინს და სხვ. ხოლო  
მისი თესლი (*Fructus (semen) Helianthi*) კი შეიცავს 20—37%  
ცხიმზეთებს. მარცვლებში შედის 40—50% ცხიმზეთი, 0,45%  
ლექციტინი, 0,15% ქოლესტერინი, 0,6% ორგანული მჟავე-  
ბი, 24% ცილა, გლობულინი, ეფესტინი, კონგლუტინი,  
არგინინი, ფიტინი, ბეტაინი, ჰელიანთის მჟავა—ქლოროგენმჟა-  
ვა, სახაროზი, ლიპაზი, ფენოლაზი და სხვ. ფოთლებსა და ყვავი-  
ლებს იყენებენ როგორც მწარეს, წვეთებისა და ნაყენის სახით.  
ჩვენში მზისუმბირას ყველა ნაწილის შეგროვება შეიძლება დიდი  
რაოდენობით, მით უმეტეს თუ გავადიდებთ მის ნათესებს.

### რეცეპტები:

Rp: Tinctura Helianthi 20,0

DS. 30—40 წვეთი დღეში 3-ჯერ.

### ლურჯი ზამბახი—Iris Germanica L.

ეს მრავალწლოვანი სადეკორაციო მცენარე, რომელიც ზოგ-  
ჯერ გაველურებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, ზამბახისებრთა  
(*Jridaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. ხასიათდება მძლავრი,  
ლონიერი, ჰორიზონტალური ფესურათი, ხმლისებური ფოთლებით  
და ხორციანი ღეროთი, რომლის კენწერზე იისფერი ყვავილები  
ვითარდება. ყვავილის ყვავილსაფარი მარტივია, გვირგვინისებუ-  
რი და 6 ფოთლიანი. 3 გარეთა ფოთოლი გადახრილია შუაზე  
ქვევით ან ჰორიზონტალურად, 3 შიგნითა კი მალა დგას. მას  
აბასიათებს 3 მტვრიანა გრძელი სამტვრეებით, სამად გაყოფილი  
ღინგი და ქვედა ნასკვი. ნაყოფი სამსაგდულიანი და სამბუღიანი  
კოლოფია. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ამ მცენარის სხვა  
სახეობებსაც, რომელთა შორის ზოგიერთი ჩვენში ველურად ხა-  
რობს. ამ სახეობებიდან აღსანიშნავია *Iris florentina* L., *Iris pal-*  
*lida* Lamark, *Iris versicolor* L., *Iris pseudacorus* L. და სხვ.  
ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში ეს მცენარე მოხსენებულია;  
მას იყენებენ, როგორც არომატულ საშუალებას, პარფუმერიაში  
და აგრეთვე კბილის დაავადებათა პრაქტიკაში. მის ძირითად მო-

ქმედ საწყისად ითვლება ეთერზეთი. მკურნალობის საქმეში გამოყენებულია ამ მცენარის ფესვურა (*Rhizoma Iridis*), რომლის ქიმიური შემცველობა ასეთია: ეთერზეთი, რომელიც მდიდარია ირონით და, მკვლევარი Ruzicka-ს მიხედვით, წარმოადგენს კეტონაზავს, უმთავრესად ირონს.  $C_{10}H_{17}$ -ის ჯგუფი არის მთავარი ამ ციკლისათვის, თავისი 3 მეთილის ჯგუფით; ზამბახის ფესვურა შეიცავს ირიდინს, რომელიც შეავას მიმატებით იშლება ირიგენინად და დექსტროზად, 57% სახამებელს; ნაცარი 3—5% შეადგენს, რომლის 40%-ს  $CaO$  წარმოადგენს. მათი ფარმაკევტული პრეპარატებია: *Pulvis pro infantibus Hufelandii*, *Species pectorales*, *Radices Iridis mundatae* (scu *Rhizoma Iridis pro infantibus*), *Trochisci bechici*, *Pulvis gummosus cum Iridae* (Seu *Species dia-ireos*), *Pulvis dentifricus albus* და სხვ. ჩვენში ზამბახის როგორც აღწერილი სახეობის, ისე ზოგიერთი სხვა ჩამოთვლილი სახეობის შეგროვების შესაძლებლობა დიდია.

### ოლენდრე — *Nerium oleander* L.

ეს მცენარე, რომელიც (*Apocynaceae*-ეს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის, წარმოდგენილია ჩვენში კულტურულ მცენარის სახით, ხოლო ბუნებრივად ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში იზრდება. როგორც მეტად ლამაზი დეკორაციული მცენარე, ის გავრცელებულია საქართველოს ბალკარებში, შავი ზღვის სანაპიროებზე, კახეთში, აგრეთვე ყირიმსა და ბაქოში. იგი ხშირად გვხვდება როგორც ოთახის მცენარე, რომელიც მეტად ეფექტურია და ლამაზი. ოლენდრე 4 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია. მისი მერქანი და ფოთლები შხამიანია. მისი სქელი, ტყავისებური, კიდემთლიანი ლანცეტა ფოთლები წაწვეტებული წვერით, სამ-სამად სხედან ღეროს მუხლებში. ფოთოლი ზევიდან მოშაო, ქვევიდან კი მოყვითალო-მწვანეა; ოლენდრე ყვავის ივნისსა და აგვისტოში და ივითარებს თეთრ, ვარდისფერ, ან მეწამული ფერის საკმაოდ მსხვილ ყვავილებს; სინათლის მოყვარული მცენარეა და მოითხოვს ღია, მაგრამ დაცულ ადგილმდებარეობას; საკმაოდ გვალვაგამძლეა, მაგრამ მაინც მეზოფიტად ჩაითვლება. დიდი ყინვების ეშინია (—15), დაცულ ადგილებში კარგად იზამთრებს თბილისში. მეცნიერულ მედიცინაში, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, ამ ბოლო ხანებში იყენებენ ოლენდრის ფოთოლს, შეგროვებულს ყვავილობაში მყოფი მცენარიდან, როგორც საუკეთესო საგულე საშუალებას. ფოთლის ქიმიური შემცველობაა 1,15% გლუკო-



ზიდა კრებული, რომელიც ნერიინისა და ოლეანდრინისაგან შედგება. ნერიინი იშლება მეავეით ყომრალ ნერიგენინად, გლუკოზად და ერთ უცნობ ნიეთიერებად. ოლეანდრინი ჰადროლიზით იშლება გლუკოზად. გარდა ამისა, ოლეანდრის ფოთოლი შეიცავს ფისს. გლუკოზას, პარათინს, მთრიპლავ ნიეთიერებას, 0,025% ეთერზეთებს. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია. ბერლინში გ. შერინგმა მიიღო ამ მცენარის ფოთლებიდან პრეპარატი ფოლინერინი (Folinerin), რომელიც წარმოადგენს მარცხნივმხრელ კრისტალურ გლუკოზიდს ოლეანდრინს. ეს გლუკოზიდი სტრუქტურულად და ფარმაკოლოგიურად გლუკოზიდ დიგიტალისის მსგავსადაა შემდგარი. ოლეანდრინი (ფოლინერინი) სიმეავეით იშლება და მიიღება ოლეანდრიგენინი (აგლუკონი) და ოლეანდროზი. ოლეანდრიგენინი არის მონაცეტილ-გიტოქსიგენინი, რომელიც ცნობილია თავისი მოქმედებით მსგავსად გლუკოზიდ B - დივალანიდისა (*Digitalis lanata*-დან, ასე რომ გიტოქსიგენინი არის ამ უკანასკნელ გლუკოზიდის აგლუკონი.) ფარმაკოლოგიური მოქმედებით ოლეანდრინი ემთხვევა დიგიტალისის გლუკოზიდს და თავისი სწრაფი და ინტენაიური მოქმედებით წარმოადგენს საუკეთესო საგულე საშუალებას. ოლეანდრის ფოთლებიდან ამ ბოლო დროს კნოლმა დაამზადა პრეპარატი *Perpurat Nerium Oleander*, რომელიც იგივე ბიოლოგიური შენებისა და მოქმედებისაა, როგორც მისი დანაჩენი პრეპარატები. საქართველოში ოლეანდრის მოშენების შესაძლებლობა საქაოლ დიდა.

### ხაშხაში—*Papaver somniferum* L.

ხაშხაში წარმოადგენს ყაყაჩოს სახეობას, რომელსაც საქართველოში ჯხივარი დროიდან იყენებენ მკურნალობაში და ამ მიზნით დიდ რაოდენობით თესავდნენ და აშენებდნენ; მას დღესაც თესავენ ბოსტნებსა და ბაღებში, მაგრამ გაცილებით უფრო მცირე რაოდენობით ვიდრე წინათ. ხაშხაში ყაყაჩოსებრთა (*Papaveraceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის და ხასიათდება ნაკლებად დატოტიანებული მარტივი ღეროთი, რომლის კენწერზე დიდი ყვავილი ვითარდება. ზოგჯერ ფოთლები მორიგეობით სხედან ღეროზე; ქვედა ფრთადგანკვეთილი ან დაკბილული ფოთლები უფრო დიდები და გრძელყუნწიანებია, ღოლო ზედა ფოთლები მჯდომარეებია და დაკბილული. ყვავილს აქვს ორი ჯამის ფოთოლაკი, რომლებიც გაშლის პერიოდში ცვიკა. გვირგვინი შედგება ოთხი წითელი, იისფერი ან თეთრი (*Papaver somniferum* L. var.

album D. C. Pindehiscens Dumort) ფურცლისაგან, ყვავილი ხასიათდება მრავალრაცხოვანი სხივისებური მტვრიანათი და ნასკვით. ნაყოფი წარმოადგენს საკმაოდ დიდი ზომის, 2—7 სმ სიგრძის და ცოტად თუ ბევრად მრგვალი ფორმას კოლოფს, რამდენიმე სატიხარით, საიდანაც მრავალი ძალიან წვრილი, თირკმლისებური მოშავო ფერის თესლები ცვივა. ხაშხაში ყვავილობს მაისიდან ივნისის ბოლო რიცხვებამდე. ეს კულტურული აღმოსავლური წარმოშობის მცენარე ხშირად გვხვდება როგორც სარეველა, განსაკუთრებით საცხოვრებელ ადგილებში. ჩვენში იყენებდნენ ხაშხაშის თესლს, ხაშხაშის ტყავს ანუ ქერქს, ხაშხაშის წვეწვს, ხაშხაშის შაბათს (თათლჩი ან შაქარში ნახარწს) და ხაშხაშის ლობს ან ხაშხაშის სეროფს ფილტვების დაავადების, უძილობის. თვალის სითეთრის წინააღმდეგ, როგორც საფაღარათოს და სხე. „ხაშხაში, მეორეს სიგრილის წილშიცა გრალი არის, ნედლი არის. სურავანდისა, ხელისათვის და უძილობისათვის სამისათვისე მშოედ მარგე და გამორჩეული წამალი არის, ტვინისა და დამალისა ბლლანსა დაადნობს და გააცუდებს. კაცმან რომე ორი დირჰამი ესე ხაშხაში ორსა დირჰამსა თათლშიცა აურიოს და ჰამოს სურავანდსა, სურდოსა და უძილობასა ს მსავე უმეელის და ესე ხაშხაში რომე კაცმან ხუთსა დირჰამდისი ჰამოს კაცსა არას აწყენს. ბევრს აესლს ჩაუყენებს. და ამა ხაშხაშის ტყავი კაცსა შეჰკრავს და ფიცხლავ გახსნის, მაგრა ფირტუსა აწყენს, მეტადრე მაშინ რომე კაცმან ბევრი ჰამოს და ვინ იცის და ამა ხაშხაშმან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და ნაწყენის გამქარვებელი კევი და დანამასტაქი არის“. თითქმის ყოველმხრივ გვიხასიათებს ხაშხაშს დავით ბატონიშვილი და მისგან მოწამელის წინააღმდეგ საქირო წაწლებზეც კი მიგვითითებს. ხაშხაშის წვეწვს აძლევდნენ წინათ ქირვეულ ბავშვებს დასაძინებლად, რაც უეჭველად ცუდ გავლენას ახდენდა მათზე. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ხაშხაშისაგან მიღებულ ოპიუმს, რომელიც გამოყენებულია როგორც ტკივილების დაზაყუჩებელი და დამანშივლებელი საშუალება. მედიცინაში დიდი გამოყენება აქვს მის ალკალოიდებს: მორფინს, კოდეინს, პაპავერინს, ასევე პრეპარატ ომნოპონს (პანტოპონს) და სხე. მაგრამ ვინაიდან ბავშვები განსაკუთრებულ მგრძობელობას იჩენენ ოპიუმის პრეპარატისადმი, ამიტომ ამ ასაკში მას არ უნიშნავენ. ოპიუმის ფხვნილის უჩაღლესი დოზა ერთ მიღებაზე 0.1 გრ უდრის, ხოლო სადღეღამისო—0,3 გრამს. ოპიუმიდან მიიღება მრავალი ალკალოიდი, რომელთა რიცხვი 22-ს აღემატება, თუმცა მედიცინაში ყველა არ გამოიყენება. ეს მცენარე და მისი



სურ. 54. ხაშხაში (*Papaver somniferum* L.).

პრეპარატები მოხსენებულია როგორც ჩვენი ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში, ისე სხვა სახელმწიფოების ფარმაკოპეაშიც. იყენებენ მის ნაყოფს (*Fructus Papaveris immaturi*), *Fructus Papaveris*, *Capita Papaveris*. ქიმიურად ხაშაშის მოუმწიფებელ ნაყოფში მორფინის რაოდენობა უდრის 0,02—0,05%, ნახევრად მწიფეში 0,04% და მწიფეში კი 0,017%—0,07%; მორფინის შემცველობა ამ მცენარეში თითქმის ღრმა სიბერემდე გრძელდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, თანდათან მცირდება. ის შეიცავს აგრეთვე ნარკოტინს, უფრო სწორად მის კვალს, პაპავერინს, პაპავეროზინს. მეკონიუმმეავას, ლეინის მეავას, ციტრონ-მეავას და სხვ. ნაცრის შემცველობა მასში 10—12% შეადგენს; იყენებენ მის ფოთლებსაც (*Folia Papaveris*), რომლებსგანაც ამზადებენ ყაყაჩოს ზეთს (*Oleum Papaveris*); იყენებენ ხაშაშის სხვა სახეობის (*Papaver rhoeas*-ს) ყვავილებს, რომელშიაც ნაცრის რაოდენობა 7% არ აღემატება. მისი პრეპარატებია: *Extractum Rhoeadæ fluidum*, *Gargarisma mitigatorium*, *Species mitigatoriae* ხაშაშის სახეობა (*Paraver dubium*-ი). ახალი მცენარე შეიცავს რძეწვენში 0,004—0,025% ალკალოიდებს, ამორფულ აპორეინს (შხამიანია), კრისტალურ აპორეიდინს (შხამიანი არაა) და მეკონმეავას; მისი კოლოფი შეიცავს აპორეინს. მორფინის ალკალოიდებიდან აღსანიშნავია: მორფინი (*Morphinum*), ნარკოტინი (*Narcotinum*), კოდეინი (*Codeinum*), ნარცეინი (*Narceinum*), ტებაინი (*Thebainum seu Paramorphinum*), ფსევდომორფინი (*Pseudo seu Oxymorphinum*), პაპავერინი (*Papaverinum*), რეადინი (*Rhoeadinum*), კრიპტოპინი (*Cryptopinum*), კოდამინი (*Codaminum*), ლანთოპინი (*Lanthopinum*), ტრიტოპინი (*Tritopinum*), ქსანთალინი (*Xanthalinum*), ლაუდანიდინი (*Laudanidinum*), პაპავერამინი (*Papaveraminum*), ჰიდროკოტარნინი (*Hydrocotarninum*), მეკონიდიანი (*Meconidinum*), ლაუდანოზინი (*Laudanosinum*), პროტოპინი (*Protopinum*), გნოსკოპინი (*Gnoscopinum*), ოქსინარკოტინი (*Oxynarcotinum*), ლაუდანინი (*Laudaninum*) და სხვ. ყველა ამ ალკალოიდებიდან ძირითადად გამოიყენება მორფინი, კოდეინი, პაპავერინი და ნარცეინი. მორფინის ხელოვნურ პრეპარატებიდან აღსანიშნავია აპომორფინი (*Apomorphinum*), ეთილმორფინის მარილმეავა მარილი, ანუ დიონინი, დიაცეტილ-მორფინი, ანუ ჰერონინი (*Heroinum*) და ბენზოდიმორფინის მარილმეავა მარილი ანუ პერონინი (*Peroninum*), რომლებიც გამოყენებულია მედიცინაში. ოპიუმში ყაყაჩოში მეტწილად მეკონიუმთანაა შენაერთებში რძისა, ფოსფორისა და გოგირდის მჟავებთან ერთად. გარდა ამისა, ოპიუმში არის მეკონინი, ცხიმები,

ცვილი, კაუჩუკი, ფისი, ლორწო, უჯრედანა, ცალა, მინერალური  
 მარილები, ექსტრაქტული ნივთიერებანი, ეთერზეთთა კვალი, რო-  
 მელზედაც დამოკიდებულია ოპიუმის სუნი. ჩვენს ფარმაკოპეაში  
 ოპიუმის შემდეგი პრეპარატებია მოხსენებული: ოპიუმი ფხვნილის  
 სახით (*Opium pulveratum*), ტაბლეტებში (*Tabulettae Opii*) (ოპი-  
 უმის შემცველობა უდრის 0,015 გრამს თითოეულში), ოპიუმის  
 გამონაწვლილი (*Extractum Opii siccum*) (უმალღესი დოზა ერთ მი-  
 ღებზე 0,05 გრ უდრის, ხოლო სადღელამისო—0.3), ოპიუმის ნა-  
 ყენი (*Tinctura Opii benzoica*) (უმალღესი დოზა ერთ მიღებზე 1,0,  
 სადღელამისო 3,0), *Tinctura Opii benzoica*-ს, როჟელსაც წინათ  
*Elixir paregoricum*-ს უწოდებდნენ. ოპიუმი შედრს ლოვერის  
 ფხვნილის (*Pulvis Doveri*) შემადგენლობაში, რომელსაც სხვა-  
 გვარად კიდევ *Pulvis Ipecacuanhae opiatum* უწოდებენ (შეი-  
 ცავს: *Pulvis radices Ipecacuanhae* 10,0, *Opii Pulverati* 10,0,  
*Sacchari lactis seu Kalii sulfurici* 80,0), *Pulvis Opiati, am-*  
*monciati* (შეიცავს *Ammonii chlorati* 30,0, *Opii pulv.* 10,0), *Ka-*  
*lii sulfuricis. Sacchari lactis* 60,0, რომლის უმაღლესი დოზა ერთ  
 მიღებზე არის 1,0 გრ სადღელამისო 4,0. გარდა ჩამოთვლილი  
 პრეპარატებისა, ჩვენს ფარმაკოპეაში მოხსენებულია *Tabulettae*  
*Opii et Ipecacuanhae seu Tab. pulv. Doveri*. ოპიუმისა და საზო-  
 გადოდ მცენარე ყაყაოს პრეპარატები ცნობილია სხვა სახელმწი-  
 ფთა ფარმაკოპეაშიც. ამ ფარმაცევტულ. პრეპარატებიდან აღსა-  
 ნიშნავია: *Fructus (capitata) Papaveris*, *Sirupus Papaveris seu*  
*Sirupus Dioscodion*, *Semina Paraveris alba*, *Oleum Papaveris ex-*  
*pressum*, *Opium pulveratum*, *Acetum Opii*, *Aqua Opii*, *Extrac-*  
*tum Opii*, *Pulvis Ipecacuanhae opiatum seu Pulvis Doveri*.  
*Tinctura Opii ammoniata*, *Tinctura Opii benzoica*, *Tinctura Opii*  
*crocata*, *Tinctura Opii simplex*, *unguentum opiatum*, *Codeinum*  
*purum*, *Codeinum bromatum*, *Codeinum iodatum*, *Codeinum phos-*  
*phoricum*, *Codeinum salicylicum*, *Morphinum purum*, *Morphinum*  
*aceticum*, *Morphinum hydrobromicum*, *Morphinum hydrochloricum*,  
*Morphinum phthalicum*, *Morphinum sulfuricum*, *Narceinum purum*,  
*Narceinum hydrochloricum*, *Paraverinum purum*, *Papaverinum hyd-*  
*rochloricum*, *Paraverinum phosphoricum*, *Apomorphinum hydroch-*  
*loricum*, *Dioninum*, *Heroinum* და *Peroninum*. ჩვენში ყაყაოს ეს  
 სახეობა შეიძლება დიდი რაოდენობით შეგროვდეს, თუ მის კულ-  
 ტურას კიდევ უფრო გავაძლიერებთ.

რეცეპტები:

- Rp.: Pulvis Doveri 0,3  
D. t. d. № 6  
S. თითო ფხვნილი დღეში 2—3-ჯერ.
- Rp.: Pulvis Opiati ammoniati 0,3  
D. t. d. № 6  
S. თითო ფხვნილი დღეში 2—3-ჯერ.
- Rp.: Tincturae Opii Simpl. 10,0  
DS. 5—8 წვეთი ერთ მიღებაზე.
- Rp.: Tincturae Opii simpl.  
Tincturae Valerianae  
Tincturae Menthae  $\frac{aa}{aa}$  5,0  
MDS. 15 წვეთი ერთ მიღებაზე.
- Rp.: Tincturae Opii simpl. 5,0  
Tincturae Valerianae 7,0  
Tincturae Nucis Vomicae 3,0  
MDS. 15 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.
- Rp.: Tincturae Opii benzoicac 10,0  
DS. 20—25 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.
- Rp.: Extr. Opii sicc. 0,015  
Saloli 0,3—0,5  
M. f. pulv. D. t. d. № 6  
S. თითო ფხვნილი დღეში 3-ჯერ.
- Rp.: Opii pulv. 0,015—0,02  
Butyri Cacao q. s.  
Ut f. suppositorium  
D. t. d. № 6  
S. ექიმის დანიშნულებისამებრ.
- Rp.: Extr. Opii 0,015  
Butyri Cacao  
(s. Butyrol) q. s.  
Ut. f. suppositorium D. t. d. № 6  
S. ექიმის დანიშნულებისამებრ.

Rp.: Extr. Opii  
 Extr. Belladonnae àà 0,015  
 Butyri Cacao q. s.  
 ut. f. suppositorium  
 D. t. d. № 6  
 S. ექიმის დანიშნულებისამებრ.

ლობიო (*Phaseolus vulgaris* L.)

ლობიო პარკოსანთა (*Leguminosae*-ს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის და წარმოადგენს ჩვენში საკმაოდ გავრცელებულ და ყველასათვის ცნობილ კულტურულ ლიანა მცენარეს რთული ან მარტივი ფოთლებითა და თეთრი ან სხვა ფერის ყვავილებით. ლობიოს პარკი (*Fructus Phaseoli sine semine*) საზღვარგარეთ შეტანილია ფარმაკოპეაში, ხოლო ჩვენში, თუმცა ის შეტანილი არ არის ფარმაკოპეაში, მაგრამ ხალხში ის ცნობილ საშუალებას წარმოადგენს. ლობიოს პარკი შეიცავს C ვიტამინს, ნაცრის რაოდენობა მასში 5% არ აღემატება. ფოთლებში შედის ალანტოინმეავა, კაროტინი, პენტოზანი (რომლის რაოდენობა მთელ მცენარეში 10%-მდეა), სახაროზი. მისი საფარველი (პარკი) შეიცავს ქოლინს, არგინინს, ალანტოინს, ტრიგონელინს, ტიროზინს, ლეუცინს, ლიზინს, ფაზოლს, ფაზეოლინს, ასპარაგინს, პარაფიტოსტერინს, შაქარს, ინოზიტს, ფლავონს, კეჟმეავას და სხვ. გერმანიაში ბერლინ-ბრიტცაში დაამზადეს პრეპარატი ფაზოდიალი (*Phasodial*), რომელიც წარმოადგენს ლობიოს გამშრალი საფარველის ან პარკის კონცენტრირებულ ალკაჰოლს. მას იყენებენ *Adjuvans-Diabetes mellitus*-ის დროს, ხმარობენ როგორც *Diureticum*-საც თირკმლებისა და შარდის ბუშტის გაბერილობის დროს. ღებულობენ დღეში 3—5-ჯერ როგორც ინსულინის შემცველს. საქართველოს მოსახლეობა ხმარობს ამ მცენარის თესლის ნახარშს, როგორც საუკეთესო შემკერელს კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს. ის წარმოადგენს საუკეთესო ყუათიან და ცილებით მდიდარ საკვებს, რის გამოც ის ჩვენში დიდი რაოდენობით ითესება და მისი კულტურის კიდევ უფრო გაფართოების შესაძლებლობა ჩვენში დიდია.

ეს კულტურული ბალახოვანი მცენარე ეკუთვნის რძიანასებრთა (*Euphorbiaceae*-ს) ბოტანიკურ ოჯახს და ჩვენში 2—3 მ სიმაღლეს აღწევს, ხოლო თავის სამშობლოში—აბისინიაში კი ხე-მცენარეს წარმოადგენს. მისი ღერო სწორმდგომია და მსხვილი; დიდი ზონის, ფარისებრი, ხერხებილა ფოთლები არათანაბარი მოგრძო ნაწილებით მორიგეობით სხედან გრძელ ყუნწებზე; მათ ქვედა მხარეზე აშკარად ჩანს დაძარღვა. ერთსქესიანი, ერთსახლიანი კენწრული ყვავილები მწვანე ყვავილსაფარით შეკრებილია ფოთლის ილიაში მტევან ყვავილედში. მტევანის ქვედა მხარეზე მოთავსებულია მამრობითი ყვავილები, რომლებიც ბოლოვდებიან დატოტიანებული მტვრიანებით, ხოლო ზედა მხარეზე სამსვეტიანი ბუტკოებით დედრობითი ყვავილებია. აბუსალათინის ნაყოფი სამუახნაგოვანი და სამთესლიანი კოლოფია, რომელიც იხსნება საძი საგდულით. მისი თესლი 20 მმ სიგრძისაა, ოვალური, მბრწყინავი, ქრელი ხეზეში საფარით, რომელსაც ზედა მხარეზე თეთრი შხამიანი დანამატი (*Carnucula*) აქვს; ჩვენში აბუსალათინი კულტურაშია გავრცელებული, თუმცა ზოგჯერ მას გაველურებული სახითაც ვხვდებით რუდეგალურ ადგილებში. მისი სადეკორაციო მნიშვნელობა ჩვენში ძველ დროიდანვეა ცნობილი. გარდა ამისა, მას აშენებენ თესლის (*Semen Ricini*) გულისათვის, რომელიც შეიცავს 50—60% ცხიმზეთებს. მასში მოიპოვება აგრეთვე ცილისებური ნივთიერება, რომელიც იშლება ჰიდროლიზით სხვადასხვა ნივთიერებად; გლუტამინად, გლუტამინის მჟავად, — $\Pi$ —ლუციონად (—ამინო— $\Pi$ —კაპრონმჟავად); ცილისებურ ნივთიერებაში აღინიშნება შარდმჟავას კვალიც (ერთ კილოგრამში 0,06 გრამი). აბუსალათინის თესლი შეიცავს აგრეთვე ფისს, ცვილს, 14% ნაცარს, ალკალოიდ რიცინს (*Ricinum*), და რიცინინს, უძლიერეს მცენარულ შხამს ფიტოტოქსინს, რომლის 0,003 გრ კანკვეშ ან შიგნით დამლუპველია ადამიანისათვის. ის იწვევს სისხლის შეწებებას და აგრეთვე ქსოვილების აგლუტინაციას. აბუსალათინის ზეთი შედგება უმთავრესად გლიცერიდებისაგან, რიცინოლისა და რიცინიზოლის მჟავასაგან; მცირე რაოდენობით ის შეიცავს გლიცერიდ სტეარინის მჟავასაც. აბუსალათინის ზეთი იწვევს ნაწლავების სუსტ გაღიზიანებას და მოქმედებს როგორც ნაზი საფაღარათო. მისი ასეთი მოქმედება განისაზღვრება რიცინოლის მჟავათი, რომელიც იშლება კუჭისკვეშა ჯირკვლის ფერმენტების მოქმედებით. აბუსალათინის ზეთს (*Oleum Ricini*) წინათ უფრო ფარ-



თოდ იყენებდნენ, ღღეს კი მას ხმარობენ უპირატესად როგორც ტექნიკურ ზეთს საავიაციო საქმეში, აგრეთვე ტექსტილისა და საპნის წარმოებაში. სამკურნალო საშუალებად უმჯობესია მისი თეს-



სურ. 55. აბუსალათინი (*Ricinus communis* L.).

ლიდან ცივად გამოხდილი ზეთის ხმარება, რადგან ასეთი ზეთი შხამიან თვისებებს მოკლებულია და საუკეთესო ნაზ-საფალარათოს წარმოადგენს. მისი საექიმო ფორმებიდან, გარდა *Oleum Ricini*-სა, ცნობილია: *Oleum Ricini pro sapone*, *Emulsio Olei Ricini*, *Oleum Ricini aromaticum*, *Potio ricinosa* (რომელშიც შედის: *Oleum Ricini 40,0*, *Mucilago Tylose Stada 100,0*, *Sirupus simplex 200,0*, *Aqua destillata ad 200,0*), *Semina Ricini seu Semina Cataputiae majoris*. *Oleum Ricini seu, Oleum Castoris seu, Oleum Palmae Christi*.

### რეცეპტები:

Rp.: *Oleum Ricini 50,0*

DS. ექიმის დანიშნულებისამებრ.

### ჩაი—*Thea sinensis* L.

ეს ველური მარადმწვანე ბუჩქი ჩვენში წარმოდგენილია კულტურული მცენარის სახით, იგი ეკუთვნის ჩაისებრთა (*Theaceae*) პოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება სქელი ტყავისებური ყუნწიანი და ხერხებილა ნაპირებიანი ფოთლით. ის ივითარებს თეთრ ლანაზ ყვავილებს. საქართველოში ჩაის კულტურა საკმაოდ განვითარებულია და ხარობს ჩაის რამდენიმე სახეობა. სამედიცინო მიზნებისათვის გამოყენებულია *Camelia Thea*—ჩაის ფოთლის ალკალიოიდის, კერძოდ კოფეინის (ტრიმეთილ-ქსანთინი), თეობრომინის (დიმეთილ-ქსანთინის) და მათი იზომერის თეოფილინის მისაღებად. ჩაის ფოთოლი (*Folia Theae*) შეიცავს 2—3,5% კოფეინს. ხოლო ჩაის გადამუშავების ნარჩენებში და ჩაის მტვერში კოფეინი 1-დან 5%-მდეა. კოფეინი კი, როგორც ვიცით, გამოყენებულია ნეცნიერულ მედიცინაში როგორც გულის კუნთის ამგზნები საშუალება მისი სუსტი მოქმედების შემთხვევებში, აგრეთვე როგორც შარდსადენი და ცენტრალური ნერვული სისტემის ამგზნები საშუალება. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემის მიხედვით კოფეინის შემდეგი პრეპარატებია აღსანიშნავი: *Coffeinum* (უმაღლესი დოზა ერთ მიღებაზე 0,3 გრ., სადღელამისოდ 1 გრ.), *Coffeinum natrio benzoicum* (ერთ მიღებაზე 0,5, დღე-ღამეში 2,0), *Coffeinum natrio-salicylicum* (ერთ მიღებაზე 0,5 დღე-ღამეში 2,0), *Tabulettae Coffeini natrio-benzoici 0,25*, კოფეინ-ბენზონატრიუმის მარილით, *Solutio Coffeini natrio-benzoici 10%* (1 კუბ. ანტ. რაოდენობით ამპულაებში), *Diuretini* (ერთ მიღებაზე 1 გრა-

ში, ღლე-ღამეში 6 გრ). დანიაში ჩაის ფოთლებიდან ამზადებენ აბს *Pilulae Theophyllini*, რომელშიც შედის *Theophyllini* 100,0, *Amylii Tritici*—10,0, *Gummi arabici* 10,0, *Tragacantha* 2,0, *Glycerini*, *Sirupus simplex*  $\frac{aa}{aa}$  q. s. (1.000 აბის გასაკეთებლად). ფრანკფურტ-მაინცში მიიღეს პრეპარატი დერიფილინი (*Deriphyllin*), რომელიც წარმოადგენს თეოფილინისა და ღიათანოლ ამინის ნაერთს, იხმარება წვეთების სახით, რომელიც 10—30 გრ რაოდენობით ჩასხმულია პატარა ბოთლებში და იყიდება აფთიაქებში. ამ პრეპარატს იყენებენ კორონარული სისხლის ძარღვების ინსუფიციენციის დროს, *Angina pectoris*—შემთხვევებში, გულის დეკომპენსაციებისას, *Vitium cordis* და *Myodegeneratio Cordis*—დროს, პირველადი და მეორადი ჰიპერტონიის შემთხვევაში; მას უნიშნავენ *Asthma cardiale*-ს დროსაც. მასვე ეკუთვნის პრეპარატი *Rhodan—Calcium—Diureticum*-ი, რომელიც იყიდება ტაბლეტების სახით (თითო ტაბლეტში შედის 0,5 *Calcium—Diuretin*—და 0,1 კალიუმ როდანიდი). მას უნიშნავენ როგორც *Cardiacum*-ს, *Antiscleroticum*-ს და ჰიპერტონიების დროს. ჩვენში ჩაის ნარჩენების გამოყენებისა და ჩაის კულტურის მოშენების შესაძლებლობა მეტად დიდია.

---

## მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საქმიებელი

### ველური სამკურნალო მცენარეები

|   |    |
|---|----|
| <i>Abies Nordmanniana</i> Spach. . . . .                            | 22 |
| <i>Aconitum anthora</i> L. . . . .                                  | 23 |
| <i>Adiantum copillus veneris</i> L. . . . .                         | 26 |
| <i>Achillea millefolium</i> L. . . . .                              | 27 |
| <i>Agrimonia eupatoria</i> L. . . . .                               | 29 |
| <i>Agropyron repens</i> (L.) P. B. . . . .                          | 30 |
| <i>Alnus glutinosa</i> (L.) Gaertn. . . . .                         | 32 |
| <i>Althaea officinalis</i> L. . . . .                               | 33 |
| <i>Allium ursinum</i> L. . . . .                                    | 36 |
| <i>Arctostaphylos uva ursi</i> Spreng. . . . .                      | 37 |
| <i>Artemisia absinthium</i> L. . . . .                              | 40 |
| <i>Astragalus microcephalus</i> Will. . . . .                       | 44 |
| <i>Atropa caucasica</i> Krejer . . . . .                            | 45 |
| <i>Berberis vulgaris</i> L. . . . .                                 | 48 |
| <i>Betula pendula</i> Roth.- <i>Betula verrucosa</i> Ehrh . . . . . | 50 |
| <i>Brassica nigra</i> Koch. . . . .                                 | 51 |
| <i>Cannabis sativa</i> L. . . . .                                   | 53 |
| <i>Capsella bursa pastoris</i> (L) Medik. . . . .                   | 55 |
| <i>Carum carvi</i> L. . . . .                                       | 56 |
| <i>Cetraria islandica</i> (L.) Acharius . . . . .                   | 59 |
| <i>Chelidonium majus</i> L. . . . .                                 | 60 |
| <i>Chenopodium ambrosioides</i> (L.) Aellen . . . . .               | 62 |
| <i>Cichorium intybus</i> L. . . . .                                 | 63 |
| <i>Claviceps purpurea</i> (Tries) Tulasne . . . . .                 | 64 |
| <i>Colchicum laetum</i> Stev. . . . .                               | 67 |
| <i>Conium maculatum</i> L. . . . .                                  | 70 |
| <i>Convallaria transcaucasica</i> Utkin . . . . .                   | 72 |

|   |     |
|---|-----|
| Cornus mas L. . . . .                     | 76  |
| Crataegus oxyacantha L. . . . .           | 77  |
| Crocus speciosus M. B. . . . .            | 79  |
| Cuscuta europaea L. . . . .               | 82  |
| Datura stramonium L. . . . .              | 82  |
| Digitalis ferruginea L. . . . .           | 86  |
| Drosera rotundifolia . . . . .            | 89  |
| Dryopteris filix mas (L.) schott. . . . . | 90  |
| Ephedra procera E. et M. . . . .          | 93  |
| Equisetum arvense L. . . . .              | 98  |
| Erythraea centaurium Pers. . . . .        | 100 |
| Erigeron canadensis L. . . . .            | 103 |
| Erodium cicutarium L. Herit. . . . .      | 103 |
| Eupatorium cannabinum L. . . . .          | 104 |
| Euphorbia amygdaloides L. . . . .         | 106 |
| Evonymus europaeus L. . . . .             | 107 |
| Fagus orientalis Lipsky . . . . .         | 108 |
| Fragaria vesca L. . . . .                 | 110 |
| Fraxinus excelsior L. . . . .             | 112 |
| Fumaria officinalis L. . . . .            | 114 |
| Gallae . . . . .                          | 115 |
| Glechoma hederacea L. . . . .             | 116 |
| Glycyrrhiza glabra L. . . . .             | 117 |
| Helichrysum arenarium D. C. . . . .       | 121 |
| Humulus Lupulus L. . . . .                | 122 |
| Hyoscyamus niger L. . . . .               | 124 |
| Hypericum perforatum L. . . . .           | 128 |
| Inula Helenium L. . . . .                 | 130 |
| Juniperus communis L. . . . .             | 133 |
| Lactuca georgica Grossh. . . . .          | 136 |
| Laurus nobilis L. . . . .                 | 138 |
| Linum usitatissimum L. . . . .            | 139 |
| Lycopodium clavatum L. . . . .            | 441 |
| Malus communis Desf. . . . .              | 144 |
| Malva silvestris L. . . . .               | 145 |
| Matricaria Chamomilla L. . . . .          | 148 |
| Melilotus officinalis (L.) Desr. . . . .  | 153 |
| Mentha aquatica L. . . . .                | 155 |
| Menyanthes trifoliata L. . . . .          | 159 |

|   |     |
|---|-----|
| Orchis latifolius L. . . . .                        | 162 |
| Origanum vulgare L. . . . .                         | 166 |
| Pimpinella major (L.) Huds. . . . .                 | 167 |
| Pinus hamata D. Sosn. . . . .                       | 170 |
| Polygonum Carneum C. Koch. . . . .                  | 175 |
| Polygonum Hydropiper L. . . . .                     | 177 |
| Periploca graeca L. . . . .                         | 180 |
| Primula macrocalyx Bge. . . . .                     | 181 |
| Pyrethrum roseum M. B. . . . .                      | 183 |
| Punica granatum L. . . . .                          | 186 |
| Pulsatilla Georgica Rupr. . . . .                   | 188 |
| Quercus iberica Stev. . . . .                       | 189 |
| Rhamnus cathartica L. . . . .                       | 191 |
| Rhamnus frangula L. (ებლა Frangula alnus) . . . . . | 195 |
| Rosa canina L. : . . . .                            | 196 |
| Rubus idaeus L. . . . .                             | 198 |
| Salix alba L. . . . .                               | 200 |
| Sambucus nigra L. . . . .                           | 201 |
| Senecio platyphyllos (M. B.) D. C. . . . .          | 205 |
| Taraxacum officinale Vigg. . . . .                  | 208 |
| Thymus serpyllum L. . . . .                         | 210 |
| Tilia caucasica Rupr. . . . .                       | 214 |
| Tussilago farfara L. . . . .                        | 217 |
| Urtica dioica L. . . . .                            | 220 |
| Vaccinium Myrtillus L. . . . .                      | 222 |
| Valeriana nitida Kr. . . . .                        | 224 |
| Veratrum Lobelianum Bernh. . . . .                  | 229 |
| Verbascum nigrum L. . . . .                         | 232 |
| Viburnum opulus L. . . . .                          | 235 |
| Viola tricolor var. arvensis Murr. . . . .          | 237 |
| Viscum album L. . . . .                             | 240 |

გაველურებული მცენარეები

|   |     |
|---|-----|
| Acorus calamus L. . . . .                     | 242 |
| Ailanthus altissima (Mill.) Swingle . . . . . | 245 |
| Amygdalus communis L. . . . .                 | 245 |
| Anethum graveolens L. . . . .                 | 247 |
| Armoracia lapathifolia Gilib. . . . .         | 249 |
| Foeniculum vulgare Mill. . . . .              | 250 |

|                          |     |
|--------------------------|-----|
| Juglans regia L. . . . . | 253 |
| Olea europaea L. . . . . | 255 |

კულტურული მცენარეები

|  |     |
|--|-----|
| Allium sativum L. . . . .                  | 257 |
| Allium cepa L. . . . .                     | 259 |
| Avena sativa L. . . . .                    | 260 |
| Armeniaca vulgaris L. . . . .              | 261 |
| Capsicum annuum L. . . . .                 | 262 |
| Cerasus vulgaris Mill. . . . .             | 263 |
| Cinchona succirubra Pavon. . . . .         | 264 |
| Cinnamomum camphora Nees et Eberm. . . . . | 267 |
| Citrus limonum Risso . . . . .             | 270 |
| Coriandrum sativum L. . . . .              | 271 |
| Cucurbita Pepo L. . . . .                  | 273 |
| Cydonia oblonga Mill. . . . .              | 276 |
| Eucalyptus globulus Labill. . . . .        | 278 |
| Gossypium sp. div. . . . .                 | 280 |
| Helyanthus annuus L. . . . .               | 281 |
| Iris Germanica L. . . . .                  | 282 |
| Nerium oleander L. . . . .                 | 283 |
| Papaver somniferum L. . . . .              | 284 |
| Phaseolus vulgaris L. . . . .              | 290 |
| Ricinus communis L. . . . .                | 291 |
| Thea sinensis L. . . . .                   | 293 |



ს ა რ ი მ ი

|   |          |
|---|----------|
| წინასიტყვაობა . . . . .   | 3        |
| ზოგიერთი ცნობა საქართველოში სამკურნალო მცენარეთა გამოყენებისა და<br>წამლების მომზადების შესახებ . . . . . | 5        |
| სამკურნალო მცენარეთა ზრდის ძირითადი ფაქტორები . . . . .   | 9        |
| სამკურნალო მცენარეთა შეგროვების, გაშრობის, ტრანსპორტირების და შენა-<br>ხვის ტექნიკური წესები . . . . .    | 16       |
| სამკურნალო მცენარეთა ცალკე ნაწილების შეგროვების წესები . . . . .  | 19       |
| საქართველოს ოფიცინალური ველური სამკურნალო მცენარეები . . . . .  | 22       |
| აბზინდა . . . . .   | 40       |
| აბრეშუმა . . . . .  | 82       |
| ანისული . . . . .   | 167      |
| არყი . . . . .  | 50       |
| ასისთავა . . . . .  | 100      |
| ასკილი . . . . .  | 196      |
| ბაბუაწვერა . . . . .  | 208      |
| ბეჭკონდარა . . . . .  | 210      |
| ბირკავა . . . . .   | 29       |
| ბროწეული . . . . .  | 186      |
| გალები . . . . .  | 115      |
| გველის ხავსი . . . . .  | 141      |
| გვირილა . . . . .   | 148, 183 |
| გიჟანა . . . . .  | 45       |
| გლერძი . . . . .  | 44       |
| დათვის მოცვი . . . . .  | 37       |
| დაფნა . . . . .   | 138      |
| დეაღურა . . . . .   | 175      |
| დიდგულა . . . . .   | 201      |
| დიდჯამა . . . . .   | 181      |
| დროზერა . . . . .   | 89       |
| ვეროპული კანკუატი . . . . .   | 107      |
| ვროდიუმი . . . . .  | 103      |
| ვუპატორიუმი . . . . .   | 104      |
| ვფედრა . . . . .  | 93       |
| ვარდკაჭკა . . . . .   | 63       |
| ვარიაკანაფა . . . . .   | 104      |



|                    |     |
|--------------------|-----|
| ვირისტერფა         | 217 |
| ზაფრანა            | 79  |
| ზისვარი            | 136 |
| თავშავა            | 166 |
| თხმელა             | 32  |
| ისლანდიური მღიერი  | 59  |
| იფანი              | 112 |
| კანადური ერიგერონი | 103 |
| კანაფი             | 53  |
| კატბალაზა          | 224 |
| კელიავი            | 56  |
| კლდის ქორორა       | 26  |
| კონიო              | 70  |
| კოწახური           | 48  |
| კრახანა            | 128 |
| კულმუხო            | 130 |
| კუნელი             | 77  |
| ლემა               | 82  |
| ლენცოფა            | 124 |
| მაკალო             | 144 |
| მარწყვი            | 110 |
| მდოგვი             | 51  |
| მედგარი            | 188 |
| მთის მოცივი        | 222 |
| მინდვრის ია        | 237 |
| მკედრის ყვავილი    | 121 |
| მოლოქა             | 145 |
| მურყანი            | 32  |
| მუხა               | 189 |
| ნაცარქათამა        | 62  |
| ოშოშა              | 116 |
| პიტნა              | 155 |
| ქოლო               | 198 |
| რძინა              | 106 |
| სააფთიაქო გვირილა  | 148 |
| საგუგა             | 205 |
| სავარცხელა         | 103 |
| სათოვლია           | 67  |
| სული               | 139 |
| სვია               | 122 |
| სოჭი               | 22  |
| ტილკირი            | 23  |
| ტირიფი             | 200 |
| ტუხტი              | 33  |
| ტყის მარწყვი       | 110 |
| ფარსმანდუკი        | 27  |
| ფითრი              | 240 |

|  |                     |           |
|--|---------------------|-----------|
| ფიჭვი  |                     | 170       |
| ფურისული   | <i>ფურისული</i>     | 181       |
| ფურტარა  |                     | 86        |
| ქართული მუხა                                       |                     | 189       |
| ქერიფქლა   | <i>ქერიფქლა</i>     | 232       |
| ქრისტესისხლა                                       | <i>ქრისტესისხლა</i> | 60        |
| ლანძილი  |                     | 36        |
| ლევდამცი   | <i>ლევდამცი</i>     | 180       |
| ლეია   | <i>ლეია</i>         | 133       |
| შაებოლოკა  |                     | 51        |
| შავთარა  |                     | 114       |
| შვიტა  | <i>შვიტა</i>        | <u>92</u> |
| შინჭი  |                     | 76        |
| შმაგა  | <i>შმაგა</i>        | 45        |
| შროშანა  |                     | 72        |
| შხამა  | <i>შხამა</i>        | 229       |
| ჩადუნა   |                     | 90        |
| ცაცხვი   |                     | 214       |
| ძახველი  | <i>ძახველი</i>      | 235       |
| ძირტკბილა  | <i>ძირტკბილა</i>    | 117       |
| ძიძო   | <i>ძიძო</i>         | 153       |
| წითელი გვირილა                                     |                     | 183       |
| წიფელი   |                     | 108       |
| წიწმატურა  |                     | 55        |
| წყლის მათიტელა                                     |                     | 177       |
| წყლის პიტნა  |                     | 155       |
| წყლის სამყურა                                      |                     | 159       |
| კანგა  | <i>კანგა</i>        | 30        |
| კეაგის რქა   |                     | 64        |
| კინქარი  |                     | 220       |
| ხაკიკორა   |                     | 55        |
| ხუშავი   |                     | 191       |
| ხეპრელი  | <i>ხეპრელი</i>      | 195       |
| ჯადვარი  | <i>ჯადვარი</i>      | 162       |
| ჯორისძუა   |                     | 93        |
| <b>გ ა ვ ე ლ უ რ ე ბ უ ლ ი მ ც ე ნ ა რ ე ე ბ ი</b> |                     | 242       |
| ხეთისხილი  |                     | 255       |
| კაკალი   |                     | 253       |
| კამა   | <i>კამა</i>         | 247       |
| კოთხოჯი  |                     | 242       |
| ლყრალა   |                     | 245       |
| ნუში   |                     | 245       |
| პირშუშხა   | <i>პირშუშხა</i>     | 249       |
| ყრეცო  |                     | 250       |
| <b>კ შ ლ ტ უ რ უ ლ ი მ ც ე ნ ა რ ე ე ბ ი</b>       |                     | 257       |
| აბუსალათინი  |                     | 291       |
| ალუბალი  |                     | 263       |
| ბამბა  |                     | 280       |
| გოგრა  |                     | 273       |

|               |     |
|---------------|-----|
| მკალატე       | 278 |
| კომში         | 276 |
| ლიმონი        | 270 |
| ლობიო         | 290 |
| ლურჯი ზამბახი | 282 |
| მზისუმბირა    | 281 |
| ნიორი         | 257 |
| ოლენდრე       | 283 |
| ქაფურის ხე    | 267 |
| ქინაქინის ხე  | 264 |
| ქინძი         | 271 |
| შვრია         | 260 |
| ჩაი           | 293 |
| წიწკა         | 262 |
| ქერამი        | 261 |
| ხაშხაში       | 284 |
| ხახვი         | 259 |

---

რედაქტორი პ. როფ. ვ. ვარაზი  
ტექნიკური ვ. ხუციშვილი  
კორექტორი შ. ჩარკვიანი  
გამომშვები ნ. გალუხტიშვილი

---

გადაეცა წარმოებას ასაწყობად 10|VII-52 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად  
ნ|XII 52 წ. ანაწყობის ზომა 6×10. ქალაქის ზომა 60×92. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 18,75. სააღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 17,16. შკ. 1954. უე 16059  
ტირაჟი 2000. ფასი 10 მან. 40 კაპ.

---

საქმედგამის სტამბა. თბილისი მედიკალაქი